# საბჭოთა ხელოვნება

СОВЕТСКОЕ
ИСКУССТВО

SOVIET
ART

SOWJETKUNST

ART
SOVIETIQUE

6

1971

# საბჭოთა ხელოვნება



ჟურნალი გამოდის 1921 წლიდან

თეატრი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
არქიტექტურა
ქორეოგრაფია

6

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ლიტერატურულ-მხატვრული, მეცნიერულ-თეორიული ყოველთვიური ჟურნალი

1971



სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი საქართველოს სსრ დროშაზე ამაგრებს ოქტომბრის რევოლუციის ორდენს.





საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში.

# გაზაფხულის ნათელი ზეიმი მზიურ საქართველოში

„აღმართ-აღმართ აღმავალო დიდებავ,—
შენ ახალი საქართველო გქვიანო“.
ა. აბაშელი

აღმავლობის გზაზე მავალმა საბჭოთა საქართველომ ვაჟკაცურად განვლო თავისი არსებობის სახელოვანი 50 წელი. დაიწყო ჩვენი სამშობლოს მეორე ნახევარსაუკუნოვანი ისტორია, რომელიც მტკიცედ მიაბიჯებს კომუნიზმის მწვერვალისაკენ.

დედასამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულმა შემართა ქართველი ხალხი სწორუპოვარი გმირობისათვის საუკუნეებს მიღმა, როცა ხმლით იცავდა მამულის დამოუკიდებლობას, როცა სამარადისოდ დაუკავშირა თავისი ბედი ძლიერ ჩრდილოელ მოძმე რუს ხალხს. სწორედ მშობელი ქვეყნისადმი სიყვარულმა აამხედრა ჩვენი გმირული მუშათა კლასი, ტანჯული გლეხობა და მოწინავე ინტელიგენცია ამ საუკუნის დასაწყისში რევოლუციური გარდაქმნებისათვის; დიდი სიყვარულისა და უბატონო შრომის ძალამ გაამარჯვებინა სოციალისტურ წყობილებას საქართველოში. მხურვალე პატრიოტიზმმა დარაზმა სამშობლოს დამცველი გმირები გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ საბრძოლველად; იმავე გრძნობამ აღამაღლა ქვეყანა მანამდე მიუწვდომელ სიმაღლემდე. დიახ, მარადისია ხალხი, რომელსაც წინ მიუძღვის კომუნისტური პარტია და ძმასავით უდგას მხარში კეთილი მეზობელი თუ შორეული მეგობარი. და ყველგან გამარჯვება დაებედა საბჭოთა საქართველოს, დაფასდა გა-



1971 წლის 13 მაისი. მოზეიმე თბილისს ეწვია ძვირფასი სტუმარი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი.** სურათზე: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მჟავანაძე** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. დ. ჯავახიშვილი** მიესალმებიან **ლეონიდ ილიას ძეს.**

მრჯე ხალხის გმირული შრომა; სამშობლოს მადლობის ნიშნად მის ალისფერ დროშაზე აკიაფდა ორი ლენინის ორდენი.

მაგრამ სულ სხვა იყო ნახევარსაუკუნოვანი საბჭოთა საქართველოს ზეიმი, რომელიც მაისის მზიან დღეებში აღინიშნა მთელს რესპუბლიკაში. ,,ორმოცდაათი წელი,—განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕᲛᲐ 14 მაისს თბილისში, — არც თუ ისე დიდი ასაკია ერთი ადამიანის ცხოვრებაში, ხალხებისა და სახელმწიფოსათვის კი ეს სულ ცოტა დროა. დღევანდელი დღე, სოციალისტური საქართველოსა და მისი კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის დღესასწაულის დღე, შეგვიძლია ჩავთვალოთ თქვენი მშვენიერი რესპუბლიკის სიჭაბუკისა და აყვავების ზეიმად“.

ჭეშმარიტად! ზეიმობდა ჭაბუკურსუნთქვაჩამდგარი საქართველოს უძველესი მიწა, ზეიმობდა გმირული შრომით დაფასებული ხალხი, ხატულა ყვავილებსა და ლაღად მოფრიალე დროშების ტევრში ჩაჯდა ქვეყანა, ზეიმობდნენ სტუმრად ჩამოსული მეგობრები.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მთავრობამ, რესპუბლიკურმა საიუბილეო კომისიამ, მშრომელებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გრანდიოზული სახე მიეღო ამ ჭეშმარიტად ეროვნულ დღესასწაულს. მათმა გონივრულმა ხელმძღვანელობამ, დაუდეგარმა შრომამ გვარგუნა დაუვიწყარი დღეები.

ასეა ჩვენს თვალუწვდენელ ქვეყანაში —ერთი რესპუბლიკის ზეიმი მთელი საბჭოთა ხალხის ზეიმად იქცევა ხოლმე. ამჯერადაც არ დარღვეულა ტრადიცია. მოძმე ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაული პირველად ჩვენს უშუალო მეზობლებთან—სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკებში გაიმართა 15-16 აპრილს. ერევანსა და ბაქოს ერთდროულად ეწვივნენ საბჭოთა საქართველოს დელეგაციები. სომხეთში გამგზავრებულთ ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე Შ. Დ. ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ, ხოლო აზერბაიჯანში —საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი Ნ. Შ. ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ. ერევანსა და ბაქოში გაიმართა საზეიმო სხდომები, დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს რესპუბლიკათა ღირსშესანიშნაობანი, კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის უჭკნობ მატიანეში.

შემდეგ ზეიმმა მოსკოვში გადაინაცვლა. 18-21 აპრილს მოსკოვში იმყოფებოდა ჩვენი რესპუბლიკის დელეგაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის Გ. Ს. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲘᲡ მეთაურობით. 19 აპრილს საქართველოს დელეგაცია მიიღეს პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში, სადაც ქართველ მეგობრებს გულთბილად შეხვ-

ლ. ი. ბრეჟნევი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე.



ლ. ი. ბრეჟნევი და ვ. პ. მჟავანაძე ვ. ი. ლენინის სახელობის მოედანზე ილიჩის ძეგლის გვირგვინებით შემკობის წინ.





თ ბ ი ლ ი ს ი. 1971 წლის 15 მაისი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია. ს უ რ ა თ ზ ე: ცენტრალურ ტრიბუნაზე.

დემონსტრანტთა ზეიმი მთავარ ტრიბუნასთან.





დნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ბრიშინი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. პრომისლოვი და სხვები. იმავე დღეს ჟურნალისტთა ცენტრალურ სახლში გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისათვის.

20 აპრილს გაიმართა საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის 50 წლისთავისდმი მიძღვნილი საზეიმო საღამო კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, რომელიც გახსნა სკკპ მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივანმა რ. დემენტიევამ. სიტყვებით გამოვიდნენ ქარხანა ,,კალიბრის“ მღარავი ნ. პანკრატოვი და ლენინური პრემიის ლაურეატი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის მშენებლობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ხელოვნურ ნაგებობათა განყოფილების გამგე პ. სილინი. საპასუხო სამადლობელი სიტყვით გამოვიდა ამხ. გ. ძოწენიძე, რომელ-



დემონსტრანტთა ზეიმი მთავარ ტრიბუნასთან.

მაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო რესპუბლიკის მიღწევები სახალხო მეურნეობისა და კულტურის დარგში. საღამოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმა წარმომადგენლობამ მოაწყო დარბაზობა მოსკოვში საქართველოს დღეებთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მშრომელთა დელეგაციამ გვირგვინით შეამკო ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი, მოინახულა მრავალი საწარმო და დაწესებულება, კიდევ უფრო განამტკიცა მეგობრობა მოსკოველ მშრომელებთან. ქართველ ხელოვანთა ძალებით გაიმართა კონცერტები, კინოთეატრებში უჩვენებდნენ ქართულ ფილმებს. მთელმა მოსკოვმა იზეიმა ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაული.

გავიდა დღეები. რესპუბლიკური საიუბილეო კომისია ენერგიულად განაგრძობდა მუშაობას. მალე ყველაფერი მზად იყო სახალხო ზეიმის, ძვირფასი სტუმრების შესახვედრად. და აი, 11 მაისს მოზეიმე საქართველოში გამოჩნდნენ პირველი საპატიო სტუმრები. ამ დღეს თბილისს ეწვივნენ: ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲗᲘᲡ სსრ დელეგაცია —მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის Ი. Ი. ᲑᲝᲓᲘᲣᲚᲘᲡ მეთაურობით, ᲚᲐᲢᲕᲘᲘᲡ სსრ დელეგაცია— ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ა. Ე. ᲕᲝᲡᲘᲡ ხელმძღვანელობით, ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ სსრ დელეგაცია — ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ᲮᲝᲚᲝᲕᲘᲡ მეთაურობით, ᲗᲣᲠᲥᲛᲔᲜᲔᲗᲘᲡ სსრ დელეგაცია — თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მ. ᲒᲐᲞᲣᲠᲝᲕᲘᲡ ხელმძღვანელობით.

12 მაისს თბილისში ჩამოვიდნენ: ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲤᲡᲠ დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. მ. ᲨᲙᲝᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘ, ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ სსრ დელეგაცია — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პ. Ე. ᲨᲔᲚᲔᲡᲢᲘᲡ ხელმძღვანელობით, ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲘᲡ სსრ დელეგაცია — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, ბელორუსიის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პ. მ. ᲛᲐᲨᲔᲠᲝᲕᲘᲡ მეთაურობით, ᲣᲖᲑᲔᲙᲔᲗᲘᲡ სსრ დელეგაცია — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, უზბეკეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის შ. რ. ᲠᲐᲨᲘᲓᲝᲕᲘᲡ ხელმძღვანელობთ. ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ სსრ დელეგაცია — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ყაზახეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, Დ. ა. ᲙᲣᲜᲐᲔᲕᲘᲡ მეთაურობით; იმავე დღეს ქართველი ხალხის ზეიმზე ჩამოვიდნენ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ, ᲚᲘᲢᲕᲘᲡ, ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘᲡ, ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ, ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘᲡ სსრ, ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ მშრომელთა დელეგაციები, რომლებსაც ხელმძღვანელობდნენ აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. ᲐᲚᲘᲔᲕᲘ, ლიტვის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. Ი. ᲡᲜᲔᲩᲙᲣᲡᲘ, ყირგიზეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ᲣᲡᲣᲑᲐᲚᲘᲔᲕᲘ, სომხეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. Ე. ᲥᲝᲩᲘᲜᲘᲐᲜᲘ, ესტონეთის კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი Ი. გ. ᲙᲔᲑᲘᲜᲘ, პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ვ. ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲘ. სტუმართა შორის იყო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი Ე. მ. ᲢᲘᲐᲟᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘ.

დემონსტრანტთა ზეიმი მთავარ ტრიბუნასთან.





დემონსტრანტთა ზეიმი მთავარ ტრიბუნასთან.

13 მაისს მთელი მოზეიმე თბილისი გამოეფინა აეროპორტისაკენ მიმავალ მაგისტრალებზე. აეროპორტის მოედანზე ტევა არ იყო. აქ მოვიდნენ საქართველოს სსრ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, პასუხისმგებელი მუშაკები, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელები, თბილისის მშრომელები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. ისინი შეიკრიბნენ საიუბილეო ზეიმზე ჩამოსული ძვირფასი სტუმრის — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის შესახვედრად; შეკრებილნი მქუხარე ტაშით, მხურვალედ მიესალმნენ საპატიო სტუმარს, რომელიც ასევე გულღიად შეხვდა მათ. მაისის მზიანმა დღემ, ხალისიანმა განწყობილებამ, ცოცხალი ყვავილების ზღვამ, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულმა ქალაქმა გაასკეცა სიხარული. ამ დღეს ყოველ



საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ერთ-ერთ პავილიონში.

ქართველს შეეძლო გაემეორებინა გიორგი ლეონიძის ომახიანი სიტყვები:

„დამდგარა ჩემი სიმღერის ჯერი,
ეს ყვავილები მე დავაგროვე;
მე ვარ სამშობლოს ჩუქურთმის მჭრელი,
ვარ ახალ ქართლის თანამედროვე“.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ჩამოვიდნენ: ქალაქ მოსკოვის მშრომელთა დელეგაცია — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. გრიშინის მეთაურობით და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაცია — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის, საბჭოთა კავშირის მარშლის ა. ა. გრეჩკოს ხელმძღვანელობით.

ლ. ი. ბრეჟნევი და ვ. პ. მჟავანაძე თანმხლები პირებით გამოემართნენ თბილისის ლენინის მოედნისაკენ. გზადაგზა ქალაქის მშრომელები, რომელთაც ცოცხალი დერეფნები შეექმნათ ქუჩებში, სიხარულით ხვდებოდნენ და ოვაციებს უმართავდნენ ლეონიდ ილიას ძეს.

ათასობით მშრომელი შეხვდა სტუმრებს ლენინის მოედანზე, ბელადის ძეგლთან, სადაც ამხანაგებმა ლ. ბრეჟნევმა, ვ. მჟავანაძემ, გ. ძოწენიძემ, გ. ჯავახიშვილმა, სტუმართა დელეგაციებმა გვირგვინებით შეამკეს ილიჩის ძეგლი. მათ წუთიერი დუმილით პატივი სცეს კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინის ხსოვნას.

შემდეგ ლ. ი. ბრეჟნევმა და სხვა სტუმრებმა დაათვალიერეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზე. ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა გამოფენაზე შეაქო ფოლადის მეჩაიე — ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“, ქართული სამარკო ღვინოები, წყალქვეშაფრთიანი თბომავალი, გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებათა აგრეგატული სისტემის პირმშო — მანქანა „მ-1000“, ცხაკაიას ხალიჩათსაქსოვ კომბინატში მოქსოვილი მხატვრული საიუბილეო ხალიჩა და სხვა. მან კეთილად მოიგონა გამოჩენილი ქართველი კინომსახიობი ნატო ვაჩნაძე. ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ვ. ვ. გრიშინმა, დ. ა. კუნაევმა, პ. ე. შელესტმა, პ. მ. მაშეროვმა,

შ. რ. რაშიდოვმა, დელეგაციათა ხელმძღვანელებმა საპატიო სტუმართა წიგნში შეიტანეს სამახსოვრო ჩანაწერი.

ჩვენი სტუმრების დელეგაციები შეხვდნენ ქართველ მშრომელებს, გაეცნენ საწარმოებს, დაწესებულებებს, კულტურულ ცენტრებს. ისინი ეწვივნენ თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანას, ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანას, რუსთავის მეტალურგთა კულტურის სასახლეს, თბილისის კონიაკის ქარხანას, ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობას, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატს, თბილისის შამპანური ღვინოების ქარხანას, თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტს, თბილისის სატელეგრაფო აპარატურის ქარხანას, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატს, თბილისის მეტროპოლიტენის კოლექტივს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტს, თბილისის სამხატვრო აკადემიას. ყველგან სუფევდა მეგობრული ატმოსფერო, ყველგან ჩანდა საქართველოს მშრომელთა გრანდიოზული წინსვლა, რაც აღაფრთოვანებდა სტუმრებს.

დადგა ნანატრი დღე — 14 მაისი. ზეიმმა მიაღწია კულმინაციურ წერტილს. ამ დღეს საქართველოს ფილარმონიის ახალ საკონცერტო დარბაზში შეიკრიბნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ვეტერანები, დიდი სამამულო ომის მონაწილენი, სახალხო მეურნეობის ნოვატორები და მოწინავენი, კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები. ისინი აქ მოვიდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის იუბილეს. დარბაზი საზეიმოდაა მორთული, განწყობილებაც სადღესასწაულოა. დილის ათ საათზე შეკრებილნი ხანგრძლივი ოვაციით შეხვდნენ პრეზიდიუმში შემოსულ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ვ. ვ. გრიშინს, დ. ა. კუნაევს, პ. ე. შელესტს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, გ. დ. ჯავახიშვილს, გ. ს. ძოწენიძეს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრებს მ. ა. გოგიჩაიშვილს, ა. ნ. ინაურს, შ. დ. კიკნაძეს, ს. კ. კურკოტკინს, ო. ი. ლოლაშვილს, ა. ნ. ჩურკინს, რ. შ. ცხაკაიას, შ. ი. ჭანუყვაძეს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებს რ. ვ. მეტრეველს, თ. ი. მო-

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე.



საშვილს, ჯ. ი. პატიაშვილს. საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან სტუმრად ჩამოსულ დელეგაციათა ხელმძღვანელები, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. მ. ტიაჟელნიკოვი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პ. მჟავანაძემ. ამხანაგმა ვ. მჟავანაძემ განაცხადა: „დღეები, როცა აღინიშნება საბჭოთა საქართველოს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ერთი თვე გავიდა, რაც მუშაობა დაამთავრა სკკპ XXIV ყრილობამ, და თვითეული ჩვენგანი მთელი ამ ხნის განმავლობაში ცხოვრობს ყრილობის შთაბეჭდილებებით“... და დაამატა: „ამ სულისკვეთებით, ამ განწყობილებით არის გამსჭვალული დღევანდელი ჩვენი ზეიმიც“...

ამხ. ვ. მჟავანაძემ გულითადად მიულოცა საქართველოს ყველა მშრომელს სახელოვანი დღესასწაული და გულწრფელად მიესალმა სტუმრად ჩამოსულ მშრომელთა დელეგაციებს.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით და ფეხზე ადგომით პატივი სცეს იმათ ხსოვნას, ვინც თავი დადო რევოლუციისათვის, საბჭოთა ხელისუფლებისათვის, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, პარტიის საქმის, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძე გახსნილად აცხადებს საზეიმო სხდომას. დარბაზში პასუხად გაისმის მქუხარე ოვაცია, ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ჰიმნები. ამხ. ო. ი. ლოლაშვილის წინადადებით საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობას.

საზეიმო სხდომის თავმჯდომარე ამხ. გ. ს. ძოწენიძე მოხსენებისათვის — „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წელი“ — სიტყვას აძლევს ამხ. ვ. პ. მჟავანაძეს.

მომხსენებელმა საზეიმო სხდომის მონაწილეებს მკაფიოდ გადაუშალა ქართველი ხალხის ამაღელვებელი წარსული, საბჭოთა საქართველოსა და მისი სახელოვანი კომუნისტური პარტიის მოკლე ისტორია, ხალხის შემოქმედებითი შრომის მაგალითები, მოპოვებული მიღწევები და მეცხრე ხუთწლედის ამოცანები.

ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ თავის მოხსენებაში მნიშვნელოვა-

10 მაისს საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიხსნა საქართველოს მხატვართა ნამუშევრების საიუბილეო გამოფენა, მიძღვნილი საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი. რესპუბლიკის ხელმძღვანელი ამხანაგები გამოფენაზე.





ამხ. ვ. პ. მჟავანაძე ესაუბრება ძეირფას სტუმრებს.

ნი ადგილი დაუთმო საქართველოს მრავალსაუკუნოვან კულტურას, მის ლიტერატურასა და ხელოვნებას. კერძოდ, მან თქვა: „საუკუნეებსა და ომებში გამოატარა ქართველმა ხალხმა ოცნება სოციალურ თანასწორობაზე, თავისუფლებასა და ბედნიერებაზე, მეგობრობასა და ძმობაზე. გამოატარა და შეინარჩუნა ეროვნული თავისთავადობა და უძველესი კულტურა, თავისი ენა და დამწერლობა, ხალხური თქმულებანი, ძველი ფრესკები, ხალხის ქვის მატიანე — არქიტექტურული ანსამბლები, ძველ ქართველ კომპოზიტორთა ქმნილება — პოლიფონიური მუსიკა და ლითონში გამოკვეთილი რიტმი — ხალხურ ოსტატთა ნაკეთობანი“.

მომხსენებელმა გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა და კულტურის მოღვაწეთა შორის დაასახელა ნ. მუსხელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, კ. გამსახურდია, ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა, უ. ჯაფარიძე, ა. ბალანჩივაძე და აღნიშნა, რომ „ხალხის სულიერი ცხოვრების ყველა დარგში — მეცნიერებასა და ლიტერატურაში, თეატრსა და კინოში, ფერწერასა და მუსიკაში — ჩვენ გვყავს შესანიშნავი, ნიჭიერი ოსტატები“... შინაარსიანი მოხსენება დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს, რომლის დროსაც ხშირად გაისმოდა ტაში.

შემდეგ ამხ. ვ. პ. მჟავანაძე სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევს, რომელსაც შეკრებილნი ოვაციით შეხვდნენ. ამხ. ლ. ბრეჟნევი მხურვალედ მიესალმა საქართველოს მშრომელებს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით მიულოცა მათ დიდი ეროვნული დღესასწაული. ამხანაგმა ბრეჟნევმა ილაპარაკა საბჭოთა საქართველოს სახელოვან გზაზე და აღნიშნა: „ისტორიულად მოკლე ვადაში რუსეთის იმპერიის ყოფილი ნახევრად ფეოდალური განაპირა მხარე გადაიქცა თანამედროვე მრეწველობისა და დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სახელმწიფოდ, მთლიანი წიგნიერების, მოწინავე მეცნიერებისა და კულტურის რესპუბლიკად. ქართველი ხალხის ისტორიული ბედისა და საგმირო საქმეთა შთამბეჭდავი სურათი, რომელიც ვასილ პავლეს ძე მჟავანაძემ დაგვიხატა თავის მოხსენებაში, ყველას გვაღელვებს“.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეეხო საქართველოს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს. მანვე შეკრებილთ აუწყა ორი დიდად სასიხარულო და საპატიო მოვლენა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დაჯილდოებისა და გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ სიკვდილის შემდეგ. დამსწრენი ფეხზე ადგომითა და მქუხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას საპატიო ჯილდოს მიღებისა და ცნობილი ქართველი მხედართმთავრის ღვაწლის დაფასების შესახებ.

სოციალისტური შრომის გმირებს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ა. ს. ფანცულაიასა და წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ა. ა. კობაიძეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორს ე. კ. ხარაძეს, სკკპ წევრს 1917 წლიდან, პერსონალურ პენსიონერს დ. ვ. ლომაძესა და თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტს მ. გ. გოშაძეს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევთან მოაქვთ საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშა, რომელზედაც კიაფობს ორი ლენინის ორდენი. დროშასთან დგებიან ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. ს. ძოწენიძე, გ. დ. ჯავახიშვილი.

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ტაშის გრიალში საქართველოს სსრ დროშას მიაბნია ოქტომბრის რევოლუციის ორდენი და გულთბილად მიულოცა ყველას მთავრობის მაღალი ჯილდო. „შეგიძლიათ იამაყოთ ამ ჯილდოთი, იგი დაიმსახურეთ თქვენ“ — თქვა ამხ. ბრეჟნევმა. მის მკაფიო, მღელვარე სიტყვას დიდი ყურადღებით ისმენდნენ და ტაშის ქუხილს უერთებდნენ ზეიმის მონაწილენი.

საპასუხო სიტყვით გამოსულმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ მხურვალე მადლობა უძღვნა პარტიასა და ხელისუფლებას,

პირადად ლ. ი. ბრეჟნევს. „ოქტომბრის რევოლუციის ორდენს რომ იღებენ საქართველოს კომუნისტები, — განაცხადა მან, — ყველა მშრომელი აღუთქვამენ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომ ჩვენი ხალხი მთელ ძალღონეს მოახმარს ბრძოლას სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების შენებისათვის“. კვლავ იგრგვინა ტაშმა მადლობის ნიშნად.

მხურვალე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები: ა. მ. შკოლნიკოვი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ე. შელესტი, გ. ვ. რომანოვი, პ. მ. მაშეროვი, შ. რ. რაშიდოვი, დ. ა. კუნაევი, გ. ა. ალიევი, ა. ი. სნეჩკუსი, ი. ი. ბოდიული.

კვლავ ცხადდება შესვენება, რომლის შემდეგ სხდომის თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი მისალმებისათვის სიტყვას აძლევს ამხანაგებს: ა. ე. ვოსს, ტ. უსუბალიევს, ა. ე. ქოჩინიანს, მ. ხოლოვს, მ. გაპუროვს, ი. გ. კებინს.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ ახალგაზრდები — მოსწავლეები, სტუდენტები, სპორტსმენები, საბჭოთა არმიის მეომრები.

საზეიმო სხდომამ მისასალმებელი წერილი გაუგზავნა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. დ. ჯავახიშვილმა გულითადი მადლობა გადაუხადა დელეგაციათა ხელმძღვანელებს, აგრეთვე მათ, ვინც მოსა-




მოსკოვი. კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი, 1971 წლის 20 აპრილი. საზეიმო საღამო, მიძღვნილი საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავისადმი.



ბაქო. საქართველოს დღეები აზერბაიჯანში. საქართველოს სსრ დელეგაცია მასპინძლებთან ერთად აზერბაიჯანის სსრ მთავრობის სასახლის წინ.

ლოცი დეპეშები და წერილები გამოგზავნეს საიუბილეო ზეიმზე, გულთბილი მისალმებისა და კეთილი სურვილებისათვის. მან საქართველოს ყველა მშრომელის სახელით აღუთქვა პარტიასა და მთავრობას, პირადად ლ. ი. ბრეჟნევს, რომ „ურყევად ასრულებს რა ლენინის ანდერძსა და პარტიის წინასწარდასახულობებს, საბჭოთა საქართველო, მისი მშრომელი ხალხი მაღლა ატარებენ რევოლუციის დროშას და კვლავ ივლიან ახალი მწვერვალებისაკენ, მოიპოვებენ ახალ წარმატებებს მომავლის მშენებლობაში, თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული განვითარების დიდებული პროგრამის შესრულებაში".

საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. მისი მონაწილენი ფეხზე დგებიან და მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

საღამოს იმავე დარბაზის სცენაზე გაიმართა დიდი საზეიმო კონცერტი რესპუბლიკის ხელოვნების საუკეთესო ოსტატებისა და კოლექტივების მონაწილეობით.

15 მაისს თბილისში გაიმართა საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადი და მშრომელთა დემონსტრაცია, რომელიც გრანდიოზულ სანახაობად იქცა. საღამოს კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამართეს დარბაზობა სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად, რომელმაც გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

დამთავრდა საიუბილეო დღეები, საქართველოს სსრ სახელმწიფო დროშაზე კაშკაშებს სამი ორდენი — რესპუბლიკის მშრომელთა სამაგალითო გმირობის მაჩვენებელი; მშვიდობით დაბრუნდნენ ჩვენი სტუმრები შინ; ზეიმის ეს დღეები არასოდეს დაავიწყდება საქართველოს გმირულ მუშათა კლასს, გამრჯე კოლმეურნე გლეხობას, სახელოვან ინტელიგენციას, ახალგაზრდობას. სამგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს მშრომელები განაგრძობენ ბრძოლას მეცხრე ხუთწლედის ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად, სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა გამარჯვებით დასაგვირგვინებლად.

„როგორ ვიმარჯვეთ! მზიან დროშებით
შევხვდით ცხოვრების ახალ განთიადს,
როგორ ავმაღლდით! წარსულისაკენ
რა შორი გზაა, რა დაღმართია.
ბორკილაწყვეტილ შრომის გარეშე
მხოლოდ მონობა და ღალატია,
ამას უამბობს კაცობრიობას
განახლებული ქვეყნის ხარტია!".

დიახ, ვიმარჯვეთ, ავმაღლდით, როგორც პოეტი ამბობს; მატიანე საოცრებად შემოინახავს საბჭოთა ხალხის დიადი გმირობის ამბავს, მაგრამ წინ ახალი სიმაღლეებია, რომლის ასაღებად მოძმე ხალხებთან ერთად მიდიან მზიური საქართველოს მშრომელებიც.

## საბჭოთა საქართველოს მილიციის 50 წლისთავი

# სამშობლოს ფარი და მახვილი

ეთერ ჩილაჩავა

ივნისში საბჭოთა საქართველოს მილიციას 50 წლისთავის იუბილეს უხდიან.

ნახევარი საუკუნეა, რაც საქართველოს მილიცია დგას თავისი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებს, კერძოდ კი მილიციას, ყოველთვის შეჰქონდა თავისი ღირსეული წვლილი მშრომელთა რევოლუციური მონაპოვრის დაცვა-განვითარებაში. დიდია მათი ღვაწლი საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, კოლექტივიზაციისა და დიდი სამამულო ომის პერიოდში, ომის შემდგომი დროიდან დღემდე... განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია მილიციის მუშაკთა უანგარო შრომა ჩვენს ქვეყანაში გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდში.

მილიციას, რომლის ავტორიტეტი წარმოუდგენლად გაიზარდა ამ 50 წლის მანძილზე, მხარში ამოუდგა მთელი საზოგადოებრიობა და დამნაშავეობის აღკვეთა-აცილებისათვის ბრძოლა საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა.

ხალხთან ახლოს მისვლამ, მისი მოთხოვნებისადმი გულისხმიერმა დამოკიდებულებამ კიდევ უფრო აამაღლა მილიციის ავტორიტეტი. საზოგადოებამ ღრმად შეიგრძნო, რომ მის ინტერესებს უანგაროდ იცავს მილიცია, რომ მას მხოლოდ მაშინ შეუძლია გულმშვიდად მიეცეს შემოქმედებით შრომასა და დასვენებას, როცა ირგვლივ სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგი სუფევს.

მილიციისა და ფართო საზოგადოებრიობის მჭიდრო ურთიერთობას უნდა ვუმადლოდეთ იმას, რომ რესპუბლიკის 2000-ზე მეტ დასახლებულ პუნქტში ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე არა თუ დანაშაულს, წესრიგის დარღვევის უბრალო შემთხვევასაც არ ჰქონია ადგილი; მათმა კავშირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საბჭოთა კანონები განამტკიცებენ და არეგულირებენ სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ჩვენს ქვეყანაში, რომ კანონების დარღვევა ამუხრუჭებს სოციალისტურ ურთიერთობათა კომუნისტურ ურთიერთობაში გადაზრდას. ამიტომ თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა მოვალეობაა ზუსტად შეასრულოს საბჭოთა კანონების მოთხოვნები, იბრძოლოს სანიმუშო მართლწესრიგის უზრუნველყოფაში საკუთარი წვლილის შესატანად. მშრომელი ხალხის შეგნებულობის ამაღლებამ ჩვენს რესპუბლიკაში განაპირობა დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის საყოველთაო ხასიათი. „ვიცხოვროთ და ვიშრომოთ მართლწესრიგის დაურღვევლად“ —ასეთია საყოველთაო დევიზი, რომელიც სახელმძღვანელოდ გაიხადა ჩვენი მიწა-წყლის ყოველმა პატიოსანმა მკვიდრმა.

დანაშაულობათა აღმოფხვრის საქმეში მილიციის მუშაკებს სასარგებლო დახმარებას უწევენ სახალხო რაზმეულები, რომლებშიც გაერთიანებულია 80 ათასზე მეტი მოწინავე ადამიანი. ეს მთელი სიმდიდრეა. გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში წესრიგის დამცველები შეიარაღებული არიან მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევებით, რომლებსაც მოხერხებულად იყენებენ დანაშაულობათა აცილებასა და გახსნაში. ყოველივე ეს კი კოლოსალურ საშუალებებს აძლევს მილიციას დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებისათვის.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გუშაგებმა ჩვენი ქვეყნის განვითარების ყველა ეტაპზე თქვეს თავიანთი სიტყვა. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა საქართველოს მილიციამ ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო. ისინი არა მარტო ფხიზლად დგანან სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის სადარაჯოზე, არამედ აქტიურად მონაწილეობენ საბჭოთა ადამიანების აღზრდაში, მათს მორალურ ჩამოყალიბებაში. ვინ მოთვლის, მილიციის რამდენმა მუშაკმა გამოიჩინა თავდადება და მამაცობა, მოსაზრებულობა და თავგანწირვა, ოპერატიულობა და კაცთმოყვარეობა. რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა და თავგანწირვის სიმბოლოდ იქცა საქართველოს მილიციის მრავალი მუშაკის სახელი, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მიიტანეს მსხვერპლად, სიკეთისგან ბოროტების დასაძლევად. მილიციის გმირულ ეპოპეაში თავისი ასახვა ჰპოვეს გიორგი ჯაფარიძის, ვალერი ტუჟბას, ვლადიმერ შაქარაშვილის, ვლადიმერ წულუკიას, იასონ პაპკიაურისა და სხვა უდროოდ დაღუპულთა სახელებმა. მადლიერი ხალხი დიდ პატივსა სცემს გმირულად დაღუპულთა სახელებს, მოწიწებით ინახავს მათ ხსოვნას.

ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში შეხვდებით გმირ მილიციელთა სახელობის ქუჩებსა და მოედნებს, მათი გმირობის აღსანიშნავ ობელისკებს. მათ საფლავებთან ფიცსა სდებენ პიონერები.

დაე ბოროტმოქმედებთან უთანასწორო ბრძოლაში უდროოდ დაღუპულ გმირთა შესახებ მცირედი რამ მაინც იცოდნენ ჩვენმა მკითხველებმაც.

### ვალერი ტუჟბა

ახალბედა იყო, მაგრამ მოასწრო თავისი კოლეგებისა და ნაცნობ-მე-



საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირის პრეზიდიუმი.



თათბირის სხდომათა დარბაზში.



შესანიშნავი ოჯახი აქვს სწავლისა და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულ ოცმეთაურ, მილიციის ლეიტენანტ ზურაბ დოლიძეს, რომელიც თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტია. მისი მეუღლე — მერი პეტაგოგია და სამი შვილის დედა.

გობრების გულწრფელი სიყვარულის მოპოვება. ჩეკისტური ხელოვნების სრულყოფილად დაუფლება იყო მისი ოცნება, გარეწარის ტყვიამ კი პირისპირ შებმისას უდროოდ შესწყვიტა ვ. ტუჟბას გულისძგერა.

გმირულად დაცემული ვაჟკაცის სახელის უკვდავსაყოფად ოჩამჩირის მეხუთე საშუალო სკოლის პიონერული ორგანიზაცია ტუჟბას სახელს ატარებს.

## გიორგი ჯაფარიძე

14 წლის წინათ დაეცა გმირული სიკვდილით თიანეთისაკენ მიმავალი გზის პირას მძარცველებთან შეტაკებისას. ახლა იქ ობელისკია აღმართული. მადლიერი ხალხი ობელისკთან შეჩერდება და წამიერი დუმილით სცემს პატივს გმირის ხსოვნას. ყოველი წლის 10 ნოემბერს კი გ. ჯაფარიძის საფლავთან გაისმის ახალგაზრდა მილიციელთა ფიცის ხმა და სჭექს სალუტი. გმირის სიცოცხლე გრძელდება უკვდავებაში.

## ვლადიმერ შაქარაშვილი

ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში უბნის ინსპექტორი ვლადიმერ შაქარაშვილი გვიანობამდის შერჩენოდა სამუშაოს. მოულოდნელად კარები გაიღო, ოთახში შეიარაღებული ბანდიტი შემოიჭრა და ორი გასროლით სასიკვდილოდ დასჭრა შაქარაშვილი. ტყვიით მკერდშენგრეული ვ. შაქარაშვილი მაინც წამოხტა, ძალა მოიკრიბა, გარეწარს დაედევნა, ეზოში დაეწია და მიზანში ამოიღო. ბანდიტი უსულოდ დაეცა... ვ. შაქარაშვილმა მხოლოდ ამის შემდეგ ჩაიმუხლა, თითქოს დასაძინებლად მიესვენაო და მშვიდად წავიდა ჩვენგან.

## ვლადიმერ წულუკია

ქალაქ სოხუმის ერთ-ერთი ქუჩა 27 წლის მილიციის სერჟანტ ვალოდია წულუკიას სახელს ატარებს.

სიცოცხლე სწყუროდა, არ დააცალეს. წესრიგის დაცვის სადარაჯოზე წამოაჩოქა გულში მოხვედრილმა ტყვიამ, მაგრამ მტრის ჯავრი თან არ გაჰყოლია. მის მიერ დაჭრილი ბანდიტი სროლის ხმაზე მოსულმა მილიციის მუშაკებმა შეიპყრეს.

— საბრძოლო დავალება შესრულებულია! — შვებით ამოისუნთქა ვალოდიამ და თვალები სამუდამოდ დახუჭა.

## იასონ პაპკიაური

უპრეტენზიო მუშაკი იყო მილიციელი იასონ პაპკიაური. უსიტყვოდ და უნაკლოდ იცოდა დავალების შესრულება. თურმე გმირული სული იმალებოდა მის კაფანდარა სხეულში. აკი დამნაშავის მიერ სასიკვდილოდ ნასროლ ტყვიას მეგობრის გადასარჩენად ვაჟკაცურად შეუშვირა კიდეც მკერდი.

მამაცი მილიციელი იასონ ალექსის ძე პაპკიაური სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა მედლით ,,საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის‘‘.

ახალგაზრდა მილიციელები ფიცს დებენ პაპკიაურის საფლავთან, რათა მასავით თავდადებით ემსახურონ სამშობლოს.

* * *

სამშობლოსადმი ერთგულების გმირული ტრადიციები ოდითგანვე მოსდგამს ჩვენს ხალხს.

პროფესიული საქმისადმი სიყვარულისა და თავდადების, ხალხის კეთილდღეობისათვის საკუთარი სიცოცხლის რისკის გრძნობა საბჭოთა მილიციის შექმნის პირველი დღეებიდანვე ყალიბდებოდა და სრულყოფილ სახეს იღებდა. უფროსი თაობის სისხლით გაპოხიერებულ მიწაზე მოდიოდა უშიშარი, ახალი ცვლა, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ თვალისჩინივით უნდა გაფრთხილებოდა ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარს. ეს თაობა იწრთობოდა ჩვენი ქვეყნის კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში, საქმით ამტკიცებდა თავის ერ-



სტუმრად თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი ამხ. ნ. შჩოლოკოვი და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე თბილისის სამხატვრო აკადემიაში.





სამამულო ომის ვეტერანი, მილიციის მაიორი გიორგი ჯარმელიშვილი ხალისით უზიარებს თავის გამოცდილებას მილიციის ახალბედა მუშაკებს ტ. ბართიას (მარცხნივ), გ. ჩივიაშვილსა და მ. ყარაშვილს.

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ობიექტებისა და დაწესებულებათა დაცვის საუწყებო მილიციის პოლკის მეთაური, სამამულო ომის ვეტერანი, კაპიტანი ყაზბეგ ზირაქაშვილი.



თგულებას, წარმატებით ართმევდა თავს პარტიისა და ხალხის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და მთავრობამ მაღალი მოთხოვნები წაუყენა მილიციას. დღეს მილიციის მუშაკი გონებრივად განვითარებული, ფიზიკურად ძლიერი და სულიერად გამოწრთობილი უნდა იყოს. უკვე დადგა დრო, როცა მილიციელისაგან მოითხოვენ, რომ იგი იყოს პარტიის საქმისათვის ურყევი, აქტიური მებრძოლი, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ერთგული, შეგნებული ჰქონდეს მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობა, ესმოდეს გადასაწყვეტი ამოცანების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა. ჩვენს ქვეყანას სჭირდება ისეთი მილიციელი, რომელიც თავის მუშაობას შეხედავს, როგორც უშუალო წვლილს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში. დღეს საბჭოთა მილიციელი ძირითადად მაღალკულტურული, განათლებული, ინტელექტუალური ადამიანია, რომელსაც შესწევს უნარი იყოს სამართლიანი, ჰუმანური, მომთმენი. მას არასდროს ავიწყდება, რომ მისი მოქმედება გასაგები უნდა იყოს ხალხისათვის; ის უნდა გაუფრთხილდეს თავის მაღალ ღირსებას და ყველაფერს აკეთებდეს იმისათვის, რომ გაზარდოს შინაგან საქმეთა ორგანო-

ების, საბჭოთა მილიციის ორგანოების ავტორიტეტი. მას უნდა უყვარდეს ხალხი და აღსავსე იყოს მათდამი დახმარების, მათი სიცოცხლის, პატიოსნებისა და ღირსების დაცვის მისწრაფებებით. ასეთ ადამიანთა მთელი პლეადაა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში და კერძოდ, მილიციის რიგებში.

რამდენი სახელგანთქმული ჩეკისტი გვყავს სხვადასხვა სამსახურის ხაზით. ჩვენ გვყავანან კვალიფიციური დეტექტივი პროფესიონალები, რომლებსაც შესწევთ უნარი გახსნან ნებისმიერი დანაშაული, რარიგ რთულიც არ უნდა იყოს იგი. ვამაყობთ ჩვენი გამომძიებლებით, რომელთა უმრავლესობა რთულ საქმეთა გამოიძების ხელოვნებას სრულყოფილად არის დაუფლებული. გამომძიებლები აგვირგვინებენ მილიციის მუშაკთა მიერ წამოწყებულ მუშაობას. დამნაშავეობასთან ბრძოლაში მათს წვლილზე ხომ ბევრი რამაა დამოკიდებული. მათ მთელს ქვედანაყოფებში შეაქვთ სამართლებრივი კულტურა, დიდი წვლილი მიუძღვით დანაშაულის პროფილაქტიკაში.

სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი მუშაკები სოციალისტური საკუთრების ერთგული გუშაგები არიან. ამ ხაზით მომუშავენი კარგად ფლობენ კონკრეტულ ეკონომიკას, საქონელმცოდნეობას, ბუღალტერიას და შეუძლიათ ყველაზე დახლართული კვანძის გამოხსნა.

ჩვენი რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოებში პირველი რიგის ამოცანაა თითოეული თანამშრომლის ამაღლება მილიციის მუშაკებისადმი წაყენებული მოთხოვნების დონემდე, პროფესიული დაოსტატებისათვის ყოველდღიური ზრუნვა, ვინაიდან მხოლოდ ყოველმხრივ მოწესრიგებულ ადამიანს შეუძლია პატიოსნად იდგეს ქვეყნისა და ხალხის ინტერესების სადარაჯოზე. ეს ამოცანა სწორად აქვთ გაგებული და თავიანთი ოპერატიულ-სამსახურებრივი საქმიანობით გამოირჩევიან შს თბილისის გარნიზონის პირადი შემადგენლობა, რუსთავის, ზესტაფონის, გურჯაანის, ყვარლის, სამტრედიის რკინიგზის სახაზო, დუშეთის, მცხეთის, ბორჯომის, ახალციხის, სიღნაღისა და სხვა შს საქალაქო და რაიგანყოფილებები.

საბჭოთა საქართველოს მილიცია ამაყობს ისეთი შესანიშნავი ჩეკისტებით, როგორიც არიან გიორგი კარანაძე, გრიგოლ ქაჯაია, კაპიტონ ნაჭყებია, გიორგი შელია, კონსტანტინე (მიშა) მეღვინეთუხუცესი (ამჟამად თეატრალური ინსტიტუტის მუსიკის ისტორიისა და თეორიის პროფესორი), გიორგი ჭელიძე, ვლადიმერ სიხარულიძე, მიხეილ წერეთელი, ავქსენტი ურუშაძე, გრიგოლ თოფურია, ვალერიან თალაკვაძე და ბევრი სხვა. გამჭრიახობითა და ოპერატიული ნიჭიერებით, მოსაზრებულობითა და უნარიანობით, მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების ჩეკისტი პოლკოვნიკი კონსტანტინე (მიშა) გაბუნია დღესაც აღაფრთოვანებს თავის კოლეგებსა და ახალგაზრდა მუშაკებს.

იგი ყოველთვის აოცებდა თავის თანამოსაქმეთ მუშაობაში შეუპოვრობით. ასე იყო მაშინაც, როცა ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაქვის მცხოვრებ ახმედ დევიძის მკვლელობის ბურუსით მოცული საქმე გადასცეს მას ნათელის მოსაფენად. საქმე მართლაც სერიოზული იყო. შეძლებული ოჯახის უფროსი — ქვრივი ახმედი სახლიდან გავიდა და შინ არ დაბრუნებულა. ოჯახის წევრები დაჟინებით მოითხოვდნენ მის მონახვას. ნერვიულობდა შუათანა შვილი ავთანდილი, საჩივარს საჩივარზე გზავნიდა — მომინახეთო მამა.

— რა უნდა მოსვლოდა ჭარმაგ, ჯანსაღ, ახოვან მოხუცს. ვის რა უნდა დაეკლო მისთვის კარს გარეთ? პირისპირ ვერავინ ვერაფერს დააკლებდა, არ ჰკადრებდა გარეშე პირი რამეს, მაშ,... იქნებ? — და... ეჭვი აღეძრა მიშას საშინელ ბოროტმოქმედებაზე. გორგალივით დაიხვია ხელზე ეს ეჭვი, მისდია და ახმედის 24 წლის შუათანა ვაჟს ავთანდილს, იმას, საჩივრებით რომ აბეზრებდა თავს ყველა ინსტანციას, სწორედ იმას დასდო ბრალი მამის მკვლელობაში და იცით, ამას რამდენი უძილო ღამე და დამქანცველი შრომა დასჭირდა? პოლკოვნიკმა გაბუნიამ ნათლად დაასურათა მოხუცის მკვლელობა — როგორ წაუჭირა შვილმა ყელში ხელები ქობულეთიდან უხმაურად დაბრუნებულ მძინარე მამას, როგორ გაუკავა ახმედს ფეხები ავთანდილის დეიდაშვილმა, როგორ გულმშვიდად უცქერდნენ ამ ვერაგობას მოხუცის ცოლისდა და ახმეტის 16 წლის ქალიშვილი, რომლებსაც ტომარა გაემზადებინათ გვამის ჩასადებად, როგორ იპოვა პოლკოვნიკმა იატაკქვეშ, მიწაში ღრმად ჩაფლული გვამი იმ მეჩეთში, რომელსაც სიცოცხლეში თვით ახმედი უვლიდა და იცავდა. ბოროტმოქმედებს სათანადოდ მიეზღოთ. პოლკოვნიკ გაბუნიას პროფესიული ოსტატობა და ჩეკისტის უტყუარი ალღო რომ არა, ვინ იცის, მამის მკვლელი შვილი და მისი თანამზრახველები როდემდე იპარპაშებდნენ თავისუფლად.




საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის ქართული ხალხური ცეკვების ახალგაზრდული ანსამბლის საკონცერტო აფიშა.

ქართველ ჩეკისტთა მდიდარ ბიოგრაფიაში მრავალი ასეთი ნათელი ფურცელია ჩაწერილი. ყოველი მათგანი ცალკე მსჯელობის საგანია. ამ გმირულ საქმეთა პოპულარიზაცია სწორედ რომ ეროვნული ღირსების საქმეა, რადგან მათ თავიანთი მოკრძალებული წვლილით წინ წასწიეს რესპუბლიკაში დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმე, ხელი შეუწყეს ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებათა მოპოვებას. და ამას იმით მიაღწიეს, რომ დიდი თვისობრივი ცვლილებები მოხდა მილიციის კადრების შემადგენლობაში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში მომხდარმა უდიდესმა სოციალურ-პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ძვრებმა თავისთავად წამოაყენეს მილიციის ორგანოების მაღალკვალიფიციური კადრებით შევსების მოთხოვნები, რომელთა საპასუხოდ ამაყად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მილიციის პირადი შემადგენლობის 96 პროცენტს აქვს საშუალო განათლება, ხელმძღვანელ მუშაკთა 99 პროცენტს დამთავრებული აქვს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები. დღეს მილიციის რიგებში ნაყოფიერად შრომობენ ინჟინრები, ქიმიკოსები, ფიზიკოსები, იურისტები,



ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი
სპორტის სასახლეში.

ნორჩ მოცეკვავეთა ანსამბლი. ხელმძღვანელი ზურაბ კობეშავიძე.





ქორეოგრაფთა ოჯახი. მარცხნიდან — ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი, მილიციის მაიორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მიხეილ კობეშავიძე, მისი ვაჟიშვილი — უმცროსი მეცნიერმუშაკი, ქორეოგრაფი შუმი, ანსამბლის ყოფილი წამყვანი სოლისტი და ქალთა ჯგუფის ხელმძღვანელი, მიხეილის მეუღლე შურა, უმცროსი ვაჟიშვილი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტი და ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი ზურაბი და მისი უფროსი ძმა — ქ. თბილისის წყალსადენის დაცვის პოლკის მეთაურის მოადგილე პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში, იურისტი და ახალგაზრდული ანსამბლის ქორეოგრაფი ჰამლეტ კობეშავიძე საკონცერტო პროგრამის შედგენისას.



ქორეოგრაფი ზურაბ კობეშავიძე ჩოჩჩ მოცეკვავეთა ანსამბლის რეპეტიციაზე.



თბილისის შს სამმართველოს წყალსადენის დაცვის მილიციის პოლკის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი. მარცხნიდან — ვ. ტატურაშვილი, გ. ნაკაშიძე ბ. სიმონიშვილი, ი. მიმინოშვილი, ე. წივილაშვილი და ი. კუბლაშვილი (ხელმძღვანელი).



აგიტბრიგადის წევრები ალექსი გოდერძიშვილი (მარცხნივ) და ვლადიმერ ქოჩორაშვილი.



საქართველოს სსრ შს სამინისტროს ოპერატიული შტაბის ინსტრუქტორი მერაბ მერაბიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგები, კრიმინალისტები, ეკონომისტები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, მწერლები, ჟურნალისტები, ხელოვნების მუშაკები და სხვ. ერთია მათი მიზანი — მთელი თავიანთი ძალები, ცოდნა და გამოცდილება მოახმარონ ქვეყნის მართლწესრიგის განმტკიცებას.

დღეს მილიციის მუშაკი როდია ჩაკეტილი თავის ვიწრო პროფესიულ სპეციალობაში. მილიციის რიგებში ნახავთ მეცნიერებათა კანდიდატებს, მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის ავტორებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს, ჩემპიონებს, ფესტივალის ლაურეატებს.

საბჭოთა საქართველოს მილიციას აქვს არა მარტო პროფესიული კადრების სამჭედლო, არამედ ორგანოს მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა ესთეტიკური აღზრდის კერა, რომლის საქმიანობაც ფართოდაა ცნობილი რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც. ესთეტიკური აღზრდის ცენტრია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვ. ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლი, რომელიც სანიმუშოდაა მოწყობილი და ისეთი მაღალკვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული, როგორიც არიან პედაგოგები ო. ზეიცი, ნ. ჯუღელი, ს. გრიგორიანი, ნ. იაშვილი, ვ. ბერიაშვილი, დ. მირსკაია და სხვ. მრავალფეროვანია მათი მოღვაწეობის სფერო. კულტურის სახლთან არსებული მუსიკალური სკოლის, ქართული ხალხური ცეკვების ახალგაზრდული ანსამბლის, ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „თბილისის ცისკარის“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლის, ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული, ნორჩ გიტარისტთა და აკორდეონისტთა ანსამბლების წარმომადგენლებს თავიანთი მიღწევებით მრავალჯერ გაუხარებიათ მსმენელები. კულტურის სახლის მხატვრული ხელმძღვანელია რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მილიციის მაიორი მიხეილ კობეშავიძე.

საინტერესო ბიოგრაფია აქვს ამ ქორეოგრაფს. მილიციის მაიორმა მ. კობეშავიძემ და მისმა მეუღლემ, ორგანოს ყოფილმა მუშაკმა შურამ, რომელიც 15 წლის მანძილზე მოცეკვავეთა ანსამბლის წამყვანი სოლისტი იყო და დღესაც ხელმძღვანელობს ანსამბლის ქალთა ჯგუფს, სამი ნიჭიერი მოცეკვავე და ქორეოგრაფი მისცა თავისი ოჯახიდან შინაგან საქმეთა ორგანოებს.

იურისტი ჰამლეტი, უმცროსი მეცნიერი მუშაკი შუმი, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ზურაბი (რომელიც ამავე დროს ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელია) შინაგან საქმეთა სამინისტროს ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლის ქართული ხალხური ცეკვების ახალგაზრდული ანსამბლის სული და გული არიან. ეს ანსამბლი 35 წლისაა და ბევრი სასარგებლო ღონისძიება აქვს ჩატარებული ხალხში მილიციის ავტორიტეტის ამაღლებისათვის, მილიციის მუშაკთა და მათი ოჯახის წევრთა ტალანტის გამოვლენისათვის, ფართო საზოგადოებრიობაში მათი პოპულარიზაციისათვის.

მიხეილის უფროსი ვაჟი ჰამლეტი თბილისის წყალსადენის დაცვის პოლკის მეთაურის მოადგილეა პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის დარგში და ახალგაზრდა ჩეკისტი უნარიანად ართმევს თავს მინდობილ სამუშაოს — პირველობას არავის უთმობს, თუმცა მისი ჰობი მაინც ხელოვნებაა, რომლისადმი სიყვარულს მის გულში განელება არ უწერია. ჰამლეტმა თავისი ქვეყნის ხელოვნება აჩვენა გერმანიაში, პოლონეთში, კუბაში, ფინეთში, იაპონიაში, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა დიდ ქალაქში. ის გერმანიის მუშათა მე-6 ფესტივალის ლაურეატია, დაჯილდოებულია ვიმპელითა და მედლით „ხელოვნებასა და შრომაში წარმატებებისათვის“, არის აგრეთვე თვითმოქმედი ხელოვნების საკავშირო დათვალიერების ორგზის ლაურეატი.

ქართველ ჩეკისტ ქორეოგრაფთა ოჯახის ისტორია ერთი მცირე მონაკვეთია იმ დიდი შემოქმედებითი კოლექტივიდან, რომელიც თავისი პროფესიული ოსტატობით, სულიერი სიფაქიზით, მორალური სიწმინდით, ცოდნითა და ზოგადი განათლებით თანამედროვე მოთხოვნათა სიმაღლეზე დგას. საქართველოს ჩეკისტთა შრომითი საქმიანობისა და შემოქმედებითი ცხოვრების დიდი ლაბორატორია ერთნაირად იტევს საგმირო საქმეებისათვის თავდადების, კანონიერების დაცვის სადარაჯოზე უმწიკვლო სამსახურისა და მრავალმხრივი ესთეტიკური წრთობის უმშვენიერეს და უბადლო ნიმუშებს.

ფრიად საინტერესოა, რომ საქართველოს ჩეკისტები არა მარტო თვითონ არიან ლიტერატურასა და ხელოვნებაში ასახვის ღირსნი, ბევრი მათგანი თვით განიცდის შემოქმედებით წვას, თავისი პოეტური სიტყვითა და კალმით დგას ადამიანის კომუნისტურად აღზრდის მოწინავე ფლანგზე, თავისი აზრები გადააქვს ქაღალდზე, სანოტო ხაზებზე, ამეტყველებს ქვას და ლითონს.

განა ბევრის მთქმელი არ არის ის ფაქტი, რომ გამოსვლისთანავე იშვიათობად იქცა ა. იასაღაშვილის სქელტანიანი დეტექტური ნაწარმოები „მგლის ბილიკი“. მკითხველი საზოგადოება მოუთმენლად მოელის მისი რომანის „შავი ვარდის“ ცალკე წიგნად გამოსვლას, რომელიც იბეჭდებოდა ჩვენი რესპუბლიკის პერიოდულ პრესაში. მილიციის თემაზე დაწერილი მხატვრული ნარკვევების კრებულებით ყურადღება მიიქციეს კ. მელაშვილმა, გრ. გვაძაბიამ. იშვიათობად იქცა ნიკო მანჯგალაძის „მომინახეთ მამა“. მკითხველთა აღიარება ჰპოვეს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოსთან არსებული ლიტერატურული გაერთიანების სხვა წევრების — მარგო მერაბიშვილის, დორა კატუკიას, ოლია ზანგურის, იამზე ჭელიძისა და სხვათა ნამუშევრებმაც, რომლებიც ცალკე ალმანახად გამოდის. ლიტერატურულ გაერთიანებას ხელმძღვანელობს მწერალი სიმონ წვერავა, რომელიც ყოველმხრივ უწყობს ხელს მკითხველთა საზოგადოებისათვის მილიციის მუშაკთა პოეტური სამყაროს გადაშლას, მათ ნაწარმოებთა დახვეწას. ლიტერატურული გაერთიანების წევრებს დიდ სამსახურს უწევს ქალაქის შს სამმართველოსთან არსებული მდიდარი ბიბლიოთეკა (გამგე დოდო თავზარაშვილი), სადაც ყველა პირობაა შექმნილი მკითხველთა ფართო საზოგადოების მოზიდვის, იშვიათი ლიტერატურული ძეგლებით სარგებლობისა და შემოქმედებითი ძიებისათვის.

მილიციელი — სოციალისტური კანონიერებისა და მკაცრი წესრიგის დაცვის გუშაგი, მილიციელი — ისტორიკოსი, ფიზიკოსი, ქიმიკოსი, პედაგოგი, იურისტი, კრიმინალისტი, ჟურნალისტი, პოეტი, მწერალი და მუსიკოსი, სპორტის ოსტატი, ფერმწერი და მოქანდაკე, მომღერალი და მსახიობი, ფესტივალების ლაურეატი და ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე — აი, რაოდენ მრავალფეროვანია დღევანდელი საბჭოთა მილიციელის სახე, მისი ცხოვრება და შემოქმედება. ამ ბედნიერ ცხოვრებას საკუთარი ხელებით აშენებდა საბჭოთა საქართველოს მილიცია, თავისი არსებობის 50 წლის მანძილზე თემიდას მახვილით იცავდა სოციალისტურ კანონიერებას.

50 წელი ვაჟკაცობის ხანაა მისთვის.

# თბილისის უნივერსიტეტის კომპლექსი

ნოდარ მგალობლიშვილი

საქართველო ოდითგანვე იყო ცნობილი განათლების მნიშვნელოვანი კერებით (როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ), მაგრამ მტრების გამუდმებულმა შემოსევამ და დაუსრულებელმა რბევამ გაანადგურა ისინი. მოხდა ისე, რომ ამ სწავლა-განათლებით ცნობილ ქვეყანაში 1800 წლისათვის ქართული სკოლა საერთოდ აღარ იყო. მხოლოდ 1879 წლის 6 თებერვალს მოხერხდა პირველი ოთხკლასიანი ქართული სასწავლებლის დაარსება, რომელიც 1885 წელს — პროგიმნაზიად, ხოლო 1906 წელს გიმნაზიად გადაკეთდა.

1900-1906 წლებში გიმნაზიისთვის აშენდა ახალი კორპუსი, რომელშიც 1918 წელს ქართველმა ხალხმა ქართული უნივერსიტეტის დაბადება იზეიმა. ამ მართლაც ისტორიული შენობის ავტორი გახლდათ ქართველი ხუროთმოძღვარი სიმონ კლდიაშვილი. მშენებლობას ხელმძღვანელობდა საგანგებოდ არჩეული კომისია, რომელშიც, გარდა ხუროთმოძღვრისა, შედიოდნენ ნიკო ცხვედაძე (თავმჯდომარე), ექვთიმე თაყაიშვილი და კოტე ყავრიშვილი.

ამ სამიოდე წლის წინათ სერგი ჯორბენაძემ პირველად გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის მეტად საინტერესო წერილი (გაგზავნილი თბილისის ქალაქის აღმასკომისადმი 1926 წლის 22 თებერვალს)[1]. არ შეიძლება გულგრილად ავუაროთ გვერდი ამ საკვირველ დოკუმენტს, რომელშიც თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, ბრწყინვალე მეცნიერმა და მოაზროვნემ განსაცვიფრებელი შორსმჭვრეტელობით განსაზღვრა ქართული უნივერსიტეტის ზრდის გარდუვალობა და, რაც მთავარია, პროფესიული სიზუსტით დაადგინა ის აუცილებელი ფართი, რომელიც მომავალში დასჭირდებოდა უნივერსიტეტის კომპლექსს. ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით შემუშავდა ვაკის მთელს რაიონში (ვარაზის ხევიდან ბაგებამდე) საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის შესანიშნავი იდეა, რომელიც ითვალისწინებდა ვაკის რაიონის გადაქცევას სამეცნიერო და აკადემიური კვლევის ცენტრად.

სამწუხაროდ, ქალაქის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ სათანადოდ ვერ შეაფასა და უგულებელყო დიდი მეცნიერის წინადადებანი. მხოლოდ 1934 წელს, უკვე შექმნილ სივიწროვეში, დაიწყო ფიზიკა-ქიმიური კორპუსის მშენებლობა არქიტექტორ მ. შავიშვილის პროექტით. შემდგომ წლებში უნივერსიტეტი ილია ჭავჭავაძის პროსპექტის სხვადასხვა ადგილზე კანტიკუნტად ღებულობდა შენობას ან მის ნაწილს.

დადგა დრო, როდესაც ყველასთვის ცხადი გახდა ის, რასაც თავიდან მხოლოდ რჩეულნი ხედავდნენ. უნივერსიტეტს დასჭირდა შენობათა კომპლექსი, დაგეგმარებული და აღჭურვილი თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გათვალისწინებით. დაიწყო უნივერსიტეტის კომპლექსის მშენებლობის ისტორიის მეორე ეტაპი. 1962 წელს გამოცხადდა კონკურსი უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის პროექტის შესადგენად. ამ კონსურსზე წარმოდგენილი იყო ხუთი პროექტი. მათ ავტორებს სათანადო ადგილი უნდა შეერჩიათ უნივერსიტეტისათვის, მოეცათ განაშენების საერთო იდეა და უნივერსიტეტის მხატვრული სახე, გადაეწყვიტათ ზონირება; მოცემულობა გართულებული იყო იმით, რომ საერთო კომპოზიციაში ავტორებს უნდა ჩაერთოთ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მაღლივი შენობა, რომლის პროექტი დამუშავდა ვაკის რაიონში ასაშენებლად.

კონკურსში საქართველოს არქიტექტორთა დიდმა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა. აქ იყვნენ: მ. შავიშვილი, ა. საბაშვილი, ს. რევიშვილი, შ. კაჭკაჭიშვილი, შ. ჩაჩანიძე, ზ. კოპალაძე, გ. ჯაფარიძე, ი. ზაალიშვილი, კ. ჯავახიშვილი, ბ. მამინაიშვილი, ნ. მიქაძე და სხვები.

ამ კონკურსმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შემდგომ პროექტირებაში. უპირველეს ყოვლისა, დადგინდა, რომ უნივერსიტეტის კომპლექსი განაშენიანდეს ბაგებ საბურთალოს რაიონში, მდინარე ვერის ორივე ნაპირზე. ქალაქის მმართველობამ გამოჰყო უნივერსიტეტის ტერიტორია, ზუსტად დასახა საზღვრები.

კონკურსის შემდეგ საგანგებო კომისიამ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მაღლივი შენობის პროექტის მისაბმელად შეარჩია ადგილი[2]. შენობა ისე აშენდა, რომ უნივერსიტეტის კომპლექსის გენერალური გეგმა ჯერ არ იყო დამტკიცებული. შემდეგ ამ თავისთავად საინტერესო ნაგებობის არსებობამ წარმოუდგენლად გაართულა უნივერსიტეტის კომპლექსის დაპროექტების ისედაც რთული ამოცანა.

გამოცხადდა მეორე კონკურსი. ამჯერად საამშენებლო

1 იხ. სერგი ჯორბენაძე, საუნივერსიტეტო კომპლექსის შექმნის აღრინდელი ცდა, „საბჭოთა ხელოვნება“ № 9, 1968 წ., საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, თბ., ფონდი 471, საქმე 314, ფურც. 216.

2 მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მაღლივი შენობის პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები: მ. შავიშვილი, შ. კაჭკაჭიშვილი, ს. ბექანოვი, მ. შუბლაძე, კონსტრუქტორი ვ. ლომიძე.

ნაკვეთი უკვე დაზუსტებული იყო, გარდა ამისა, კონკურსისტებს ანგარიში უნდა გაეწიათ უკვე აშენებული კორპუსისთვის. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიეს მოსკოვის სპეციალიზირებული საპროექტო ორგანიზაციაც, რომელიც უმაღლესი სასწავლებლების დაპროექტების დარგში მუშაობს. ამ ორგანიზაციამ გამოგზავნა ორი ვარიანტი. გარდა ამისა, კონკურსზე წარმოდგენილი იყო თბილისის სამი მთავარი საპროექტო ინსტიტუტის მიერ შესრულებული კიდევ სამი პროექტი.

„თბილქალაქპროექტის“ მიერ წარმოდგენილი პროექტის ავტორები იყვნენ არქიტექტორები: რ. ბაირამაშვილი, ლ. მეძმარიაშვილი და ნ. შოშიტაიშვილი.

პროექტში მთელი კომპლექსი გადაწყვეტილია ერთიან ნაგებობად. უზარმაზარი შენობის გახსნილი პირველი სართული რელიეფზე მოხერხებულად მოთავსების საშუალებას იძლეოდა. ნაგებობას აშკარად გამოვლენილი მთავარი ფასადი-შესასვლელი ჰქონდა. მთავარი, დიდი კორპუსი (გეგმაში კვადრატული შენობა), რომელშიც განლაგებული იყო რექტორატი და ჰუმანიტარული ფაკულტეტები, მთელი კომპოზიციის დომინანტად იქცა. ორიგინალურად იყო გადაწყვეტილი სპორტული ზონა: მდინარე ვერის შუატანი უნივერსიტეტის ნაკვეთის ფარგლებში სპეციალურ მილებში მოთავსდა. მიწაყრილის საშუალებით იქმნებოდა დიდი სტადიონის ტრიბუნები. თვით სტადიონი კი სასწავლო და საცხოვრებელ ზონებს შორის თავსდებოდა. მთელი სასწავლო ზონა განლაგებული იყო პლატოზე. არსებული მცირე სიმაღლის ქედი აუთვისებელი რჩებოდა და უნივერსიტეტის კომპლექსს ქალაქის საცხოვრებელი მასივისაგან გამოყოფდა.

თბილისის ზონალურმა სამეცნიერო-კვლევითმა და საპროექტო ტიპობრივი და ექსპერიმენტული პროექტირების ინსტიტუტმა წარმოადგინა პროექტი (ავტორები თ. ბოჭორიშვილი, ბ. მამინაიშვილი, ნ. მგალობლიშვილი და ნ. მიქაძე), რომელშიც ავტორები შეეცადნენ უნივერსიტეტის მთლიანი სახის შექმნას. ყველა ფაკულტეტს პირველი სართულებით გაერთიანებული თავისი იზოლირებული მოცულობა ჰქონდა, ფაკულტეტები არსებულ მაღლივ შენობასთან ერთ რიგში იყვნენ განლაგებული, მხოლოდ ჰუმანიტარული ფაკულტეტები მოთავსდნენ წყალსაცავის სიახლოვეს. მაღლივი შენობის გვერდზე განლაგდა ბიბლიოთეკა და მის წინ გაიშალა ცენტრალური მოედანი-ფორუმი, რომელზეც გამოდიოდა სპორტდარბაზებთან გაერთიანებული რექტორატი, სააქტო დარბაზი და კაფე-სასადილო. სამი სპორტდარბაზის მცირე ტრანსფორმაცია ერთი დიდი სადემონსტრაციო დარბაზის მიღების საშუალებას იძლეოდა. სპორტული ზონა გამოსასვლელთან, მწვანე მასივში განლაგდა. მაღლობის კალთაზე შეფენილი სასწავლო ფაკულტეტები ტერასებად დაპროექტდა. ფაკულტეტების შენობებს ჰქონდათ წყლის სარკისკენ გახსნილი შიდა ეზოები.

საპროექტო ინსტიტუტის „საქქალაქმშენპროექტის“ მიერ წარმოდგენილი ნამუშევრის ავტორები იყვნენ: ა. საბაშვილი, შ. კაჭკაჭიშვილი, ვ. კედია, ს. რევიშვილი. სასწავლო ფაკულტეტები ამ პროექტში გადაწყვეტილი იყო, როგორც ცალ-ცალკე შენობები. ჰუმანიტარული ფაკულტეტები და რექტორატი გაერთიანდნენ მთავარ კორპუსში; ეს კორპუსი ბიბლიოთეკასთან ერთად გამოდიოდა მძლავრად განვითარებულ მოედან-ფორუმზე, რომელიც წინასაუნივერსიტეტო მიმღები მოედნის როლსაც ასრულებდა.

მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტმა „გიპროვუზმა“ წარმოადგინა ორი ვარიანტი. ავტორთა ჯგუფში შედიოდნენ: ვ. ბონდარენკო, ე. ჟუკოვა, პ. კუზნეცოვი, ი. კლეჩკო, ე. ტარანოვა. პირველ ვარიანტში სასწავლო კორპუსები მაღლივ შენობებად დაპროექტდა. მეორე ვარიანტში კი ძალზე საინტერესოდ იყო გადაწყვეტილი ცენტრალური მოედანი-ფორუმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პროექტში საცხოვრებელი ზონა მდინარე ვერის მარჯვენა ნაპირზე იყო განლაგებული.

წარმოდგენილი პროექტებიდან ჟიურიმ ამოირჩია ორი: „საქქალაქმშენპროექტისა“ და „გიპროვუზის“ მეორე ვარიანტი. ამ ორი პროექტისა და, აგრეთვე, მთელი რიგი რეკომენდაციების საფუძველზე ავტორთა ჯგუფს დაევალა ახალი პროექტის შედგენა. ახალი პროექტის ავტორები იყვნენ: ა. საბაშვილი, შ. კაჭკაჭიშვილი, ს. რევიშვილი, დ. ჩოფიკაშვილი და ზ. კოპალაძე.

ახალ პროექტში ბევრი რამ მაღალ პროფესიულ დონეზე იყო გადაწყვეტილი. ავტორებმა სწორად მონახეს საცხოვრებელი და სასპორტო ზონების ადგილი, შეეცადნენ ერთი ღერძით გადაეწყვიტათ მთელი კომპლექსი.

მაგრამ ამ პროექტმა ვერ დააკმაყოფილა საქართველოს არქიტექტორთა საზოგადოება. პროექტის განხილვისას მრავალი აზრი და შენიშვნა გამოითქვა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით 1969 წლის ნოემბერში შეიქმნა არქიტექტორთა დიდი ჯგუფი, რომელსაც დაევალა უნივერსიტეტის კომპლექსის სრულიად ახალი პროექტის შედგენა. ამ გაერთიანებულ ჯგუფში შევიდნენ სხვადასხვა საპროექტო ინსტიტუტების წარმომადგენლები — არქიტექტორები შ. კაჭკაჭიშვილი, ზ. კოპალაძე, ბ. მამინაიშვილი, ნ. მგალობლიშვილი, ლ. მეძმარიაშვილი, ნ. მიქაძე, ს. რევიშვილი, ა. საბაშვილი და დ. ჩოფიკაშვილი, კონსტრუქტორი მ. ცენტერაძე.

პროექტის დამუშავების დროს მხედველობაში იქნა მიღებული ყველა ის შენიშვნა, რომლებიც ექსპერტებმა და სპეციალისტებმა უკანასკნელი ვარიანტის განხილვის დროს გააკეთეს. გარდა ამისა, ავტორებმა გამოიყენეს წინამდებარე კონკურსების უმდიდრესი მასალა.

პროექტირების პროცესში ავტორებმა ფორპროექტის სტადიაზე ოთხი ვარიანტი დაამუშავეს და დიდი მაკეტების სახით კიდევ ერთხელ წარუდგინეს საგანგებოდ შერჩეულ კომისიას, რომელმაც შეისწავლა წარმოდგენილი მაკეტები და მხატვრულად თუ ტექნოლოგიურად ყველაზე უფრო საინტერესოდ გადაწყვეტილი ვარიანტი შეარჩია. და ამ ვარიანტის საფუძველზე დამუშავდა პროექტი, რომელიც შემდეგ პროფესიულ და მმართველ ინსტანციებში დამტკიცდა. ამჟამად ამ პროექტის თანახმად შენდება უნივერსიტეტის კომპლექსი.

## თბილისის უნივერსიტეტის კომპლექსის პროექტი

დაგეგმარების პრინციპები. უნივერსიტეტის კომპლექსისათვის თბილისის დასავლეთ საზღვრებთან, მდინარე ვერის ხეობაში, გამოყოფილია 240 ჰექტარი. ტერიტორია ზღვის დონიდან 520-540 მეტრის სიმაღლეზეა და საკმაოდ რთული რელიეფით ხასიათდება. ამ ტერიტორიაზე დაპროექტდა უნივერსიტეტი 8 000 სტუდენტისათვის.

უნივერსიტეტის კომპლექსის გენერალური გეგმის დამუშავების დროს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ისეთი გეგმარებითი სისტემის შექმნა, რომელიც უნივერსიტეტის მოცულობის მეცნიერულ თანმიმდევრული განვითარებით გამოწვეულ გაფართოებას არ შეაფერხებდა.



მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

ამავე დროს, კომპლექსის გეგმარება მომავალშიც სრულფასოვანი უნდა იყოს; გაფართოების შემდეგ, მაქსიმალურად უნდა შეინარჩუნოს პირვანდელი კომპოზიციის იდეა. ფრანგი არქიტექტორი მ. ლოდსი სამართლიანად აღნიშნავს: „ამ საწინააღმდეგო მოთხოვნილებების შეთავსების ერთადერთ საშუალებად გვევლინება კომპლექსის დანაწევრება, რაც გეგმარებას აძლევს მაქსიმალურ მოქნილობას და ქმნის შენობის ყველა მიმართულებით განვითარების საშუალებას“.

გენერალური გეგმის გადაწყვეტისას ავტორები შეეცადნენ მთელი კომპლექსის ერთიანი სახის შექმნას. ერთი არქიტექტურული თემითა და სწორად ნაპოვნი მოცულობით-სივრცობრივი მასშტაბით. მთელი ტერიტორია დაყოფილია ზონებად, რომლებშიც ერთნაირი ტიპის დაწესებულებებია დაჯგუფებული. ზონებს აქვთ საჭირო იზოლაცია და ერთმანეთთან მოხერხებული კავშირი. მაქსიმალურადაა გამოყენებული რთული რელიეფი, მთელი კომპოზიცია წყლის სივრცისაკენ იხსნება. მიღებულია სასწავლო კორპუსების ოპტიმალური ორიენტაცია. უხვადაა გამოყენებული გამწვანება, შექმნილია შიდაკომპლექსური სატ-



„თბილქალაქპროექტის“ საკონკურსო გეგმარი. არქიტექტორები: რ. ბაირამაშვილი, ლ. მეძმარიაშვილი, ნ. შოშიტაიშვილი.



„თბილზნიიეპის“ საკონკურსო პროექტი. არქიტექტორები: თ. ბოჭორიშვილი, ბ. მამინაიშვილი, ნ. მგალობლიშვილი, ნ. მიქაძე.



„საქალაქმშენპროექტის“ საკონკურსო გეგმარი. არქიტექტორები: ა. საბაშვილი, შ. კაჭკაჭიშვილი, ვ. კედია, ს. რევიშვილი.



მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტ „გიპ-როვუზის“ პროექტი.

კონკურსის შემდეგ დამუშავებული ვარიანტი.



რანსპორტო ქსელი, რომელიც ორგანულად უკავშირდება ქალაქის მაგისტრალებს. ყოველ შენობასთან გათვალისწინებულია მანქანის მისასვლელი გზა, ამავე დროს აღკვეთილია ყოველგვარი ტრანზიტული მოძრაობა. კომპლექსში შექმნილია საზოგადოებრივი ცენტრი — ფორუმი.

## ტრანსპორტის გზები და მთავარი შემოსასვლელი კომპლექსის ტერიტორიაზე

ახლად დაპროექტებული საბურთალოს რაიონისა და ბაგების დამაკავშირებელი 32 მეტრი სიგანის ქუჩა საავტომობილო მაგისტრალად არის მიღებული. ეს ქუჩა გადის ჩრდილოეთიდან სამხრეთით, საბურთალოს სასაფლაოსა და უნივერსიტეტის ნაკვეთს შორის. აქედან არის მთავარი შემოსასვლელი კომპლექსის ტერიტორიაზე. ამ რაიონში სატრანსპორტო ნაკადები განსაზღვრულია მკაფიოდ. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, მთავარ შემოსასვლელთან, დაგეგმარებულია 500-600 ავტომანქანის სადგომი, აქვე იქნება საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები. გარდა ამისა, თბილისის მეტროპოლიტენის განვი-

თარების გეგმის თანახმად, შემოსასვლელთან მეტროს სადგური აშენდება.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე დასავლეთის მხრიდან დაგეგმარებულია მეორე შემოსასვლელიც. აქაც არის 100-150 ავტომანქანის სადგომი, ეს ნაწილი ქუჩით უკავშირდება ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლოს.

ორივე შემოსასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან დაკავშირებულია ავტოგზით, რომელიც ამავე დროს საზღვრად გასდევს მთელ კომპლექსს და უნივერსიტეტს ქალაქის საცხოვრებელი მასივიდან გამოჰყოფს. ამ გზიდან უნივერსიტეტის ნებისმიერ შენობამდე უმოკლესი მანძილია. აქაც გათვალისწინებულია 150-200 ავტომანქანის სადგომი. ამრიგად, უნივერსიტეტში მოსვლა საკუთარი ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით სამი მხრიდან შეიძლება. თვით კომპლექსის ტერიტორიაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა, როგორც წესი, აღკვეთილია, თუმცა გათვალისწინებულია შიდა სატრანსპორტო ქსელი. ამ გზებზე დასაშვები იქნება მხოლოდ სტუმრების და სპეციალური ტრანსპორტის: სასწრაფო დახმარება, სახანძრო, სატვირთო და სხვა მანქანების მოძრაობა. ამიტომ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ავტოსადგომები არ არის დაგეგმარებული.

ტრანსპორტის მოძრაობის აღკვეთა აქ ნაკარნახევია შემდეგი მოსაზრებებით: საკმაოდ მჭიდრო განაშენიანების პირობებში ავტოტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობა ხელს შეუშლის ფეხით მოსიარულეებს; გარდა ამისა, იგი გამოიწვევს სასწავლო პროცესისათვის ხელისშემშლელ ხმაურს, გადამუშავებული საწვავი გააბინძურებს ჰაერს და სხვა.

*ზონირება.* ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომელიც გენერალური გეგმის გადაწყვეტას დაედო საფუძვლად, არის კომპლექსის გარკვეული ზონირება. უნივერსიტეტის კომპლექსი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობისაგან შესდგება და მათი დაჯგუფება შემდეგ ზონებად მოხდა: სასწავლო (საზოგადოებრივი ცენტრ-ფორუმითა და საზოგადოებრივი ნაგებობებით), სპორტული, სამეურნეო, საცხოვრებელი და დასვენების.

რადგანაც მდინარე ვერა თითქმის შუაზე ყოფს უნივერსიტეტის ნაკვეთს, შესაძლებელი გახდა საცხოვრებელი ზონის გამოყოფა, რომელიც მდინარის მარჯვენა ნაპირზე განლაგდა, ხოლო სასწავლო, სპორტული და სამეურნეო ზონები მარცხენა, რელიეფის თვალსაზრისით ყველაზე უფრო ხელსაყრელ ადგილზე. მდინარის დაგუბებული ზედაპირი, მისი ნაპირები და გამწვანებული ადგილები დასვენების ზონისაა.

*სასწავლო ზონა.* ამ დანიშნულებისათვის გამოყოფილია მაქსიმალურად გამოყენებული ტერიტორია, შედარებით მშვიდი რელიეფით, და მცირე ამაღლებული ქედის სამხრეთი კალთები. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ქედი უნივერსიტეტის ტერიტორიას ჩრდილოეთიდან გამოყოფს საცხოვრებელი მასივისაგან. ყველა სასწავლო კორპუსი უნიფიცირებულია და ერთიან კონსტრუქციულ და გეგმარებით მოდულშია გადაწყვეტილი. სართულების რაოდენობის, ანდა კორპუსის სიგანის ზოგიერთი ცვლილება (მოდულის ფარგლებში) სხვადასხვა ზომის ფაკულტეტების ოპტიმალური განლაგების საშუალებას იძლევა. ფაკულტეტები მოხერხებულად უკავშირდებიან ერთმანეთს და საკმაოდ იზოლირებულიც არიან.

კორპუსებში ამ ცვლილებათა შეტანამ და დიდი აუდიტორიების მოცულობების გამოყენებამ ავტორებს სასწავლო ნაგებობათა ცხოველხატული კომპოზიციის შექმნის საშუალება მისცეს. ამავე დროს პროექტში მკაცრადაა დაცული ტექნოლოგიური მოთხოვნილებანი. რელიეფზე კორპუსების მოხერხებული განლაგება და შიდა გამწვანებული ეზოების გახსნა წყლის სივრცისაკენ მთელი კომპლექსის სამხრეთულ კოლორიტს ქმნის.

მექანიკურ-მათემატიკური ფაკულტეტის მაღლივ შენობასთან ერთ რიგშია განლაგებული ქიმიის, გეოლოგიის, ბიოლოგიის, ფიზიკისა და კიბერნეტიკის ფაკულტეტები. ჰუმანიტარული მეცნიერების ფაკულტეტები წყალსაცავთან უფრო ახლოს მდებარე კორპუსებშია დაგეგმარებული.

ყველა სასწავლო კორპუსი ერთი და იმავე სქემით არის დაპროექტებული. პირველ სართულებზე განლაგებულია ვესტიბიულები (გარდერობებით), დეკანატები, ფაკულტეტების ბიბლიოთეკები, დიდი აუდიტორიები და მსხვილგაბარიტიანი ლაბორატორიები მძიმე აღჭურვილობით.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოსთვის დამახასიათებელ შიდა გამწვანებულ ეზოებს, რომლებიც უკეთეს მიკროჰავას ქმნიან. ჩვენს პირობებში ისინი აუცილებელია კომფორტაბელური დასვენების, გასეირნებისა და სტუდენტების ურთიერთ კონტაქტებისათვის. ეზოები არქიტექტურულ ნაგებობას ორგანულად აკავშირებენ ბუნებასთან.

გენერალური გეგმის ასეთი კომპოზიცია, სადაც სასწავლო კორპუსები და ლაბორატორიები დაჯგუფებულია ფაკულტეტებად, მონახულია თითოეულისთვის საკუთარი მხატვრულ-გეგმარებითი გადაწყვეტა, მთლიანად კი შექმნილია ერთიანი ანსამბლი, რაც გამორიცხავს განაშენიანების მონოტონურობას.

მთელი კომპოზიციის ძირითად ელემენტს წარმოადგენს მთავარი მოედანი-ფორუმი — უნივერსიტეტის ცენტრი, საზეიმო ცერემონიებისა და უბრალო შეკრების ადგილი. ფორუმის ირგვლივ დაჯგუფებულია საერთო-საუნივერსიტეტო ნაგებობანი — 1300-ადგილიანი სააქტო დარბაზი, რექტორატი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა ხუთი მილიონი ტონის წიგნსაცავით, უნივერსიტეტის მუზეუმი და სტუდენტების კაფე-სასადილო. ფორუმიდან გადის ხეივანი, რომელიც სხვადასხვა ზომის მცირე მოედნების მთელ ანფილადას ქმნის. ხეივანთან ერთად ეს ანფილადა თავისებური პარკის როლს ითამაშებს, სადაც სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები თავისუფალ დროს გაატარებენ, დაისვენებენ. აქვე დაიდგმება გამოჩენილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა ქანდაკებები.

სიგრძეზე განლაგებული ხეივანი გადაკვეთს კომპლექსის განივ კომპოზიციურ ღერძს, რომელიც საცალფეხო ხიდის გაგრძელებაა. ეს მსუბუქი და ელეგანტური ხიდი[3] აკავშირებს სასწავლო და საცხოვრებელ ზონებს.

ფაკულტეტებიდან ცენტრამდე მანძილი 400-500 მეტრს არ აღემატება. შენობებს შორის თავისუფალი ტერიტორია მაქსიმალურად არის გამწვანებული. სასწავლო კორპუსები სამხრეთით და ჩრდილოეთითაა ორიენტირებული. ასეთი ორიენტაცია საუკეთესოა, თუ გავითვალისწინებთ ქარის მიმართულებას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

სასწავლო კორპუსების სიმაღლე 3-4 სართულია, ყოველ კორპუსში გათვალისწინებულია ლიფტი პროფესორ-მასწავლებლებისათვის. პირველი სართულები ნაწილობრივ გახსნილია, რაც შიდა ეზოებს გარე სივრცესთან აკავშირებს და საინტერესო პერსპექტივებს ქმნის.

სამეცნიერო ბიბლიოთეკა, მთელი კომპლექსის კომპოზიციურ და გეომეტრიულ ცენტრად გვევლინება. მის გარშემო განლაგებულია დანარჩენი კორპუსები. ბიბლიოთეკის მთავარი ფასადი ფორუმზე გამოდის და პერსპექტიულ ხედს აგვირგვინებს. ბიბლიოთეკის შენობაში განლაგებულია წიგნსაცავები. სეიფებში დაცული იქნება ძველი, უძვირ-

[3] ხიდის ავტორია გ. ქარციეაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასესი ხელნაწერები, იშვიათი გამოცემები და სხვ. სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის მშენებლობა უკვე დაიწყო, თავისი აღჭურვილობით, გეგმარებითა და ტექნოლოგიით ერთ-ერთი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი იქნება ჩვენს ქვეყანაში. სამეცნიერო ბიბლიოთეკას უკავშირდება უნივერსიტეტის მუზეუმის შენობა, რომელიც აგრეთვე ფორუმზე გამოდის და მის კოლონადას ცენტრალური მოედანი წყალსაცავისაკენ „გამოჰყავს".

სააქტო დარბაზი რექტორატთან ერთ მოცულობაშია დაპროექტებული. რექტორატი ფორუმზე დგას, ხოლო მისი შესასვლელი უნივერსიტეტის წინა მოედანზე გამოდის. ამრიგად, რექტორატში შესვლა შეიძლება ისე, რომ არ გაიარო სასწავლო ზონა. სააქტო დარბაზი 1300 კაცზეა გათვალისწინებული. დარბაზს ორი ტოლფასოვანი შემოსასვლელი აქვს. ერთი — ფორუმის მხრიდან და მეორე — უნივერსიტეტის წინა მოედნიდან.

სტუდენტების კაფე-სასადილო (ფორუმიდან სამხრეთით) ისეა განლაგებული, რომ მოედნიდან არა ჩანს. შენობა ჩაჭრილია ციცაბო ნაპირზე და წყალსაცავისკენ არის გახსნილი. ერთი ცენტრალური სამზარეულო ორ დიდ დარბაზს ემსახურება. კაფე-რესტორანში ესტრადა და საცეკვაო ბაქანია დაპროექტებული, სადაც 200 კაცი დაეტევა. თვითმომსახურებაზე გათვალისწინებულ სასადილოში 400 ადგილია. გარდა ამისა, არის მომცრო ბარი და საკმაოდ მოზრდილი გადახურული ეზო ტერასებით. კაფე-სასადილო აღმოსავლეთიდან სპეციალური მიწისქვეშა პანდუსით იტვირთება.

*სპორტული ზონა.* სპორტული ზონა იზოლირებულია სასწავლო და საცხოვრებელი ზონებისაგან და ამავე დროს აკავშირებს კიდეც მათ. სპორტულ ზონაში ადვილია ქალაქიდან მოხვედრა. აქვეა ფიზაღზრდის კათედრაც. უნივერსიტეტისათვის გამოყოფილი ნაკვეთის დაახლოებით 10 ჰექტარი ხვდება სანიტარულ ზოლში, რომელიც სასაფლაოს გამოჰყოფს უნივერსიტეტის შენობისაგან. ეს შესანიშნავად გამწვანებული მასივი მშენებლობისათვის შეიძლება დაკარგულად ჩაითვალოს, ამიტომ სპორტული ზონის ამ რაიონში მოთავსება ფრიად მიზანშეწონილია. გარდა ამისა, სპორტული ზონა უშუალოდ უერთდება წყლის დიდ სივრცეს, რომელიც ხიდ-კაშხალის აშენების შემდეგ შეიქმნება.[4] წყალსაცავზე ჩატარდება შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ცურვა, წყალბურთი, წყლის თხილამურები, საიალქნო სპორტი, ნიჩბოსნობა და ა. შ.). დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტორსაც, რომ სპორტული ზონა უშუალოდ საქალაქო, სატრანსპორტო მაგისტრალს უკავშირდება. მასობრივი სპორტული ღონისძიების შემდეგ ხალხი მოკლე გზით უნდა გავიდეს ქალაქის ტრანსპორტისაკენ და არავითარ შემთხვევაში არ გადაკვეთოს სასწავლო ზონა.

სპორტულ ზონაში განლაგდება აგრეთვე დახურული სპორტის სასახლე, რომელშიც ოთხი სპორტდარბაზი მოთავსდება. აღსანიშნავია, რომ სამი დარბაზისაგან მცირე ტრანსფორმაციით შეიძლება ერთი დიდი სადემონსტრაციო დარბაზის მიღება, სადაც შეიძლება მოეწყოს ჰოკეის ან ხელბურთის მინდორი და 1500-ადგილიანი ტრიბუნები.

სპორტულ ზონაში განლაგებულია ფეხბურთის სტადიონი (10-15 ათასი მაყურებლისთვის), დახურული და ღია საცურაო აუზები, ნავებისა და იახტების სადგომი პირსი, კალათბურთის, ფრენბურთის, ტენისის, ხელბურთის, ტანვარჯიშის ბაქნები. გათვალისწინებულია ადგილი მძლეოსანთა დახურული მანეჟისათვის.

*სამეურნეო ზონა.* ამ ზონის ყველა შენობა სასწავლო ზონის დასავლეთით არის დაჯგუფებული. მას თავისი მისასვლელი გზა აქვს, რომელიც ვაჟა-ფშაველას პროსპექტის ბოლოს უერთდება. სამეურნეო ზონაში განლაგებულია გარაჟი 50 ავტომანქანისათვის, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, სტამბა, საწყობები. მეტეოროლოგიური სადგური უნივერსიტეტის ტერიტორიის ყველაზე მაღალ ადგილზეა განლაგებული.

*საცხოვრებელი ზონა.* ამ ზონაში გათვალისწინებულია საერთო საცხოვრებლები სტუდენტების, ახალგაზრდა სპეციალისტების, პროფესორ-მასწავლებელთა და ჩამოსულ მეცნიერთათვის. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საცხოვრებელი ზონა სასწავლო ზონიდან სამხრეთით, წყნეთის გზის გასწვრივაა განლაგებული იზოლირებულ ტერიტორიაზე. შესანიშნავი ბუნებრივი ლანდშაფტი, წყლის სარკე, მთის ჰაერი საცხოვრებელი ზონის ორგანიზაციისათვის არაჩვეულებრივად კომფორტულ პირობებს ქმნის. საცხოვრებელი ზონა კარგადაა დაკავშირებული, როგორც სასწავლო და სპორტულ ზონებთან (საცალფეხო ხიდით), ასევე ქალაქთან. ქალაქთან კავშირი ვაკის რაიონთან განხორციელდა წყნეთის გზატკეცილით, ხოლო საბურთალოს რაიონთან — ახლადდაპროექტებული ხიდ-კაშხალით.

საცხოვრებელ ზონაში იქნება საზოგადოებრივი ცენტრი, სავაჭრო, კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ბლოკებით, სახელოსნოები, საპარიკმახეროები, ფოსტა, შემნახველი სალარო და სხვა.

სტუდენტთა საერთო საცხოვრებლები თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით არის დაპროექტებული. ძველად სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი თავისი გეგმარებითა და კომფორტით თითქმის არ განსხვავდებოდა ყაზარმისაგან, თანამედროვე საერთო საცხოვრებლები კი სასტუმროებისაგან.

სტუდენტს მაქსიმალურად კომფორტაბელური საცხოვრებელი პირობები უნდა შევუქმნათ. ზაფხულის თვეებში, როდესაც ქალაქში ბევრი სტუმარია ჩამოსული, უნივერსიტეტში არდადეგებია, კომფორტაბელური საერთო საცხოვრებელი, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია, სასტუმროებად გადაიქცევა.

პროექტში საერთო საცხოვრებელი წარმოადგენს ბლოკს, რომელიც პირველი სართულებით გაერთიანებული ოთხი თოთხმეტსართულიანი კორპუსისაგან შედგება. ყოველ ასეთ კორპუსში 250 კაცი მოთავსდება. ხოლო ბლოკში — 1 000 კაცი. ზონაში ოთხი ასეთი ბლოკია. გარდა ამისა, უკვე შენდება ორი ხუთსართულიანი კორპუსი 500 კაცისთვის.

საერთო საცხოვრებლების ოჯახები გათვალისწინებულია ერთ და ორ კაცზე. დაპროექტებულ ოთახებს აქვთ საკუთარი სანკვანძები, აბაზანა, ყოველ სართულზე გათვალისწინებულია სამზარეულო თვითმომსახურებისათვის და სპეციალური ოთახი სასადილოდ. გარდა ამისა, ყოველ სართულზე დაპროექტებულია სასტუმრო-ჰოლი, შეხვედრებისა და გართობის ადგილი. აქ შეიძლება ჭადრაკის თამაში, ტელევიზორის ყურება და სხვ.

პირველ სართულზე განლაგებულია სამედიცინო პუნქტი, ბუფეტი, ბიბლიოთეკა...

გარდა საერთო საცხოვრებლებისა, პროფესორ-მასწავლებლების, 350 ასპირანტისა და 300 ახალგაზრდა სპეციალისტისათვის გათვალისწინებულია 100 ბინა, აგრეთვე 50 ბინა — ჩამოსულ მეცნიერთათვის. საცხოვრებელი სახლები დაპროექტებულია სასწავლო ზონის სამხრეთით, ახლანდელ სოფელ ბაგების ტერიტორიაზე.

---

[4] ხიდ-კაშხალის ავტორებია ა. ლოსაბერიძე და ა. მენაბდე.





უნივერსიტეტის კომპლექსის პროექტის ვარიანტები (მაკეტი)





უნივერსიტეტის კომპლექსის პროექტის ვარიანტი (მაკეტი)



უნივერსიტეტის კომპლექსი. მარცხნივ: ბაგები, საცხოვრებელი რაიონი პროფესორ-მასწავლებლებისათვის.



ბიბლიოთეკა (მაკეტი)

# უკრაინული მუსიკის სიამაყე

ვიქტორ კლინი

ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲘᲚ უკრაინელ კომპოზიტორს ლევ ნიკოლოზის ძე რევუცკის სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა პირველს უკრაინელ მუსიკოსთა შორის და მეორეს სსრ კავშირის კომპოზიტორთა შორის (დ. შოსტაკოვიჩის შემდეგ).

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, სსრ კავშირისა და ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატს, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს, პროფესორ ლ. რევუცკის უდიდესი ღვაწლი მიუძღვის უკრაინული ხელოვნების განვითარებაში.

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც იგი მშობლიურ კულტურას ამდიდრებს თვალსაჩინო ნაწარმოებებით. მათში მკაფიოდ და ორიგინალურად გამოვლინდა უკრაინული მუსიკის ეროვნული ხასიათი.

ლ. რევუცკი-მეცნიერს მრავალი ფუძემდებლური მოსაზრება აქვს გამოთქმული და დამუშავებული უკრაინული საბჭოთა მუსიკის განვითარების შესახებ. იგი მტკიცედ იცავდა მუსიკის ხალხურობის თვალსაზრისს, ამტკიცებდა იმასაც, რომ ნამდვილი პროფესიული ხელოვნება ეროვნული ნიადაგიდან იღებს სათავეს.

ამ დიდ მუსიკოსსა და მეცნიერში შერწყმულია ფართო მასშტაბების მომცველი ელვარე ნიჭი და ღრმა ერუდიცია, სწორედ ამან განაპირობა კომპოზიტორის ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა სხვადასხვა დარგში.

ლ. რევუცკი-მუსიკალური რედაქტორი უბადლო მაგალითია უკრაინელი მუსიკოსებისათვის და არა მარტო მათთვის. ამ მხრივ უკრაინული მუსიკის წინაშე მისი დამსახურება მხოლოდ ნ. რიმსკი-კორსაკოვისას თუ შეედრება, რომელმაც რუსული მუსიკალური კულტურის სადიდებლად ტიტანური შრომა გასწია. ამის თვალსაჩინო მაგალითია ბოროდინისა და მუსორგსკის ოპერები, რომელნიც რიმსკი-კორსაკოვმა დაასრულა. რევუცკის რედაქტორულმა მოღვაწეობამ შეუნარჩუნა უკრაინელ ხალხს ეროვნული მუსიკალური კულტურის მარგალიტები — ნ. ლისენკოს ოპერა ,,ტარას ბულბა" და ვ. კოსენკოს საფორტეპიანო კონცერტი ორკესტრთან ერთად.

რევუცკიმ — ფაქიზმა და შთაგონებულმა პედაგოგმა კომპოზიტორთა მთელი პლეადა აღზარდა. დღეს მათი მრავალმხრივი შემოქმედების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე უკრაინული მუსიკალური ცხოვრება.

რევუცკი-მუსიკოსის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით მის პედაგოგებს — კიევის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებლებს ი. კოროტკოვიჩსა და გ. ხოდოროვსკის. ამ ღვაწლმოსილ პედაგოგებს თავის დროზე დიდი მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდათ თბილისის მუსიკალურ სასწავლებელთან.

კომპოზიციაში რევუცკის ხელმძღვანელი იყო ცნობილი რუსი კომპოზიტორი რ. გლიერი. უდიდესი გავლენა იქონია რევუცკიზე მისმა პირველმა მასწავლებელმა — უკრაინული კლასიკური მუსიკის ფუძემდებელმა ნ. ლისენკომ. მართალია, ლისენკოსთან მეცადინეობამ დიდხანს არ გასტანა, მაგრამ რევუცკი თავის შემდგომ მოღვაწეობაშიც ხელმძღვანელობდა დიდი პედაგოგის მიერ ნაანდერძევი შემოქმედებითი პრინციპებით.

რევუცკიმ უკრაინაში შექმნა გამოჩენილ კომპოზიტორთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სკოლა (გ. მაიბოროდა, პ. მაიბოროდა, ა. ჟდანოვი, ა. ფილიპენკო, ა. სვეჩნიკოვი, ვ. კირეიკო, ა. კოლომიეცი და სხვ.). მან უკრაინული მუსიკის პროფესიული საწყისები თავიდანვე ორგანულად დაუკავშირა თანამედროვე მუსიკალური აზროვნების იმ პროგრესულსა და სისხლსავსე ნაკადს, რომელიც ნათელი მომავლისკენ იყო მიმართული.

როდესაც ლ. რევუცკი საკომპოზიტორო ,,ორბიტაზე" გაიჭრა, ცარიზმის ანტიხალხური პოლიტიკის წყალობით უკრაინულ მუსიკაში არ არსებობდა ისეთი ჟანრები, რომელნიც მსოფლიო მუსიკალურ პრაქტიკაში დეტალურად იყო დამუშავებული. რევუცკიმ უკრაინულ მუსიკაში ახალი ჟანრები დააფუძნა. მან თავისი მღელვარე პათეტიკური და ეპიკური სონატით საფუძველი დაუდო უკრაინული საფორტეპიანო მუსიკის ამ ჟანრს. მისმა მეორე სიმფონიამ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა უკრაინულ სიმფონიზმში და მის პირველ ნიმუშად იქცა. აღსანიშნავია, რომ ხალხურ სასიმღერო მასალაზე აგებულ ამ სიმფონიაში ხალხური მუსიკის სპეციფიკა ორგანულად ერწყმის საკომპოზიციო ტექნიკის უმაღლეს პროფესიონალიზმს.

უკრაინულ საბჭოთა საფორტეპიანო მუსიკაში თანამედროვეობის თემა პირველად ლევ რევუცკის საფორტეპიანო კონცერტში (ორკესტრთან ერთად) აისახა. ეს ოთხნაწილიანი საკონცერტო ციკლი ჩაფიქრებული იყო პროგრამულ ნაწარმოებად, რომლის ცალკეულ ნაწილებში უნდა ასახულიყო შეჯიბრი სიმღერებსა და ცეკვებში, სპორტული პაექრობა. თავიდან მას ეწოდებოდა კიდეც ,,შეჯიბრის პოემა". მუშაობის პროცესში კომპოზიტორმა უარი თქვა პროგრამის ზუსტ წარმოსახვაზე და მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი დატოვა.

I კონცერტი ჩაწერილია გრამფირფიტაზე. საკავშირო და საერთაშორისო საკონცერტო ესტრადაზე იგი გაიტანეს

დედოფალ ელისაბედის სახელობის ბრიუსელის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატმა, უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ე. რჟანოვმა და რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, დირიჟორმა ვ. კოჟუხარმა.

ახალი ჟანრის მუსიკალური ნაწარმოებების შექმნასთან ერთად რევუცკი ღრმად ჩაწვდა წარსულისა და თანამედროვე უკრაინული ფოლკლორის საფუძვლებს და მოგვცა მისი შესწავლისა და დამუშავების მკაფიო ნიმუშები.

20-იანი წლების ბოლოს უკრაინულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში გაჩნდა მისი სხვადასხვა ჟანრის სინთეზისკენ სწრაფვა. ამ პერიოდში ლ. რევუცკიმ შექმნა პიესა ფორტეპიანოსთვის, რომელსაც „სიმღერა“ უწოდა. იგი იქცა უკრაინული საბჭოთა საფორტეპიანო ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებად.

„სიმღერის“ მუსიკა საოცრად ზუსტად გამოხატავს ეროვნული ხასიათის ლირიკულ-ეპიკურ მხარეს. ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რევუცკიმ უკრაინულ პროფესიულ მუსიკაში ჩაატარა ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებაში მიმდინარე ანალოგიური პროცესი, რაც კიდევ უფრო ნათლად უსვამს ხაზს კომპოზიტორის მჭიდრო კავშირს თავის ხალხთან.

თავისი მხატვრული ღირსებებით არანაკლები პოპულარობა დაიმსახურეს კომპოზიტორის საფორტეპიანო პრელუდიებმა. აქ თავი იჩინა ლ. რევუცკის ნიჭის კიდევ ერთმა მხარემ: კომპოზიტორმა შეაღწია მუსიკალური აზროვნების სიღრმეებში, შემოქმედებითად აითვისა ს. რახმანინოვისა და ა. სკრიაბინის საფორტეპიანო შემოქმედების საუკეთესო მიღწევები და ბრწყინვალედ გადანერგა უკრაინულ ნიადაგზე მინიატურის ეს უძველესი და მსოფლიო მუსიკალურ პრაქტიკაში ძალზე გავრცელებული ჟანრი.

შემოქმედებითმა ინტუიციამ და მხატვარ-მოქალაქის სწორმა პოზიციებმა სიცოცხლე შთაბერეს კომპოზიტორის თვითმყოფად საგუნდო შემოქმედებას (მაგალითად, მის შედევრებს „თავშალი“ და „სიმღერა“), რომელიც მშობლიური მუსიკალური კულტურის უძვირფასესი შენაძენია. მასვე მიეკუთვნება მასობრივი სიმღერები და უკრაინული ხალხური სიმღერების ფაქიზი დამუშავება, შესული კრებულებში „კაზაკური სიმღერები“, „გალიციური სიმღერები“ და „მზე“.

რევუცკის ნაწარმოებები უკრაინული ეროვნული მუსიკალური საბავშვო ლიტერატურის ნამდვილი მარგალიტებია. მისი საბავშვო შემოქმედება ეყრდნობა მყარ იდეურ-ესთეტიკურ კონცეფციებს. ამ კონცეფციის ერთ-ერთი განმსაზღვრელი დებულებაა ესთეტიკური და ეთიკური საწყისების განუყრელი კავშირის აუცილებლობა.

საბავშვო მუსიკალური ლიტერატურის აღმზრდელობით ფუნქციას ლ. რევუცკი პირველ რიგში იმაში ხედავს, რომ მომავალ მუსიკოსს პირველი პროფესიული ნაბიჯებიდანვე გაუღვივოს ცხოველი ინტერესი თავისი ხალხის მუსიკალური შემოქმედებისადმი. ამიტომ არის, რომ მისი სამი საბავშვო პიესა ფორტეპიანოსთვის თითქმის მთლიანად უკრაინული ხალხური სიმღერის შესანიშნავ მელოდიებზეა აგებული. შედარებით მომზადებული პიანისტებისთვის დაწერილ საფორტეპიანო ეტიუდებში მოცემულია ხალხურ-საცეკვაო საწყისების პოლიფონიური დამუშავება. ხოლო ისეთი ნაწარმოები, როგორიც არის „იუმორესკა“, გამოხატავს უკრაინული მუსიკის ხასიათობრიობას.



კომპოზიტორი ლევ რევუცკი

კომპოზიტორი 82 წლისაა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი სამოცწლიანი შემოქმედებითი გზა მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან.

ღვაწლმოსილი უკრაინელი კომპოზიტორი თავისი ბუნებით ინტერნაციონალისტია. მან დიდი ძალა შეალია სხვადასხვა ეროვნული კულტურის შესწავლასა და განვითარებას. დიდი სამამულო ომის დროს ლ. რევუცკი ტაშკენტის კონსერვატორიაში კომპოზიციის კათედრას განაგებდა. მისი მოწაფეები, შემდგომში გამოჩენილი უზბეკი კომპოზიტორები და რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების ხელმძღვანელები აკბაროვი და ხამრაევი მუდამ ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ლაპარაკობენ რევუცკის დიდ მნიშვნელობაზე უზბეკური ეროვნული კულტურის განვითარებაში.

ლ. რევუცკის კალამს ეკუთვნის ისეთი ნაწარმოებები, როგორიც არის „მოლდავური ნანა“ ჰობოისა და სიმებიანი ორკესტრისათვის, უზბეკური ხალხური მელოდია კლარნეტისა და ფორტეპიანოსათვის, ქართული, ბალყარული, ბაშკირული, ებრაული, თათრული და უზბეკური ხალხური სიმღერების დამუშავება და სხვ. ამასთან იგი ყოველთვის იყო და რჩება თვითმყობად უკრაინელ კომპოზიტორად.

ლევ ნიკოლოზის ძე რევუცკის შემოქმედება მშობლიური და მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების საგანძურის მნიშვნელოვანი კუთვნილებაა. მისი სახელი უკრაინული კულტურის დიდება და სიამაყე.




ქარვასლის თეატრი



ქარვასლის თეატრის დარბაზი



„ვაი ჭკუისაგან“. 1912 წ.



ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის დასი. 1970 წელი.

ერთ-ერთი უძველესი აფიშა




# საქართველოში რუსული თეატრის 125 წლისთავის აღსანიშნავად

რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასი. 1970 წელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტი

ვაჟა გვახარია

ქართველი ადამიანის ბუნება პოეტურია. ბევრ დიდად ცივილიზებულ ქვეყანასაც არა ყავს ისეთი ბრწყინვალე პლეადა პოეტების, ფილოსოფოსების, რიტორიკოსების, მუსიკოსების, მხატვრების, მეცნიერებისა, როგორც საქართველოს. კავკასიას მეცნიერები ცოცხალ მუზეუმს უწოდებენ, ამ მუზეუმში კი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი და ორიგინალურია ქართველი ხალხის გენიით შექმნილი პოეზიისა და ხელოვნების ნიმუშები. ცივილიზაციის რა ნაკადიც არ უნდა შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში, მას ისეთი ნოყიერი ნიადაგი ხვდება, რომ ყოველივე ადვილად ასიმილირდება, იღებს სპეციფიკურ სახეს, აღწევს თავის ახლებურ განვითარებას. ქართველ ხალხს შეუძლია ილაპარაკოს რამდენიმე ათასწლოვან ხელოვნებასა და კულტურაზე, მის დღევანდელ მიღწევებზე, ნათელ მომავალზე. მაგრამ იმისთვის, რომ სხვა დაარწმუნო, თვითონ უნდა იცნობდე, თვითონ უნდა განიცადო იმ საგანძურის მშვენიერება, საუკუნეთა განმავლობაში რომ შემოგვინახეს წინაპრებმა და რომელსაც ღრმა შესწავლა და მოვლა ესაჭიროება.

საქართველო ერთ-ერთი მოწინავე რესპუბლიკაა საბჭოთა კავშირში სწავლა-განათლების მხრივ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენი კულტურის ისტორიის შესწავლას ჯერ კიდევ აკლია მაღალხარისხოვანი კადრები, განსაკუთრებით ხელოვნების დარგებში, რომელთა ნაწილი ძირითადად პედაგოგიური მუშაობით არის დაკავებული და ნაკლები დრო რჩება წმინდა სამეცნიერო მუშაობისათვის.

ევროპის მთელ რიგ ქალაქებში არსებობს უმაღლესი მუსიკალური სკოლები, რომლებიც ჩვენს კონსერვატორიებს შეესაბამებიან. მათ პარალელურად უნივერსიტეტებთან გახსნილია ხელოვნება-ესთეტიკის ფაკულტეტები. მათი დანიშნულებაა აღზარდონ კადრები ხელოვნების მეცნიერულად შესწავლისათვის და მისცენ სპეციალისტები იმ სფეროში, რომელთა აღზრდაც კონსერვატორიასა და სპეციალიზირებულ ინსტიტუტებს არ ევალებათ. ასეთი დარგებია, მაგალითად, მუსიკაში: მუსიკალური ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, მუსიკალური პალეოგრაფია-ფილოლოგია, მუსიკის ფილოსოფია (ესთეტიკა, ლოგიკა), აკუსტიკა. ასევეა ხელოვნების სხვა დარგებშიც... ეს გასაგებია. უნივერსიტეტში ამ მუშაობას წარმართავენ სათანადო კათედრები, ლაბორატორიები, ლიტერატურა... მეცნიერებათა აკადემიაში ხელი რომ მოჰკიდონ ხელოვნების პრობლემატიკის ჯეროვან შესწავლა-ანალიზს, კადრები, უპირველესად ყოვლისა, უნივერსიტეტმა უნდა მოამზადოს. ეს არ ეხება თანამედროვე ხელოვნების კრიტიკისა და ისტორიის სპეციალისტებს, რომლებსაც კონსერვატორია და სპეციალური ინსტიტუტები ამზადებენ. ამის გამო ხელოვნების ფაკულტეტის დაარსება უნივერსიტეტში აუცილებელი და გადაუდებელი ეროვნული საქმეა. თუ ეს ფაკულტეტი დაკანონდება როგორც ძირითადი, იგი უდიდეს სარგებლობას მოუტანს რესპუბლიკის კულტურას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეხუთე წელია არსებობს ხელოვნების საღამოს მეორადი დასწრებული ფაკულტეტი, რომელზედაც 400 სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი და აბიტურიენტი სწავლობს.

ხელოვნების ფაკულტეტს ექვსი განყოფილება აქვს.

1. *კინოხელოვნების.* სცენარისტებისა და კინომცოდნეების სპეციალობით, რაც უნიკალურია ჩვენს რესპუბლიკაში. მას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი რ. ჩხეიძე.

2. *მუსიკათმცოდნეობის,* რომელიც არ წარმოადგენს კონსერვატორიის დუბლს და ამზადებს სპეციალისტებს: მუსიკის ესთეტიკა-ფილოსოფიაში, მუსიკის ფსიქოლოგია-ფიზიოლოგიაში, მუსიკის ისტორია-ფილოლოგიაში, მუსიკის ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში; ხელმძღვანელი ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორი ვ. გვახარია.

3. *სახვითი.* ხელოვნების, ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკებისა და მესამე კურსიდან — ხელნაწერთა და ფრესკების რესტავრაციის სპეციალობით; ხელმძღვანელი დოც. ო. ფირალიშვილი.

4. *მხატვრული და ფერადი პოლიგრაფიის.* ხელმძღვანელი დოც. ო. კევლიშვილი.

5. *გამოყენებითი და მხატვრული ფოტოგრაფიის.* აქ მზადდება სპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციალისტები რედაქციებისა და გამომცემლობებისათვის. ხელმძღვანელი ს. მამასახლისი.

6. *საშემსრულებლო.* ვოკალისა და ფორტეპიანოს სპეციალობით. აქ ძირითადად ეწევიან სტუდენტთა ესთეტიკურ აღზრდას. ხელმძღვანელი დოც. თ. ჩოჩუა.

ხუთი წლის მანძილზე საშუალო სკოლის ატესტატით, ან საშუალო განათლების დიპლომით აბიტურიენტები აბარებენ მისაღებ გამოცდებს და სხვადასხვა სპეციალობაზე სწავლობენ 20-32-მდე საგანს უმაღლესი სწავლების პროგრამით. წელს, მისაღებ გამოცდებზე მსურველთა რიცხვმა 450-ს მიაღწია. ფაკულტეტზე ასწავლის 14 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, 13 მეცნიერებათა კანდიდატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ფაკულტეტის ავტორიტეტი საგრძნობლად გაიზარდა. ლექციებზე დასწრების მსურველთა რიცხვი ბევრად აღემატება ოფიციალურად ჩარიცხულს.

უანგარო შრომას ეწევა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი მ. ჭიაურელი, რომელიც გარდა კინოხელოვნების ოსტატობისა, სტუდენტებს უნერგავს მეტყველების მაღალ კულტურას. მისი ინიციატივითა და კინოგანყოფილების სტუდენტთა ძალებით წარმატებით დაიდგა კ. მესხის მიერ გადმოქართულებული პიესა „მელანიას ოინები".

საოპერო ხელოვნებას კითხულობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე. მის მიერ წაკითხული ლექციები სანიმუშოა. იგი განსაკუთრებული გულისყურით ეკიდება ახალგაზრდების აღზრდის საქმეს. მისი ინიციატივით ხელოვნების ფაკულტეტის მუსიკისმცოდნეობის სამოცამდე სტუდენტმა მოამზადა საკურსო შრომა, დაწერა რეცენზია პ. ჩაიკოვსკის „პიკის ქალზე" და ჟ. ბიზეს „კარმენზე". მისივე ინიციატივით მუსიკათმცოდნეობის განყოფილების პირველი კურსის სტუდენტებმა მოაწყვეს შეხვედრები საქართველოს სსრ სახალხო არტისტებთან ლ. ჭყონიასთან, მ. ბაუერთან, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწე კ. კუკულაძესთან, სსრ კავშირის სახალხო არტისტ ვ. ანჯაფარიძესთან.

უდიდესი სიყვარულით სარგებლობს საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, პროფესორი შ. მშველიძე, რომელიც მეორე და მესამე კურსებზე კითხულობს საკრავთმცოდნეობას. პროფესორ შ. მშველიძეს განზრახული აქვს უახლოეს მომავალში ჩაატაროს საინტერესო და უაღრესად საჭირო პრაქტიკული მეცადინეობა.

„შიშის ზარს" სცემს თავისი მკაცრი მოთხოვნით, მაგრამ ყოველთვის გადატვირთულია აუდიტორია ბ. გულისაშვილის ლექციების დროს ჰარმონიაში, აკუსტიკასა და მუსიკალურ სისტემათა განვითარებაში.

კინოხელოვნების განყოფილებაზე გამოირჩევიან რ. ჩხეიძე, ლ. ღოღობერიძე, მ. კოკოჩაშვილი, ო. თაბუკაშვილი, კ. გოგოძე, გ. ხარატიშვილი.

სახვითი ხელოვნებისა და მხატვრული ფოტოგრაფიის განყოფილებამ წელს ორჯერ მოაწყო სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა. პროფესიონალიზმის თვალსაზრისით განსხვავება საგრძნობია, რაც, ცხადია, პედაგოგთა დამსახურებას მიეწერება. ეკ. ბაღდავაძე, ვ. ფერაძე, ნ. ურუშაძე, ჯ. ხუნდაძე, ს. მამასახლისი გულისხმიერებით ადევნებენ თვალს და უზიარებენ თავიანთ მდიდარ გამოცდილებას მომავალ მხატვრებს, მოქანდაკეებს, რესტავრატორებს. საკავშირო პრემიით აღინიშნა სტუდენტ ბ. რაჭველიშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ხაბაზები", მზადდება შ. ბესოშვილის „ლაფანჭამია", მიძღვნილი ბაკურიანის ტყის გადასარჩენად ჩატარებული მუშაობისადმი და მისივე მხატვრული ფილმი „იუბილარი".

მუსიკათმცოდნეობის განყოფილების სტუდენტებმა მოამზადეს თემები უძველეს სამუსიკო დამწერლობაზე. ასეთებია: ნ. ასლამაზიშვილის „ბიზანტიური ეკფონეტიკური ნიშნები"; გ. ჩიქოვანის „ძველი ებრაული პროსოდია", ლ. ქართველიშვილის „ძველი სლავური კრიუკები", ნ. ცინცაძის „იოანე ბაგრატიონის მუსიკალური ნიშნების სახელმძღვანელო", ხ. ცინცაძის „გ. ფ. ჰენდელის ორატორია „მესია", „გოეთესა და ბეთჰოვენის „ეგმონტი"; დაიწერა რამდენიმე თემა ლ. ვ. ბეთჰოვენის შემოქმედებაზე. წარმატება კიდევ უფრო თვალსაჩინო იყო თერთმეტ იანვარს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ კონცერტზე, რომელიც მიეძღვნა ბეთჰოვენის 200 წლისთავს. ფაკულტეტი ემზადება ზ. ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავისათვის. დიდი მუშაობა ჩატარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კპ 50 წლისთავისათვის. მოეწყო სახვითი და ფოტოგანყოფილების სტუდენტთა დიდი გამოფენა, ჩატარდა კონკურსი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებთა საუკეთესო შესრულებისათვის.

ხელოვნების ფაკულტეტზე გაიხსნა მხატვრული პოლიგრაფიის განყოფილება, რომელიც თვალსაჩინოდ აამაღლებს პოლიგრაფიის მუშაკთა დონეს. განყოფილებას ენერგიულად ხელმძღვანელობს ო. კევლიშვილი.

ხელოვნების ფაკულტეტის მუშაობა ორჯერ იქნა განხილული უნივერსიტეტის დიდ სამეცნიერო საბჭოზე და უნივერსიტეტის რექტორის, აკად. ი. ვეკუას მოწონება დაიმსახურა, რაც საბჭოს წევრებმაც გაიზიარეს. ის რთული გზა, რომელიც ფაკულტეტის პირველი დეკანის დოც. აკ. ჩხარტიშვილის და ენთუზიასტი პედაგოგების ინიციატივით გაიკაფა, დღეს უკვე საკმაოდ განმტკიცდა.

ვიმედოვნებთ, რომ ხელოვნების ფაკულტეტს, რომელიც აუცილებელია სტუდენტთა მრავალმხრივი აღზრდისათვის, ექნება მისი ძირითადი სახეც, სადაც, ცხადია, მოთხოვნილებები გაცილებით მეტი იქნება. მალე რამდენიმე კურსდამთავრებული დატოვებული იქნება ფაკულტეტზე სალექტორო მოღვაწეობისათვის.

ზოგი ეჭვის თვალით უყურებს ჩვენს არსებობას, მაგრამ საქმე პროგრესისაკენ მიდის და რაც ერისთვის სასარგებლოა, აუცილებლად უნდა გაკეთდეს. ხელოვნების ფაკულტეტს ესაჭიროება თავისი მუდმივი ადგილსამყოფელი, სამუშაო ლაბორატორიები და ოთახები. ნელ-ნელა ალბათ ესეც იქნება, რადგანაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ უბრალო კუთხეც არ გაგვაჩნდა და ურთულეს პირობებში გვიხდებოდა ლექციების ჩატარება. ამჟამად მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. ხელოვნების ფაკულტეტი კონტროლს უნდა უწევდეს უმაღლესი სასწავლებლების კულტურულ ცხოვრებას, მათ თვითმოქმედ კოლექტივებს. უნდა ჩამოყალიბდეს ამ ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭო, ამისათვის უნივერსიტეტში ყოველგვარი პირობებია და უნდა გაერთიანდეს ხელოვნების დარგები ერთ მთლიან სისტემაში; როგორც ხედავთ, გასაკეთებელი ჯერ კიდევ უამრავია. დარწმუნებული ვართ, რომ ამ ფაკულტეტს (სათანადო პირობების შექმნით) მხოლოდ სიკეთის მოტანა შეუძლია ქართული კულტურისათვის. მისი იდეები კეთილშობილია და ამ ენთუზიაზმს გაღრმავება და ხელშეწყობა ესაჭიროება.

## დოდო ანთაძის საიუბილეო საღამო რუსთაველის სახელობის თეატრში

# დიდი სახალხო აღიარება

დოდო ანთაძე



საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის სახალხო არტისტ დოდო ანთაძეს დაბადების 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. ამის აღსანიშნავად ახლახან რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო.

ღვაწლმოსილი ქართველი მსახიობისა და რეჟისორის საპატივცემლოდ საგანგებოდ ჩამოვიდნენ კულტურის გამოჩენილი მოღვაწეები რაიონული ცენტრებიდან და მოძმე რესპუბლიკებიდან.

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა. დვალიშვილმა თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა ის დამსახურება, რომელიც დოდო ანთაძეს მიუძღვის ქართული თეატრალური კულტურის წინაშე.

დოდო ანთაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი, კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი.

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტის მიმართ, რომ დოდო ანთაძე საბჭოთა ქართული თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელია, რომ იგი კოტე მარჯანიშვილის რე-

## იუბილარს მიესალმებიან:



რსფსრ თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლები: ვ. როდომისლინსკი, მ. ესკინი, ლ. ზაიცევი, გ. შჩერბინა.



უკრაინიდან: ტ. რუდნიცკაია და მ. იოსიპენკო



თბილისის თეატრების წარმომადგენლები. ცენტრში — ვ. გოძიაშვილი



უზბეკი ა. ხოჯაევი იუბილარს გადასცემს სამახსოვრო საჩუქარს



იუბილარს მიესალმებიან სომხეთის წარმომადგენლები. მარცხნივ — არუთინიანი.

იუბილარს მიესალმებიან ლატვიელები: პ. პეტერსონი და ე. პირგილისი.



ქისორულ სკოლაში აღიზარდა და უდიდესი დამსახურება მიუძღვის რუსთაველის, მარჯანიშვილის, მესხიშვილის, გრიბოედოვის და მოზარდ მაყურებელთა თეატრების ორგანიზაციული და შემოქმედებითი ჩამოყალიბების საქმეში. გარდა ამისა, იგი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეა, წლების განმავლობაში მუშაობს საქართველოს სსრ თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ, კითხულობს ლექციებს თეატრალური ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე და არის ავტორი თეატრალური მემუარების ორტომეულისა — ,,დღეები ახლო წარსულისა‘‘...

საღამოზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ: მოსკოვიდან — ბ. რადამცინსკი, უკრაინიდან — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მ. ოსიპენკო, სომხეთიდან — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ვ. არუთინიანი.

იუბილარს გულთბილად მიესალმნენ აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. გოძიაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე, საქართველოს მხატვართა კავშირის პირველი მდივანი, სსრ კავშირის სახალხო მხატვარი უ. ჯაფარიძე, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ო. გორდელი, ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი შ. პირველი, პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი შ. ვერულაშვილი და სხვები.

დოდო ანთაძემ თავის სიტყვაში დიდი მადლიერების გრძნობით მოიხსენია ყველა, ვინც ასე დააფასა მისი ღვაწლი.

დასასრულ გაიმართა კონცერტი.



აზერბაიჯანელი მსახიობი ა. ალექპეროვი

## იუბილარს მიესალმებიან:

ლიტველი მსახიობი რ. დობრანინე-კუასტორე



მოლდავეთიდან დუტოვა და აპოსტოლოვი





ლადო გუდიაშვილი

## ლადო გუდიაშვილის დაბადების 75 წლისთავი

# სახალხო მხატვარი

ლიდია ზლატკევიჩი

საქართველოს სახალხო მხატვარ ლადო გუდიაშვილს დაბადების 75 წელი შეუსრულდა. სახალხო მხატვარი მარტო წოდება როდია, ეს თვით არსია, ბუნებაა ლადო გუდიაშვილის შემოქმედებისა, რომელმაც განვითარების რთული და მშვენიერი გზა განვლო.

მუდამ ხალხთან ერთად, მუდამ მოწინავე რიგებში — ასეთია გუდიაშვილის ნახევარსაუკუნოვანი გზა ხელოვნებაში, ასეთი კვალი გაავლო მისმა შემოქმედებამ ქართული და საერთოდ მსოფლიო ფერწერის ისტორიაში, რომელიც 1914 წელს დაიწყო. მაგრამ გუდიაშვილი, როგორც დიდი მხატვარი, საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბდა. მისმა შემოქმედებითმა განვითარებამ რამდენიმე ეტაპი გაიარა.

გუდიაშვილი მეტად ღრმა მხატვარია. შესაძლოა, მაშინვე ვერ გაიგო და ვერ შეაფასო ამ ხელოვნების მხატვრული მემკვიდრეობის სიდიადე, მისი ესოდენ უხვი შემოქმედებითი ნაღვაწის მნიშვნელობა, მაგრამ იგი მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მის მიერ შექმნილი სახეები ხშირად ფილოსოფიურია. მხატვარი მუდამ ისწრაფვის გამოავლინოს მოვლენათა შინაგანი არსი, გაგვაცნოს და დაგვანახოს ,,საგანთა ბუნება". იგი გაბედულად მიმართავს გაზვიადებას, მოულოდნელ შეხამებებს, მკვეთრ კონტრასტებს, თუკი ეს დაეხმარება სამყაროს თავისებური ხედვის გამოვლენაში. გუდიაშვილი საზოგადოებრივ ინტერესებს მოწყვეტილი, გულგრილი მხატვარი როდია, იგი უდიდესი ჰუმანისტია, მისი იდეალია — სიკეთე, სილამაზე, სინათლე, ადამიანის ბედნიერება.

ჯერ კიდევ მის ადრინდელ ქმნილებებში, ფანქრითა თუ ზეთის საღებავებით შესრულებულ ნამუშევრებში, არქიტექტურულ-პეიზაჟურ ჩანახატებში იგრძნობა დიდი სიყვარული სამშობლოს, მშობლიური ხალხისა და მიწისადმი, მისი ნათელი და მზიური საღებავებისადმი.

ყოველივე ამან გამოხატულება ჰპოვა მხატვრის ადრინდელი სურათების ციკლში, რომელზედაც მან 1919 წელს დაიწყო მუშაობა. თბილისის მკვიდრი მხატვარი ღრმად იცნობდა თბილისურ ბოჰემას და მხატვრული გამომსახველობის დიდი ძალით ასახა სურათებში — ,,კინტოების ქეიფი ქალთან", ,,ქეიფი განთიადისას", ,,ცოცხალი თევზი" და მრავალი სხვა. მაგრამ ამ სურათების მნიშვნელობა მხოლოდ საოცრად ლაკონურ და ზუსტ დეტალებში როდია, რომელთაგანაც თითოეულს დიდი აზრობრივი ფუნქცია აქვს, არამედ მხატვრის მახვილ ხედვაში. გუდიაშვილი ღრმად შეიჭრა ამ ადამიანთა შინაგან სამყაროში, იგრძნო, რომ მათი თითქოსდა უდარდელი, დარდიმანდული ცხოვრების, ქეიფისა და დროსტარების მიღმა მშობლიურ ნიადაგს მოწყვეტილი ადამიანების ტრაგედია იმალებოდა, უპერსპექტივო და უაზრო იყო მათი არსებობა. ვრცელ ციკლში ,,კინტო" შემოქმედი გულისტკივილით გვიხატავს მათს განწირულებას.

რაოდენი ტანჯვა, გულისტკივილი და სასოწარკვეთაა აღბეჭდილი მეძავი ქალის ოდესღაც მშვენიერ, მაგრამ ახლა დამჭკნარ სახეზე. ქალს ორი მთვრალი კინტო გადახვევია (,,კინტოების ქეიფი ქალთან"), გამხდარი ხელები უღონოდ ჩამოსცვენია მუხლებზე. იგი, ცხოვრების მახინჯი წესების მსხვერპლი, მთლად გატეხილა, ბედს დამორჩილებია და პროტესტის უნარი დაუკარგავს. ხოლო კინტოების გამხდარ, მიწისფერ და ნაოჭებით დაღარულ სახეებს შინაგანი სევდისა და სრული სიცარიელის ბეჭედი

აზის. სურათზე სულ რამდენიმე დეტალია, მაგრამ ტევადი და მნიშვნელოვანი! მწვანე შუშა-კიტრები, ღვინით სავსე ბოთლი, კინტოს ხელთ რომ უპყრია, ქალის თითებში გარჭობილი პაპიროსი — აი, ამ ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი მთელი ეფემერული, წუთიერი სიხარული.

ცხოვრების ფსკერზე დაშვებულ ადამიანთა დროსტარების სურათი იშლება მაყურებლის წინაშე ტილოში „ქეიფი განთიადისას". მაგიდაზე საჭმლის ნარჩენები, ჩაძინებული მთვრალი კინტო... ორ სხვას კი გაბრწყინებული თვალები მაგიდის კუთხეს ჩაჭიდებული თმაგაჩეჩილი ქალისთვის მიუპყრია; ამ უბედურ, ცხოვრებისაგან გათელილ არსებაში სიძულვილის, პროტესტის გრძნობამ გაიღვიძა, იგი მზადაა გაიქცეს ამ საშინელი სამყაროდან, სადაც უკიდურესმა გაჭირვებამ მიიყვანა...

1919 წლის ბოლოს გუდიაშვილი სწავლის გასაგრძელებლად პარიზში მიემგზავრება, სადაც ახალგაზრდა შემოქმედს მაშინვე აღიარებენ, როგორც მოწიფულ, თვითმყოფად ოსტატს. ბრწყინვალე წარმატებანი თან სდევს მხატვრის პარიზული ცხოვრების მთელ პერიოდს. მრავალ გამოფენაში მონაწილეობა, პერსონალური გამოფენა პარიზში, გამოფენები მარსელში, ლიონში, ბორდოში, შემდეგ კი ლონდონში, რომში, ბრიუსელში, ამსტერდამში, ნიუ-იორკში; გამოჩენილი ფრანგი ხელოვნებათმცოდნე მორის რეინალი წერს მონოგრაფიას მასზე, ევროპის მუზეუმები იძენენ მის სურათებს...

მაგრამ ოცნებით მაინც სამშობლოშია, მისგან მოშორებით ცხოვრება შეუძლებლად მიაჩნია. აქ, უცხო მხარეს, კიდევ უფრო მშვენივრად ესახება საქართველო. ნათელი საღებავებითაა იგი აფერადებული მხატვრის მოგონებებში. სწორედ აქ, საფრანგეთში, იბადება სურათები საქართველოზე, როგორიცაა „შავ ნაკადულთან", „ქალმა თავი მოიმძინარა" და სხვ.

ცამდე აზიდული ციცაბო კლდეები და მთები, ხეების გადახლართული ტოტები ზღაპრული, ირეალური პეიზაჟებია, მაგრამ მაინც საქართველოს პეიზაჟებს აგონებს. ნათელ, ერთმანეთში გარდამავალ ფერთა ფონზე მხატვარს გამოსახული აქვს ქალის ღვთაებრივი, ნორჩი, შიშველი სხეული; ასულს მშვენიერი, ჩაფიქრებული სახე აქვს, შავი კულულები მხრებზე ჩამოჰფენია და ლამაზ თავზე ქართული თავსაბურავი ხურავს. ეს ქალი თვით მისი ლამაზი, უსაზღვროდ ძვირფასი სამშობლოა, რომელიც თავისკენ უხმობს მხატვარს. ამგვარადაა იგი გამოსახული სურათზე „შავ ნაკადულთან".

ლადო გუდიაშვილი 1925 წელს ბრუნდება საქართველოში და მაშინვე გატაცებით ებმება შემოქმედებითს, საზოგადოებრივსა და პედაგოგიურ მოღვაწეობაში, ასწავლის თბილისის სამხატვრო აკადემიაში, ცდილობს თავის მოწაფეებში დანერგოს ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულება, სწორი მხატვრული მსოფლმხედველობა.

მხატვარი კარგად ხედავს ცვლილებებს ხალხის ცხოვრებაში; თავისუფალი ადამიანები დაუღალავად შრომობენ, მათ სწამთ ხვალინდელი დღისა. გუდიაშვილის შემოქმედებაში თანდათან ჩნდება სურათების ციკლი, რომელშიც მხატვარი უმღერის თავისუფალ შრომას. მას ახარებს ხალხის უშრეტი ენერგია, ფიზიკური ძლიერება. ესენი ნამდვილი დევგმირები არიან, რომელთათვისაც სიძნელეები არ არსებობს. სწორედ ასეთ ადამიანებს ვხედავთ სურათებში: „კომკავშირლები მოდიან", „მთესველი", „ყაზბეგის ანდეზიტის მოწინავე ბრიგადა", „ბაკურიანის ანდეზიტი" და სხვ. ამ ნაწარმოებებში იგი მიმართავს თავისებურ გაზვიადებას მუშათა კლასის უძლეველობის გამოსახატავად, შრომის ძლიერებისა და სილამაზის აზრის გადმოსაცემად.

მოედინება ადამიანთა უსასრულო კოლონა („კომკავშირლები მოდიან"), რომელიც სურათის კიდესთან იკარგება; რამდენიმე ჯანსაღი სხეული, მძლავრი კისერი, ამაყად აწეული თავი მოაპობს ქუჩას, ისინი მსხვილი, დაკუნთული ფეხებით მტკიცედ დამდგარან მშობლიურ მიწაზე. ეს არის გაღვიძებული ხალხი, რომელმაც შეიგრძნო თავისი ძალა, შეიგნო, რომ თვითონ არის შემოქმედი, ცხოვრების წარმმართველი და გაბედულად, მტკიცედ მიჰყვება გზას.

სურათში „ფერო-მარგანეცის ქარხანა ზესტაფონში" ნაჩვენებია მუშათა მძიმე შრომა, ფიზიკური დაძაბულობა. მაგრამ, ამასთან ერთად მათში ახალი ცხოვრების მშენებლებისა და ბატონ-პატრონების უდიდესი შინაგანი ძალა იგრძნობა. ვერაფერი შეარყევს ამ ადამიანებს, ვერავინ გამოსტაცებს მათ ხელიდან ბრძოლითა და შრომით მოპოვებულ თავისუფლებას.

მხატვარს არც ახალი სოფლის ცხოვრება დაუტოვებია უყურადღებოდ. საკოლმეურნეო სოფელს მან სურათების საგანგებო ციკლი მიუძღვნა. ეს არის მსუბუქი და მოხდენილი ჩანახატები, ხშირად ხალისიანი, თანამედროვე სინამდვილისათვის დამახასიათებელი ნიშნებით აღბეჭდილი. საკოლმეურნეო მშენებლობის სურათები, ჟანრული სცენები, კულაკების განდევნა... ცხოვრებისეულ თემებს გარკვეული ადგილი უკავია მხატვრის შემოქმედებაში.

გუდიაშვილი თავისი ეპოქის შვილია. მაგრამ კარგად რომ შეიგრძნო შენი დრო, საჭიროა წარსულის ცოდნა. თავისი ხალხის ისტორიული წარსულისადმი ცხოველი ინტერესი მხატვარს მთელი ცხოვრების გზაზე მიჰყვება და გამოხატულებას პოულობს ისტორიულ თემებზე შექმნილ სურათებში.

ამ ნაწარმოებებში ვლინდება მხატვრის ღრმა ერუდიცია, ფართო ისტორიული შემეცნება, მეცნიერული კეთილსინდისიერება და მშობლიური ხალხისადმი დიდი სიყვარული. მის შემოქმედებაში მაყურებლის თვალწინ გაივლის საქართველოს ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი ეტაპი, ანტიკური პერიოდიდან თბილისში წითელი არმიის შემოსვლამდე. საქართველოს მეფეების, საზოგადოებრივ მოღვაწეთა ცხოვრების, ისტორიული მოვლენების თუ ბრძოლების ასახვისას მხატვარი გულდასმით არჩევს თემას. იგი გვიხატავს პროგრესული პოლიტიკის გამტარებელ მეფეთა სახეებს. მხატვრის სურათებში ასახულია პირველი რევოლუციური შეტაკებები 1905 წელს და საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება. ისტორიული პროცესების კანონზომიერების ცოდნით მხატვარი კვალდაკვალ მიჰყვება ქართველი ხალხის გზას, რომელმაც იგი საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახამდე მიიყვანა. სურათებით „არმაზის სარკოფაგიდან", „ღირსეული პასუხი", „გიორგი სააკაძე", „მაჩაბლის ჯარისკაცთა გმირობა კრწანისის ბრძოლებში" და სხვ. შეიძლება არა მარტო საქართველოს სამხედრო და პოლიტიკური ისტორიის, არამედ ეროვნული არქიტექტურის, ჩაცმულობის, იარაღის, ავეჯისა თუ სხვათა გაცნობაც.

ისტორიულ თემაზე შესრულებული გუდიაშვილისეული სურათები მოგვაგონებს უზარმაზარ მუზეუმს, რომელშიც ფასდაუდებელი საგანძური ინახება.

გუდიაშვილის სურათებისა და წიგნის გრაფიკის მიხედვით არა მხოლოდ საქართველოს ისტორიის, არამედ მხატვრულ სახეებში წარმოსახული თქმულებებისა და ლეგენდების გაცნობაც შეიძლება. პორტრეტული ჟანრის ნაწარმოებებში გუდიაშვილმა შექმნა ქართული ლიტერატურის ნამდვილი ანთოლოგია, დაწყებული პეტრე იბერით, დამთავრებული თავისი თანამედროვეებით — გიორგი ლეონიძითა და კონსტანტინე გამსახურდიათი. გუდიაშვილი ბრწყინვალე პორტრეტისტია. თითოეული მათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განი ფსიქოლოგიური სიღრმითაა გახსნილი. მხატვარს იზიდავს შემოქმედ ადამიანთა სახეები. მწერლების, პოეტების, მხატვრების გამოხატვისას იგი ღრმად წვდება მათს შემოქმედებით მომენტს, ფსიქოლოგიას. ამიტომაც, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იგი სხვადასხვაგვარად ხსნის თითოეულის ინდივიდუალურ თვისებებს.

აი, ახალგაზრდა გურამიშვილი, მეოცნებე თვალებით, მგზნებარე ბარათაშვილი, დაძაბული ჭონქაძე, ნაღვლიანი ფიროსმანი. აი, მეცნიერების ქურუმი — აკადემიკოსი უზნაძე რაინდულ სამოსში, თვით ლადო გუდიაშვილი, ჩაფიქრებული, ოდნავ შესამჩნევი, კეთილი ღიმილით რომ გვიმზერს ავტოპორტრეტიდან; შრომის გმირი, კოლმეურნე შ. ჯეჯელავა, რომელსაც ნათელი აწმყო და მომავლის რწმენა აღბეჭდია სახეზე.

რაოდენ მომხიბვლელია გუდიაშვილისეულ ქალთა პორტრეტები, რომელთაც მხატვრის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია; ისინი ხშირად ღრმა აზრობრივი, მრავალმნიშვნელოვანი და სიმბოლური ხასიათისანი არიან. ეს პორტრეტები მუდამ რეალისტურია ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით. გარდა იმისა, რომ შემოქმედი ღრმად წვდება თავისი მოდელების — მხატვართა, მსახიობთა თუ პოეტ ქალთა შინაგან სამყაროს, იგი მათ სახეს მუდამ თავისებური იდუმალი სილამაზით ამკობს. ამ პორტრეტთა შორისაა მხატვრის მეუღლის სამი პორტრეტიც.

გასაოცარია სიღრმითა და მხატვრული სიძლიერით თამარ ციციშვილის პორტრეტი, რომელზეც მსახიობი ქალი წარმოსახულია შემოქმედებითი შთაგონების პროცესში. სურათი ღრმად შთამბეჭდავია წმინდა ფერწერულ-პლასტიკური ოსტატობის მხრივაც.

მხატვრის მიერ შექმნილ თანამედროვეთა პორტრეტებში აისახა ჩვენი ეპოქა, ჩვენი დიადი საუკუნის ადამიანები, მათი ფიქრებით, გრძნობებითა და საქმეებით. გუდიაშვილის პორტრეტთა მნიშვნელობა სცილდება ქართული ხელოვნების ფარგლებს და მსოფლიოს პორტრეტულ ხელოვნებაში ერთ-ერთ ბრწყინვალე ფურცელს შლის.

გუდიაშვილის შემოქმედების ღრმა ხალხურობაზე მეტყველებს ხალხური სანახაობრივი ნიღბების თემა — ბერიკაობა და ყეენობა, რომელსაც მხატვრის მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია. ეროვნული თეატრისადმი, მისი ისტორიისა და ფორმებისადმი ინტერესი ძალიან ადრე ჩნდება მხატვრის შემოქმედებაში. 1924 წელს იგი ქმნის სურათს ,,ყეენის მრევლი'', მომდევნო წლებში კი მთელი ციკლი იქმნება: ,,ბერიკების თავგადასავალი'', ,,ყეენობა თბილისში'', ,,ბერიკების მიერ ბოქაულის გატყეპა'', ,,თელაველი ბერიკები'', ,,ბერიკების რჩეული'', ,,XVIII ს. ნიღბების ქართული თეატრი'', ,,ყეენები — ნეფე-პატარძალი'', ,,ყეენის საპატარძლო'', ,,ბერიკების გადაცმა'', ,,ყეენის სიყვარული'', ,,მარტყოფელი ბერიკები'' და მრავალი სხვა. ეროვნული თეატრის ნიღბები იმდენად ტევადი და გამომსახველია, რომ გუდიაშვილი ფართოდ იყენებს მათ არა მხოლოდ თეატრის ისტორიისადმი უშუალოდ მიძღვნილ სურათებში, არამედ სოციალურ და ფილოსოფიურ თემაზე შექმნილ ნაწარმოებებსა და სატირულ-პოლიტიკურ გრაფიკაში.

ომისა და ნაწილობრივ მის შემდგომ წლებში შექმნილი ანტიფაშისტური პოლიტიკური გრაფიკა მხატვრის ახალი გამარჯვების დამადასტურებელია. გუდიაშვილმა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ღრმააზროვანი სატირული ფურცლები შექმნა. ამ ნაწარმოებების ფორმა — მახვილი, პოლიტიკურ-ფილოსოფიური, ფანტასტიკური გროტესკი ხელს უწყობს ნამუშევრების აღქმას, როგორც ზოგადსაკაცობრიო ენის მქონეს და ამავე დროს ეროვნული ნიშნების მატარებელს.

ამ ფურცლებში მხატვარმა ფაშიზმისადმი მთელი თავისი რისხვა და ზიზღი გამოხატა. ძალზე რთული ფორმითაა გადაწყვეტილი ნამუშევრებში სიკეთისა და ბოროტების ღრმა ფილოსოფიური პრობლემები, გახსნილია აზრი მშვენიერების მარადიულობისა და სიკეთის გამარჯვების გარდუვალობის შესახებ. ფაშიზმის ბნელი ძალები აქ საზიზღარი ცხოველების სახითაა წარმოდგენილი, რომელთა გამოსახულებები ხალხური თეატრის მხატვრის მიერ გადამუშავებულ — ახლებურად გააზრებულ ნიღბებს ჩამოგავს.

აი, ერთ-ერთი ფურცელი — ,,მოძალადე''. დედამიწიდან ამოშვერილ ხის ფესვებზე წამომჯდარ, უზარმაზარ მაიმუნს თავისი ბრჭყალებიანი თათები შიშველი ქალისათვის შემოუხვევია და თავისკენ იზიდავს. ქალი უძალიანდება, შეშინებული უკან გადახრილა, ხელები წინ გაუშვერია და მაიმუნის მოშორებას ცდილობს. ხის სქელი, მუქი ტოტი მაიმუნის ზურგსა და თავს ზემოთ გადმოზნექილა, ხოლო მისი აყვავებული რტო ქალის თავს გადმოჰფარებია.

გასაოცარია ნახატის კომპოზიცია. ორი სხეული, ოვალურად გადახლართული ხის და მის ძირში დაყრილი ქვების გროვის ოვალურ ჩარჩოშია მომწყვდეული. ნახატი გამოირჩევა მკაცრი, ზუსტი ხაზებითა და ექსპრესიით, მოძრაობის დინამიკით, რაც ნათელყოფს მხატვრის ბრწყინვალე ოსტატობას, ღრმა ჩანაფიქრს. საშინელი, ბნელი ძალები ბატონობენ მშვენიერებაზე. ამ ქვეყნად თრგუნავენ და ამახინჯებენ ცხოვრებას, სურთ თავის ძალას დაუმორჩილონ ყოველივე.

საზიზღარი, ბოროტი და ძლიერი მაიმუნის სახითაა წარმოდგენილი ეს ბნელი ძალები. ქალის სახე აქაც, როგორც საერთოდ, მხატვრის შემოქმედებაში, არაჩვეულებრივად სისხლსავსეა. ერთსა და იმავე დროს იგი არის სამყაროს სილამაზეც, სამართლიანობაც და კაცობრიობის მაღალი კულტურაც. და ვიდრე ქვეყანაზე ბნელი, ავხორცი ძალები არსებობენ, ყოველივე — რაც მშვენიერია დედამიწაზე — მახინჯდება, იმსხვრევა, სიკვდილი ემუქრება.

ფურცელზე ,,სილამაზის საიდუმლოების ამოცნობისას'' ვხედავთ, შემზარავ ცხოველებს თუ როგორ ჩაჰყავთ ბნელ სარდაფში მათივე მოკლული ცხოვრების სილამაზე. მათ წინ ულამაზესი მკვდარი ქალის შიშველი სხეული ასვენია. ჯალათთა უტყვ დრუნჩებზე არაფერი იკითხება, გარდა გულცივი ცნობისმოყვარეობისა, უტვინო, სწავლულ-პედანტების კეთილსინდისიერებით დასჩერებიან ისინი სხეულს, რომელსაც ერთ-ერთი მათგანი სკალპელით ჰკვეთს. ეს ფაშისტური მეცნიერებაა თავისი ანტიჰუმანური არსით, არაადამიანური ცდებით, ცოცხალ ადამიანებზე რომ აწარმოებს. ახლა ეს ამაზრზენი ცხოველები აჰკუწავენ ამ მშვენიერ სხეულს, რათა ამოიცნონ სილამაზის, მისი მარადიულობის საიდუმლოება.

მძიმე და მუქი ქვის თაღები დასცქერის თავს ამ საზიზღარ მხეცებს, რომელთა შორის მკვდარი სილამაზეც კი ნათელი შუქითაა გასხივოსნებული.

ფურცელზე ,,შემზარავი წლები'' გამოხატულია რამდენიმე მახინჯი კაცის ფიგურა, დაფლეთილი ტანსაცმლითა და ფაშისტური მუზარადებით: მათთვის ხელ-ფეხი შეუკრავთ და თოკებით მიუბამთ შენობის ნანგრევებზე. ამ უმწეო მახინჯთა ჯგუფის წინ აღმართულა ძლიერ ნაკვთებიანი ქალის წარმოსადეგი ფიგურა, რომელსაც ხელში ვეებერთელა, მძიმე მახვილი უპყრია. ეს კაცობრიობის სინდისია, მისი სამართლიანი რისხვა. იგი, თითქოს მზადაა აღმართოს მახვილი განწირული ფაშისტების საბოლოოდ გასანადგურებლად. თვალებაკრულს სახეზე გულგრილობა აღბეჭდია. სამართლიანი განაჩენი გამოტანილია და იგი სისრულეში უნდა მოიყვანონ.

ფაშისტთა ვანდალიზმი ომის შემდგომ პერიოდშიც აღელვებდა მხატვრის წარმოსახვას, რაც გამოხატულებას პოულობს მთელ რიგ ფერწერულ ტილოებში.

სურათში ,,წყნეთური სერენადა" დახატულია მშვენიერი ღამე მთებში. იდაყვით ყურთბალიშზე დაყრდნობილი, ნახევრადშიშველი, ახალგაზრდა ლამაზი ქალი წამოწოლილია მიწაზე, შავი კულულები მხრებზე ეფინება. იქვე, უკანა ფეხებზე ვირი წამოყუნტულა, ვიოლონოზე უკრავს და სიმღერას აყოლებს. ფიქრებში წასულ ქალს არაფერი ესმის. ღია-ლურჯი ცა, მომწვანო მთვარე და ზურმუხტისფრად მოელვარე ქალის სხეული მეტყველებს ქვეყნიერების სილამაზეზე. ამ სილამაზის ფონზე კიდევ უფრო მკაფიოდ იხატება ნაცრისფერი ვირის უშნო და სულელური გამოხატულება. მას სჯერა, რომ თავისი სერენადის საცოდავ ბგერებში შესძლებს ხორცი შეასხას ამქვეყნიურ სილამაზეს. ჭეშმარიტი ხელოვნება, რომელსაც შესწევს ძალა შეძრას ადამიანი, ასახოს ღამის, მთვარისა თუ მთების განუმეორებელი მშვენიერება, სწორედ ამ ლამაზი ქალის ჩაფიქრებულ სახეშია განსხეულებული.

გუდიაშვილის ხალხური თეატრის ნიღბები ღრმა და სხვადასხვა აზრის გამოხატვის საშუალებად იქცა. ისინი გარდაიქმნენ, გათანამედროვდნენ და შეესისხლხორცნენ მის მიერ შექმნილ მრავალ სახეს.

მხატვრის შემოქმედება უხილავი ძაფებით დაუკავშირდა უძველესი დროის ქართული ხალხური შემოქმედების საწყისებს.

ომის შემდგომ პერიოდში მშობლიურ ქვეყანაში, თუ საერთოდ მთელს მსოფლიოში, მიმდინარე პროცესები ღრმა გამოხატულებას პოულობენ მხატვრის კვლავინდებურად ინტენსიურ, ნათელ და მგზნებარე შემოქმედებაში.

ამ წლებში შექმნილ შრომის თემაზე დაწერილი სურათების ციკლში ჩანს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, იგრძნობა მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესი. გუდიაშვილი მახვილად აღიქვამს იმ მოვლენებს, რომელთა შემჩნევა მხოლოდ ღრმად დაკვირვებულ მხატვარს შეუძლია. თანამედროვეობის თემაზე შექმნილი ეს სურათები შემოქმედებითი შრომის აღტაცებული ჰიმნია, ადამიანს რომ გარდაქმნის, შთააგონებს, სულიერად ამაღლებს, მის ცხოვრებას უფრო სავსესა და ნათელს ხდის.

1946 წელს ლადო გუდიაშვილი ქმნის სურათს ,,საკოლმეურნეო ბრიგადის დაბრუნება". მას მოსდევს ,,ხილის კრეფა", ,,ბრიგადა ჩაის პლანტაციებში", ,,თამბაქოს საშრობი სოფელ ხეივანში" და სხვა.

სურათზე ,,საკოლმეურნეო ბრიგადის დაბრუნება" კავკასიონის დიდებული პეიზაჟის ფონზე ნაჩვენებია კოლმეურნე მამაკაცებისა და ქალების ჯგუფი, რომელთაც სამუშაო დაუმთავრებიათ და შინ ბრუნდებიან. ყველას მომხიბლავი, მხიარული და მომღიმარე სახე აქვს. სურათში ყოველივე ზეიმობს: ადამიანები, ბუნება. ნორჩი ბალახი, ქალების ფერად-ფერადი კაბები კაშკაშა მზეს გაუცისკროვნებია. ემოციურადაა გადმოცემული ომის შემდგომი პირველი წლის მხიარული განწყობილება, როცა ადამიანებმა არნახული დაძაბულობის ფასად მოიპოვეს გამარჯვება და მშვიდობიან შრომაში ჩაებნენ.

ამ სურათზე ნაჩვენებია შრომით გამოწვეული სიხარული და სილამაზე, მშვენიერი, კმაყოფილების გამომხატველი სახეები. მათში ჯერ არ იგრძნობა ის ფართო განზოგადება, აბსტრაგირება, რაც 60-იანი წლების სურათებისთვისაა ნიშანდობლივი. ასეთებია: ,,კოლმეურნე გოგონები", ,,ჩაის მკრეფავი ქალები". ორივე სურათი 1963 წელსაა შექმნილი და იდეური ჟღერადობით ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან.

სურათზე ,,კოლმეურნე გოგონები" გამოსახულია კოხტად ჩაცმული სამი ლამაზი ქალიშვილი, ჩამოქნილი, ზეშთაგონებული სახეებით. ერთ-ერთ მათგანს ვარდების თაიგული უჭირავს, მეორეს — ხილით სავსე ვეებერთელა კალათა, მესამე კი უდარდელად უკრავს სალამურზე. მთელი სურათი გამსჭვალულია ნათელი, ხალისიანი განწყობილებით, რასაც ხელს უწყობს საერთო ფერადოვანი გამა: ლაჟვარდოვანი ცა, ზურმუხტოვანი გვირგვინები. ქართული მიწის ნაყოფიერება და სიუხვე იგრძნობა თაიგულის ცოცხალ ფერებში და ამ მომხიბლავ გოგონებში, რომელნიც ბუნებასთან მთლიანობაში არიან წარმოდგენილნი.

უფრო სინთეტურ-განზოგადებულად წარმოგვიდგება სამი ქალიშვილის სახე სურათში ,,ჩაის მკრეფავი ქალები". მთის პეიზაჟის ფონზე ქალიშვილები წარმოსახულნი არიან რამდენადმე პირობითი ლაკონიურობით, მათი მშვენიერი სახეები კიდევ უფრო დახვეწილი და შთაგონებულია. პეიზაჟი და ქალიშვილების სამოსი ეხამება ერთმანეთს. ქალის სახე ამ ნაწარმოებებში დედამიწის მარადიული სილამაზის სიმბოლოდ, მისი ნაყოფიერების მთავარ ძალად წარმოგვიდგება.

ამგვარად, შრომის თემა ლადო გუდიაშვილის შემოქმედებაში თანდათანობით აბსტრაგირებულ, ფართოდ განზოგადებულ ხასიათს იძენს. მხატვარი სამყაროს ასახავს არა მარტო როგორც დაკვირვების, არამედ როგორც აზროვნების შედეგს.

გუდიაშვილის მიერ სინამდვილის წვდომა სულ უფრო ღრმავდება და თანდათან ცხოვრების ახალ და ახალ სფეროებს მოიცავს. მისი ხელოვნება აშუქებს ყველა ჭეშმარიტად თანამედროვე მოვლენას და ამავე დროს კაცობრიობის ხვალინდელ დღესაც სჭვრეტს. მხატვრის შემოქმედება შორს სცილდება ეროვნულ საზღვრებს და ზოგადსაკაცობრიო ფიქრთა, განსჯათა გამოხატვას იწყებს.

უკანასკნელი წლების ნაწარმოებებში, ,,მზის დაბნელება", ,,თეთრი ქალიშვილები და შავი მგლები", ,,ბრძოლის შემდეგ" და სხვ. გამოხატულებას პოულობს შემაშფოთებელი ფიქრები ატომური ომის საშიშროებაზე.

გუაშით შესრულებულ ,,მზის დაბნელებაში" ქალი წარმოსახულია უცნაური, კოსმიური პეიზაჟის ფონზე. მისი სახის ნახევარი და ხელი ავბედით შავ ჩრდილს დაუფარავს. თავს ზემოთ ატომის სოკო გადაშლილა. ქალი ჩაფიქრებული იყურება წინ, ხელში ვაშლი უჭირავს, რომელიც დედამიწის ალეგორიად აღიქმება. ეს არის ძალზე რთული სახე — თვით ცხოვრების სახე წინააღმდეგობათა მთლიანობაში. მასში ხორცშესხმულია ორი მებრძოლი საწყისი: სიკეთე და ბოროტება, სინათლე და წყვდიადი. დედამიწის სფერო — ვაშლიც ორ ფერადაა შეღებილი: ნახევარი განათებულია, ნახევარი ჩაბნელებული. რა გაიმარჯვებს: სიკეთე თუ ბოროტება, სინათლე თუ წყვდიადი?

სურათი დაწერილია შავი, წითელი, ლურჯი, ცისფერი და ვარდისფერი მკაფიო ტონებით.

ამავე თემაზეა შექმნილი ,,თეთრი გოგონები და შავი მგლები" (გუაში). ცხოვრების სილამაზეს მუდამ საშიშროება ემუქრება. მას კვლავ ბოროტი ძალები უტევენ, ისინი ებრძვიან სიკეთეს. აქაც განზოგადებულია პეიზაჟი-- სამყარო.

,,ბრძოლის შემდეგ" (გუაში). ორ უზარმაზარ ხარს თავი დაუხრია, ფეხები მტკიცედ მიუბჯენია მიწაზე და ზედ უფსკრულის პირას შეჩერებულა. ერთ-ერთი ხარის ზურგზე ღონემიხდილი, ნახევრად თვალდახუჭული ყმაწვილი გაწოლილა, ხელები უღონოდ ჩამოსცვენია, მეორე ხარის ზურგს კი ლომი ჩაჰფრენია და ყურადღებით ათვალიერებს ყმაწვილს, თავი მის სხეულზე დაუდვია, ცდილობს თავისი სითბო გაუნაწილოს. ლომი — ალეგორიულად ხელოვნებას გამოხატავს.

კაცობრიობა არ უნდა დაიღუპოს — ასეთია მხატვრის დასკვნა. გაწამებული, დაკოდილი მაინც შეჩერდება უფსკრულის პირას, საითკენაც იგი ატომურ სიგიჟეს მიჰყავს. ხელოვნება მოწოდებულია კაცობრიობასთან ერთად იდგეს სიცოცხლის სადარაჯოზე.

მხატვარს მოსვენებას არ აძლევს კაცობრიობის მომავალი ბედი და ხორცშესხმას პოულობს ლადო გუდიაშვილის ისეთ თავისებურ ნაწარმოებში, როგორიცაა: გუაში „დედობა". ღია ლურჯი, მწვანე ლაქებისა და ოქროსფერი შხეფების ფონზე გამოსახულია შიშისაგან სახეშეცვლილი ლამაზი ქალის სახე — დედას ღია ცისფერი თვალებიდან ღაპა-ღუპით ჩამოსდის ცრემლები. ზეაწვდილ ხელებში პირმშო უპყრია, რომელიც ვერ გრძნობს იმ მწარე ხვედრს, მას რომ ემუქრება. ქალის წინ ამოზიდულია ქრისტეს სახე. თავს ოქროს შარავანდედი მოსავს, ნაღვლიანად და გულისტკივილით შეჰყურებს ბავშვს.

გუდიაშვილის ქრისტეს, ცხადია, არავითარი საერთო არა აქვს სახარების ქრისტესთან. მისი ქრისტე კაცობრიობის უმაღლესი სიბრძნის, მისი სინდისის, მასში ჩაქსოვილი კეთილი ძალების განსახიერებაა. დედა მიმართავს ამ უმაღლეს სიბრძნეს, ევედრება იხსნას მისი ბავშვი, იხსნას კაცობრიობა დაღუპვისაგან.

ეს ერთადერთი ნაწარმოებია, სადაც მხატვარი ქრისტიანულ სიმბოლიკას მიმართავს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს არის მხატვრული გამომსახველობის ახალი ფორმების ძიება. ნაწარმოები გამაოგნებელ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე.

კოსმოსის დაპყრობას გამოხატავს „ევა" (გუაში). მასზე გამოსახულია თეთრი ყვავილების გვირგვინით მოსილი, მოზეიმე, უჩვეულო სილამაზის შიშველი ქალი. მის წინ მუხლმოდრეკილი მამაკაცი აღტაცებით უწვდის ღვინით სავსე სასმისს. ეს არის დედამიწაზე სიცოცხლის დამამკვიდრებელი ქალი, მასშია ის ყოვლისმძლე ძალა და ძლიერება, რომლის განადგურება შეუძლებელია. ქალის ოქროსფერ სხეულს თითქმის მთელი ფურცელი უკავია. იგი სამყაროს ზევით ამოზიდულა, როგორც მისი ყველაზე მძლავრი ძალა. „ევა" ოპტიმისტური ჟღერადობის ნაწარმოებია. მასში გამოხატულია მხატვრის რწმენა ცხოვრების ძალთა საბოლოო გამარჯვებისა და სიცოცხლის უკვდავებისა.

უფრო მეტი ძალით ჟღერს ეს რწმენა გუაშით შესრულებულ ნამუშევრებსა და ფერწერული ტილოების ციკლში, რომელიც მხატვარმა ბოლო წლებში შექმნა. ესენია „ქალი ჩიტით", „მანანას შემოსევა", „ვარძიელი ასული" და სხვა.

განსაკუთრებით გამომსახველია სურათი „ქალი ჩიტით". ღია ლურჯ ფონზე გამოიყოფა სავარძელში მჯდომი ქალის მოცისფრო, თითქოსდა გაცისკროვნებული ფიგურა, მისი დენადი, ჰარმონიული ხაზები. ქალის ლამაზად მოხრილ, მაღლა აწეულ ხელის მტევანზე ყვითელი ჩიტი ჩამომჯდარა. ოდნავ მობრუნებულა თვალებმილეული, მშვიდი სახის; სურათში შექმნილია ფერები, ხაზები და განწყობილების საოცრად მშვიდი, მელოდიური ჰარმონია. იგი ღაღადებს სილამაზეზე, სიკეთესა და მშვენიერებაზე.

სულ უკანასკნელ ხანს გუაშით შესრულებული ნამუშევრები „კოლხიდელი ფერია", „ცისარტყელა", „ცისკრის დედოფალი", „ჯადოქარი" და სხვა, გვაოცებს ხაზების იშვიათი სისუფთავითა და დახვეწილობით, ფერთა გამჭვირვალებითა და სინაზით, ქალთა სახეების მშვენიერებით. ამ სახეებში მხატვარი ისწრაფვის წარმოსახოს მომავლის ადამიანი.

გუდიაშვილის იდეალები, რომლის ხორცშესხმისათვის იღვწის იგი ხელოვნებაში, სანუკვარი და მახლობელია ყველასათვის, ვინც კი თაყვანს სცემს ყოველივე ამაღლებულს, კეთილსა და მშვენიერს.

ხელოვნებაში ეროვნული ხასიათის შენარჩუნებასთან ერთად, გუდიაშვილი თავის ბოლოდროინდელ ნაწარმოებებში ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემებს აყენებს. სწორედ ამაში მდგომარეობს ეროვნული კულტურის განვითარების დიალექტიკა. ეს დიალექტიკა ნათლად ჩანს გუდიაშვილის შემოქმედების განვითარებაში, დაწყებული ციკლით „კინტოები", „მზის დაბნელებამდე" და „ევამდე".

ლადო გუდიაშვილმა თავისი ხელოვნებით მთელ მსოფლიოს გააცნო საქართველო, ქართველი ხალხი, მისი ცხოვრება და შრომა, მისი განუმეორებელი ბუნება, საბჭოთა ადამიანის ჰუმანიზმი და მაღალი იდეალები. ეს ხელოვნება ცხოვრებასავით ყოველთვის ახალია, ამოუწურავი და შთამაგონებელი.



ჩაჩუა-სელეზნიოვა.
აჭარული ხილი

შ. ხოლუაშვილი. ფიროსმანი აჭარაში





ნ. იაკოვენკო. აზოვის ზღვაზე



ა. გაგნიძე.
სიცოცხლის ნერგები

# აჭარის მხატვართა საიუბილეო გამოფენიდან თბილისში



რ. კალანდარიშვილი. მეგობრის პორტრეტი

მ. ბოლქვაძე. ჯარისკაცის პორტრეტი



ი. ჩხეიძე. ინტერნაციონალი





გაბო გოგიჩაშვილი

# პოლიგრაფიული კულტურის სამსახურში

თენგიზ თალაკვაძე

წარსულ საუკუნეებს მდიდარ და ხელთუქმნელ რელიკვიებად შემოუნახავს ქართული წიგნები და მათი შემკულობა იმ წარსულს გვახსენებს, როცა ჩვენს წინაპრებს წიგნთაკაზმვის ხელოვნებაში ბევრი ვერ დაუდებდა ტოლს.

ძველი საქართველოს კულტურისა და აზროვნების სამყარო წიგნების სახითაც იშლება ჩვენ თვალწინ. ქართველი ოსტატები არასდროს ყოფილან უცხოურის ბრმა მიმდევრები და წიგნის მხატვრულად დამუშავებისას ყოველთვის ამჟღავნებენ ინდივიდუალურ სტილს, პლასტიკურობასა და გამომსახველობას. ფაქიზი გემოვნება, ხატოვანი კოლორიტული კონტურები, ქართული ასოთაწყობის სილამაზე და წიგნის გვერდების დეკორატიულ-ორნამენტული მორთულობის ელემენტები ყოველთვის ერწყმოდა ტექსტს და ამა თუ იმ ეპოქის შესატყვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებდა. ,,ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთ ეგზემპლარზე, რომელიც მეფე გიორგი მეთერთმეტის დაკვეთითაა შესრულებული, წარწერილია, რომ გიორგი მეთერთმეტემ ,,წარაგო მრავალი წარსაგებელი და ენება, რათამცა ფრიად კეთილმშვენიერ ყოფილიყო, თუინიერ ნაწერისგან კიდე".

წიგნის გაფორმების ხელოვნება ერწყმის მის შინაარსს, გამოსახავს საზოგადოების მოთხოვნილებებს, ნაციონალური კულტურის თვითმყოფადობას. წიგნის გამოცემის კულტურის ამაღლებაში, მისთვის დასრულებული სახის მიცემაში, დღეს პოლიგრაფიული ხელოვნება ასრულებს ყველაზე დიდ როლს. პრაქტიკულად აქ ხორციელდება გამომცემლობათა ჩანაფიქრი წიგნის გაფორმებისა. პოლიგრაფისტებზეა დამოკიდებული ამ ჩანაფიქრის შესრულება ტექნიკურად. ,,სტამბურ აკურატულობას და გამოცემის მოხდენილობას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს" — ამბობდა ლენინი.

წიგნის გამოცემის თანამედროვე დონე არნახული ტემპით მიიწევს წინ და ზრდის მკითხველთა მოთხოვნილებებს ყოველი ახალგამოცემული ბეჭდვითი პროდუქციისადმი.

ქართული წიგნები თავისი გაფორმების მხატვრული ღირებულებით უკვე კარგა ხანია ყურადღებას იპყრობენ გამოფენა-კონკურსებზე. ქართულ პოლიგრაფიაში ფერადი ბეჭდვის ისტორია და განვითარება 1935 წლიდან იწყება, როცა ჟურნალ ,,საბჭოთა ხელოვნების" მე-5 ნომრის ფურცელყდაზე მოთავსდა პირველი ფერადი ფაქსიმილირებული კლიშეს ანაბეჭდი. მისი ავტორი იყო ცნობილი პო-

ლიგრაფისტი, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი, თბილისის ფერადი ბეჭდვის სტამბის დირექტორი, გაბო ესტატეს ძე გოგიჩაშვილი, რომელსაც დაბადებიდან 60 და შრომითი მოღვაწეობის 45 წელი შეუსრულდა. დიდია მისი ღვაწლი ჩვენს პოლიგრაფიულ წარმოებასა და ფერადი მაღალი ბეჭდვის განვითარებაში. პოლიგრაფიულ ასპარეზზე თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე მან გაელო გზა შეგირდიდან სტამბის დირექტორამდე.



საიუბილეო საღამოს პრეზიდიუმში

გ. გოგიჩაშვილი დაიბადა 1911 წლის 25 თებერვალს, სოფელ ატოცში (ქარელის რაიონი). 15 წლის ყმაწვილი ქალაქად ჩამოდის და შეგირდად იწყებს მუშაობას პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა ტექნიკურ სექციაში, სადაც ფოტოცინკოგრაფიის საამქრო იყო ჩამოყალიბებული. ამ საქმის მოთავე ახალგაზრდა სტუდენტი ირაკლი ტარუაშვილი იყო. საამქროში მაშინ მზადდებოდა შავ-თეთრი კლიშეები პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნიკური ლიტერატურის გამოცემებისათვის. შემდეგში, როცა პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამომცემლობას აღარ შეეძლო ცინკოგრაფიის სრული ძალით ამოქმედება, წარმოების წარმადობის ზრდის მიზნით იგი „სახელგამს" დაუქვემდებარეს. პოლიგრაფიის ზრდის ტემპებისათვის, მაღალპროდუქციული ილუსტრირებისათვის საჭირო გახდა ფერადი კლიშეების დამზადება და ამისათვის გ. გოგიჩაშვილი 1943 წელს გაგზავნილი იქნა მოსკოვში, „გოზნაკის" ფაბრიკაში. იქიდან დაბრუნებული გამრჯე ოსტატი მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემს სტამბის მუშაკებს. ასე გაიკვლია გზები ფერადი ბეჭდვის დასამკვიდრებლად ქართულ პოლიგრაფიაში. ომამდე გ. გოგიჩაშვილის თაოსნობითა და ოსტატობით გამოცემული იქნა წიგნი-ატლასი „საქართველოს ხილის" ორი ტომი (ავტორი პროფესორი ნ. ხომიზურაშვილი, რედაქტორი აკადემიკოსი ნ. კეცხოველი), რომლის ფერადი ილუსტრაციების დაბეჭდვა ლაიფციგში იყო განზრახული.

1941 წელს გაბო გოგიჩაშვილი თავის კოლეგებთან ერთად სამშობლოს დასაცავად გაიწვიეს არმიაში. ჯარიდან ჩამოსვლის შემდეგ მან განაგრძო თავისი საქმიანობა ცინკოგრაფიის საამქროს ოსტატის თანამდებობაზე. სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურეს აქ დაბეჭდილმა წიგნებმა; მათ შორის ყურადღების ღირსია ი. აბაშიძის „რას გადაურჩა თბილისი", ქართული ხალხური ზღაპარი „ადიხანჯალა", მხატვრული ალბომი „ნათელა იანქოშვილი", ა. პუშკინის „ზღაპარი" და სხვ.

გაბრიელმა შრომას სწავლაც შე-

მაყურებელთა დარბაზში



უთავსა და ამ დროისათვის რამდენიმე პროფესიას იყო დაუფლებული. დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული მუშფაკი, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. 1959 წელს გაბო გოგიჩაშვილი დანიშნული იქნა ფერადი ბეჭდვის სტამბის დირექტორის მოადგილედ და დირექტორთან, ერთ-ერთ პირველ ქართველ ცინკოგრაფ ი. ნაცვლიშვილთან ერთად აკეთებდა დიდ მამულიშვილურ საქმეს. ერთი წლის შემდეგ გაბრიელი უკვე ფერადი ბეჭდვის სტამბის დირექტორია.

იგი დღესაც დიდი პასუხისმგებლობით, სიყვარულითა და ენერგიით უძღვება ქართული ცინკოგრაფიის საქმიანობას. ყველასათვის ცნობილია ფერადი, ილუსტრირებული ,,ქართული ხელნაწერების" დიპლომი, უფრო ადრე კი გენიალური რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნის" ვერცხლის მედალი. აქ ახლა მზადდება ბუკლეტები და ალბომები, უკვე გამოვიდა ს. ქობულაძის ალბომი, წიგნის ბაზარზე გამოჩნდება ,,ქართული ჭედურობა", ,,თბილისი", მზადდება ბუკლეტები ბაზელის მსოფლიო სამრეწველო გამოფენაზე გასაგზავნად.

ქართული წიგნის მოამაგის გაბო გოგიჩაშვილის ღვაწლის დიდი დაფასება იყო 12 მარტის საღამო ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის კლუბში. ეს საღამო მიეძღვნა იუბილარის დაბადების 60 და შრომითი მოღვაწეობის 45 წლისთავს.

საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ მწერლები, მხატვრები, კულტურის მოღვაწენი, პოლიგრაფისტები, ქართული წიგნის მოყვარულნი და მკითხველნი. იუბილარს მიულოცეს გ. ქველაძემ, ვ. ჭელიძემ, კ. ლორთქიფანიძემ, კ. კალაძემ, თ. გოგოლაძემ, უ. ჯაფარიძემ, ნ. იანქოშვილმა, ზ. ბოლქვაძემ, ვ. ბერიძემ, თ. ჯანგულაშვილმა, ჯ. ჩარკვიანმა. საღამოზე წაკითხულ იქნა ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძის, ნიკო კეცხოველის, ლადო გუდიაშვილის მისალმებანი იუბილარისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ზ. ახვლედიანმა გ. გოგიჩაშვილს გადასცა ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელი და კომიტეტის კოლექტივის სახელით მიულოცა ეს ჯილდო.

საზეიმო სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე დ. გოგოხია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი მ. მეგრელიშვილი.

# ვახტანგ ფალიაშვილის შემოქმედებითი საღამო



ვახტანგ ფალიაშვილი

სამი ათეული წელია, რაც საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი სადირიჟორო პულტთან დგას. იგი გამოჩენილი ქართველი მუსიკოსების ზაქარია, ივანე, პოლიკარპე და ლევან ფალიაშვილების მემკვიდრეა და აგრძელებს ამ სახელოვანი ოჯახის შესანიშნავ მუსიკალურ ტრადიციებს, მთელის პასუხისმგებლობით ემსახურება ეროვნული მუსიკალური კულტურის აღმავლობას.

მართლაც, მისი ვრცელი შემოქმედებითი გზა აღსავსეა მრავალფეროვანი და ინტენსიური მოღვაწეობით. მას ყოველთვის მაღალ პროფესიულ დონეზე მიჰყავს საოპერო, საბალეტო სპექტაკლები და სიმფო-



ვახტანგ ფალიაშვილის შემოქმედებით საღამოზე

ნიური კონცერტები. იგი აქტიურად მონაწილეობს ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებით ძიებაში, არა ერთი და ორი ახალი ქართული ოპერისა და ბალეტის პირველი შემსრულებელი და ინტერპრეტატორია.

ვ. ფალიაშვილი ეწევა აგრეთვე ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც აღზარდა საგუნდო დირიჟორთა რამდენიმე თაობა; ისინი დღეს მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მუსიკალურ ორგანიზაციაში.

პარალელურად ვ. ფალიაშვილი აქტიურადაა ჩაბმული საგასტროლო ცხოვრებაშიც. იგი კონცერტებით გამოდიოდა დემოკრატიულ ქვეყნებში, ეგვიპტეში, ინგლისსა და იაპონიაში.

ამჟამად ვ. ფალიაშვილი თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი დირიჟორია.

ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენს საოპერო თეატრში შედგა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, პროფესორ ვ. ფალიაშვილის სადირიჟორო მოღვაწეობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამო. ჩატარდა ორგანყოფილებიანი კონცერტი, პულტთან იუბილარი იდგა. ამ კონცერტზე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ორკესტრმა ვ. ფალიაშვილის დირიჟორობით შეასრულა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისის" შესავალი, როსინის ოპერა „სევილიელი დალაქისა" და რ. ვაგნერის ოპერა „რიენცის" უვერტიურები. აჟღერდა არიები როსინის, დონიცეტის, ვერდის, ვაგნერის, პუჩინის, ლეონკავალოს, მასკანის, გლინკას, ფალიაშვილის ოპერებიდან. კონცერტში მონაწილეობდნენ ჩვენი საოპერო თეატრის წამყვანი ძალები — სსრ კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, საქართველოს სახალხო არტისტები — ნ. ტუღუში, ი. შუშანია, შ. კიკნაძე, ლ. ჭყონია, ო. კუზნეცოვა, თ. მუშკუდიანი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები — თ. ზაალიშვილი, რ. კაკაბაძე, ზ. სოტკილავა.

კონცერტზე შესრულდა აგრეთვე ცეკვა „ქართული" ზ. ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი" საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტების ა. დვალისა და ვ. გუნაშვილის მონაწილეობით, პა-დე-დე მინკუსის ბალეტიდან „ბაიადერა" — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ირინე ჯანდიერისა და ბალეტის სოლისტის ვ. აბულაძის შესრულებით. მოშკოვსკის „ვალსს" ასრულებდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლ. მითაიშვილი და ბალეტის სოლისტი ვ. აბაშიძე. საღამოს დასასრულს ვახტანგ ფალიაშვილს მხურვალედ მიესალმა ჩვენი საოპერო თეატრის დასი.




# ჭეშმარიტი აღიარება

← საიუბილეო აფიშა

დიდი შემოქმედებითი გზა განვლო ახლა უკვე საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მარინე თბილელმა, ვიდრე თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მოვიდოდა. თბილისში თეატრალური ინსტიტუტი რომ დაამთავრა, რუსთაველის სახელობის თეატრის დასში





ჩარიცხეს. შემოქმედებითი ძიებით აღსავსე ოთხი წელი გაატარა დიდი ტრადიციების მქონე სახელგანთქმულ თეატრში, შემდეგ რამდენიმე ხანს სოხუმის თეატრშიც მუშაობდა და საკმაო წარმატებით განახორციელა მთელი რიგი როლები.

მსახიობის ნიჭი სრულყოფილად მაინც, როგორც თვითონ უწოდებს, მის მშობლიურ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში გაიშალა. ის, რაც ინსტიტუტის დამთავრების პირველ ხანებში ხიბლავდა ქართველ საზოგადოებრიობას, და რაც სხვა თეატრებში განსახიერებული ცალკეული გმირებით ამოიწურებოდა, მაყურებლის წინაშე მთელი შესაძლებლობით წარმოდგა, გაღრმავდა და გამდიდრდა მარჯანიშვილის თეატრში. აქ შეიძინა უფრო მეტი მომხიბვლელობა და უშუალობა, გამომსახველობა და სცენური სიმართლე.

განვლილ წლებში განსახიერებულ გმირთა გალერეას, რომელიც რამდენიმე ათეულ სახელს იტევს, თუ დავუმატებთ უკანასკნელ დროს შექმნილ ლარას („ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე"), დარეჯანს („კაცია-ადამიანი?") და კეკელას („ძველი ვოდევილები") იერსახეებს, ნათელი გახდება, რომ მარინე თბილელის სახით ქართულ თეატრს ჰყავს ნიჭიერი, მაღალ სცენურ ოსტატობას დაუფლებული, მაძიებელი და დიდად ნაყოფიერი მსახიობი. მისთვის არ არსებობს მიუღწეველი. ცეცილია წუწუნავას უბადლო ოსტატობით განსახიერებული დარეჯანის შემდეგ ძნელად წარმოსადგენი იყო სხვა ვინმე ამ როლში. მართლაცდა, რამდენი წელი გავიდა წუწუნავას გარდაცვალებიდან და თითქოს არ ჩანდა მისი შემცვლელი. მსახიობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ჩინებული გამგრძელებელი აღმოჩნდა ტრადიციისა, მან ამავე დროს ახლებურად,



„ოქროს კაცი ბეწვის ხიდზე" — მ. თბილელი და ი. ტრიპოლსკი. →



სცენები სპექტაკლიდან „ძველი ვოდევილები" ←

თავისებურად გახსნა ეს რთული სახე და ღირსეული პარტნიორობა გაუწია ვასო გოძიაშვილის ლუარსაბს

მარინე თბილელს დიდი გამოცდილება აქვს მიღებული როგორც დრამატულ, ისე კომიკურ როლებში, როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვეობის ამსახველ პიესებში. ეს მსახიობის ფართო შემოქმედებით დიაპაზონზე მეტყველებს.

ასევე ფართოა მსახიობის მოღვა-

სცენები სპექტაკლიდან „კაცია-ადამიანი?!“







წეობის სფერო. იგი მარტო თეატრით როდი შემოიფარგლება. მან კინოში მაშინ შედგა ფეხი, როდესაც საკმაოდ პოპულარული და აღიარებული იყო თეატრში. კინოშიც მალე მიაღწია წარმატებას, ღრმა შინაგანი ძალითა და სიმართლით განახორციელა ქართველ ქალთა სახეები. მას რესპუბლიკის გარეთაც, სხვა კინოსტუდიები იწვევენ თავიანთ გადაღებებზე. მსახიობი ზრდის საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას. ყოველივე ამან მას ჭეშმარიტი აღიარება მოუპოვა.

ახლახან მარინე თბილელს დაბადების ორმოცდაათი და სასცენო მოღვაწეობის ოცდაათი წელი შეუსრულდა. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მაყურებელთა დარბაზი ვერ იტევდა ამ თარიღისადმი მიძღვნილ საღამოზე დასწრების მსურველთ, მისი შემოქმედების დამფასებლებს.

საღამოზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და მთავარმა რეჟისორმა, საქართველოსა და უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა, შევჩენკოს სახელობის პრემიის ლაურეატმა დიმიტრი ალექსიძემ. იუბილარის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნა სცენები სპექტაკლებიდან ,,ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“, ,,კაცია-ადამიანი?!“ ,,ძველი ვოდევილები“.

იუბილარს მიესალმნენ და მიულოცეს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე: საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა დ. ანთაძემ, ვ. ანჯაფარიძემ, პ. ამირანაშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტებმა: ს. ყანჩელმა, ვ. სალარიძემ, მ. პიასეცკიმ, შ. პირველმა, დ. აბაშიძემ, თბილისისა და რესპუბლიკის თითქმის ყველა თეატრის, ფილარმონიის წარმომადგენლებმა და სხვ.

საღამოს დასასრულს მარინე თბილელმა მადლობა გადაუხადა მისი ხელოვნების დამფასებლებს.

# სიმშვენიერის მემატიანე

გია ტორიაშვილი

ხის უბრალო ჩარჩოში უჩვეულო მანერით დახატული სურათია ჩასმული, შავ ფონსა და თეთრი კონტურებით შემოხაზულ პლასტიკურ სხეულს შორის ნაპერწკალივით ანთია თეთრი ლაქა.

...შორს, გაშლილ ზღვაში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შესჭიდებიან ერთმანეთს პატარა, სუსტი მეთევზე და დიდი, ძლიერი თევზი. ადამიანი მაღლა შემართული ხელებით ცდილობს შეაკავოს იგი, რომელიც აბობოქრებულ ტალღებში უპირებს შეთრევასა და მოსპობას. ექსპრესიით სავსე ადამიანის სხეულში გონიერება, ადამიანური ძალა და გამარჯვების რწმენა იგრძნობა.

მიუხედავად იმისა, რომ აქ ადამიანის მხოლოდ თეთრი სილუეტია დახატული, მნახველი უმალ შეიცნობს მასში მოხუც სანტიაგოს თავისი ოცნების თევზით ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობიდან ,,მოხუცი და ზღვა". ნახატის აღქმას ისიც უწყობს ხელს, რომ მასში ნაწარმოების ავტორისეული გაგების ძირითადი არსი, მისი განწყობილებაა გადმოცემული.

რევაზ თარხან-მოურავი 1943 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიაში. აუსრულდა ჭაბუკს ოცნება. დაიწყო სწავლისა და ძიების წლები. ჭაბუკი გატაცებით ეცნობოდა სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის დიდოსტატთა ნამუშევრებს. ეტრფოდა მათს შემოქმედებას, მაგრამ ცდილობდა არ მოქცეულიყო ამ ხელოვანთა გავლენის ქვეშ. ყოველდღიურად საათობით მუშაობდა, არჩევდა ვარიანტებს, იმუშავებდა ხატვის საკუთარ ხელწერას.

მის დაოსტატებაში დიდი როლი ითამაშეს გამოჩენილმა მხატვრებმა და პედაგოგებმა მოსე თოიძემ, დავით კაკაბაძემ, სანდრო ციმაკურიძემ, აპოლონ ქუთათელაძემ, უჩა ჯაფარიძემ, კორნელი სანაძემ, სერგო ქობულაძემ და სხვებმა. ისინი ეხმარებოდნენ ჭაბუკს ხატვის რთულ და მიმზიდველ სამყაროს ჩაწვდომაში, დიდოსტატთა ნააზრევის საიდუმლოებათა გარკვევაში.

1947 წელს რ. თარხან-მოურავი მოსკოვის კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში აგრძელებს სწავლას, სადაც ეუფლება კინოს სპეციფიკას, დრამატურგისა და რეჟისორის ჩანაფიქრის მხატვრულად ხორცშესხმის ხელოვნებას. თავისუფალ დროს გატაცებით მუშაობს გრაფიკაში. 1949 წელს თბილისში, ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართულ ახალგაზრდა მხატვრების გამოფენაზე ამერიკელი ზანგი პოეტების ლექსებისათვის შესრულებული ილუსტრაციები გაიტანა. სერიას წარმატება ხვდა. ბრწყინვალე დებიუტმა გაამხნევა ახალგაზრდა და დიდი გულისყურითა და გატაცებით შეუდგა შემოქმედებით შრომას.

საქართველოს დედაქალაქის იუბილეს მიეძღვნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ,,თბილისი 1500 წლისაა", რომელმაც წარმატებით მოიარა საკავშირო ეკრანები. ფილმის მხატვრობა რ. თარხან-მოურავს ეკუთვნოდა.

1951 წელს რ. თარხან-მოურავი კვლავ დაუბრუნდა თბილისის სამხატვრო აკადემიას, რომელიც 1954 წელს დაამთავრა თეატრალურ-დეკორატიული განხრით და თეატრალური სპექტაკლების გაფორმებას მოჰკიდა ხელი. მან თელავის თეატრში რეჟისორ თ. მაღალაშვილთან ერთად დადგა სპექტაკლები: ,,სისხლიანი ქორწილი", ,,პირველი ყეენობა" და ,,როგორ მოვარჯულოთ ცოლი". მისი გაფორმებით ჭიათურის თეატრში დაიდგა სპექტაკლი ,,სასტუმროს დიასახლისი". შემდეგ რ. თარხან-მოურავი კვლავ თბილისშია. ამჯერად იგი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მიიწვიეს ოპერა ,,ნანას" გასაფორმებლად, ხოლო შემდეგ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სპექტაკლ ,,ფეხბურთელებზე" სამუშაოდ.

1955 წელს რესპუბლიკურ გამოფენაზე ახალგაზრდა ხელოვანმა კუბელი პოეტის ნიკოლას გილიენის ლექსებისათვის შესრულებული ილუსტრაციები წარადგინა. მისმა ნამუშევრებმა საერთო აღიარება ჰპოვა.

1957 წელს არქიტექტორთა კავშირის საგამოფენო დარბაზში მოეწყო მხატვრების ედმუნდ კალანდაძისა და რევაზ თარხან-მოურავის ნამუშევართა გამოფენა. ეს იყო ახალგაზრდა მხატვართა დამოუკიდებელი შემოქმედებითი საქმიანობის ანგარიში.

1963 წელს თბილისში შეიქმნა ტექნიკური ესთეტიკის საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის ფილიალი. რ. თარხან-მოურავს ინსტიტუტის საყოფაცხოვრებო ინტერიერის განყოფილების ხელმძღვანელობა შესთავაზეს. მის ფუნქციებში



რ. თარხან-მოურავი.
მხედრული

შედიოდა ლამაზი და სადა ავეჯის, ჭაღების, დეკორატიული ფარდების შექმნა. მხატვრის ცხოვრებაში დაიწყო ახალი, შრომატევადი, მომქანცავი, მაგრამ ამავე დროს საინტერესო პერიოდი. სახაზავითა და ფანქრით „შეიარაღებული“ მხატვარი გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა ნახაზებსა და ესკიზებს, არჩევდა ათასგვარ ვარიანტს, ფაქიზად ხვეწდა ყოველი საგნის კონტურებს.

პარალელურად რ. თარხან-მოურავი თავისი გრაფიკული ნამუშევრებით გამოფენებზეც იღებს მონაწილეობას. მან დინარა ნოდიასთან ერთად მონაწილეობა მიიღო ვენაში გამართულ სტუდენტებისა და ახალგაზრდობის ფესტივალზე გახსნილ საერთაშორისო გამოფენაზეც. მათი ნამუშევრები ჟიურიმ დიპლომებით დააჯილდოვა. რ. თარხან-მოურავის ნაწარმოებებს დიდი ინტერესით ეცნობოდნენ მოსკოვსა და



ლახტი

ლელო



კიევში, ლონდონსა და კოპენჰაგენში და დამთვალიერებელი ყველგან კმაყოფილი რჩებოდა ქართველი შემოქმედის ნამუშევრებით.

ქართული ტრადიციების სიყვარული გამოსჭვივის რ. თარხან-მოურავის შესანიშნავ ალბომ-სუვენირში ,,ქართული ცეკვები, სიმღერები, თამაშობანი''.

მრავალმხრივია რ. თარხან-მოურავის შემოქმედებითი დიაპაზონი. მან მრავალი წიგნი დაასურათა, თეატრალური დადგმა და კინოფილმი გააფორმა.

ფართო ფანჯრებიდან მზის სხივები იჭრება. სახელოსნოს კედლებზე ტილოა გაკრული, რომელზეც ქარვისა და ღია შინდისფერ ტონებში აბობოქრებულ მამაკაცთა შიშველი სხეულები აღბეჭდილა — ძველად რთველობისას ასეთი წესი ჰქონდათ ჩვენს შორეულ წინაპრებს, ვენახში მხოლოდ მამაკაცები შედიოდნენ. ილხენდნენ, სვამდნენ მადლიანი ქართული მიწის, მევენახისა და მეღვინის, ვაზის სადიდებელს. შიშვლდებოდნენ, ვაზებით იმკობდნენ სხეულს, რიგთა შორის დატორტმანობდნენ, ვაზის ჩახლართულ ტოტებს ეკვროდნენ, თითქოს მთელი სხეულით სურდათ შეესრუტათ დალოცვილი მცენარის მარცვლებში ჩამდგარი წვენი.

ყვარლის სადეგუსტაციო დარბაზის კედელს დაამშვენებს ეს მონუმენტური ფერწერული ტილო ,,ვაზის დღესასწაული'', რომელზეც დიდი გატაცებით მუშაობს საქართველოს დამსახურებული მხატვარი რევაზ თარხან-მოურავი.

კინტოური





ნადეჟდა ხარაძე

# შეხვედრა მომღერალთან

მანანა ახმეტელი

ამ რამდენიმე წლის წინ ჩვენს დედაქალაქში მეტად საინტერესო და თავისებური მუსიკალური ტრადიცია დაიბადა. დროდადრო გამოჩენილი მხატვრის ელენე ახვლედიანის სახელოსნოში კონცერტები იმართება. ამ კოლორიტულ შემოქმედებით საღამოებზე ჩვენი საზოგადოება პირისპირ ხვდება სახელოვან მუსიკოს-შემსრულებლებს— პიანისტებს, მომღერლებს, ვიოლინისტებს. ეს შეხვედრები სიახლოვისა და უშუალო ურთიერთობის ძალზე სასიამოვნო განცდას აღძრავენ, რადგან იქ სრულიად წაშლილია ესტრადასა და მსმენელთა დარბაზს შორის არსებული ზღვარი, გადალახულია საკონცერტო ვითარების ოფიციოზური მხარე.

ამ მუსიკალურ საღამოებს მუდამ თან ახლავს განსაკუთრებული, თავისებურად ზეაწეული განწყობილება, რომელსაც მასპინძლის მომხიბვლელობა და მის სახელოსნოში გაბატონებული შემოქმედებითი ატმოსფერო ქმნის.

იქ თქვენ უეცრად აღმოჩნდებით ფერებისა და შუქჩრდილების, უფაქიზესი ნიუანსებისა და გაბედული შტრიხების; ფორმების, ჟანრებისა და უმდიდრესი კოლორიტის გარემოცვაში. მოულოდნელად შეიჭრებით ხელოვანის მღელვარე გულისთქმის, ფიქრთა დინების, განწყობილებათა მკვეთრი ცვალებადობისა და მხურვალე პატრიოტული განცდის სამყაროში.

სახელოსნოს კედლებზე შემოგხვდებათ პოეტის თვალით დანახული და შთაგონებით განცდილი საქართველოს სხვადასხვა კუთხე, მისი მთა-ბარის ხატოვანი პეიზაჟები, თბილისის ხედები, ქართული ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლები თუ შეუვალი კლდეების იდუმალი კუნჭულები...

ფერტილოებზე აღბეჭდილია მზისა და თოვლის, ფოთოლცვენისა და აკვირტების, ქარიშხლისა და წყალდიდობის გამაოგნებელი მშვენიერება. მათზე შეჩერებულია სამყაროს ფერისცვალების უსასრულოდ წარმავალი წუთები, აჟღერებულია ფერისცვალების ასეთივე უსასრულო გამა...

მშობლიური ბუნების ამ ჰიმნს თავისებურად ეხმიანება უძველესი ხალხური ნაკეთობების უმდიდრესი კოლექცია. თავმომწონედ შემოგვყურებენ თიხის ქოთნები და სპილენძის ყელმოღერებული დოქები, ფერად-ფერადი ხალიჩაფარდაგები, ვერცხლის ფიალები, ათასნაირად დაწნული გოდრები და კალათები... მძაფრად შეიგრძნობთ ეროვნული ხელოვნების სურნელს, დაგატყვევებთ ხალხურ შემოქმედთა ოსტატობა და დაუშრეტელი ფანტაზია.

რაღა გავაგრძელო... ელენე ახვლედიანის უნიკალურ სახელოსნოში გადაშლილია ქართული ხელოვნების მრავალსახოვანი პანორამა. თვალსაჩინოა უძვირფასესი ეროვნული ტრადიციებისა და ხელოვანის თავისთავადი მხატვრული აზროვნების ჰარმონიაც. სამაგალითოა ეს ურღვევი შემოქმედებითი კავშირი.

და განა გასაკვირია, რომ ელენე ახვლედიანის სახელოსნოში ბუნებრივად და თავისთავად იბადება შთაგონება? ფერთა სიმფონია კიდევ უფრო აქეზებს მუსიკოსთა შემოქმედებით აღმაფრენას, აძლიერებს მათი ჰანგების გამომსახველობას. დაუვიწყარია სახელოსნოში გამართული საღამოები. მათ შორის კი წარუშლელ მოგონებად დაგვრჩა კონცერტი — გამოჩენილი მომღერლის, საქართველოს სახალხო არტისტის ნადეჟდა ხარაძის მონაწილეობით. ეს საღამო განსაკუთრებული იყო, თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოება კვლავ შეხვდა შემოქმედებასთან გამოთხოვებულ ხელოვანს. ეს საღამო მისი არტისტული კარიერის დამთავრების თავისებური სიმბოლო გახდა.

იმ დღეს კვლავ აენთო ნადეჟდა ხარაძის უბერებელი არტისტული ბუნება. გატაცებით ვისმენდით ნაირფეროვან მღერადობას, რომელმაც მოგონებათა ნაკადი აღძრა. თანდათან გაიშალა ნადეჟდა ხარაძის შემოქმედებითი ცხოვრების ვრცელი გზა. და უმალვე ჩავფიქრდით ამ გზის საზეიმო დასაწყისზე, მის ბედნიერ მსვლელობაზე და სევდიან დასასრულზე, რადგან პირისპირ აღმოვჩნდით ჟამთა შეუნელებელ სვლასა და წარმავლობასთან, რომელიც განსაკუთრებული ულმობლობით ჯერ ანელებს, შემდეგ აჩერებს მომღერალთა სცენური ცხოვრების მღელვარე დინებას.

ეს გზა 1936 წელს დაიწყო. ნადეჟდა ხარაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაში ეს თარიღი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მაშინ შედგა მისი პირველი გამოსვლა დიდ სცენაზე, ცნობილი პედაგოგის პროფესორ ევგენი ვრონსკის მოწაფემ, IV კურსის სტუდენტმა ნადეჟდა ხარაძემ პირველი წარმატების სიხარული განიცადა. ეს მოხდა კონსერვატორიის სტუდენტთა ძალებით გამართულ ერთ-ერთ კონცერტზე. ჩვენი მუსიკალური საზოგადოება აღტაცებუ-

ლი დარჩა ნადეჟდა ხარაძის ხმით, მუსიკალობით, არტისტული მონაცემებით. კონცერტს სხვა ცნობილ მუსიკოსებთან ერთად გამოჩენილი დირიჟორი ევგენი მიქელაძე ესწრებოდა, მან დიდი მუსიკოსის ინტუიციით განჭვრიტა ნ. ხარაძის მომავალი — მაშინვე საოპერო თეატრში მიიწვია და სრულიად გამოუცდელი მომღერალი გაბედულად შეიყვანა თეატრალური ხელოვნების ლაბირინთებში. ეს დიდი პატივი იყო, რადგან იმხანად ჩვენს საოპერო სცენაზე მომღერალთა ბრწყინვალე პლეადა მოღვაწეობდა — დავით ანდღულაძე, პეტრე ამირანაშვილი, ნიკო ქუმსიაშვილი, ნადეჟდა ცომაია, დავით გამრეკელი, ეკატერინე სოხაძე და სხვები.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საოპერო დასი სამაგალითო ერთსულოვნებითა და გატაცებით ემზადებოდა ქართული ხელოვნების დეკადისათვის. სადეკადო რეპერტუარში იყო ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი", „დაისი", მ. ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი", ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე". ნ. ხარაძე სწორედ ამ სპექტაკლებში იღებდა მონაწილეობას.

საყოველთაოდ ცნობილია ქართული ხელოვნების I დეკადის ტრიუმფალური წარმატება. მოსკოველთა წინაშე იფეთქა ქართველი ხალხის მუსიკალურმა პოტენციამ. დეკადაზე ქართული საოპერო ხელოვნების დიდოსტატებთან ერთად ნადეჟდა ხარაძემაც ისახელა თავი.

მარიხით დაიწყო ნადეჟდა ხარაძის არტისტული კარიერა. დებიუტმა განსაზღვრა მისი შემოქმედების ერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარე. ზაქარია ფალიაშვილისა და მელიტონ ბალანჩივაძის გმირებმა შეიყვანეს ნადეჟდა ხარაძე ქართული პროფესიული მუსიკის სამყაროში, გაუღვივეს შეუნელებელი ინტერესი ეროვნული საოპერო ხელოვნებისადმი. ევგენი მიქელაძემ და გამოჩენილმა რეჟისორებმა ალ. წუწუნავამ და შ. აღსაბაძემ, ჩაუნერგეს მას ცხოველი პატრიოტული დამოკიდებულება ეროვნული მუსიკალური კულტურის მიმართ.

მართლაც, ნადეჟდა ხარაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე სამაგალითო ერთგულებით ემსახურებოდა თბი-



მღერის ნადეჟდა ხარაძე



სტუმრად ელენე ახვლედიანთან

ლისის საოპერო თეატრს, მუდამ მოკრძალებით ანსახიერებდა ქართველი ქალების სახეებს ზ. ფალიაშვილის „დაისსა“ და „ლატავრაში“, იპოლიტოვ-ივანოვის „ღალატში“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში“, შ. მშველიძის ოპერაში „ამბავი ტარიელისა“, ა. კერესელიძის „ბერუჩაში“ და სხვა. ამაში თვალსაჩინოა არა მარტო ნ. ხარაძის მოქალაქეობრივი პოზიცია, არამედ პროფესიული დამსახურებაც, რადგან იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებაში. ნ. ხარაძემ განუზომელი ღვაწლი დასდო მრავალი საოპერო პარტიის საშემსრულებლო ტრადიციების ჩამოყალიბებას.

მეორე მხრივ, მარიხით დაიწყო ნადეჟდა ხარაძემ კოლორიტული ჟანრული პერსონაჟების განსახიერება. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ქეთო ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეში“, მიუზეტა—პუჩინის „ბოჰემაში“, როზინა—როსინის „სევილიელ დალაქში“. ამ ოპერებში ამოქმედდა ნადეჟდა ხარაძის ის სპეციფიკური სახასიათო ნიჭიერება, რომელიც ნამდვილ იშვიათობას წარმოადგენს საოპერო სცენაზე... თვალსაჩინო იყო არა მარტო მისი ხმის ელვარება და ფილიგრანული ტექნიკა, არამედ აქტიორული იმპროვიზაციის ნიჭი, ტემპერამენტი, თვითმყოფადი ხასიათების გამოძერწვის ოსტატობა. დასანანია, რომ ჩვენს საოპერო სცენაზე თითქმის არ იდგმებოდა ოპერა „ბუფას“ სტილის სპექტაკლები, მათში უფრო ფართოდ გაიხსნებოდა მომღერლის სახასიათო ნიჭი.

ამ ნიჭს ნ. ხარაძე ამჟღავნებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, უშუალო ურთიერთობის დროს. მას შეუმჩნევლი არ დარჩება ადამიანთა ქცევის ესა თუ ის სახასიათო ნიუანსი. ვინც მას პირადად იცნობს, უთუოდ წარმოუდგენია ნ. ხარაძის მიერ იშვიათი მომხიბვლელობითა და იუმორით გადმოცემული ესა თუ ის სიტუაცია, უმალვე უცვნია მის მიერ წარმოსახულ პორტრეტში ესა თუ ის პიროვნება.

არსებითად, ამ ნიჭიერებამ მიიყვანა ნ. ხარაძე საოპერეტო მუსიკის ჟანრთან. თანამედროვეების მეხსიერებაში წარუშლელადაა აღბეჭდილი ცნობილი ოპერეტების „პერიკოლასა“ და „ბოშათა ბარონის“ წარმოდგენები, რომელნიც დიდი წარმატებით იდგმებოდნენ ჩვენს საოპერო სცენაზე. ამ სპექტაკლებში ბრწყინვალე აქტიორულ ანსამბლს ქმნიდნენ ნ. ხარაძე და ჩვენთვის დაუვიწყარი ბათუ კრავეიშვილი. ამ წარმოდგენებში ელვარებდა მათი ტემპერამენტი, პლასტიკა, არტისტიზმი. „პერიკოლაში“ ვლინდებოდა ნადეჟდა ხარაძის აქტიორული ბუნების კიდევ ერთი თვისება — იმიტაციის ნიჭი. იგი ოსტატურად იცვლიდა ხმის ტემბრს, მიმიკას, მიხრა-მოხრას. მთელი არსებით ეძლეოდა განწყობილებათა მკვეთრ ცვალებადობას. იგი დღემდე ითვლება ამ როლის შესანიშნავ შემსრულებლად.

ყოველივე ეს ნადეჟდა ხარაძის შემოქმედების მხოლოდ ერთი მხარე იყო. იგი ასეთივე მხატვრულობით აწსახიერებდა საპირისპირო ხასიათისა და სულისკვეთების გმირებს. ღრმად სწვდებოდა ლირიკულსა და დრამატულ განცდებს. მისი მარო, ვიოლეტა, ჯილდა თუ იოლანტა უთუოდ სამაგალითო გახდა მომღერალთა მომდევნო თაობებისათვის პროფესიონალიზმისა თუ არტისტული გამომსახველობის თვალსაზრისით. ნ. ხარაძის გმირ ქალებსა და განსაკუთრებით კოლორატული სოპრანოს უგვირგვინო დედოფლებს—ვიოლეტასა და ჯილდას მხურვალე თაყვანისმცემლები ჰყავდა საბჭოთა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ამავე ოპერებში ნ. ხარაძე ღირსეულ პარტნიორობას უწევდა საბჭოთა საოპერო ხელოვნების სახელოვან ოსტატებს — მიგაის, ნორცოვს, კოზლოვსკისა და სხვებს, რომელნიც მუდამ მაღალ შეფასებას აძლევდნენ ნ. ხარაძის ნიჭიერებასა და მომხიბვლელობას.

ასეთი კონტრასტებით იყო აღსავსე ნ. ხარაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია. მისი არტისტული ბუნება ვერ ეგუებოდა ერთფეროვნებას. ალბათ ამიტომაც იგი თავისუფალი იყო ამპლუას ზღუდეებისაგან. განახლების მუდმივმა მოთხოვნილებამ განაპირობა მისი რეპერტუარის მრავალფეროვნება, რომელშიც თანაარსებობდნენ საოპერო და საოპერეტო პარტიები, საესტრადო სიმღერები, კლასიკური და თანამედროვე კამერული მუსიკის ნიმუშები. მისაბაძი მხატვრულობით მღეროდა იგი მოცარტის, შუბერტის, ჩაიკოვსკის, ფორესა და არაყიშვილის რომანსებს. ელვარე არტისტიზმით ასრულებდა იოჰან შტრაუსის ვალსებს, თავისებური სურნელი დაჰკრავდა მისი შესრულებით ნეაპოლურ სიმღერებს.

არტისტული კარიერის მიწურულში ახლებურად იფეთქა ნადეჟდა ხარაძის ტალანტმა. მან განასახიერა მახრების დედოფალი ალ. ბუკიას ოპერა „დაუპატიჟებელ სტუმრებში“ და მელაკუდა ვ. გოკიელის „წითელქუდაში“. თვალსაჩინო იყო ის უბერებელი ინტუიცია, რომელმაც უკარნახა მომღერალს მახვილი გროტესკული ხერხებით გამოეძერწა ეს თავისებური პერსონაჟები, ნ. ხარაძე შეუნელებელი დინამიკით, მკვეთრი და გაბედული პლასტიკური შტრიხებით ანსახიერებდა ამ პერსონაჟების თავისებურ მიხრა-მოხრას, მიმიკას, მათ ხასიათს.

დასანანია, რომ მხატვრულ სახეთა გროტესკულ გააზრებას, რომელიც ნამდვილ იშვიათობას წარმოადგენს საოპერო სცენაზე, შემდგომი განვითარება აღარ მოჰყოლია. ვინ იცის, ამ მხრივ ნ. ხარაძეს კიდევ რამდენი სიახლის მოტანა შეეძლო ჩვენი საოპერო ხელოვნებისათვის.

კიდევ ერთი ღირსეული თვისება აღძრავს მისდამი ღრმა პატივისცემას. ეს გახლავთ მისაბაძი თავმდაბლობა, ინტელიგენტური დამოკიდებულება პროფესიისა და აუდიტორიის მიმართ. ეს გამოვლინდა იმ გამახვილებულ კრიტიკულ ხედვაში, რომელმაც უკარნახა მომღერალს მაშინ გამოთხოვებოდა სცენას, როდესაც ჯერ კიდევ ფეთქავდა მასში შემოქმედებითი ნერვი, არ ჰქონდა შენელებული მაყურებელთან თუ მსმენელთან ურთიერთობის, მათთან კონტაქტის დამყარების მოთხოვნილება. ნ. ხარაძემ გარეგნული სიმშვიდითა და ღირსეული თავდაჭერით დატოვა სცენა და არავის შეუმჩნევია მისთვის წარმავლობასთან პირისპირ შეხვედრით აღძრული გულისტკივილი და სევდა. ეს იყო 1960 წელს. იგი ეთხოვებოდა თეატრს, რომელშიც მთელი მგზნებარე არტისტული ცხოვრება ჰქონდა გატარებული. ეთხოვებოდა სცენას, სადაც თითქმის ყოველდღე განიცდიდა შემოქმედებით მღელვარებასა და სიხარულს. ეთხოვებოდა მაყურებელს, რომელიც მუდამ მხურვალე რეაქციებით პასუხობდა მის შთაგონებას, ღირსეულად აფასებდა მის ოსტატობას. და ბოლოს, ნადეჟდა ხარაძე ემშვიდობებოდა თავისი ცხოვრების განუყრელ თანამგზავრებს — მშვენიერ გმირ ქალებს, რომელთა განცდათა სამყაროც საკუთარ არსებასთან ჰქონდა შესისხლხორცებული.

პროფესიულ მომთხოვნელობასა და თვითკრიტიკას უნდა მივაწეროთ ისიც, რომ უკვე 10 წელია, ნადეჟდა ხარაძეს ძალზე იშვიათად შეხვდებით ესტრადაზე, რადიო თუ ტელეგადაცემებში.

დატოვა სცენა, მაგრამ ნ. ხარაძის ინტენსიური მოღვაწეობა არ შეწყვეტილა. ათეული წლების შემდეგ თბილისის კონსერვატორიას დაუბრუნდა სახელოვანი და გამოცდილი მუსიკოსი. მან თავისი შემოქმედებითი ენერგია პედაგოგიურ სარბიელზე აამოქმედა. დღეს ნ. ხარაძე მთელის გატაცებით ემსახურება მომავალი სამომღერლო ძალების გამოწრთობას.

იგი კვლავ იზიდავს თანამედროვეთა ყურადღებას შესანიშნავი პიროვნული ღირსებებით: კვლავაც თვალსაჩინოა მისი მომხიბვლელობა, კეთილი იუმორი, არტისტიზმი

# გ ზ ა
# ხელოვნებაში



ვლადიმერ კეკელია

ლამარა ელიოზიშვილი

შესაძლოა სულ სხვაგვარად წარმართულიყო ამჟამად რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ვლადიმერ კეკელიას ბედი და ცხოვრება, მხედველობას რომ არ შეეშალა ხელი. ვინ იცის რამდენი საოპერო პარტიის ახლებური შესრულებით გაამდიდრებდა იგი ქართველი მომღერლების მიერ წარმატებით განსახიერებულ საოპერო სახეების გალერეას. ამის თქმის საფუძველს იძლევა მისი გამოჩენა ვოკალურ-საშემსრულებლო ასპარეზზე.

ბევრს, ძალიან ბევრს, ალბათ ახსოვს 1950 წლის 5 ნოემბრის საღამო... თბილისის ოპერის თეატრში ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერი" გადიოდა. უჩვეულო საღამო იყო. სპექტაკლში მონაწილეობდა ოპერის გუნდი და ორკესტრი, დირიჟორობდა კომპოზიტორი გრიგოლ კილაძე, პარტიებს კი მღეროდნენ კონსერვატორიის სტუდენტები: აბესალომს — ვ. კეკელია, ეთერის — თ. ტაკიძე, მურმანს — შ. ტეტუნაშვილი, მარიხს — ნ. ტუღუში, თანდარუხს — გ. ტორონჯაძე.

საღამო მართლაც უჩვეულო იყო...

ყველა ალაპარაკდა მანამდე უცნობ ახალგაზრდა მომღერლებზე. განსაკუთრებული მოწონება ხვდათ ვლადიმერსა და თინას. მათ შესანიშნავად იმღერეს შემსრულებლობის დიდი ტრადიციების სპექტაკლში და საზოგადოების მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვიეს. საღამოს მოყვა დადებითი შეფასება, ქების რეცენზიები, მოსკოვის ახალგაზრდულმა ჟურნალმა „სმენამ" სპეციალური სტატია უძღვნა სათაურით „ახალგაზრდა ტალანტები".

სულ მალე კი, იმავე წლის ბოლოს, აბესალომის პარტიის წარმატებით შემსრულებელი, ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტი ვ. კეკელია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტად ჩარიცხეს. ეს არ იყო ხელოვნებაში გზის დასაწყისი, ეს მხოლოდ გაგრძელება იყო, აქამდე იგი სხვა სფეროში მოღვაწეობდა.

თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობით.

ვ. კეკელია დაიბადა 1911 წელს გეგეჭკორის რაიონის სოფელ ბანძაში. 1928 წელს ბანძის არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, განიზრახა ბავშვობის ოცნების განხორციელება. ის ხომ შორეული მოგზაურობის კაპიტნად გახდომას ნატრობდა. ამ მიზნით შევიდა ქ. ფოთის საზღვაო სასწავლებელში, მაგრამ ოცნება აუხდენელი დარჩა — 1929 წელს იძულებული გახდა თავი დაენებებინა სასწავლებლისათვის ისევ და ისევ ახლომხედველობის გამო, რადგან ეს ხელს შეუშლიდა კაპიტნის რთული და საპასუხისმგებლო პროფესიის დაუფლებაში. იმავე წელს ვ. კეკელიამ სწავლა განაგრძო ქ. ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, რომელიც 1932 წელს დაამთავრა უმცროსი აგრონომის კვალიფიკაციით. შემდეგ მასწავლებლად მუშაობდა სვანეთში.

ჯერ კიდევ ცხაკაიაში სწავლის დროს (1931 წ.) ხალხური სიმღერების შესანიშნავმა მცოდნემ და შემკრებმა, ლოტბარმა რემა შელეგიამ შენიშნა მისი კარგი მონაცემების მქონე ხმა და თავის გუნდში სოლისტად აიყვანა. 1934 წელს ვ. კეკელია უკვე თბილისშია — სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც მაშინ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კირილე პაჭკორია ხელმძღვანელობდა.

სიამოვნებით იხსენებს უკვე ხანში შესული — 60 წლის მომღერალი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. კეკელია, 1935 წლის ზაფხულს, როდესაც საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი საგასტროლოდ ეწვია მოსკოვს. მაშინ იგი პირველად მოხვდა კრემლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რადამესი — ვლ. კეკელია

ეს კი აი, როგორ მოხდა. ანსამბლი კონცერტით გამოდიოდა მოსკოვის კულტურისა და დასვენების პარკის (შემდეგ გორკის სახელობის) მწვანე თეატრში. კონცერტს დასწრებია მაქსიმ გორკი და მასთან სტუმრად მყოფი ფრანგი ნწერალი რომენ როლანი. დიდ მწერლებს გულწრფელი აღფრთოვანება და ქება გამოუთქვამთ ქართული სიმღერებისა და გუნდის სოლისტისადმი. მეორე დღეს მაქსიმ გორკის ქართული გუნდი მიუწვევია კრემლში კომინტერნის კონგრესის დახურვის აღსანიშნავ კონცერტში მონაწილეობის მისაღებად. ამით არ დამთავრდა ქართველი მომღერლების ნაცნობობა პროლეტარიატის დიდ მწერალთან. როდესაც მაქსიმ გორკიმ რომენ როლანი გორკაში მიიწვია, შეხვედრა ჩვენმა მომღერალთა ანსამბლმა მადლიანი ქართული სიმღერებით დაამშვენა.

ვ. კეკელია დიდი სიამაყით იხსენებს ამ შეხვედრებს.

1939 წლიდან კეკელია მოღვაწეობს მოსკოვში — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი საბჭოთა მუსიკოსები ი. დუნაევსკი და ა. სვეშნიკოვი. აქაც შემთხვევითმა ფაქტორმა (ვერ აიტანა მოსკოვის მკაცრი კლიმატი) განაპირობა კეკელიას დაბრუნება საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, შემდეგ საქართველოს რადიოს გუნდში, რომელსაც გამოჩენილი ქართველი ლოტბარი ა. მეგრელიძე ხელმძღვანელობდა.

სხვადასხვა ანსამბლში სიმღერამ დაანახა ა. კეკელიას ვოკალური ხელოვნების დაუფლების საჭიროება. მით უმეტეს, გრძნობდა, რომ შესწევდა ამისათვის საჭირო ძალა და ენერვია. ამიტომ 1946 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ განყოფილებაზე და დაამთავრა იგი 1951 წელს პროფესორ ვ. ქაშაკაშვილის კლასით.

სტუდენტობის პერიოდში, შემდეგაც ოპერის სოლისტი რომ იყო და მაშინაც, როცა ოპერა მიატოვა, ვ. კეკელია მონაწილეობდა მრავალ კონცერტში — თბილისში, ქუთაისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. ამ წლებში მიიღო მონაწილეობა ლენინური კომკავშირის XI ყრილობისადმი მიძღვნილ ჩვენი ქვეყნის კონსერვატორიების ვო-

პროფ. ვლ. ქაშაკაშვილი,
ვლ. კეკელია და თ. ტაკიძე





აბესალომი — ვლ. კეკელია,
ეთერი — თ. ტაკიძე

კალისტ სტუდენტთა საკავშირო დათვალიერებაში.

ვ. კეკელიამ სულ რამდენიმე წელიწადს დაჰყო ოპერის თეატრის სცენაზე, მოსაგონარი კი ბევრი დარჩა მასაც და მის კოლეგებსაც. მისაბაძი, სამაგალითო ენთუზიაზმით გამოდიოდა იგი მიმდინარე რეპერტუარის თითქმის ყველა სპექტაკლში. ეს ხომ მხოლოდ დასაწყისი იყო: ალბათ კიდევ რამდენ სასარგებლო საქმეს გააკეთებდა... კვლავ თვალებს, მხედველობას რომ არ შეეშალა ხელი, ალბათ არც მოსკოვის დიდი თეატრის რამდენიმე გზის მიწვევაზე იტყოდა უარს.

მალე იგი მიემგზავრება თვალის სამკურნალოდ ქ. ოდესაში — გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ ვლ. ფილატოვის კლინიკაში. მკურნალობის მთელი პერიოდის მანძილზე თბილი მეგობრული ურთიერთობა დამყარდა მკურნალსა და ავადმყოფს შორის.

მაშინ ოდესის მეცნიერთა სახლი აღნიშნავდა დიდი რუსი მეცნიერის მ. ლომონოსოვის დაბადების 240 წლისთავს. ფილატოვის თხოვნითა და მეცნიერთა სახლის მიწვევით ვ. კეკელია სიამოვნებით დათანხმდა კონცერტის გამართვაზე. რელიკვიასავით ინახავს მომღერალი ოდესის მეცნიერთა სახლის საბჭოს ოფიციალური მადლობის ფურცელს. ეს ხომ მისი უანგარობის, კეთილშობილების, წარმატების საბუთია. ასევე სათუთად ინახავს მადლიერი პაციენტი დიდი მეცნიერის ფოტოსურათს — მისივე ხელით გაკეთებული წარწერით, რაც მათს მეგობრობას მოწმობს: „პატივცემულ ვლადიმერ სარდიონის ძეს, შემოფრენილ ბულბულს, აკადემიკოსი ვლადიმერ პეტრეს ძე ფილატოვი".

მკურნალობის შემდეგ —(1953 წლიდან დღემდე), ა. კეკელია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის წამყვანი სოლისტია. საოცარი გულმოდგინებით, დაუცხრომელი ენერგიით, დაუზარებლად გამოდის კონცერტებით საწარმოებსა და კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სანატორიუმებში, საძოვრებსა და ყამირ მიწებზე. მუდამ მოგზაურობაშია. მოვლილი აქვს ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხე. სხვა რესპუბლიკების ხშირი სტუმარიც არის. 1961 წელს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული ზეიმის აღსანიშნავ კონცერტში მიიღო მონაწილეობა. ყველგან გულწრფელი მადლობა დაუმსახურებია, ყველგან აღუნიშნავთ მისი წვლილი პრესაში თუ მეგობრულ ბარათებში, უთვალავ მადლობასა და ბრძანებაში, სიგელსა და გამონათქვამებში. უკიდეგანო საბჭოთა ქვეყნის ბევრ კუთხეში დაუტოვებია კარგი სახელი ჩვენს მომღერალს: გორკში, ყაზახეთში, კალინინისა და კურგანის ოლქებში, ქ. იაროსლავლში და ვინ მოთვლის, კიდევ სად არ ყოფილა და არ უმღერია ვ. კეკელიას.

უთვალავ ქაღალდებში, პროგრამებსა და ბარათებში არის ერთი ფოტოტელეგრამა, რომელიც ვ. კეკელიას მოსკოვიდან მიუღია 1960 წელს, როდესაც მან თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე წარმატებით იმღერა რადამესის პარტია. ტელეგრამას ხელს აწერს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე. „ძმაო ვალო... გილოცავ და გისურვებ სულ წინსვლასა და გამარჯვებას, რისი ღირსიც შენი კეთილი გული ყოველთვის იყო". და მართლაც, ჭეშმარიტად კეთილი გული აქვს ვ. კეკელიას, არავის აწყენინებს, არავის მიმართ გულში ცუდს არ გაივლებს, უპრეტენზიოდ, დიდი მონდომებით, თავდაუზოგავად აკეთებს თავის მეტად ნაყოფიერსა და საჭირო საქმეს, ასრულებს ხალხში პროფესიული მუსიკის პროპაგანდის მისიას.

თავისი მოღვაწეობის მანძილზე ა. კეკელია მღეროდა ა. შავერზაშვილის ოპერა „ივანანასა" და ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს" საკონცერტო დადგმებში.

გასულ წელს, როდესაც ქუთაისში საოპერო თეატრი გაიხსნა, კეკელია მიიწვიეს „აბესალომ და ეთერის" ერთ-ერთ სპექტაკლში აბესალომის პარტიის შემსრულებლად და ქუთაისის მუსიკის მოყვარულთა მოწონება ხვდა წილად.

1956 წელს ვ. კეკელიას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება.

ვ. კეკელია ამაყობს თავისი საქმიანობით. და მართლაც საამაყოა ემსახურო იმათ, ვისთვისაც მიუწვდომელია ოპერის მოსმენა ან სიმფონიურ კონცერტზე დასწრება, სიხარული მიანიჭო საბჭოთა არმიის მეომრებს, მწყემსებს საძოვრებზე, ყამირ მიწებზე მომუშავეთ. ეს ბედნიერებასა და შემოქმედებით სიხარულს ანიჭებს თვით მომღერალსაც, მან კარგად იცის, რომ მუსიკა ადამიანის სულიერი საზრდოა, უვითარებს მას ესთეტიკურ გემოვნებას. ამიტომ მონაწილეობს ფილარმონიის წამყვან მსახიობთა თითქმის ყველა გასვლით კულტურულ-საშეფო და საპროპაგანდო კონცერტში.

კვლავაც წარმატებები ვუსურვოთ ვლადიმერ კეკელიას დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით.



ვ. ონიანი. დედა

# ვახტანგ ონიანის ნამუშევართა გამოფენაზე

სვანეთი მუდამ ამოუწურავი თემა იყო საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის, ნიჭიერი მოქანდაკისა და გრაფიკოს-ფერმწერის ვახტანგ ონიანისათვის. თვით სვანეთში დაბადებულსა და გაზრდილს ყრმობიდანვე აღელვებდა, იტაცებდა მშობლიური კუთხის პეიზაჟები, — ამაყად აზიდული, მიუდგომელი მთებითა და კლდეებით, სვანი ხალხის ვაჟკაცური, დახვეწილი კეთილი სახეებით.

50-იან წლებში გამოდის ნიჭიერი ხელოვანი ფართო შემოქმედებით ასპარეზზე და თავისებური მხატვრული ხედვით, ნაწარმოების ორიგინალური გადაწყვეტით იქცევს ყურადღებას.

დღეს ვახტანგ ონიანის შემოქმედებას იცნობენ როგორც ჩვენს რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ახლახანს გამომცემლობა ,,მერანის" შენობაში გამოფენილი მისი ნამუშევრები მთლიანად სვანეთს მიეძღვნა.

ვ. ონიანის ნამუშევართა გამოფენაზე



გამოფენის გახსნას დიდძალი ხალხი დაესწრო. შესავალი სიტყვით გამოვიდა გამომცემლობა ,,მერანის" დირექტორი, პოეტი კარლო კალაძე. შეკრებილთ თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს საქართველოს მხატვართა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ უჩა ჯაფარიძემ, აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა, თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორმა აპოლონ ქუთათელაძემ, საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა კობა გურულმა, პოეტმა მურმან ლებანიძემ, ახალგაზრდა ფიზიკოსმა ალექსანდრე გერასიმოვმა, პოეტმა იოსებ ნონეშვილმა და მწერალმა აკაკი გელოვანმა.

გამოფენილ ნამუშევართაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქვაში გამოკვეთილი ,,ადგილის დედა". ადამიანს არ ძალუძს მიწის გარეშე არსებობა, იგი თითქოს განუყოფელია მისგან. მიწაზე ძლიერად

დაბჯენილ სხეულში დიდებულად ერწყმის ერთმანეთს შრომისა და კაცთმოყვარეობის ღრმა აზრი.

ძლიერ შთამბეჭდავია ,,გაქვავებული ცრემლი“ (ტონირებული თაბაშირი), ,,სვანი გოგონა“ (ქვა), ,,დალი“ (წითელი ტუფი), ,,დედა“ (ქვა) და სხვ.

შეუძლებელია დაადგინო სად უფრო ძლიერია ხელოვანი, იმდენად თანაბრად ფლობს იგი ქანდაკებისა და გრაფიკის გამოსახვის რთულ ტექნიკას. ნიჭიერ მხატვარს საუკეთესო გრაფიკული ნამუშევრები აქვს შექმნილი, რომელთა შორის მხატვრული ოსტატობით გამოირჩევა ,,თეთნულდი“, ,,კოშკები“, ,,ახალგაზრდა ოჯახი“, ,,სვანური ნატურმორტი“, მიმზიდველი და ემოციურია ,,შავი თვალები“, ,,სოფიკო ჭიაურელის პორტრეტი“. განსაკუთრებული სითბოთი გამოსახა მხატვარმა დიდი მგოსნის ვაჟა-ფშაველას პორტრეტი.



გამოფენის ერთი კუთხე

გულგრილად ვერ ჩაუვლით ილუსტრაციებს სვანური ხალხური ეპოსისათვის ,,ბეთქილ“, ,,გივერგილ“, პოეტურია ,,იდილია“, ,,ზამთრის ღამე“ და სხვ.

გამოფენამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა ვ. ონიანის მაღალმხატვრულ ოსტატობაში, მისი სახით თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებას მეტად საინტერესო შემოქმედი ჰყავს.

# სიმღერები ჩემთვის

ნანა ქავთარაძე

სიმღერები ჩემთვის — ხუმრობით ასე უწოდა მერი დავითაშვილმა საკუთარ ვოკალურ მინიატურებს, რომლებიც ანა კალანდაძის ლექსების მიხედვით შექმნა და ამით თითქოს საკუთარ შემოქმედებაში ინტიმური ლირიკის კუთხეზე მიგვანიშნა.

პოეტური სიტყვის ხვედრითი წონა საკმაოდ დიდია მერი დავითაშვილის შემოქმედებაში. მაგრამ სულ სხვაა ის ლირიკული ხილვანი და პოეტური თრთოლა, რომელიც ანა კალანდაძის ლექსებს შემოაქვს მის მუსიკაში.

ანა კალანდაძის პოეზია მერი დავითაშვილისათვის არ არის უბრალო პოეტური შთაბეჭდილება. იგი არც ისეთ პოეტურ წყაროს წარმოადგენს, რომელიც მხოლოდ ერთხელ შეხვედრით ამოიწურება. ანას ლექსები მერისთვის შთაგონების მუდმივ თანამგზავრად იქცა და ისინი დროგამოშვებით მუსიკოსში ამღერდებიან ხოლმე, როდესაც ის პოეტის ნაჩუქარი ლექსების კრებულს ხელს შეახებს და უნებლიეთ ნაპოვნ ინტონაციას ლექსს ქვეშ მიუწერს. ასეთი ვოკალური არაბესკები ერთდროულად არ შექმნილან; მათ განმარტოებისათვის დრო და ანასეული ,,მთვრალი ყაყაჩოები“ ესაჭიროებოდათ, რათა კომპოზიტორს კიდევ უფრო გაბედულად გაეხედა ქალის სულიერი ცხოვრების პოეტური სივრცისათვის და მასში მახლობელი სახეები, თუ განცდის მომენტები ეპოვნა.

მხატვრულ ნაწარმოებში ავტორისაგან დამოუკიდებლად აისახება ხოლმე მისი პიროვნული ხასიათი. ანა კალანდაძის ლექსისა და მერი დავითაშვილის მუსიკის უკან უპირველეს ყოვლისა ქალის შემოქმედებითი ბუნება ჩანს, რომელსაც თავისთავად ახასიათებს პოეტური ვნების სიჭარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბე პოეტურ ენერგიაზე. ალბათ ამითაა გაპირობებული შემოქმედ ქალთა ესოდენ ჰაეროვანი, დახვეწილი და ემოციური წყობის ქვეტექსტებით მდიდარი ხელოვნება, როცა ისინი აღწევენ სულიერი მოტივების ესთეტიკურ სიმაღლეზე აზიდვას. სწორედ ამ თვისებით დაჯილდოებულმა ანა კალანდაძის პოეტურმა სახეებმა სინაზე, სინატიფე და სურნელი მიმოფანტეს მერი დავითაშვილის მუსიკაში.

მართალია, პოეტსაც და კომპოზიტორსაც თავიანთი ხელწერა, თავიანთი პოეტური მეტყველება და მისი გამოთქმის ფორმები აქვთ, მაგრამ ორივე მათგანი ჩვენში ცდუნებას იწვევს ქალური გრძნობის პირველშობილების მომხიბვლელობით. და თუმცა მერი დავითაშვილს ანა კალანდაძის ეროვნული პათოსით გამსჭვალულ ლექსზე შეუქმნია საგუნდო სიმღერა ,,ჩემი სამშობლოს დილა'', მაგრამ არა ეს და მისი მსგავსი მოტივები, არამედ ა. კალანდაძის ლექსთა შორის ის გამხდარა მერისათვის მახლობელი, რომელშიც ფეთქავს რომანტიული განცდის ძარღვი, კდემა და მწველი ქალური სინაზე. ასეთებია: ,,თუთა'', ,,არაბი ხარ?'', ,,დავშრტები შენდა'', ,,თქვი ჭია-მაიავ'', ,,ჟუჟუნა წვიმა მოვიდა''.

ყოველი კომპოზიტორი სხვადასხვაგვარად ეკიდება პოეტური მასალის მუსიკალური ,,თარგმნის'' საკითხს, განსხვავებულად უყურებს პოეტური მეტყველების, მხატვრული სახის ათვისებისა და მუსიკალური გარდასახვის საქმეს. ასევე განსხვავებულია მათი წარმოდგენა ამა თუ იმ ლექსის შესაბამის მუსიკალურ ჟანრსა და ფორმაზე, მუსიკალურ-გამომსახველობითი საშუალებების შერჩევაზე, რათა უკეთ გაიხსნას ლექსის ემოციური ბუნება და სახე. ბუნებრივია, რომ ყოველივე ეს დამოკიდებულია კომპოზიტორის შემოქმედებით სტილზე, ხელწერაზე, გემოვნებაზე და იმაზე, თუ როგორ ისწრაფვის (ან ისწრაფვის თუ არა) მუსიკოსი ლექსის ადექვატური მუსიკალური ნაწარმოების სრულყოფისაკენ. მაგრამ რაგინდ განსხვავებული დამოკიდებულება არ უნდა არსებობდეს კომპოზიტორსა და პოეტის ქმნილებას შორის, პირველზე ყოველთვის ძლიერად მოქმედებს ლექსის არა მარტო ემოციური სახე, არამედ პოეტური მეტყველების მუსიკალობა, ლექსის მეტრ-რიტმის თავისებურებანი, მათი შინაგანი წყობა და, თუ გნებავთ, ლექსის ინტონირების აკუსტიკური გარემოც კი.

მერი დავითაშვილის იშვიათ შემოქმედებითს ღირსებას სწორედ ის შეადგენს, რომ იგი ყოველთვის უჯერებს შინაგან გულისთქმას და საკუთარი შემოქმედებისათვის ზუსტი მისამართით საზღვრავს მახლობელ ობიექტს, თემატიკას, ჟანრს. ამჯერადაც მისი ,,სიმღერები ჩემთვის'' მხოლოდ სულით ნათესაობის პირობაზე აღმოცენდნენ.

ა. კალანდაძის პოეტური მეტყველების ტექნიკა თავისი დახვეწილობითა და სრულყოფილებით ჭეშმარიტად მდიდარი ნიადაგი აღმოჩნდა. პოეზიის უბრალო მოყვარულზე ანას მეტყველების ხატოვანება დიდი გემოვნებით ნაქარგი ხალიჩის შთაბეჭდილებას ტოვებს. რაგინდ მინიატურული არ უნდა იყოს ლექსი, მისი ყოველი ფრაზა შინაგანი და დამოუკიდებელი, ფერთა სიუხვითაა გასხივოსნებული, ხოლო მრავალფეროვნებათა ერთობლიობა კი პოლიფონიურობის შთაბეჭდილებას ტოვებს. თვით მუსიკის ფენომენი, ასე მგონია, ანას პოეტური მეტყველების შემადგენელი ნაწილი და მისი მუდმივი აკუსტიკური გარემოცვაა. ალბათ ამიტომაა, რომ მისი ლექსების ფრაზები გრაციოზულობითა და სილაღით თვით მუსიკალური ბგერის სიმსუბუქესა და იმპროვიზაციულ თავისუფლებას უახლოვდება. ჭეშმარიტად ხელმოსაკიდი მასალაა ანა კალანდაძის ლექსი ქართული ვოკალური მუსიკის თანამედროვე ენის განახლების გზაზე მდგომი მუსიკოსისათვის და შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ პოეტი ქალის შემოქმედებისადმი ქართველ კომპოზიტორთა ინტერესი მართალია დინჯად, მაგრამ თანდათან მატულობს და თუ თვით ანას სიტყვებს მოვიშველიებდით ამ ურთიერთობის მომავლის საწინდარად ვიტყოდი:

,,შთაბერე, ქარო,
ნახონ ძალა ჩემი გრძნობისა!''

ანა კალანდაძის ლირიკული სამყაროს სახეები მერი დავითაშვილის ვოკალურ მინიატურებში ახმოვანდა მისი მუსიკალური ენისათვის დამახასიათებელი ხერხებითა და საშუალებებით. ეს საშუალებები უაღრესად ტრადიციული და უპრეტენზიოა, მაგრამ მერი დავითაშვილისათვის ჩვეული მხატვრული ტაქტითა და დამაჯერებლობითაა აღბეჭდილი. ფასეულობათა გადაფასების ექსპრესიულ ხანაში კომპოზიტორი უარს არ ამბობს ,,მამათა'' მიერ გაკაფული გზით სვლაზე, მისი თანამედროვე პოეტის ერთობ თვითმყოფი პოეტური მეტყველების მუსიკის ტალღაზე ,,გადართვაზე'', რადგან იცის, რომ სილამაზის ძიების აუცილებელი ლამპარი ნებისმიერ გზაზე — გულწრფელი შინაგანი წვა და სრულყოფილება — მისი მძლავრი იარაღია.

ბუნებრივია, რომ კალანდაძის პოეზიასთან სულიერმა დაახლოებამ განაპირობა კომპოზიტორში შემოქმედებითი წვის გაღვივება, აქედან დაიწყო ლექსის პოეტურ იდეაში ღრმა წვდომა. პოეტური იდეის მუსიკალურ ენაზე ამეტყველების ტრადიციულ მეთოდს კი ამ იდეის სადარი მელოდიური სახის შექმნა წარმოადგენს.

მელოდიურ სახეში პოეტური ტექსტის განზოგადების უნარი ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთი მთავარი სტილისტური და ესთეტიკური კატეგორიაცაა. მუსიკალური აზროვნების ამ გზით მოხდა ქართული კლასიკური ვოკალური მუსიკის მთელი განვითარება და იგი თანამედროვე კომპოზიტორთა შემოქმედებაში დღესაც ტიპიურ ნიშნად რჩება.

მელოდიური სახეები აზროვნების ამ მდიდარმა ტრადიციამ ჩვენი დროის ქართულ მუსიკას პოეტური სიტყვისა და მუსიკის იდეალური შერწყმის არაერთი მაგალითი მისცა. გახსენებისათვის ორიოდეც კმარა: ,,ცისა ფერს'', ,,მზეთა მზის სახეო'', ,,დედაო, ღვთისავ'', ,,ფიროსმანი'' და სხვა; ეს მაგალითები მიგვითითებენ იმაზე, რომ რაც უფრო ძლიერია მუსიკოსში პოეტური ტექსტის განცდის მომენტი, მით უფრო ზუსტად ახვედრებს იგი მიზანს მუსიკალური შთაგონების ისარს და მით უფრო აქტიური ხდება მისი მელოდიური სახე პოეტური მასალის მიმართ. მელოდიურ სახეს კი პოეტური სიტყვისაგან განსხვავებით მხატვრული განზოგადების დიდი შესაძლებლობები გააჩნია, რადგან უნარი შესწევს ლაკონიურ ბგერით შენობაში უდიდესი სიტყვიერი მასალის მოთავსებისა და მის შინაგან არსში წიაღსვლისა.

მელოდიური სახე მუსიკოსის ნიჭიერების ბარაქის საზომიცაა. თუ გვერდს ავუხვევთ საკითხს, რამდენად საკმარისია სადღეისოდ მხოლოდ მელოდიური სახის ნიჭიერად შესრულება ნაწარმოების მხატვრული ხარისხის განსაზღვრებისათვის — შეგვიძლია ვთქვათ, რომ მერი დავითაშვილის ამ ვოკალური მინიატურების მელოდიურ სახეებში მთელი სიმართლითა და გულწრფელობით აჟღერდა ანა კალანდაძის ლექსებში ამოკითხული მისთვის მახლობელი ემოციები. ამაშია ამ კამერული თხზულებების მშვენება და მომხიბვლელობა.

პოეტური სიტყვისა და მუსიკის კავშირი შემოქმედების ერთობ ჭირვეული მონაკვეთია. ისტორიას უამრავი მაგალითი ახსოვს, თუ როგორ ჩაკლა უხერხემლო მუსიკალურმა აზროვნებამ საუკეთესო პოეტური სიტყვის ამეტყველების ცდა ხელოვნების ამ ენაზე, და პირიქით, ასევე უხვი მაგალითები გვაქვს იმისა, თუ მუსიკის გზით, როგორ იქნა

უკვდავქმნილი სრულიად უმნიშვნელო, თავისთავად დაბალი მხატვრული ღირებულების მქონე ლექსი. პოეტური სიტყვისა და მუსიკის ურთიერთობის ,,ბალანსი“ ბევრადაა დამოკიდებული კომპოზიტორის მიერ ლექსის წაკითხვის შინაგან სიფაქიზეზე, პოეტური იდეის მხატვრული აღქმისა და ლექსის სიღრმეში დალექილ ფასეულობათა ამოტივტივების უნარზე.

ლექსის განცდის აბსოლუტურად ზუსტი განმეორება ხომ არ იბადება, რადგან შეუძლებელია იმ ფსიქო-ფიზიკურ გარემოსა და შემოქმედებითი აღზევების მომენტში მოხვედრა, რამაც პოეტს გამოათქმევინა ეს ლექსი. და თუ გამორიცხული არაა მეორადი განცდის მომენტში (და მით უფრო ახალ ენაზე ამეტყველებისას) შესაძლებლობა ლექსის მხატვრული სრულყოფილების ,,გაძარცვისა“, გასაგები გახდება რამდენადაა დამოკიდებული ვოკალურ მუსიკაში ლექსის სიცოცხლის გაგრძელების იმპულსები თვით კომპოზიტორის შინაგან პოეტურ ბუნებაზე და მუსიკალური მეტყველების იმ საშუალებათა კომპლექსური მოშველიების უნარზე, რომელიც რამდენადმე სინქრონულს გახდის მუსიკალურ მეტყველებას პოეტური მეტყველების მიმართ და მუსიკალურ სახეს პოეტური იდეის მიმართ. ამაში გამოიხატება ვოკალური ნაწარმოების ,,რეგლამენტი“ ინსტრუმენტულთან შედარებით და ეს მომენტი თანამედროვე ქართულ კამერულ-ვოკალურ ჟანრში ბევრი კომპოზიტორისათვის ჯერ კიდევ აქილევსის ქუსლად რჩება.

მერი დავითაშვილი არ არის მოკლებული ამ უნარს და მისი ვოკალური მინიატურების მელოდიურ სახეებში შეგვიძლია ამოვიკითხოთ სიტყვისადმი ანასეული სიყვარული, ფაქიზი დამოკიდებულება, საკომპოზიციო ხერხების ფრთხილი შერჩევა, ვოკალის ბუნების შესატყვისი მოშველიება, მელოდიური მეტყველების ძალდაუტანებლობა.

ანა კალანდაძის ლექსებზე შექმნილი მ. დავითაშვილის რომანსების ფაქტურას თვალი რომ გადავავლოთ, მოგვეჩვენება, თითქოს, კომპოზიტორის ვოკალური მეტყველება პასიურად მიჰყვება პოეტურ ტექსტს, იმდენად თავდაჭერილი და სადაა მისი წერის მანერა.

ამის საილუსტრაციოდ გადავხედოთ რომანსს — ,,არაბი ხარ?“. მისი მელოდიური სახის ფაქტურული გამოხატვა შესრულებულია სილაბური მანერით, ე. ი. თითო მარცვალს თითო მუსიკალური ბგერა შეესატყვისება. ამგვარი მანერა საოპერო რეჩიტატივისთვისაცაა დამახასიათებელი. მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ მელოდიური სახე ჯამია ტექსტის მხატვრული განვითარების ყველა მომენტისა, ყველა ცალკეული დეტალისა ერთად, მაშინ რომანსში ,,არაბი ხარ?“ ვოკალურ პარტიას რეჩიტატივს ვერ მივაკუთვნებთ. ეს არის დასრულებული მელოდიური სახე განზოგადების შინაგანი პოტენციით, რაც რეჩიტატივს საზოგადოდ არ ახასიათებს. მაგრამ რომანსის მელოდიური სახე თავისი არიოზული მღერადობითა და პლასტიურობით მართლაც უახლოვდება რეჩიტატივის ბუნებას, რომელიც პოეტური ფრაზების უმნიშვნელო ინტონაციურ ნიუანსებსაც კი ასახავს (,,ჩემო კარგო, არაბი ხარ? იეზიდი...“). კომპოზიტორი მელოდიურ მასალას არ აძლევს დიდ თავისუფლებას, ის უფრო პოეტური ინტონაციების ტალღების რხევასაა აყოლილი, თითქოს ეშინია ლექსს არ დაუკარგოს საკუთარი მეტყველების მუსიკალობა. სწორედ ამიტომ, ამ რომანსის ვოკალურ-მელოდიური სახე პოეტური მეტყველების მუსიკალური რეჩიტაციის საზღვარზე დგას (იგივე ითქმის რომანსზე ,,თქვი, ჭია-მაიავ“).

აღნიშნული რომანსის ამგვარი მელოდიური სახე მხატვრულად დამაჯერებელია. ლექსში მოცემულმა დიალოგის ფორმამ განაპირობა რომანსში სხვა მუსიკალური ჟანრის ელემენტის შემოტანა, კერძოდ, მუსიკალური დრამისა. ამგვარად, კომპოზიტორის მიერ მიგნებული მელოდიური სახე დრამატურგიულადაც გამართლებულია, რადგან ორსტროფიანი მუსიკალური მინიატურა ტრადიციული რომანსის ფორმალურ საზღვრებს სცილდება და მიკრო-მუსიკალური სცენის სახეს იღებს. ასე განსაზღვრავს სწორად ნაპოვნი მელოდიური სახე არა მარტო ლექსის ემოციურ ტონალობას, არამედ მის დრამატურგიასაც.

მელოდიური სახის მხატვრული ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული მის მღერადობაზე. კომპოზიტორს ამჯერადაც დიდი შემოქმედებითი ალღო და სწორი რეგულირების უნარი სჭირდება, რათა გადაჭარბებულმა მღერადობამ არ გამოიწვიოს თვით მუსიკალური მასალის ესთეტიკური გაღარიბება და სიყალბე. მერი დავითაშვილი აქაც პროფესიული მოწოდების სიმაღლეზე დგას, რაზეც მიგვითითებს რომანსი ,,თუთა“.

პოეტური თრთოლის მომხიბვლელი აქტის მოწმენი გავხდებოდით, ანა კალანდაძის ამ ლექსის მუსიკალური დაბადების მომენტს რომ დავსწრებოდით. აი, სად ამღერდა ქალური გრძნობის მწველი სინაზე! რა სიფრთხილით, რა სათუთად ხაზავს კომპოზიტორი მელოდიური სახის კონტურებს, როგორ იხრის ქედს ლექსის მხატვრული პირველადობის წინაშე, როგორი შინაგანი სმენით ეძებს პოეტური ფრაზის მიმოქცევაში დაფარულ მუსიკალურ ინტონაციას, როგორი მხატვრული ალღოთი ახერხებს მუსიკალური რიტმის დაპირისპირებას ლექსის მეტრთან და ამით ახალი სინთეტური ერთობლიობის წარმოქმნას სიტყვასა და მელოდიას შორის.

მერისთვის ანას ეს ლექსი ქალური სულის მხატვრული ხატებაა.

> ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
> ლამის თავზე გადამისვას ხელი.
> დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
> ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი.
>
> რა ჩურჩული! ესმით ჩემთა ყურთა,
> რა ჩურჩული, დამდაგველი, მწველი.
> ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
> ლამის წელზე შემომხვიოს ხელი.

რომანსის მელოდიურ ფაქტურაში ორიგინალურადაა მიმობნეული მღერადობის მომენტები. აქაც მელოდიური სახის დრამატურგიაში თითქოს სილაბური მანერა სჭარბობს, მაგრამ მასში იმდაგვარადაა ჩართული სიტყვის მარცვლის გამღერების (ანუ ორ მუსიკალურ ბგერაზე სიტყვის ერთი მარცვლის ხმოვანების გაჭიმვა, გაშლა) შემთხვევები, რომ სწორედ მელოდიური სახის მღერადობით გაესვას ხაზი ლექსში მოცემულ მოქმედების მომენტებს, ზმნას (შემოიჭრას, გადამისვას, ესმით, შემოვიდეს, შემომხვიოს).

ამრიგად, მიუხედავად თავდაჭერილი მღერადობისა, მელოდიური სახის მხატვრული ხარისხი არ ეცემა, რადგან მერი დავითაშვილი დრამატურგიულად ისეთ აუცილებელ წერტილებს პოულობს ლექსში, რომელთა მელოდიური განზოგადება მღერადობით რომანსში ნაკარნახევია თვით ლექსის მხატვრული შინაარსით.

ერთ კრიტიკოსს სწორად შეუნიშნავს — ანა კალანდაძის ლექსებისათვის საჭიროა განსაკუთრებული აკუსტიკური პირობებიო: ,,ზოგნი ხმამაღლა წასაკითხია მთებისა და დასერილი კლდე-ხევების კალთებზე, ზოგი მათგანი ვარსკვლავივით ჩუმია და მოციმციმე; ზოგი — შესაღამოებისას იკითხება ოთახის ოთხ კედელს შუა, უმოწმოდ; ბევრი მათგანი კი სანაპიროების, პორტებისა და გაშლილი ზღვის ლირიკას შეადგენს. მათი დეკლამაციის დროს ზღვის ხმაურიც

უნდა მივიღოთ მხედველობაში. ზოგი ლექსი ლოცვებს გვაგონებს თავისი ბგერადობით“.

ასე უმოწმოდ დაიბადება ანას ლექსის მუსიკალური სახე რომანსში ,,თუთა“; ინტიმურობის ჩრდილი დაეცემა თუთის ჩურჩულის იმიტაციას რომანსის ინსტრუმენტულ თანხლებაში, ვარსკვლავივით ასე მორცხვ ციმციმს დაემსგავსება აღტყინებული ქალის სულის ამღერება...

მუსიკალურ მონოსცენად შეიძლება წარმოვიდგინოთ რომანსი ,,დავშრტები შენდა“. პოეტური სიტყვისადმი თავისუფალი დამოკიდებულებითა და მუსიკოსის აქტიური უფლებითაა შესრულებული ვოკალური მინიატურის მელოდიური სახე. ცხადია, რომ კომპოზიტორს რომანსის შექმნისას პირველად მიზნად დაუსახავს მუსიკაში ლექსის ზოგადი ემოციური ტონალობის გამოხატვა, ვიდრე თვით პოეტური სიტყვის მხატვრული თვისების მუსიკალური გარდასახვა. ლაღი და თავისუფალია რომანსის მელოდიური სახე, მასში მღერადობის მომენტებს გადანასკვია მელოდიურ-რეჩიტატიული ბრუნვები, მუსიკალური თხრობის დინამიური გამოხატვა შეფარდებია ლექსის ემოციურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და ყოველივე ეს დამორჩილებია მუსიკალური მეტყველების რომანტიულ მგზნებარებას. ეჭვმიუტანელია თავისთავად რომანსის მხატვრული სახე და მაინც, მოსმენისას ანას ლექსთან მიმართებაში მისი ხატოვანების შემფასებელში იბადება ერთგვარი პრეტენზია, რასაც იწვევს რომანსის თვით მელოდიური სახის მდარე ხარისხი, ინტონაციური სიღარიბე. ეს მით უფრო იგრძნობა მაშინ, როცა ლექსის ემოციური დატვირთვის გაძლიერებასთან დაკავშირებით მელოდიური მასალა ვერ შლის ფრთებს. სწორედ ამიტომ კულმინაციაში მელოდიური სახე ვერ აღწევს ახალ მხატვრულ სიმაღლეს, მიუხედავად იმისა, რომ კომპოზიტორი ემოციური კულმინაციის გასაძლიერებლად ვოკალურ მუსიკაში სხვადასხვა ინტონაციურ ბრუნვაზე სიტყვის გამეორების (ამ შემთხვევაში სიტყვა ,,ალვინთების“) ეფექტსაც კი მიმართავს.

აღსანიშნავია, რომ პათეტიკურ საფორტეპიანო პოსტლუდიას ამავე მიზეზით ვეღარ აჰყავს სათანადო ემოციურ დატვირთვამდე მუსიკაში ანასეული ,,დავშრტები შენდა“!-ს მნიშვნელობა, უფერულდება ძახილის ნიშნის მუსიკალური გამომსახველობა.

რომანსში ,,თქვი, ჭია-მაიავ, სით მიგიხარია?“ ქალური ბუნების კიდევ ერთი სიმი აჟღერდა, სიმი მომავალზე ოცნების. ჭია-მაიასთან განმარტოებულ საუბარს, ბუნებაში პოეტური გაჭრის მომენტს და ანას ლექსის ალერსიან ტონს მუსიკალურ თხრობაში სირბილე და სათნოება მიმოუფრქვევია. თვით სასაუბრო თემის ინტიმური ხასიათის გასახსნელად მერი დავითაშვილს ვოკალური ხაზის პლასტიკისთვის მიუმართავს. მას სურს მელოდიური მასალის თავსამკაული ისეთივე პოეტური სინაზით აღავსოს, როგორც თვით ანას ლექსში მოცემული პიკანტური კითხვის ინტონაციებია.

ბუნების რომანტიული განცდა არც ანას პოეტურ შთაგონებას და არც მერი დავითაშვილის შემოქმედებითს გაქანებას არ აკლია. ანასეული ,,ფეხის წვერებზე აწეული მზე“, ,,ლურჯი ბალახი“ და ,,კლდეზე ფეხშედგმული ქარი“ მერის მხატვრული განცდისათვის პოეზიის ისეთსავე მახლობელ ფერტილოებს წარმოადგენენ, როგორსაც ის ხვდება ხოლმე თავის მეგობარ მხატვარ ქალთა სახელოსნოებში თვალისთვის ,,წყლის დასალევად“ რომ მიაშურებს. უფრო მეტიც, ყოველი მხატვრული სახე მერის შემოქმედებაში ბუნების წიაღის სიღრმეში წარმოიქმნება და მის ფერადოვან ფონზე იშლება. ამიტომაცაა კომპოზიტორის პალიტრა ფერებით სავსე და ნათელი. იგი ხან ზეთის საღებავებით, ხან კი აკვარელის რბილი ტონებით არის შესრულებული და თუ ანას ლექსებზე შექმნილ მერის ვოკალურ მინიატურებს ამ თვალსაზრისით გავხედავთ, მათში მელოდიური კონტურების სინაზესთან ერთად უთუოდ საღებავების სირბილესაც შევიგრძნობთ. ეს ალბათ, მარტო გემოვნებას კი არა, მერის ქალურ ბუნებასაც უნდა მივაწეროთ.

ამგვარად, ჟანრული საწყისები მერი დავითაშვილის შემოქმედების ერთ-ერთ მთავარ სფეროს წარმოადგენს და ლირიკული ხილვების მუდმივი თანამგზავრია.

მერი დავითაშვილის შემოქმედებაში პეიზაჟური ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ ანა კალანდაძის ლექსზე დაწერილი ვოკალური ექსპრომტი ,,ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“.

მეძნელება ამ ვოკალურ მინიატურას რომანსი ვუწოდო, იგი უფრო სიმღერაა თავისი შინაგანი განწყობით, მღერადობით. მერე რა, რომ სიმღერის ფორმალურ მხარეს — კუპლეტურობას არ იცავს.

> ყაყაჩოს ,,ღვინო სალხინო“ როგორ არ შესვას ანამა?
> ,,ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა“.

სიმღერის ინტონაციურ-მელოდიური სახე ისევე უშუალოდ აღმოცენდა ამ პოპულარული ქართული ხალხური სიმღერის ნიადაგზე, როგორც თვით ანას ლექსის ემოციური სახე.

სიმღერიდან პოეტური ამღერებისაკენ და ისევ უკან — ხალხური სიმღერის ეს მართლაც საინტერესო მხატვრული გარდასახვის მომენტები გვირგვინად დაადგეს თავის მინიატურებს პოეტმაც და კომპოზიტორმაც.

როგორც აღვნიშნეთ, ანა კალანდაძის ლექსებზე დაწერილი ,,სიმღერები ჩემთვის“ მერი დავითაშვილმა შემოქმედების სხვადასხვა პერიოდში შექმნა. მიუხედავად ამისა, ისინი არა მარტო მსგავსი ლირიკული ხილვებით არიან დაახლოვებულნი, არამედ მუსიკალური სტილის ერთიანობითა და მუსიკალური მეტყველების მონათესავე ნიშნებითაც. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ მათი მომავალი სიცოცხლე ვოკალურ-ინსტრუმენტული ციკლის ჭერქვეშ გაგრძელდება.





არქიტექტორი ქ. სოკოლოვა მუშაობისას

# ხუროთმოძღვარი ქეთევან სოკოლოვა

თინათინ ჩიჩუა

ქართველ ხუროთმოძღვართა შეკრებაზე ხშირად შეხვდებით ჭაღარათმიან, სათნო და კეთილშობილი იერის ქალს, რომელსაც ყველა თაობის წარმომადგენელი უდიდესი მოკრძალებით ესალმება და ესაუბრება. ეს მანდილოსანი საბჭოთა საქართველოს პირველი ხუროთმოძღვარი ქალი, ღვაწლმოსილი შემოქმედი ქეთევან სოკოლოვაა.

ქეთევან სოკოლოვას შემოქმედებით ზრდასა და ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ტრადიციებით მდიდარ ოჯახს, სადაც იგი დაიბადა და გაიზარდა. მამა — ნიკოლოზ სოკოლოვი, პროფესიით იურისტი, მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლისას უმეგობრდება იქ მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობას, რომელთა შორის გახლდათ შემდგომში ცნობილი ქართველი მოღვაწე, იურისტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. ქართველი მეგობრებისადმი სიყვარულმა ნიკოლოზს გადააწყვეტინა საქართველოში დასახლება. 1903 წელს იგი ჩამოდის თბილისში, აქ ხვდება კარგად ცნობილი გვარის — ფორაქიშვილების ოჯახის შვილს — მარიამს და ცოლად ირთავს.

მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული მარიამი XIX საუკუნის დასასრულს თბილისში მოღვაწე გერმანელ მხატვარ ოსკარ შმერლინგთან სწავლობდა. მის მიერ ზეთის საღებავებით შესრულებულ პეიზაჟებს დღესაც სათუთად ინახავენ ოჯახში.

ქეთევანის მამა, პროგრესულად მოაზროვნე იურისტი ნიკოლოზ სოკოლოვი მეფის ხელისუფალთათვის სასურველი პიროვნება არ გახლდათ. მას დიდ ქალაქებში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა, ამიტომ ახალგაზრდა ოჯახს უხდებოდა საცხოვრებელი ადგილის ხშირი ცვლა: ბაშნორაშენი, იგდირი, ერევანი, არდაგანი, ყარსი, კუბა, შემახა, ბაქო, შემდეგ კი ოჯახი თბილისში დასახლდა.

1922 წელს, თბილისის ქალთა მე-3 სკოლის დამთავრების შემდეგ, ქეთევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამთო ფაკულტეტზე შედის. პარალელურად ეკონომიური ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელია. პატივცემული ქეთევანი მღელვარებით იხსენებს უნივერსიტეტის რექტორის ივანე ჯავახიშვილის მამაშვილურ დარიგებას — „ქეთევან, რატომ შეიტანეთ განცხადება ორ ფაკულტეტზე? როგორც ჩემ შვილს, ისე გირჩევთ, საინჟინრო დარგი რთულია და გაგიჭირდებათ ორ ფაკულტეტზე სწავლა". სამთო ფაკულტეტზე ქეთევანი მესამე კურსამდე სწავლობდა. აქ იგი ისმენდა გამოჩენილი მეცნიერების ანდრია რაზმაძის, ალექსანდრე თვალჭრელიძის, პეტრე წულუკი-



მარიამ ფორაქიშვილი და ნიკოლოზ სოკოლოვი პატარა ქეთევან-თან-ერთად.

ძის, გიორგი ნიკოლაძის ლექციებს. სასწავლო პრაქტიკაზე ქეთევანს ჭიათურაში აგზავნიან, სადაც დიდ წინააღმდეგობას აწყდება, ინჟინრები ახალგაზრდა ქალიშვილს გვირაბში არ უშვებენ, ეშინიათ. ეს იმ დროისათვის უჩვეულო ამბავი იყო.

მომავალ ინჟინრებს უნივერსიტეტში ხატვას ასწავლიდა ცნობილი მხატვარ-პედაგოგი ჰენრიხ გრინევსკი, რომლის მეშვეობითაც გადაწყდა ქეთევანის პროფესიული ბედი. ჰენრიხ გრინევსკიმ ყურადღება მიაქცია ნიჭიერი გოგონას ნახატებს და იგი არქიტექტურის კათედრის გამგე ივანე თულაშვილს წარუდგინა. ქეთევანს არქიტექტურის სპეციალობაზე გადასვლა შესთავაზეს. პროკგაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიაში წავიკითხე, — იგონებს იგი, — რა მოთხოვნილებებსაც უყენებენ არქიტექტორებს და ძალიან შემეშინდა, მაგრამ დედის რჩევის შემდეგ მაინც გადავწყვიტე არქიტექტურის შესწავლა. ქეთევანი იმ ჯგუფში ხვდება, სადაც სწავლობდნენ შემდგომში ცნობილი ქართველი არქიტექტორები: არჩილ ქურდიანი, მიხეილ შავიშვილი, სანდრო თევზაძე, ბორის გოქაძე.

1928 წელს უნივერსიტეტს გამოეყო საინჟინრო ფაკულტეტი და ლენინის სახელობის საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტად გადაკეთდა. 1929 წელს კი ეს ახალდაარსებული ინსტიტუტი პირველად ორმა ხუროთმოძღვარმა დაამთავრა. ესენი იყვნენ ქეთევან სოკოლოვა და არჩილ ქურდიანი. ამ ორმა ახალგაზრდამ თავიანთი პროფესიული და ოჯახური ცხოვრება ერთმანეთს დაუკავშირა. ქეთევან სოკოლოვას მეუღლე —არჩილ ქურდიანი დღეს თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი და საბჭოთა კავშირის სახალხო არქიტექტორია.

ქეთევან სოკოლავა ჯერ კიდევ სტუდენტობისას იწყებს პრაქტიკოს არქიტექტორად მუშაობას, იმ დროს თბილისში



წყალთა მეურნეობის სამინისტროს მუშაკთა საცხოვრებელი სახლი ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე. არქიტექტორი ქ. სოკოლოვა

მოქმედი გერმანული სააქციო საამშენებლო საზოგადოების, ,,ალტებაუაგ''-ის დაკვეთით იგი აპროექტებს ვილას სპარსეთის ერთ-ერთი დიდებულისათვის. შემდგომ იმავე საზოგადოებამ ახალგაზრდა ხუროთმოძღვარ ქალს ჩაქვში ჩაის ფაბრიკა შეუკვეთა. ეს იყო საქართველოში რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით აშენებული პირველი ჩაის ფაბრიკა.

1930-35 წლებში ქეთევანი ამიერკავკასიის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში ქართული საბჭოთა არქიტექტურის დიდი მოამაგისა და მოღვაწის ანატოლ კალგინის სახელოსნოში მუშაობს. პარალელურად პოლიტექნიკური ინსტიტუტის არქიტექტურული გეგმარების კათედრის ასისტენტია. ერთხელ, სტუდენტობისას, საცხოვრებელი სახლის პროექტი მქონდა დავალებული, — იგონებს ხელოვანი,— პროექტის ესკიზების დამუშავების პერიოდში ჩემმა მასწავლებელმა ანატოლ კალგინმა ოცზე მეტი ვარიანტი გამაკეთებინა. შემდეგ ყველა მათგანი გამაშლევინა და მითხრა: აბა ახლა ამოარჩიე საუკეთესო. ასეთი პედაგოგიური მიდგომა ხელს უწყობს ადამიანის შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენასა და განვითარებას.

თავისი ხანგრძლივი პრაქტიკული მოღვაწეობის მანძილზე ხელოვანს მუშაობა უხდებოდა სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციაში—ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრიფიკაციის საპროექტო ბიუროში, ,,საქსახპროექტში'', ,,საქსოფლპროექტში'', ,,თბილქალაქპროექტში''. იგი იყო რიგითი დამპროექტებელი არქიტექტორი, მთავარი არქიტექტორი, ექსპერტი, კონსულტანტი, სახელოსნოს ხელმძღვანელი.

ან. კალგინის სახელოსნოში მუშაობისას ქეთევანს ძირითადად სამრეწველო შენობებისა და დასახლებების პროექტები აქვს დამუშავებული. მათ შორის განხორციელებულია: აბრეშუმის დამმუშავებელი კომბინატი ქუთაისში, დაბა ,,ანი-პემზა'' სომხეთში.

ქეთევან სოკოლოვა ოცდაათიან წლებში სასოფლო დასახლებების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებს ქმნის. როგორც ცნობილია, ოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მთლიანმა კოლექტივიზაციამ და სოფელში საწარმოო ინდუსტრიის შეჭრამ, არქიტექტურის წინაშე ახალი ამოცანები დასახა. სოფლის შეცვლილმა ყოფამ საჭირო გახადა სოფელში ახალი ტიპის შენობათა და სპეციალიზირებული კომპლექსების დაგეგმარება-განაშენიანება. დაიწყო სოფლის დაგეგმარების ახალი სტრუქტურის ძიება. სასოფლო არქიტექტურაში მომუშავე სპეციალისტები, ამ საქმის პიონერები საქართველოში, ახალ დასახლებათა პროექტების შექმნისას, ცდილობდნენ, ახალი სოფელი, გლეხთა ცალკეული კარმიდამოების მექანიკური შეერთება კი არ ყოფილიყო, როგორც წინათ, არამედ ერთმანეთთან ფუნქციურად დაკავშირებული საცხოვრებელი, საზოგადოებრივი, საწარმოო ზონების ლოგიკური ერთობლიობა.

1935-36 წლებში ქეთევანი აგეგმარებს ახალ დასახლებებს დიდ საბჭოთა მეურნეობებთან: ჩხოროწყუში, ბიჭვინთაში, ტამიშში, ეშერაში; სამანქანო-სატრაქტორო სადგურებთან: საგარეჯოში, აგარაში, გორში, ახალქალაქში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ კოლხეთის დაბლობისათვის საკოლმეურნეო დასახლებების პროექტთა შექმნა.

ოცდაათიან წლებში კოლხეთში დიდი სამუშაოები ჩატარდა ჭაობიანი დაბლობის ამოსაშრობად. ამ განახლებულ მიწაზე ახალი სოფლების გასაშენებლად პროექტებს ქმნიდნენ არქიტექტორები: ქ. სოკოლოვა, ი. ზაალიშვილი, ტ. ბეიერი, ტ. მალავიჩკო, თ. თედორაშვილი.

ქეთევან სოკოლოვა არქიტექტორთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც ქაღალდზე გამოხაზული ჩანაფიქრის გან-



წყალთა მეურნეობის სამინისტროს მუშაკთა საცხოვრებელი სახლი ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე. არქიტექტორი ქ. სოკოლოვა

საცხოვრებელი სახლი ვახუშტის ქუჩაზე.






საკოლმეურნეო საცხოვრებელი სახლი კოლხეთისათვის. არქიტექტორი ქ. სოკოლოვა

ხორციელებას ბოლომდე მისდევენ, არ შორდებიან სამშენებლო მოედანს, სანამ დასრულებულს არ ნახავენ საკუთარი შემოქმედების ნაყოფს. სწორედ პროფესიის უზომო სიყვარულითა და ხასიათის სიმტკიცით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ახალგაზრდა ქალი, წყალგაუმტარი, მაღალყელიანი ჩექმებით ექვსი წლის განმავლობაში კოლხეთის ჭაობიან მიწაზე ჩადიოდა ახალწარმოქმნილი დასახლების მშენებლობის სამეთვალყურეოდ. კოლხეთის დაბლობისათვის ტიპობრივის გარდა ქეთევანს შეუსრულებია საკოლმეურნეო სოფლების კონკრეტული პროექტებიც: „საბაჟო", „სოციალიზმი", სოფლების ხობისა და პატარა ფოთის მახლობლად. ამ უკანასკნელის მიხედვით შესრულებული საკოლმეურნეო სოფლის დიორამა 1939 წელს წარმოდგენილი იყო მოსკოვში, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საქართველოს პავილიონში.

კოლხეთის დასახლებათა პროექტების განხილვა გვიჩვენებს, რომ საცხოვრებელი უბნები მოქცეული იყო ამოსაშრობი სისტემის არხებს შორის. ამიტომ დაბლობის ამოსაშრობი სისტემა ერთგვარ ტექნოლოგიად ევლინებოდა დაგეგმარების არქიტექტურულ მხარეს, რის გამოც დაგეგმარების პროექტების საფუძველს არხების სწორკუთხოვანი, გეომეტრიული ქსელი წარმოადგენდა. არხების გასწვრივ კი ერთ რიგად განლაგებული იყო კოლმეურნეთა საცხოვრებელი სახლები, საკარმიდამო ნაკვეთებით პარცელებით. დასახლებებს ადმინისტრაციული ცენტრები გააჩნდათ მიმდებარე მთავარი მაგისტრალებით. ეს იყო სოფლის მთავარი მოედნები. სოფლსაბჭოს, კლუბის, სკოლის, საბავშვო ბაღის, სასადილო-საცხობის, სამედიცინო პუნქტისა და სხვა შენობებით შემოფარგლული. სამეურნეო-საწარმოო ზონა კი სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების მიხედვით სოფლის განაპირას იყო გადატანილი. ამ პროექტების პერსპექტიულ ნახატებში ჩანს, რომ საზოგადოებრივი ზონის კაპიტალური შენობები სოფლის განაშენიანებას დიდ მასშტაბსა და თანამედროვე იერს ანიჭებდა.

„კოლხიდმშენის" საკოლმეურნეო სახლები დაგეგმარებისა და არქიტექტურულ-მხატვრული გააზრების სიმარტივითა და სისადავით ხასიათდებოდა. ძირითადად, ისინი ხიმინჯებიანი საძირკვლებით, ხის კარკასული კონსტრუქციის, ერთსართულიანი ორ-სამოთახიანი, ე. წ. ეკონომიური სახლების ტიპს წარმოადგენდა. სახლების მთავარი ფასადისა და ეზოს მხარეს აივნები იყო გათვალისწინებული. სახლებს ქართული ხუროთმოძღვრული იერი აჩნდა, რომელიც, ძირითადად, აივნების მოაჯირის, სვეტისთავებისა და კარნიზების ხისაგან მოხარატებული ჩუქურთმებით გამოიხატებოდა. ქეთევან სოკოლოვა იხსენებს: „კოლხეთში მუშაობისას ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ სოფლის ქალებს ხშირად თვალები დაწითლებული ჰქონდათ, ვინაიდან სამზარეულო საცხოვრებელი ოთახებიდან მოშორებით, ეზოში იყო მოთავსებული, ამის გამო გახურებული კერიიდან ოთახებისკენ მიმავალთ მათ ეზოში გავლა უხდებოდათ. ჩვენი პირველი პროექტებიც ტრადიციის მიხედვით სამზარეულოს გარეშე გვქონდა გადაწყვეტილი. კოლხეთში მომუშავე არქიტექტორებმა ამის შესახებ სპეციალური მოხსენებითი ბარათი მივწერეთ ზემდგომ ორგანოებს, ნებართვა მივიღეთ და შემდგომ უკვე სამზარეულო კვანძი სახლებს შიგნით დავაპროექტეთ".

თანამედროვე არქიტექტურით გატაცებული ქეთევანი ძველი ქართული საცხოვრებელი სახლის დადებით ტრადიციებსაც არ ივიწყებს. იგი გულდასმით ათვალიერებს და სწავლობს გლეხთა სახლებს, განსაკუთრებით დაამახსოვრდა კოლხურ საცხოვრებელ სახლებში გავრცელებული ფართო, გასაწევი კარი. ამ ხუროთმოძღვრული ტრადიციის გავლენით თბილისში მეცნიერ-მუშაკთა საცხოვრებელი სახლის დაპროექტებისას იგი ოთახებს შორის ფართო, მომინულ, მრავალფრთიან კარს აკეთებს.

ორმოციანი წლებიდან ქეთევან სოკოლოვას შემოქმედებაში საქალაქთმშენებლო მიმართულება უმთავრესად ცალკეული მოცულობითი არქიტექტურული ობიექტების გადაწყვეტას უთმობს ადგილს. ამ პერიოდში ქეთევანი განსაკუთრებით ბევრს მუშაობს ადმინისტრაციული შენობების პროექტებზე, აღსანიშნავია „ლიმანტრესტის" ადმინისტრაციული შენობა, რომელიც შემდეგ ტიპიურ სახეს ღებულობს და მრავალ ადგილას შენდება: კოხორაში, ახალ ათონში, გაგრაში, გალში. სხვადასხვა უწყებისათვის ადმინისტრაციული სახლები აშენდა ანაკლიასა და ცხინვალში. იმ დროს ადმინისტრაციული შენობების მთავარ ღირსებად ითვლებოდა მოცულობითი მთლიანობა და კომპაქტურობა, მთავარი ფასადის სიმეტრიულობა და კომპოზიციური ხერხებით მთავარი შესასვლელის მკვეთრად გამოყოფა. ყველაფერი ეს ახასიათებდა აღნიშნულ ადმინისტრაციულ შენობებს და გაპირობებული იყო მათი მდებარეობით მთავარ მოედნებსა და მაგისტრალებზე. მათ მონუმენტურ იერს მჭიდროდ ეწყმოდა მიმზიდველი და მეტყველი არქიტექტურული სახე.

დიდი სამამულო ომის დაწყებისას შეწყდა ქეთევან სოკოლოვას პროექტებით დაწყებული ორი დიდი ობიექტის მშენებლობა. ეს იყო ,,ლიმანტრესტის‘‘ კინოკლუბი ციხისძირში და ზოოვეტინსტიტუტის შენობა თბილისში.

ომის შემდგომ წლებში ქეთევან სოკოლოვას შემოქმედებაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის თემა. ჩვენში, არქიტექტურის განვითარების ამ ეტაპზე, დამახასიათებელი იყო არა მთლიანი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობა, არამედ ცალკეული დიდი საცხოვრებელი სახლების გაშენება, მთავარ, მაგისტრალურ ქუჩებზე. ამ სახლებს ახასიათებდა საცხოვრებელი სექციებისა და კონსტრუქციული სქემების მრავალფეროვნება. მნიშვნელოვან ფაქტორად ითვლებოდა წარსულის მხატვრული ხერხების გამოყენებით სახლის გარეთა იერის გამდიდრება.

ქეთევან სოკოლოვას მიერ დამუშავებული საცხოვრებელი სახლების პროექტების ჯგუფიდან აღსანიშნავია განხორციელებული ობიექტები: მეცნიერ მუშაკთა საცხოვრებელი სახლი პეკინის ქუჩაზე (არქიტექტორ ი. ჩხენკელთან ერთად), საცხოვრებელი სახლი ვახუშტის ქუჩაზე და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მუშაკთა საცხოვრებელი სახლები ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე, რომლებიც მთავარ ქუჩებზეა გაშენებული. მათ მთავარ ფასადებს პარადული იერი აქვთ. წყალთა მეურნეობის მუშაკთა სახლების ფასადების დამუშავებისას ავტორი კომპოზიციის რენესანსულ ხერხს იყენებს. ორივე საცხოვრებელი სახლი




საკოლმეურნეო საცხოვრებელი სახლი კოლხეთისათვის. არქიტექტორი ქ. სოკოლოვა

მძლავრი კარნიზებით მთავრდება, რომელთა არქიტექტურული ფორმები მთლიანად ეროვნული ხუროთმოძღვრების მემკვიდრეობაზე დაყრდნობითაა შექმნილი. მთავარ ფასადებზე, აივნებისა და ლოჯიების უხვად გამოყენება მიზანშეწონილია ფუნქციურად, ეროვნული ტრადიციების შესაბამისად, სამხრეთის კლიმატის გათვალისწინებით და მხატვრული თვალსაზრისითაც. ერთ სახლში სამ სართულად აზიდული აივნების ჩრდილნათელის ლაქები ფასადის მხატვრული დამუშავების აქცენტია. მეორეში კი ორნამენტით დამუშავებული ლოჯიების რიტმი ფასადის არქიტექტურული სახის შექმნის კომპოზიციური ხერხია. ამ სახლების განხილვა გვიჩვენებს თუ დეტალების დამუშავების როგორი სიყვარული ახასიათებს არქიტექტორს. აღსანიშნავია აივნებიანი სახლის ქვის რუსტებით დამუშავებული პირველი სართულის კარნიზში მოწყობილი ჩაღრმავება, რომელიც ფანჯრების წინ ყვავილნარის მოსაწყობადაა განკუთვნილი. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს სახლი ჩვენი ქალაქის საცხოვრებელ ფონდში ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია.

ქეთევან სოკოლოვა 80-მდე პროექტის ავტორია, რომელთა უმრავლესობა განხორციელებულია. მას შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა გამოჩენილ ქართველ არქიტექტორებთან: იოსებ ზაალიშვილთან, ივანე ჩხენკელთან, კოტე ჩხეიძესთან, მიხეილ მელიასთან. არა ერთი პროექტი აქვს შესრულებული თავის მეუღლესთან, არჩილ ქურდიანთან ერთად, მათ შორის: საქართველოს მთავრობის სახლის საკონკურსო პროექტი (1946 წ.), კურორტ ,,სქურის‘‘ დაგეგმარება (1944 წ.), საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს პავილიონის რეკონსტრუქციის პროექტი (1959 წ.), განხორციელებული პროექტები: კლუბი ქალაქ ხონში (1929 წ.), ფიზკულტურის ტექნიკუმი ქ. თბილისში (1934 წ.), სასტუმრო ,,ინტურისტი‘‘ ქ. გორში (1947 წ.).

პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად ქეთევან სოკოლოვა არქიტექტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწევა. 1934 წლიდან, არქიტექტორთა კავშირის დაარსების პირველივე დღიდან, მისი აქტიური წევრია. ამ ხნის განმავლობაში არჩეული იყო არქფონდის გამგეობის წევრად, ქალაქთმშენებლობის სექციის მდივნად, შემდეგ საკოლმეურნეო მშენებლობის სექციის მდივნად. 1937 წელს მოსკოვში, არქიტექტორთა საკავშირო პირველ ყრილობაზე, გამოვიდა მოხსენებით საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის თემაზე. ქეთევან სოკოლოვას ნაყოფიერი მოღვაწეობა მთავრობის ჯილდოებითაა აღნიშნული. იგი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეა, 1963 წლიდან კი — პერსონალური პენსიონერი. მისი ვაჟიშვილი გია ქურდიანი მშობლების კვალს გაჰყვა. ამჟამად იგი მამასთან ერთად ,,დინამოს‘‘ სტადიონის რეკონსტრუქციაზე მუშაობს. ვფიქრობთ, იგი სახელოვანი მშობლების შემოქმედებითი გზის ღირსეული გამგრძელებელი იქნება.

ქ. სოკოლოვას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა იმ დროს მოუხდა, როდესაც შემოქმედებითი პრინციპების სრულიად სხვადასხვა აზრთა და შეხედულებათა ბრძოლაში ყალიბდებოდა ახალი ქართული არქიტექტურა. ახალგაზრდა ქალი თავისი ნამუშევრებით საბჭოთა არქიტექტურაში ეროვნული ფორმების შემოქმედებითი გამოყენების მეხოტბე გახლდათ. მისი შემოქმედება იმდროინდელი ქართული არქიტექტურის საერთო მიმდინარეობის ჩარჩოებშია მოქცეული, უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქეთევან სოკოლოვამ საკუთარი შემოქმედებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი დროის ქართული საბჭოთა არქიტექტურის სტილის ჩამოყალიბებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი ,,საბჭოთა ხელოვნება" ბეჭდავს წერილების ციკლს მსახიობებზე. ამ ციკლში, რომელიც თარგმნა და შეადგინა ედიშერ გიორგაძემ, შედის ცნობილი ინგლისელი დრამატურგის ჯ. ბ. პრისტლის, მეოცე საუკუნის მეოთხედის გამოჩენილი კრიტიკოსის ვ. დოროშევიჩის, ცნობილი რუსი მომღერლის თ. შალიაპინის ქალიშვილის ლ. შალიაპინასა და გამოჩენილი იტალიელი მომღერლის ბ. ჯილის წერილები.

# მსახიობთა შესახებ

**ჯ. ბ. პრისტლი.**

## მსახიობები ციკლიდან „ადამიანები"

*მსახიობის ბუნება რთული, საინტერესო, მრავალწახნაგოვანი და, ყოველგვარი მოულოდნელობითაა აღსავსე.*

*კ. სტანისლავსკი.*

ჩემს სიყმაწვილეში ხშირად ვმდგარვარ რიგში, რათა ადგილი მეშოვა ბრედფორდის ძველი, სამეფო თეატრის ქანდარაზე. სცენისაკენ მიმავალ მსახიობებს ჩვენს გვერდით უნდა ჩაევლოთ. აღფრთოვანებით შევყურებდი მათ. იმ დროს მსახიობები გავდნენ მხოლოდ მსახიობებსა და სხვას არავის. მათ ვერ მიიჩნევდით ვერც მატყლის მოვაჭრეებად, ვერც მოხელეებად, ანდა ბაბტისტური ეკლესიების დიაკვნებად, ასე კარგად რომ მახსოვან ბავშვობიდან. ისინი ატარებდნენ უჩვეულო კუბოკრულ კოსტიუმებს, მყვირალა ჰალსტუხებსა და უცნაურ, კოჭებამდე ჩაშვებულ პალტოებს. მათს შემხედვარე კაცს ეგონებოდა, რომ ისინი არასოდეს იცილებდნენ გრიმს (ახლანდელი მსახიობების საპირისპიროდ) და ქუთუთოებზე მუდამ აჩნდათ მოლურჯო-მოშავო ზოლები.

ამა ქვეყნისანი არ იყვნენ და არც ჰქონდათ ამისი პრეტენზია. სწრაფად ჩაგვიქროლებდნენ ხოლმე ფეერიული პალტოებით, მბრწყინავ კულულებზე დარდიმანდულად მოქცეული ქუდებით, გაუგონარ ამბებზე მოსაუბრენი, ელვარე მზერას გვტყორცნიდნენ და ამ მზერას უფრო საჩინოს ხდიდა მოშავო-მოლურჯოდ შეღებილი ქუთუთოები.

შემდეგ გაქრებოდნენ სცენის კარებში, რათა კვლავ წარმდგარიყვნენ ჩვენს წინაშე სცენის ფიცარნაგზე. ამჯერად სრულიად შეცვლილნი, დავიდ ჰარიკის პარიკითა და მუხლებზე შემოტკეცილი შარვლებით. ჩემი ნორჩი, სავსებით უმწიკვლო გული ესიყვარულებოდა ამ რომანტიულ არსებებს. შესაძლოა სწორედ მაშინ ჩამესახა სურვილი დამეწერა რაიმე თეატრისათვის. ახლა, თეატრებში ამდენი მუშაობის შედეგად, მსახიობების სულის ყველა კუნჭული ვიცი და, ვეჭვობ, მათი თავბრუდამხვევი ილეთებისა და ეგზოტიკური გამოვლინებიდან რაიმე გამომრჩენოდეს.

მაგრამ ჩემი ხელობის კაცს მათთვის თბილი ადგილი უნდა ჰქონდეს მიჩენილი გულში. ამის მიზეზი ალბათ ის ადრინდელი აღფრთოვანებაა, უწინ რომ განმიცდია, როცა ისინი თავმომწონედ ჩაგვივლიდნენ ხოლმე სცენისაკენ მიმავალნი. მართალი გითხრათ, ზოგჯერ მსურს კიდეც, უფრო მეტად იყოყოჩონ. ჩაიცვან უფრო დიდი პალტოები, დაიხურონ მთლად უჩვეულო ქუდები და იარონ გრიმით გათხუპნულებმა. ეს ხომ განარიდებდა მათ რესპექტაბელურობისაგან, გამოსარჩევს ხდიდა ყველასაგან, ხოლო ადამიანთა თვალში სახავდა გაიძვერებად და მაწანწალებად, თუმცა ჰფარვიდე მათ, ღმერთო, — ასეთებიც იყვნენ სინამდვილეში.

**ვ. დოროშევიჩი.**

## ჩვენი დროის აქტიორი

დღევანდელ დღეს, თეატრალურ დღეს, ურიგო არ იქნება მოვხაზოთ სილუეტი ჩვენი თანამედროვე აქტიორისა, ახალშობილის.

იგი ოცი წლისაა. დიდებული ასაკია. გრძელი, ქერა თმა მოუშვია. ყურებზე აფენია, როგორც მოცეკვავე ქალს კლეო დე მეროდის. სახე უაილდისებური აქვს. რამდენიმე წლის წინათ ეს ჯერ კიდევ აღძრავდა ცნობისმოყვარეობას. ახლა კი მივეჩვიეთ. უამრავია ასეთი. მომრავლდნენ ,,უაილდები".

იგი ყოველივეს, რაც კი მასზე ადრე შექმნილა, უვარგისად თვლის, პიესებს, დადგმებს, თამაშს. ახალს უმიზნებს. და ამისათვის ხომ აუცილებელია წარსულის მოძულება. სხვაგვარად ხომ არც აღიძვრის სურვილი სიახლისა. ღრმადაა დარწმუნებული, რომ თეატრი კრიზისს განიცდის, რომ თეატრი იღუპება. თან დასძენს:

თეატრი, როგორც ასეთი.

რა შუაშია ეს ,,როგორც ასეთი" — სავსებით გაუგებარია, მაგრამ ასე ხომ უფრო ჭკვიანური ნათქვამი გამოდის.

განსაკუთრებით უყვარს თეატრზე საუბარი. უფრო მეტიც. გაცილებით მეტს ლაპარაკობს, ვიდრე თამაშობს და ლაპარაკობს არა ოკრობოკრო ლუდხანებში, როგორც ეს ადრე იყო

მიღებული, არამედ — „სამშაბათობებზე", „ოთხშაბათობებზე, „ხუთშაბათობებზე", „პარასკეობებზე", „შაბათობებზე", „კვირაობებზე", „ორშაბათობებზე".

ენა გაუბრტყელებია პოლიტექნიკურ მუზეუმსა თუ სხვა ისეთ ადგილებში, სადაც ისეთი ხალხი იყრის თავს, არად რომ მიაჩნია სად მოკლას დრო.

თეატრი იღუპება.

თეატრი უკვე დაიღუპა.

გოდებს იგი. და ეს ღაღადი დიდი იმედებით აღგვავსებს. მხსნელივით შევჩერებივართ. იქნებ ამან გვიშველოსო, ვფიქრობთ.

ძველი დროის მსახიობთა ყოფა-ცხოვრებას, აუდიტორიებისა და მუზეუმების მიღმა რომ მიმდინარეობდა, ზიზღნარევი ღიმილით შეჰყურებს.

ლოთები, წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი.

ვერ იტანს ყოველივე არსებულს.

ძველმანიაო, ამგვარი ძონძითაა სავსეო სახელმწიფო თეატრების ფიცარნაგები.

ვერ იტანს უბადრუკ ხელოსნებს, კერძო სცენებზე რომ გამოდიან ლუკმა პურისთვის.

საქებარია, იყო მუდამ არსებულით უკმაყოფილო.

უკმაყოფილება — ესაა ადამიანის სულის შემოქმედებითი მდგომარეობა. უკმაყოფილება ჭკუის ფეხმძიმობაა.

ძველ თეატრსა და ძველ მსახიობებზე საუბარს შემწყნარებლური ღიმილით უსმენს.

საზოგადოება იყო იმდაგვარი, თეატრში სარკეებში ჩასახედად დაიარებოდნენ. კმაყოფილნი იყვნენ იმ სარკეებით, სახეებს რომ ბრეცდა, ზედმიწევნით წააგავდნენ ამით ხალხში გამოუსვლელ მზარეულ ქალებს.

ძველი დროის ტიტანებს თუ ახსენებენ, მხრებს იჩეჩავს.

ჰო, თავისი დროის მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ ალბათ. იმ დროისათვის ეს საკმაო იყო.

სურს გადაშენდეს, მიწასთან გასწორდეს ყოველივე ძველი.

ეს კანიბალურია.

მაგრამ ბუნებრივია, მისი აზრით. კაცობრიობა ორ მტრულ ბანაკად იყოფა: კაცებად და ქალებად. თითოეული ბანაკი, თავის მხრივ, ორ მტრულ უბნად იყოფა — მოხუცებად და ახალგაზრდებად. ახალგაზრდობას არ ძალუძს არ ეზიზღებოდეს ძველი თაობა — ცხოვრებაში ხელისშემშლელი — ახლებურად ცხოვრებაში.

თუკი ორმოც წელს გადაცილებულნი ერთ მშვენიერ დღეს უცებ გააფრთხობდნენ სულს, კაცობრიობა ამით სამი საუკუნით გააკეთებდა ნახტომს წინ.

ახალი აქტიორი იფიცებს კომისარჟევსკაიას, რომელიც არასდროს უნახავს, ბოდავს გორდონ გრეგზე, რომლის შესახებ მისხლის ოდენა ჩასცდენია ყურში და ცაში აჰყავს მაქს რეინჰარტი, ვიზედაც სულ არაფერი სმენია. ეთაყვანება იმ გრძნობააშლილ რეჟისორებს, ახლა მსახიობებზე მეტად რომ მომრავლდნენ.

ასეთი ჯურის რეჟისორი ისეთი ჩამტკბარი ხმით, თითქოსდა პირში შაქრის ოთხი დიდი ნაჭერი ედოს, გვამცნობს თავის განწყობილებებსა და განცდებს.

როცა კონსტანტინ სერგის ძემ ყურზე წაივლო ხელი, მარცხენა წარბი ასწია და თქვა „მ-დ-ას". იცით, ეს ნამდვილი ზეშთაგონება იყო. გარწმუნებთ.

— კი მაგრამ, რაში გამოიხატება იგი?

— როგორ გითხრათ, ძნელია სათქმელად. ეს განწყობილებაა, განცდაა. გამოვლინდა შესაძლებლობანი... ისეთი მიღწევებია...

— ღმერთმანი არაფერი მესმის.

— სწორედ გითხრათ, მეცოდებით. ჩვენ კი ყოველივე გვესმის და ყოველივეს ვწვდებით.

ძველი აქტიორი დანასისხლად იყო რეჟისორთან —

ნუ მწურთნი!

ახალს კი შნოდ და ლაზათად მიაჩნია თავისი თავი თიხად მიიჩნიოს —

გამომძერწეთ!

ეს საძაგლობაა.

ძველებს ჭკვიანურად უთქვამთ:

ნუ შეიქმნი კერპს. ძირს კერპები. მიწას გართხმული შორს ვერ წახვალ.

საით მაინც?

ახალი აქტიორი ამბობს, საზოგადოება ამჟამად თეატრში ახალ ემოციებს ეძიებს — როგორს, არ გვეუბნება. ან საიდუმლოდ ინახავს, ანდა, უბრალოდ, თვითონაც არ იცის, და საიდანღაც „სიღრმიდან" იბრძვის, მოიწევს, მაჯლაჯუნასავით აწვება, ცდილობს ხელახლა დააინტერესოს და დაიპყროს საზოგადოება.

ძველი რეპერტუარი. განცდები, განწყობილებანი, მიღწევები. ფარული შესაძლებლობანი.

ყოველივე ამან კი შესაძლოა დააინტერესოს მარტოდენ ის გიმნაზიელები, კონტრამარკებით რომ შედიან თეატრში.

შესაძლოა, ყველაფერი ეს კარგიც იყოს, მაგრამ იდეების განხორციელებაცაა საჭირო. ასე ვგონებთ.

არ კი უწყიან თუ როგორ.

ხელოვნებაში მთავარია არა მხოლოდ —

რა?

არამედ ტოლფასოვნად და, შესაძლოა, მეტადაცაა საჭირო —

როგორ?

ვინღაა აბა ეს ახალშობილი ბოლოდროინდელი გამგებელი სცენისა, კლეო დე მეროდის ვარცხნილობითა და უაილდისებური სახით?

ჭეშმარიტი ნოვატორი?

თუ

მარტოდენ გაუთლელი

უზრდელი ტეტია?

**ლ. ზალიაპინა.**

* * *

ერთხელ მე და მამა ვისხედით მოსკოვის საზაფხულო ბაღში. ესტრადაზე იტალიელ მემანდოლინეთა ორკესტრი უკრავდა. კონფერანსიემ გამოაცხადა: შესრულებული იქნება პროლოგი ლეონკავალოს ოპერიდან „ჯამბაზები". ესტრადაზე გამოვიდა ახალგაზრდა კაცი და სიმღერა დაიწყო. მამაჩემმა წამსვე მიაქცია ყურადღება. ლამაზი ბარიტონის მფლობელმა იტალიელმა ბრწყინვალედ შეასრულა ურთულესი არია.

მაშინ მამამ სთხოვა მოსამსახურე პერსონალს მოეპატიჟათ მასთან მომღერალი. ეს დიდ რამეს ნიშნავდა. ცნობილია თუ როგორი ძუნწი იყო იგი შექებაში. სიმღერის დიდოსტატებსაც კი არ აღირსებდა ხოლმე აღიარებას. ახალგაზრდა იტალიელი მართლაც ღირდა ქებად. მამამ დაწვრილებით დაუწყო გამოკითხვა, ვისთან ესწავლა, რამდენი ხანი და ა. შ.

— მე არსად და არავისთან არ მისწავლია არასდროს, — მიუგო მომღერალმა.

— აბა როგორ მღერით ასე? — გაკვირდა შალიაპინი.

— სახლში ვმღეროდი. ჩემით ვისწავლე. და საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი მოყვარული არ გახლავართ ვოკალისა.

— მაშ, ანსამბლში რატომღა ხართ? — ახლა მთლად დაიბნა თეოდორ ივანეს ძე.

— მე, სენიორ, მუშა გახლავართ. გავიგე თქვენი ქვეყანა მუშათა ქვეყანა ყოფილა. ძალიან მინდოდა ჩემი თვალით მენახა. მაინტერესებდა. საშუალება არ მქონდა ამისა და აი, სიმღერამ მიშველა. ჩავეწერე მემანდოლინეთა ანსამბლში და ასე მოვხვდი აქ.

მან მადლობა გადაუხადა მამას და დაემშვიდობა. თეოდორ ივანეს ძე კი გაოგნებული იჯდა ერთხანს. მერე ჩუმად ჩაილაპარაკა:

რამდენი უნიჭო ილტვის სცენისაკენ, რამდენი რეგვენი რას არ სჩადის, რომ თეატრში მოხვდეს და ბილწავს სცენას, ეს კი?... უცნაურია ეს ყოველივე.

ბ. ჯილი

* * *

მე წილად მხვდა ბედნიერება კონსერვატორიაში განსწავლის ხანს ვყოფილიყავ დიდი ბარიტონის ანტონიო კოტონიოს მოწაფე.

კოტონიო, გარდა საოცარი ტალანტისა, უზადო კეთილშობილებით გამოირჩეოდა.

აი, მაგალითიც.

იგი არც თუ ისე ხანში შესული საგასტროლოდ გაემგზავრა პეტერბურგში და დიდის წარმატებით გამოვიდა იქ სხვადასხვა როლში. მოხდა ისე, რომ მთლად ახალგაზრდა ბატისტინიც ჩამოვიდა საგასტროლოდ. 22-ში პეტერბურგში უნდა ემღერა ვერდის რთული ოპერა „ბალმასკარადი“.

კოტონიო მივიდა მასთან და ნება შესთხოვა რამდენიმე გაკვეთილი მიეცა მისთვის. ეს პარტია მე ბევრჯერ მაქვს ნამღერი და ურიგო არ იქნება მცირე რამ რჩევა მოგცეთო.

ბატისტინის სიხარულს, რა თქმა უნდა, საზღვარი არ ჰქონდა. კოტონიომ რამდენიმე დღე ამეცადინა ბატისტინი.

სპექტაკლმა დიდის წარმატებით ჩაიარა და პირველი, ვინც სცენაზე ავიდა და ახალგაზრდა მომღერალს მიულოცა, კოტონიო იყო. იგი გადაეხვია ბატისტინის, შემდეგ შემობრუნდა საზოგადოებისაკენ და განაცხადა, რომ დღეიდან სამუდამოდ ტოვებს სცენას. აი, ჩემი შემცვლელიო.

კოტონიოს ხმა არამცთუ მაშინ, ჩემი მოწაფეობის დროსაც კი, ისე ჰქონდა შენახული, რომ მოწაფეებს გვანცვიფრებდა, როცა გაკვეთილზე იმღერებდა ხოლმე. მან უბრალოდ იგრძნო, რომ მოვიდა მასზე დიდი მომღერალი და უყოყმანოდ და დაუნანებლად დატოვა სცენა.

მსახიობებს მოეხსენებათ თუ რაოდენ დიდი კეთილშობილებაა ამისათვის საჭირო.



*რ. ხოჯავა.*
ნავსადგურთან

# ახალგაზრდა მუსიკოსების კონცერტი

მერაბ კოსტავა

პარბა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლების, მევიოლინე როდამ ჯანდიერისა და პიანისტ ჯარჯი ბალანჩივაძის კონცერტი. ისინი მსმენელთა წინაშე რთული და მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგნენ. პირველ განყოფილებაში მათ ერთობლივად შეასრულეს ჰენდელის სავიოლინო სონატა რე-მაჟორი, ბრამსის სონატა სოლ-მაჟორი და ნოქტიურნი ვაგნერის ოპერიდან ,,ნიურნბერგელი მაისტერზინგერები‘‘.

კონცერტის პირველ განყოფილებაში ტონის მიმცემი ჯანდიერი გახლდათ. ფორტეპიანოს პარტიის შემსრულებელს შემოქმედებითი ეგოიზმის დიდი ნაწილი უნდა დაეთმო და მევიოლინის პულსაციას აჰყოლოდა. ასეთ როლში ხშირად საშუალო ინსტრუმენტალისტი უფრო კარგად გრძნობს თავს, ვიდრე დიდი მასშტაბის სოლისტი, რადგან უკანასკნელს პარტნიორისთვის უფრო უჭირს კერძო თავისუფლების მსხვერპლად გაღება, ვინემ საშუალო შემსრულებელს თავისი მოკრძალებული სიტყვის მისადაგება. ჯარჯი ბალანჩივაძე ტიპიური სოლისტია ამ სიტყვის ფართო გაგებით და ამიტომაც პირველ განყოფილებაში იგი თავისთვის შედარებით ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

წარმატებით გაუმკლავდა რთულ პროგრამას როდამ ჯანდიერი. ახალგაზრდა მევიოლინის დაკვრა ზომიერების გრძნობითა და ფერთა გრაფიკული სიძუნწით უფრო შესრულების კლასიკურ მანერას უახლოვდება. შემსრულებელი საკონცერტო რეპერტუარისათვის მხოლოდ გარეგან ბრწყინვალებისაგან დაცლილ ნაწარმოებებს ირჩევს. მისი დაკვრისათვის უცხოა ჭარბი ეკზალტაცია და სენტიმენტალობა.

იგი დიდ სიმკაცრესა და სერიოზულობას იჩენს ნაწარმოების ფორმისადმი. ამიტომაც ყველაზე წარმატებით მან ჰენდელის რე-მაჟორი სონატა შეასრულა, რომლის ემოციურ სისადავესა და ბგერათა ქსოვილის კეთილშობილებას კარგად მოერგო მისი საშემსრულებლო ტემპერამენტის ზომიერება. ახალგაზრდა მევიოლინის პროფესიული დონე მთელის ძალით ბრამსის ურთულესი სოლ-მაჟორი სონატის შესრულებისას გამოვლინდა. ბრამსის ეს სონატა ისეთი ქმნილებაა, რომლის მომგებიანობა დიდადაა განპირობებული შემსრულებლის არტისტული დიაპაზონით. გამოსახვის საშუალებათა მრავალფეროვნებისა და სრულყოფილი აპარატის გარდა იგი მუსიკოსისაგან დიდ ძაბვისამტანობას მოითხოვს. საერთო მაღალი დონის ფონზე ყველაზე მკაფიო შთაბეჭდილება დატოვა სონატის პირველი ნაწილის ფინალურმა ეპიზოდმა.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია კონცერტის მეორე განყოფილებამ, სადაც ჯარჯი ბალანჩივაძე მოგვევლინა სოლისტად.

ბალანჩივაძე პიანისტ შემსრულებელთა იმ უმცირესობას ეკუთვნის, რომლებიც დიდ კომპოზიტორთა მიერ სანოტო ქარტაზე აღბეჭდილ ქმნილებებს დაუმთავრებელი ნაწარმოებივით უყურებენ და ფიქრობენ, რომ მხოლოდ შემსრულებელმა უნდა მიიყვანოს ისინი ბოლომდე. ჯარჯი საკუთარი თავისადმი უაღრესად მომთხოვნია, იგი მხოლოდ მას შემდეგ გამოდის ესტრადაზე, როდესაც სარეპერტუარო პროგრამის მომზადებისას საკუთარი მოთხოვნილების დონეზე იგრძნობს თავს. ბალანჩივაძისათვის პიანიზმი მხოლოდ ხელოვნება როდია, არამედ თავისებური ნეკრომანტია — მსმენელთა წინაშე წარსულის განწყობილებათა გამომწვევი.

გარდასულ ჟამთა მოვლენები, ისტორიის წარმმართველ ინდივიდუალობათა ნებელობითი აქტები მხოლოდ ღრმა წიაღსვლის შემდგომ თუ გვამცნობენ სხვადასხვა ეპოქის სულიერ დონეებს. მათზე უფრო უშუალოდ ხელოვნების ქმნილებები გვესაუბრებიან. კაცობრიობის სულის ჭეშმარიტ მემატიანეებად სწორედ ხელოვნების დიდოსტატები გვევლინებიან. მათ რიგს მუსიკის კორიფეებიც უნდა მივაკუთვნოთ. დიდი კომპოზიტორები კოსმიური ჰარმონიის იმპულსებით ტვიფრავენ ფსიქეს და განაპირობებენ მისი გრადაციის პროცესს. ფსიქეს ისტორიული განვითარების ამ სტადიებს კი თანამედროვე სულის ფოკუსში მხოლოდ დიდი შემსრულებელი თუ უყრის თავს. იგი როდი გვთავაზობს წარსულის განწყობილებას, კომპოზიტორის ხასიათში, ვითარცა დროის ფენომენში ჩამოსხმულსა და სტაბილიზებულს, არამედ ამ ხასიათის მიღმა მდებარე ტრანსცენდენტულ მარცვალს შემოქმედებითი საწყისების თავანკარას, ჟამისა და სივრცის კიდეგან მდგარსა და მარადიულს. სწორედ რომ დიდი პიანისტი შეიძლება იყოს კომპოზიტორსა და მსმენელთა შორის ინტიმური ძაფების გზნებით გამბმელი და იმ მუზის განმცხადებელი, კომპოზიტორს რომ შესჩენია მფარველ გენიად. გარდასახვის ასეთი მაგიური ოპერაცია შემსრულებელთა მხოლოდ რჩეულ ნაწილს ხელეწიფება. ბალანჩივაძე თითქმის მისულია ამ ეტაპის კარიბჭეებთან. მას უდავოდ გააჩნია შემოქმედი გულთამხილველის ის მადლი, დიდ კომპოზიტორთა სულის ლაბირინთებს რომ ეთამამება.



როდამ ჯანდიერი

ჯარჯი ბალანჩივაძე



მხოლოდ მცირენი იყურებიან ქაღალდზე აღბეჭდილი სანოტო ნიშნების მიღმა. უკეთეს შემთხვევაში გვთავაზობენ საინტერესო ინტერპრეტაციის მხოლოდ სქემებს, დინამიკის კიდეგან მდგარი ინტელექტისაგან გამწირებულს. ასეთ შემთხვევაში ჩვენამდე მოაქვთ ნაწარმოების მხოლოდ ნახევარი. პიანისტის თავისუფალი შემოქმედება კი მხოლოდ იქ იწყება, სადაც კომპოზიტორმა დასვა საბოლოო წერტილი. სწორედ ეს წერტილია ამოსავალი ჯარჯი ბალანჩივაძის პიანიზმისათვის. აქედან გამომდინარეობს ის დიდი თავისუფლება, რომელიც მის ინტერპრეტაციებს ახასიათებს. მისი დაკვრა აღსავსეა მოულოდნელობებით, რაც თვითმიზანი როდია, არამედ თავად პიანისტის შინაგანი სიღრმეების ცხოვრება და რეალობა. მასთან ვერ შევხვდებით მანერულობის, ყალბი პათოსის, გარეგანი ეფექტების თუნდაც მცირე გამონაჟონებს. შემსრულებლისათვის მხატვრული ლოგიკის საფუძველი და ფორმის შეგრძნების გასაღები უტყუარი ინტუიციაა. მარტოოდენ მშრალი ინტელექტი კი წინასწარგანზრახულიდან გადახვევის შიშს შეიცავს. თავისუფლება იწყება მხოლოდ ინტუიციაზე მინდობით. აქ იშლება ლოგიკის გაფართოებისა და შიშის დაძლევის საიდუმლოება.

პიანისტმა წინასწარგანზრახულს გაბედული, მოულოდნელად მიღებული გადაწყვეტილებები უნდა შეუთავსოს. წინასწარგანზრახულობა ფორმის ფენომენს მიეკუთვნება და თვით ისეთი დენადი ხელოვნების წარმომადგენლებსაც კი, როგორიც არიან მუსიკოს-შემსრულებლები, წინასწარ უნდა ჰქონდეთ დასახული მიზნად იდეალური ფორმა. ბალანჩივაძე არა თუ ცალკეულ ნაწარმოებს, არამედ მთელს კონცერტს აღიქვამს როგორც ერთ მთლიან სხეულს. მას შეუძლია ისე გაანაწილოს ემოციათა ნაკადი, რომ კონცერტს მეტად მკაფიო აღნაგობა მიანიჭოს. მაგალითად, მან შედარებით მკრთალად დაიწყო შოპენის მი-ბემოლ მაჟორი ნოქტიურნი, რათა შემდგომში თანდათანობით ჩაერთო ემოციის დანარჩენი მარაგი და კონცერტის მთელი მსვლელობისათვის გარკვეული გამკვეთი განვითარება მიენიჭებინა. მაგრამ ბალანჩივაძისათვის დინამიკის წინასწარი განაწილება როდია ამოსავალი წერტილი. როგორც გამოცდილი სპასალარი არ მისდევს საბრძოლო ტაქტიკის დოგმებს და, სიტუაციის შესაბამისად, ერთ წამში ცვლის წინასწარ დადგენილ გეგმებს, ასევე სოლისტიც უნდა ენდობოდეს იშვიათი წუთების შინაგან გამოძახილს, მსმენელთა მომნუსხველი ღვთაებრივი პარადოქსების მშობელს. წინასწარგანსაზღვრულობა, როგორც რაციოს ელემენტი, სქემის გარანტიაა მხოლოდ. სწრაფი, ელვისებური გადაწყვეტილებების გაბედული განხორციელებაა მხატვრული თავისუფლებისა და საშემსრულებლო ეთოსის საფუძველი. ამიტომაა, რომ ბალანჩივაძე არასოდეს იმეორებს არც სხვა დიდ შემსრულებლებს და არც საკუთარ თავს. მისი სახით ჩვენ ვხედავთ თითოეულ წამთან მოპაექრე ხელოვანს. ყოველი წუთი ახალი არსებაა მისთვის, რომელიც ემოციის ახალ, უცნობ კონფიგურაციებს სთავაზობს პიანისტს. მაგრამ თავდავიწყება როდი ნიშნავს ნების ატროფიას, მის ხელოვნებაში ნათლად იგრძნობა ძლიერ სტიქიურ ძალებზე მძლავრი ნებელობის მეუფება.

თუ თვალს გადავავლებთ ჯარჯი ბალანჩივაძის საკონცერტო რეპერტუარს, რომელიც მას ბოლო ხანებში გამოუტანია ესტრადაზე, შევამჩნევთ პიანისტთან მეტის ინტიმით დაკავშირებულ გარკვეულ სფეროს. ეს გახლავთ რომანტიკოს კომპოზიტორთა წრე: შოპენის, შუმანის, სკრიაბინის საფორტეპიანო პიესები. კონცერტის მეორე განყოფილება ძირითადად სწორედ ამ კომპოზიტორებს დაეთმო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბრამსისა და მესიანის თითო პიესას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოპენი ბალანჩივაძის ყველაზე მახლობელი კომპოზიტორია. შოპენი ზეეროვნული მოვლენა, სლავური მასალა ფრანგული ფილიგრანობით დამუშავებული და გერმანული მეობით შეკრული, შოპენი—რომანული ბელ-კანტოს ექვივალენტი ფორტეპიანოზე. პიანისტმა ბრწყინვალედ გახსნა ამ კომპოზიტორის სულის საიდუმლო, რომელთა სრული ზიარება მხოლოდ შემსრულებელთა უმცირესობას შეუძლია. შოპენი ჰეროიკული გზნების კომპოზიტორია, რომელმაც, შუმანის თქმისა არ იყოს, ბეთჰოვენის სული შეიტანა საკონცერტო დარბაზში. ბეთჰოვენის ჰეროიკა მუსიკის ისტორიაში მე-ს აქტივობიდან გამომდინარე პირველი შეჯახებაა ილუზიის ფარდასთან, თავისუფლების ძალუმი სუნთქვა, ჭეშმარიტებისადმი პირველი მიჯნური სიშმაგე. ეს გახლავთ დაუოკებელი, დიონისური ლტოლვა მარადქალურის გამოსახსნელად. სწორედ მისმა დიონისურმა დინამიკამ გამოიწვია კლასიკურ მუსიკაში აღბეჭდილი ელინური, სიმეტრიული ფორმების მსხვრევისა და ფსიქეს გამოთავისუფლების კრიზისული პროცესი. მაგრამ მარადქალური მაინც ფარდის მიღმაა ბეთჰოვენთან და ამიტომაც შემზარავია ლომისფაფარიანი ტიტანის გრგვინვა. მარადქალური და მარადვაჟური ჯერ ისევ განთვისებულია მასთან და ამიტომაც არის მთელი მისი შემოქმედება ბინერის ამ პოლარული საწყისების დაძლევისა და გადალახვის კატაკლიზმური პროცესი — ტრაგედია კათარზისი.

შოპენის ჰეროიკა გამოთიშავს ბეთჰოვენის მოუხეშაობას. იგი სულით ხორცამდე შუასაუკუნოვანი ევროპის რაინდული კურტუაზიითაა გამსჭვალული და ქალწულის ზოდიაქოს შუქით გამთბარი. ძნელია ჩასწვდე იმ სუბსტანციას, იდუმალად რომ ჰგია შოპენის ქმნილებათა მიღმა. ყველა პიანისტს როდი გააჩნია იზიდას ქურუმის ტკივილები, ან რაინდი ბარდის კეთილშობილება. ბალანჩივაძე კი უდავოდ ჩაწვდა შოპენის შემოქმედების მიღმურ მხარეებს და გამოამჟღავნა ყვავილწნულების ჩეროში შეფარული აბჯარ-მუზარადის ელვარება.

შოპენის ქმნილებების ბგერათა ქსოვილი გაჯერებულია იმ უმაღლესი ეთოსით, რომელიც აიგივებს აუცილებლობისა და შემოქმედებითი თავისუფლების იმპულსებს. მათში ვერ იპარება პაგანინისეული მაგია, სადაც იგრძნობა არტისტული ეგოიზმის პრიორიტეტი წმინდა შემოქმედებაზე. შოპენი-კომპოზიტორი მხოლოდ მაშინ იხსნება, როდესაც თავისი სულის უშინაგანესი ნაწილით კითხულობს მას სოლისტი, თავის ტემპერამენტში ბეჭდავს ცეცხლისა და ჰაერის იმ სტიქიას, საოცარის ძალით რომ აერთებს წვასა და გამჭვირვალებას. ბალანჩივაძის პიანისტურ აღსარებასა და მის პოეტურ უშუალობაში არეკლილია შოპენის სიცხლოვანი და ამავე დროს დაწმენდილი მზერა, მსხვერპლის გრძნობა და ბავშვის თამაშივით გაუმიზნავი იმპროვიზაციულობა. შოპენმა მოხსნა ის ღვთაებრივი შიში და მორჩილების გრძნობა, რომელიც გააჩნიათ შემსრულებლებს პოლიფონიურ ფორმათა მათემატიკისა და კლასიკური ფორმების გეომეტრიისადმი და ღვთაებრივი თავისუფლება მიანიჭა არტისტს. მან უმაღლეს საფეხურზე აიყვანა რუბატოს ხელოვნება. რუბატო კი თავისუფლების პირმშოა. იგი ფორმაზე მიკერძოებულისაგან ათავისუფლებს შემსრულებელს. რუბატო არწივის ფრენას მიაგავს, ტემპის იმპროვიზაციას ლაჟვარდოვან სივრცეში. იგი ცხოველმყოფელი სუნთქვაა და თავისებური იოგა, ამავე დროს საზომია შემსრულებლის პიროვნული თავისუფლებისა. თავისუფლების ეს აუცილებელი ატრიბუტი კი ბალანჩივაძის პიანიზმის ქვაკუთხედს წარმოადგენს. მის ხელში შოპენის ქმნილებები მარადცვლადი ცოცხალი არსებებია, ფორმადმქნელი ძალების ჭარბი ფეთქვით გაჯერებული.

მეტად იშვიათია და ძნელად შესაღწევი შოპენის ესთეტიკის სფერო. იგი იმ ლეგენდარული ხელმწიფის სასახლეს მიაგავს, რომლის წინაშე მდგომობა მხოლოდ სულის არისტოკრატებს ხელეწიფებათ. სწორედ აქ არის ბალანჩივაძე მოწოდების სიმაღლეზე. მის ხელში შოპენის დახვეწილი ინსტრუმენტული ფიორეტურები სჭვივიან ძვირფასი ხატის თვალბუდეებში ჩამჯდარი პატიოსანი თვლებივით.

ბალანჩივაძე-პიანისტი შოპენის თითქმის ნებისმიერი ჟანრის ნაწარმოებთა ხელთუფალია. მას თანაბარის წარმატებით შეუძლია როგორც მინიატურულ ფორმებში ჩაწნეხილი დიდი ვნებების გამოთავისუფლება, ასევე ერთ სუნთქვაზე ასხმა ვრცელ ფორმებში განფენილი ყველა ემოციისა. მის შესრულებაში დაკვირვებული მსმენელი ადვილად მისწვდება კომპოზიტორის მიერ ფორმებში მუმიფიცირებულ პირველ ემოციებს. მაგალითად, პიანისტის მიერ გახსნილი შოპენის სიყვარულის ლა ბემოლ-მაჟორი ვალსი დიდებულ პოემად აღიქმება. სადღაა ყოფილი ელემენტი ქალ-ვაჟის ცეკვისა. ესაა ცეკვით აღსარება. სიმშვენიერის როკვა, Filia-ს რიტმიული განცხადება, სადაც ლირიკულ ეპიზოდებში უსათუთესი ურთიერთობანი გამოკრთიან, ხოლო კულმინაციური მომენტის ციბრუტისებრი სრბოლა სცილდება ყოველგვარ სამანს და მარადქალურსა და ვაჟურს წარმოგვიდგენს, როგორც მოცეკვავე პლანეტას, სადაც ეს პოლარული საწყისები ერთდებიან და ერთ სრულ ადამიანს ჰქმნიან.

შოპენის პრელუდიებში ბალანჩივაძემ მკვეთრად გაუსვა ხაზი თითოეული მინიატურის განწყობილებას და დახვეწილი ფორმებიდან განცდათა მთელი ესენცია გამოიტანა. ასეთია რწევის სიფაქიზე დო-მაჟორი პრელუდისა. ეს ისეთი სიფაქიზის შეგრძნებაა, როდესაც აკვანი თვით უფლის მიერ დარწეული მთელი სამყაროა. რაინდული შემართებით შეასრულა პიანისტმა ლა ბემოლ-მაჟორი პრელუდი, სადაც ბგერათა კორიანტელში გახვეული შუა ხმის ძალუმი ჟღერა მზის მთავარანგელოსის მახვილის ელვარებასავით იფრქვევა. ბგერათა სათუთი ალერსი გამოკრთოდა მი ბემოლ-მაჟორი პრელუდიდან, მისტიურ დებთან ერთად ეთერის ჭავლებში ქროლვისა და ნეტარების მჩენი მხოლოდ შოპენის ფა მაჟორი პრელუდი გახლდათ პიანისტისათვის აქილევსის ქუსლი. ეს პრელუდი ყველაზე უფრო ქვესკნელურია შოპენის მინიატურთა შორის და ჰადესის სუნთქვითაა დატვიფრული. პიანისტმა ბოლომდე ვერ გაუმართა მზერა მასში აღბეჭდილი ინსტინქტების საზარელ აგონიას.

მთელი კონცერტის ლირიკულ კულმინაციას წარმოადგენდა შოპენის ,,ნანა". ბალანჩივაძის მიერ ამ გენიალური ქმნილების შესრულება, შეიძლება ითქვას, მთელი მოვლენაა ქართული პიანიზმის ისტორიაში. ეს იყო შესრულება, რომლის მსგავსს იშვიათად მოისმენ და რომელიც სამუდამოდ იბეჭდება მეხსიერებაში. ეს იყო ღვთაებრივი ბალღის აკვანთან დარწეული ანგელოსთა ნანა, უბიწოება ბეთლეემისა, უხილავი ფრთების იდუმალი შეხება, ბგერათა სრული დემატერიალიზაცია (ასეთის კდემით რაფაელის ფუნჯი თუ ეხებოდა ალბათ ტილოებს, როდესაც იგი მადონებს ხატავდა). შოპენის ,,ნანაში" განსაკუთრებულის ძალით ცხადდება ჰომოფონიის ტრიუმფის შედეგი — პოლიმელოდიზმზე დაფუძნებული ახალი პოლიფონიის, ფერთა პოლიფონიის დაბადება. როგორც სინათლის უჩინარი სხივი წარმოშობს ფერებს საგნებზე შეხებისას, ასევე გამოსცემს ფერთა არილს დამოუკიდებელ მელოდიათა ურთიერთშეხება. სწორედ აქ ჩნდება მყარი და მერყევი ტონების თა-

მაში, კონსონანსით დისსონანსის გაკეთილშობილების ალქიმიური პროცესი. „ნანაში“ ბალანჩივაძემ ემოციათა სრული კრისტალიზაციით წარმოაჩინა თითოეული ფრაზა, სადაც მელოდიის უნაზესი კონტურები ჟამგამოშვებით კარგავენ ფორმას და ფიორეტურული პასაჟების მჭვირვალებაში იკარგებიან.

დაუვიწყარია შოპენის სი ბემოლ-მინორი სკერცოს ბალანჩივაძისეული ინტერპრეტაცია. ის იდუმალი ატმოსფერო, რომელიც მან შექმნა ტემპის შენელებითა და პაუზების გაგრძელებით პირველ ტაქტებში, ხოლო შემდეგ, ემოციის მოულოდნელი კამარა აკორდთა პუნქტირული რიტმის გზნებაში ჩაქსოვილი, პიანისტს წარმოგვიდგენს როგორც შემოქმედებითი ცეცხლით ანთებულ მხატვარს.

დოგმატიზმისადმი შეურიგებლობა აკავშირებს პიანისტს მეორე რომანტიკოს კომპოზიტორთან — შუმანთან — შოპენის თანამედროვესა და თანამებრძოლთან. ჩანგით და მახვილით დგას ჩვენს წინაშე შუმანი ისე, ვით მისი ალეგორიული ძმობის მოძღვარი ბიბლიური დავითი. წარმართული ორგიაიზმის დრაკონს ებრძოდა ფილისტიმელებზე აღმართული დავითის მახვილი. მის მსგავსადვე ებრძოდნენ და სწმენდნენ არტურის მრგვალი მაგიდის რაინდები და პარსიფალის ძმები ევროპის ბარბაროსული ტომების მღვრიე ემოციურ სამყაროს, რაც ათასგვარ ურჩხულთან ბრძოლის წარმოსახვებში იხატებოდა. იდეალისადმი მსხვერპლითა და მორალური სიმტკიცით უმზადებდნენ ისინი მომავლის მორჩებს ევროპის მფარველს, მზეთუნახავ სოფიას. იგივე იდეალები იტაცებდნენ შუმანსა და მის თანამებრძოლებს. მაგრამ ისინი როდი ებრძოდნენ შეგრძნებისეულ მანკს, ინსტინქტებსა და ორგიაიზმში გამოვლენილს, არამედ ევროპის ახალ დაავადებას, მანკს ინტელექტისმიერს, ნიჰილიზმისა და განურჩევლობის მშობელს. ფილისტიმელი ფილისტერმა შეცვალა.

ფილისტერებს — მარში, ან დაძაბულ რიტმულ იმპულსთა მახვილის ძგერება. ლირიკულ აღსარებებში კი სათუთად შენახვა და ნიჰილისტური გამყინვარებისაგან დაცვა პირველი სიყვარულის უმანკოებისა — აი შუმანის შემოქმედების არსი და ის კარიბჭე, რომლითაც ბალანჩივაძე, როგორც პიანისტი შემოდის ამ არსის წიაღში. ბალანჩივაძის მიერ შესრულებული შუმანის პრესტო პირველად მოისმინა თბილისელმა მსმენელმა. ეს არის კომპოზიტორის ყველაზე უფრო მგზნებარე, ფლორესტანული ნაწარმოები, შეკრული თითქმის ერთიანი რიტმული ფაქტურით. აქ პიანისტის მთავარი ამოცანაა ერთფეროვნების თავიდან აცილება, რაც მისგან დიდი ემოციური წვისა და ფსიქიური გამძლეობის გარდა მეტად სრულყოფილ აპარატს მოითხოვს. ბალანჩივაძემ ერთ ამოსუნთქვაზე აასხა მძაფრი ვნებები და თავისი ხელოვნება პიანიზმის მაღალ დონეს მიუახლოვა.

# ხელოვნების მუზეუმის ფონდებში დაცულ სართყელთა მრავალსახეობა

მამია ჩხიკვიშვილი

საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურში თავმოყრილია ისტორიული მნიშვნელობის ჭედურობის მრავალი ნიმუში. ბევრი მათგანი ყურადღებას იქცევს შესრულების დიდი ოსტატობითა და დამუშავების განსაკუთრებული მანერით. მათ შორის აღსანიშნავია XI-XII საუკუნის ძეგლის, ქაშვეთის ცნობილი კარედის ხატი. XII საუკუნის დიდი ოსტატების ქება და ბაშქენ ოპიზარების უკვდავი ქმნილებები — წყაროსთავი და ქართული ოქრომჭედლობის მშვენება ანჩის ხატი, უცნობი ავტორის უნიკალური ლაკლაკიძეების ხატი თუ სხვა. ისინი ძველი ქართული კულტურის მაღალ დონეზე მიანიშნებენ.

ქართული ხალხური ორნამენტი დიდი ხანია იპყრობს როგორც ჩვენი, ასევე უცხოელ მეცნიერთა ყურადღებასაც. ამიერკავკასიაში გავრცელებული სხვადასხვა სახის სარტყელი გამოირჩევა საინტერესო ორნამენტირებით, დამუშავების თავისებური ტექნიკითა და გააზრებით. მათი შესწავლა ხელს შეგვიწყობს ისტორიის ამა თუ იმ საფეხურზე საზოგადოების განვითარების დონის დადგენაში. სარტყლების შეგროვება მუზეუმმა თავისი არსებობის დასაწყისიდანვე დაიწყო. ნახევარი საუკუნის მანძილზე მუზეუმის ფონდში თავი მოიყარეს სხვადასხვა დროს შეძენილმა მრავალმხრივ საყურადღებო უნიკალურმა ნივთებმა, საოცარი ოსტატო-



სულ სხვა იმპულსები დაარხია შუმანის სიმფონიური ეტიუდების მეათე ვარიაციამ. მთრთოლარე რიტმები და მტანჯველი ფიქრები კლარაზე, დარბაზში გადმოსროლილი განცდების კამარა, ვითარცა ლითამიანი რაინდის მიერ სატრფოს ფერხოით გატყორცნილი ძვირფასი ყვავილი.

ჯარჯი ბალანჩივაძე სკრიაბინის საფორტეპიანო ქმნილებების საუკეთესო შემსრულებელია. ეს მას წინა გამოსვლებშიც ხშირად დაუმტკიცებია. მის საშემსრულებლო ტემპერამენტში მკვეთრად აღიბეჭდა ისტორიული ხაზი შოპენის ემოციებიდან სკრიაბინის ექსპრესიულობისაკენ. თითოეული კაპილარის ნელი წვითა და რიტმის გავარსისებური დანემსვით შეასრულა მან იმ საღამოს სკრიაბინის მი ბემოლ-მაჟორი პოემა. პიანისტმა კვლავ განგვაცდევინა მისი მუსიკის პრომეთესეული სტიქიიდან მოტივთა შობისა და კვლავ გადადნობის გასაოცარი ალქიმია.

ჯარჯი ბალანჩივაძე ყურადღებით ადევნებს თვალს თანამედროვე მუსიკის მოვლენებს და დიდის პასუხისმგებლობით არჩევს თავისი საკონცერტო რეპერტუარისათვის ახალ ნაწარმოებებს. პიანისტმა პირველმა ააჟღერა ქართულ ესტრადაზე მე-20 საუკუნის დიდი ფრანგი კომპოზიტორის ოლივიე მესსიანის საფორტეპიანო პიესა „სიმაღლეების მზერა“ ციკლიდან „ბალღი იერის 20 მზერა“. მესსიანი, ეს არის მუსიკის კალხასი ევანგელური სულის ფრინველთა ენაზე მთარგმანებელი და ამ ენის საფორტეპიანო ინტერპრეტატორი, იგი თავისი კრისტალური ემოციებით, შეიძლება ითქვას, პარადოქსია მექანიკური, მოტორული რიტმებით, სარკაზმითა და ნიჰილიზმით გამსჭვალული, მოდერნიზმის იარლიყით შემოთავაზებული, ემოციებისაგან დაცლილი ბგერათა ქაოსის გვერდით, რომელსაც მეოცე საუკუნის მრავალი კომპოზიტორი გვთავაზობს.

ჯარჯი ბალანჩივაძის კონცერტმა ცხადყო, რომ მისი სახით საქართველოს ყავს დიდი მასშტაბის სოლისტი, რომელიც სალონური პიანისტების დარად როდი ეფარება მარტოოდენ ლამაზი ტემბრის შაბლონს, არამედ ვითარცა მუსიკის დიდი რაინდების ღირსეული მეაბჯრე, ებრძვის ბგერათა სტიქიის უკიდეგანო ოკეანეს. იგი ჭეშმარიტად ხელოვნების ძნელადსავალი გზების კაცია, ეკლისა და დაფნის გვირგვინთა საკრალური გზებისა.

და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ჩვენი მუსიკალური საზოგადოება ზოგჯერ სიჩუმის შეთქმულებას უწყობს ეროვნული კადრების ზოგიერთ ღირსეულ წარმომადგენელს. რომელიმე უცხოელ პიანისტს რომ დაეკრა თუნდაც ამის ნახევარი, უთუოდ მითქმა-მოთქმის დიდ კორიანტელს გამოიწვევდა. საზღვარგარეთელი პიანისტის სახელი, ლაურეატის იარლიყი, ან უცხოური პრესის გამოხმაურება რატომ უნდა ქმნიდეს ჩვენი მუსიკალური საზოგადოების აზრს?

ბით შესრულებულმა ნამუშევრებმა, რომლებიც სრულყოფილ წარმოდგენას გვაძლევენ ჩვენი ხალხის ოქრომჭედლობის თავისებურებაზე. სარტყლების ეს მდიდარი ფონდი სადაურობის მიხედვით მრავალფეროვანია, სხვადასხვაგვარია მათი შესრულების ტექნიკა, სტილი და თითოეულ მათგანს მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური ხასიათი გააჩნია.

საყურადღებოა აღმოსავლეთ საქართველოში დამზადებული გობაკიანი, ანუ ფართობალთებიანი სარტყლები, რომლებიც გარეგნობით, მხატვრული გაფორმებით უნიკალურია და ქართული ოქრომჭედლობის მაღალ კულტურას ადასტურებს. სარტყლებს უმეტესად მაღალი წოდების პირნი და გარკვეული პროფესიის მოქალაქენი, კერძოდ, ვაჭრები ატარებდნენ.



თბილისის ხელოვნების მუზეუმში დაცულ სარტყელთა ნიმუშები.





თუ გობაკიანი სარტყლები დამახასიათებელი იყო უფრო აღმოსავლეთ საქართველოსთვის, აბზინდიან სარტყლებს უმთავრესად დასავლეთ საქართველოში ამზადებდნენ, სხვაგვარად მას იმერულსაც უწოდებდნენ. დანიშნულების მიხედვით იგი — რკინის, სპილენძის ან ვერცხლის აბზინდით იკვრებოდა.

გობაკიანი სარტყლისაგან განსხვავებით, აბზინდიანი დღესაც გამოიყენება, რადგან იგი ქართული ეროვნული ტანსაცმლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. აბზინდიანი სარტყელი არა მარტო ქართული ყოფისთვის იყო დამახასიათებელი, არამედ იგი გავრცელებული იყო მთელ კავკასიაში. სარტყლები მოსევადებული იყო ნაირნაირი ორნამენტებით, რაც თავისებურ სილამაზეს ანიჭებდა მათ. სევადით შესრულებული მცენარეული თუ გეომეტრიული ორნამენტი თითქმის ყველა ტიპის სარტყლის ბალთებზე გვხვდება, რაც უძველესი დროიდანვე მის ფართო გამოყენებაზე მეტყველებს. ქამარი და სარტყელი ორივე იხმარება ქართულში. ტერმინი ქამარი უფრო მეტად ,,მკვრივი'', ანუ ,,ყურუმი'' ვერცხლის სარტყლების მიმართ იხმარება: ქამარ-ხანჯალი და არა სარტყელ-ხანჯალი. საბას ქამარი განმარტებული აქვს როგორც თურქული სიტყვა, რომელსაც ქართულში შეესაბამება ,,ზოსტერი'', ხოლო სარტყელს ასე განმარტავს, — ,,სარტყელი წელსარტყამი, სარტყელი უთქვამთ შვიდნი იგი სფერონი ცისანი, რომელთა ვლენან შვიდნი ცნობილნი, ხოლო მოთვალულსა ოქროს სარტყელსა ეწოდება ზოსტერი, ხოლო თოკისა ცუდსა სარტყელსა კენდო''[1]..

ივ. ჯავახიშვილს ტერმინი ქამარი კავკასიურ ენათა უძველეს სიტყვად მიაჩნია და მას კამარას უკავშირებს, რასაც თითქმის ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ქამარს მთლიან ვერცხლის ქამარს უწოდებენ, რომელსაც კამარის მსგავსი ფორმა აქვს (გობაკიანი მასიური ვერცხლის ქამრები). ხოლო სარტყელს უწოდებენ უმთავრესად ტყავის აბზინდიან ქამრებს.

სარტყელთა დამზადების ტექნიკა და ხერხები საუკუნეების მანძილზე მუშავდებოდა. ჩვენი უძველესი წინაპრები მას ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იყენებდნენ, რაც ბრწყინვალედ დაასაბუთა გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა; განჯისა და ბორჩალოს ტერიტორიაზე აღმოჩნდა ბრინჯაოს ხანის სარტყლები, საქართველოს სხვადასხვა ადგილას დიდი რაოდენობით იპოვეს აგრეთვე უძველესი პერიოდის სარტყელთა სხვა ნიმუშები.

ჩვენი მუზეუმის ფონდებში დაცულია სარტყელთა დიდი რაოდენობა, რომელნიც ქართული ოქრომჭედლობის განვითარების გზას ასახავენ და კავკასიელ ხალხთა მაღალსა და თვითმყოფად კულტურას გვიჩვენებენ. აქ არის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტიპიური ნიმუშები, რომლის გამოყოფას ფორმის, თარიღისა და სტილის მიხედვით ვაწარმოებთ.

1. ი ჯავახიშვილი „ქართული ენის ისტორია“ ტ. 1.

ახლახან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა ისტორიის ფაკულტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის კათედრის სამეცნიერო სესია, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50-ე წლისთავს მიეძღვნა.

შესავალი სიტყვის შემდეგ, აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა თავის მოხსენებაში — ,,ქართული სახვითი ხელოვნება 50 წლის მანძილზე'', აღნიშნა, რომ მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუპოვა ქართველ ხალხს ნანატრი თავისუფლება და შეუქმნა ფართო შესაძლებლობა სრულყოფილი კულტურული და ნაციონალური აღორძინებისათვის; ქართული საბჭოთა ხელოვნება განვითარდა ქართული რეალისტური ხელოვნების ნაციონალურ ტრადიციებზე. მას ღრმად აქვს ფესვები გადგმული ქართული რეალისტური სკოლის ისეთი წარმომადგენლების შემოქმედებაში, როგორნიც იყვნენ: რ. გველესიანი, ა ბერიძე, ა. მრევლიშვილი, გ. გაბაშვილი, მ. თოიძე, ი. ნიკოლაძე...

საბჭოთა ეპოქის ქართული ხელოვნების ოსტატებმა შექმნეს არა ერთი მხატვრული ნაწარმოები, რომლებმაც ღირსეული ადგილი დაიკავეს მსოფლიო სახვითი ხელოვნების საგანძურში. ქართული კულტურა დიდი ხანია პროგრესული კაცობრიობის შესწავლის საგნად იქცა. დიდი მხატვრული კულტურის მქონე ქართველი ხალხი, რომელიც საბჭოთა ქვეყნის მოძმე ხალხებთან, და უპირველესად კი რუს ხალხთან ერთად, მეგობრულ კავშირში აშენებს ახალ ცხოვრებას, ურყევად მიემართება წინ, სულ უფრო აღრმავებს თავის იდეურ შინაარსსა და იმაღლებს პროფესიულ ოსტატობას.

თემაზე — ,,კოტე მარჯანიშვილი და რევოლუცია'', მოხსენებით გამოვიდა დოცენტი გიორგი ხარატიშვილი. დიდი ქართველი რეჟისორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეცნიერო სესია ხელოვნების საკითხებზე

კოტე მარჯანიშვილის შემოქმედება, — თქვა მომხსენებელმა, — ღრმადაა გამსჭვალული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით. მარჯანიშვილმა შექმნა მრავალი იდეურად და მხატვრულად გამართული სპექტაკლი მისი რევოლუციურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია მაქსიმ გორკიმ, რომლის პიესების („მდაბიონი“, „ფსკერზე“, სცენისათვის გადაკეთებული „თომა გორდეევი“, „მოაგარაკენი“) განხორციელებით იმთავითვე ფართო აღიარება ჰპოვა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთში. რაც არ უნდა დაედგა მას — კლასიკური, თარგმნილი, გადმოკეთებული თუ ორიგინალური დრამატურგიის ნიმუში, ყოველი მისი სპექტაკლი რევოლუციურ-დემოკრატიული სულისკვეთებით იყო გამსჭვალული. საკმარისია აღინიშნოს მის მიერ ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ წარმატებით დადგმაც (კიევსა და თბილისში), რომ სავსებით ცხადი გახდეს ამ დიდი რეჟისორის მიერ პროგრესული გაგება რევოლუციისა. კოტე მარჯანიშვილი ღირსეულად არის აღიარებული, როგორც ერთ-ერთი ფუძემდებელი საბჭოთა რევოლუციური თეატრისა.

დოცენტი თენგიზ ფერაძე თავის მოხსენებაში ფართოდ შეეხო სოციალური მოტივების დამუშავების საკითხებს ქართულ მხატვრობაში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე. განსაკუთრებით ყურადღება გაამახვილა ისეთი პროგრესული მხატვრების შემოქმედებაზე, როგორიც იყვნენ ალექსანდრე მრევლიშვილი (1866-1933) და მოსე თოიძე (1871-1953), რომლებმაც თავიანთი მეამბოხე სოციალური ტენდენციებით, ღრმა რეალიზმით, დიდი მხატვრული ოსტატობით გაამდიდრეს ქართული რეალისტური ფერწერისა და კერძოდ ამ მიმდინარეობის ყველაზე სახოვანი წარმომადგენლის გიგო გაბაშვილის (1862-1936) შემოქმედებითი ტრადიციები. მომხსენებელმა გააანალიზა სოციალურ თემატიკაზე შექმნილი მრავალი ფერტილო და ცალკე გამოყო მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, ალექსანდრე მრევლიშვილის „დაბალი ღობე“, „კანცელარიის წინ“, „კალოზე“... ანტონ გოგიაშვილის (1878-1908) „დარბევა“, „ტყეში გახიზნული გურულები“... მოსე თოიძის „მრეცხავი ქალი“, „მცხეთობა“, „ებრაელი“, „რევოლუცია“ და სხვ. ამ ნაწარმოებებში განსაკუთრებით ძლიერად გამოვლინდა ქართველი მხატვრების მკვეთრი ინდივიდუალური წარმოსახვის უნარი, ღრმა იდეურობა, სოციალური სიმახვილე და ხალხურობა.

საზღვარგარეთულ ხელოვნებაში არსებული თანამედროვე მიმდინარეობების შესახებ ილაპარაკა მასწავლებელმა გიორგი ხუციშვილმა.

ბურჟუაზიულ ხელოვნებაში, — აღნიშნა მომხსენებელმა, — XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში მკვეთრად გამოვლინდა ისეთი ფორმალისტური მიმდინარეობანი, როგორიცაა კუბიზმი, ფუტურიზმი, ექსპრესიონიზმი, სიურრეალიზმი, დადაიზმი, აბსტრაქციონიზმი და სხვ. რომელთა უნიადაგობა და აბსურდულობა სავსებით შეესაბამება თვით ბურჟუაზიული იდეოლოგიის დაცემულობას. სულ უფრო აშკარა ხდება ამ მიმდინარეობათა რეაქციული ტენდენციები. მათ არავითარი კავშირი არა აქვთ პროგრესული მხატვრების ისტორიულ წინსვლასთან. როგორც ცნობილია, ტერმინ „მოდერნიზმს“ სპეკულაციურად იყენებენ ბურჟუაზიული კულტურის იდეოლოგები და თეორეტიკოსები. უამრავი მოდური „იზმების“ მყვირალა ფრაზების ქვეშ იფარება ფსევდოკულტურის სულიერი კრიზისი...

სამეცნიერო სესიამ ხელოვნების ამ მნიშვნელოვანი საკითხების საფუძვლიანი გაშუქებით მსმენელთა ფართო ინტერესი გამოიწვია.

# თამარ ჭავჭავაძე*

ნინო შვანგირაძე

## ხარკოვში

„მიყვარს ხარკოვი. როგორ ძლიერად და სიტკბოებით მიძგერდა გული, როდესაც მას ვუახლოვდებოდი“.

თამარ ჭავჭავაძე.

წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. ამ ომში მრავალი ქვეყანა ჩაება და იგი პირველ მსოფლიო ომად იქცა. ასეთ პირობებში გაუდგა თამარ ჭავჭავაძე რუსეთისაკენ მიმავალ გზას დედასა და დებთან ერთად.

ხარკოვის ვაგზალზე მათ გულთბილად დახვდნენ ქართველი სტუდენტები, რომლებმაც მომავალ კოლეგებს უცხო ქალაქში მოსალოდნელი სიძნელეების გადასალახავად თავაზიანად გაუწოდეს ხელი. ელენე ჭავჭავაძემ ისარგებლა ჯანდიერისა და ირაკლი ტატიშვილის მასპინძლობით და ქალიშვილებითურთ რამდენიმე დღით მოთავსდა მათს ბინაში. მალე პოდოლსკიზე დაიქირავა ავეჯით მორთული ოთახები და შეუდგა შვილების სტუდენტური ცხოვრების მოგვარებას. უფროსმა ქალიშვილმა ირინემ ბუნებისმეტყველების ფაკულტეტის მეოთხე კურსზე განაგრძო სწავლა, მერი სამედიცინოზე შევიდა, ხოლო თამარი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტად ჩაირიცხა.

ჭავჭავიძისეული სტიპენდია დებისათვის კვლავ ძალაში რჩებოდა. ხარკოვში მაშინ ქართველებს თავიანთი სათვისტომო ჰქონდათ, რომლის წევრები მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ ერთმანეთთან. იმართებოდა სტუდენტური საღამოები, კონცერტები ქართული სიმღერებითა და ცეკვებით. ამ საღამოებზე იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ირაკლი ჭავჭავაძის უმცროსმა ასულმა თამარმა, რომელიც თავისი მშვენიერი ცეკვებით ყველას ხიბლავდა.

თამარი განსაკუთრებულ მისწრაფებას იჩენდა სათვისტომოში გამართული სპექტაკლებისადმი და მალე ამ წარმოდგენების მონაწილეც გახდა.

მეოცნებე სტუდენტი ქალიშვილის ირგვლივ ხარკოვში ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, რაც მისი ინტერესის მიღმა ვერ დარჩებოდა. ახალი ადამიანები, ახალი განწყობილებები, სტუდენტური წრეები და მსჯელობა ლიტერატურაზე. ისახებოდა ცხოვრების ახალი მიზნები. თამარი ამ დროს გატაცებული იყო ნადსონით. იზეპირებდა მას. ამხანაგურ შეკრებებზე აღტაცებით, ტემპერამენტით კითხულობდა:

«Живя, я жить хочу не в жалком опьяненьи,
Боясь себя «зачем?» Пытливо вопросить,
А так, чтоб в каждом дне, и в часе, и в мгновеньи
Таилсяб в вечный смысл, дающий право жить,
К чему мне Ваша жизнь без цели и значенья?
Мне душно будет жить, мне стыдно будет жить, —

* გაგრძელება. იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 3, 1971 წ.



სცენა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან „რღვევა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

**И, полный гордости и мощного презренья,**
**Цепь бледных дней моих, без слез и сожаленья,**
**Я разом оборву, как спутанную нить!»**

და მართლაც, ახალგაზრდა თამარი ამ დროს სულ უფრო ხშირად ფიქრობს ცხოვრების მიზანზე და იგი უკვე გარკვეულ პასუხს აძლევს საკუთარ თავს, რომ ყოველ ადამიანს თავისი იდეალი უნდა ჰქონდეს ცხოვრებაში, რომ სხვაგვარად ცხოვრებას აზრი არა აქვს.

დადგა 1916 წელი... ქვეყანა კიდევ უფრო მეტად ღელავდა, თვითმპყრობელობა ირყეოდა. გამოდიოდნენ სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლები, ორატორები ორატორებს ცვლიდნენ, კრებები — კრებებს. იატაკქვეშელები აწყობდნენ საიდუმლო სხდომებს.

ხარკოვის სტუდენტობა ასეთი მშფოთვარე ცხოვრების არამც თუ მონაწილე, მოთავე იყო. აქ იყვნენ თამარის თანაკურსელი და უფროსი მეგობრები — უკრაინელი, რუსი თუ ქართველი: ლუბა კონდრატიევა, კოჩეროვსკი, ანტონ რედჩენკო, გრიგოლ სლუცკი. მათ აზიარეს თამარი ახალ იდეებსა და განწყობილებებს; წაიყვანეს საიდუმლო შეკრებაზე სოფელ ჟურავლიოვკაში, მისცეს კონსპირატიული სახელწოდება „მერცხალი“. ამ წრეს სტუდენტი კოჩეროვსკი ხელმძღვანელობდა. იგი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ წრის წევრ სტუდენტ ახალგაზრდობას მიეღო პოლიტიკური განათლება, გარკვეულიყო მსოფლიო ომისა და კარზე მომდგარი რევოლუციის არსში.

თამარ ჭავჭავაძე მაშინდელ დღიურებში წერდა: „წრეში ძალიან კარგი რუსი ყმაწვილქალები, კურსისტკები არიან. ხელმძღვანელად გვყავს შესანიშნავი ამხანაგი კოჩეროვსკი, კარგად მომზადებული“.

კოჩეროვსკი, რომელიც მალე ჯარში გაიწვიეს, ანტონ რედჩენკომ შეცვალა, ხოლო შემდეგ პირველკურსელი სტუდენტი გრიგოლ სლუცკი გახდა წრის ხელმძღვანელი. იგი „მშვენიერი ორატორი და ძალიან ნაკითხი ახალგაზრდაა. ვსწავლობთ რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას“ — განაგრძობს თამარი იმავე დღიურებში[1].

თამარის რევოლუციური მისწრაფებებით გატაცებამ სერიოზული ხასიათი მიიღო. იგი სისტემატურად და აქტიურად მონაწილეობდა წრის მეცადინეობებსა და სხდომებში. ამ დროისათვის თამარის უფროსმა დამ ირინემ უკვე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და დედასთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. ისარგებლა რა დედის გამგზავრებით, თამარმა წრის წევრები რამდენჯერმე საკუთარ ბინაშიც კი შეკრიბა.

წლის დასასრულისათვის სრულიად ნათელი გახდა, რომ ძველი რუსეთის დღეები დათვლილი იყო. ახალ — 1917 წლის იანვარში დაიწყო განუწყვეტელი დაპატიმრებანი. დააპატიმრეს გრ. სლუცკიც. ჭავჭავაძიანთ ბინის ირგვლივ პროვოკატორები და ჯაშუშები დაწრიალებდნენ.

თებერვალი ილეოდა, თვითმპყრობელური მთავრობის რეაქციები კულმინაციას აღწევდა. არალეგალურ წრეში გაერთიანებული სტუდენტების დიდი ნაწილი პროვოკატორის მსხვერპლი გახდა, ახალგაზრდა თამარი ვერ ურიგდებოდა მეგობრების დაპატიმრებას და ხმამაღლა გამოთქვამდა აღშფოთებას მოღალატე ადამიანების სულმდაბლობაზე. ამ დღეების შესახებ იგი წერს დღიურში:

„ეჭვი აღარ არის, რომ პროვოკატორი გამოდგა ჩვენი წრის ისეთი წევრი, რომელიც ამხანაგების საერთო ნდობით სარგებლობდა. ძნელია შეურიგდე ასეთ საზიზღრობას. სახლში ვერ ვისვენებ. შევირბინე სუმსკის ქუჩაზე მარგო ვაჩნაძესთან და ნინო დეკანოზიშვილთან. იმათ აღტაცებით მომახარეს — ნიკოლოზი გადმოაგდესო. დღეს ეს ჩემთვის ისე მოულოდნელი იყო, რომ გაოგნებული დავრჩი. გავექანე ინსტიტუტისაკენ, იქ უკვე ნამდვილი მღელვარება დაწყებულიყო. გადავედი სამედიცინო კორპუსში, სადაც ძნელი იყო შესვლა, მაგრამ ერთმა სტუდენტმა რომელიღაც საიდუმლო შესასვლელით გამიყვანა პირდაპირ შეკრებაზე.

გასაოცარი მდგომარეობა იყო შექმნილი. რაღაც განსაკუთრებული ბედნიერებისაგან სული მეხუთებოდა; მინდოდა მთელი ძალღონით მეყვირა. შეკრებაზე წარმოთქმული იყო მრავალი საინტერესო, ტემპერამენტიანი და მაღალფარდოვანი სიტყვებიც კი, რომლითაც სტუდენტი ნიკოლოზ ვოლოსტოვი გამოირჩეოდა — „ჩვენ მეფე არ გვინდა, გვინდა სიღრმე, დეე უფრო მძაფრად დაიწყოს გრგვინვა“ და მრავალი სხვა ასეთი.

ესერები დიდი მგზნებარებით აპირებდნენ დემონსტრაციაზე გასვლას. წაიკითხეს პეტროგრადის ბიულეტენები და ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „პეტროგრადს ხალხი დაეუფლა“, „ნიკოლოზი დაპატიმრებულია“, სტუდენტობა გაშმაყრუებელი „ვაშას“ ძახილით და აპლოდისმენტებით შეხვდა.

რაღაც ბედნიერებამ ამიტაცა. ასეთ დიდსა და კარგ გრძნობას, ალბათ, ვერასდროს ველარ განვიცდი.

პირველ მარტს, ხარკოვის უნივერსიტეტში, სადაც თორმეტი ათასი კაცი სწავლობს, დაიწყო საყოველთაო სტუდენტური შეკრება. შევიკრიბეთ ეზოში, აუტანელი სიცივისაგან ვკანკალებდით, მაგრამ მაინც ვიდექით, ვუსმენდით ორატორებს.

განსაკუთრებული აღფრთოვანება დაგვეტყო საღამოს, სამედიცინო კორპუსში. სტუდენტების დიდი მასა აშლილიყო, ყველა ჯგუფ-ჯგუფად იდგა, მსჯელობდნენ გაცხოველებულად; რა თქმა უნდა, უცნობებსაც გამოელაპარაკებოდნენ ხოლმე. ამ დროს ვინ გაარჩევდა ნაცნობს უცნობისაგან, ჩვენ ყველა ერთი ვიყავით. აქვე დგებოდა საბრძოლო და სანიტარული რაზმები.

სტუდენტები თოფ-იარაღით დარბოდნენ და ღამღამობით ქუჩებში გუშაგების მაგივრობას ეწეოდნენ. მე სასურსათო კომისიაში ვიყავი, რომლის დანიშნულება იყო კორპუსის დამშეული სტუდენტების კვება; ვადგამდით სამოვრებს, ვაკეთებდით ბუტერბროდებს და სხვ.

დადგა გამოსვლების დღე. ყველა საშინლად ღელავდა, არავინ იცოდა გადავიდოდა რევოლუციონერების მხარეზე ჯარის ყველა ნაწილი თუ არა. მუშებთან გზა გადაეღობა ცხენოსანთა დამცველ რაზმებს, რომლებმაც არ იცოდნენ როდის დაეწყოთ გამოსვლა. მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად და უსისხლოდ მოწესრიგდა. რა თქმა უნდა, კარგია, რომ ასე მოხდა, მაგრამ ჩემი წარმოდგენით ყოველივე ეს უფრო საინტერესო და უფრო რომანტიკული უნდა ყოფილიყო. აღმართულმა ბარიკადებმა.. დაღვრილმა სისხლმა, რაღაც გაურკვევლობაში და დაბნეულობაში ჩამაგდეს. ჩემში დაუკმაყოფილებლობის გრძნობამ დაისადგურა, ასე რომ გავიხსენე დედა და წავიტირე კიდევაც. წერილში მივწერე — რამე რომ მომსვლოდა, ეპატიებია ჩემთვის, რადგანაც სხვაგვარად ვერ მოვიქცეოდი, რწმენას ვერ ვუღალატებდი!

რა კარგი იყო ის დრო!“

სტუდენტი თამარ ჭავჭავაძე ასე იყო განწყობილი თებერვლის რევოლუციისადმი.

მართალია, მეფის თვითმპყრობელობა დაემხო, მაგრამ უკრაინაში, ისევე როგორც რუსეთში შემავალ სხვა ქვეყნებში, სახელმწიფოებრივი მმართველობა ხელთ იგდეს

(გაგრძელება 92-ე გვერდზე)

[1] თამარ ჭავჭავაძის სტუდენტობის წლების დღიურების ხელნაწერი მომაწოდა მისმა ქალიშვილმა ელენე ჭავჭავაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ. ნ. შ.

ა. ხორავა — ოტელო





ივდითი — ვ. ანჯაფარიძე („ურიელ აკოსტა“)

# ქართული საბჭოთა თეატრი-50



სცენა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან „ყაჩაღები“



ა. ვასაძე — ფრანც მოორი („ყაჩაღები“)

ვასო გოძიაშვილი



დროებითი მთავრობის ბურჟუაზიულმა დიქტატორებმა. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ვერ დააკმაყოფილა ხალხის მოთხოვნები. უკრაინის მეურნეობა დაკნინების გზაზე დადგა.

ირაკლი და ელენე ჭავჭავაძეებმა გადაწყვიტეს შვილები საქართველოში ჩამოეყვანათ. მართალია, ამ დროს არც საქართველოში იყო დალაგებული ცხოვრება, აქაც დროებითი მთავრობა ბატონობდა, მაგრამ მშობლებს ერჩივნათ ქალიშვილების საკუთარ ოჯახში ყოლა.

შვილებმა იცოდნენ, რომ მათი მშობლების გადაწყვეტილება საბოლოო იყო. მათ უნდა შეეწყვიტათ უმაღლესი განათლების მიღება ხარკოვში. თამარი და მერი, რასაკვირველია, ამას სიხარულით ვერ ხვდებოდნენ, მაგრამ მათთვის მეტად მიმზიდველი იყო საზაფხულო არდადეგების გატარება მშობლიურ კახეთში. თანაც იმედს არ კარგავდნენ, რომ მშობლების ნებართვით შემოდგომისთვის კვლავ დაბრუნდებოდნენ ხარკოვს სწავლის გასაგრძელებლად. ამრიგად, დები სამშობლოსაკენ გამოემგზავრნენ.

ზაფხულმა მალე გაირბინა ლამაზ თელავში ნათესავმეგობართა შორის. უმაღლესი განათლების მქონე ირინე უკვე მასწავლებლობდა თელავის ვაჟთა გიმნაზიაში. თამარისა და მერის უკრაინაში დაბრუნება კი შეუძლებელი ხდებოდა. ბოლოს, ოჯახმა გადაწყვიტა მხოლოდ თამარი გაეგზავნათ ხარკოვში და ისიც სამიოდე დღით, რათა იქ დატოვებული ბარგი წამოეღო და საბოლოოდ დაბრუნებოდა თბილისს.

1917 წლის სექტემბრის დასასრულს თამარი ხარკოვს გაემგზავრა. ახალგაზრდა ქალისათვის მეტად ძნელი იყო ეს გზა — ჯარისკაცებით გატენილი რონოდები, ხმამაღლა, მოურიდებლად წამოსროლილი უწმაწური სიტყვები, სიბინძურე და სიუხეშე. როსტოვამდე გზა მოიშალა, ევლახსა და ელზავეტპოლს შორისაც შეწყდა მოძრაობა. თამარმა როგორც იქნა ჩააღწია ხარკოვში, რომელსაც იმჟამად ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუცია, უკრაინული ცენტრალური რადა მეთაურობდა. ფაბრიკაქარხნებში მუშაობა შემწყდარიყო, ხალხი შიმშილობდა.

ჭავჭავაძიანთ ბინაში უკვე სხვები ცხოვრობდნენ. გაზეთები აქვეყნებდნენ თბილისის კომისრის განცხადებას, რომ უკრაინიდან კავკასიაში ხალხს არ შეუშვებდნენ. ამ პირობებში ოცნებაც კი ზედმეტი იყო თბილისში დაბრუნებაზე.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ჯერ კიდევ არ დაეწყოთ. თამარმა სამი კვირა იარა ბინის საძებნელად. მანამდე კი ცხოვრობდა მეგობრებთან — ნინო დეკანოზიშვილთან და ვერა კოხრეიძესთან, მორდვინოვის ქუჩაზე, ბოლოს 80 მანეთად იშოვა ქალაქგარეთ, ზანკოვსკაიას ქუჩის № 3-ში ერთი დიდი და ცივი ოთახი.

ქალაქში დიდი სიძვირე, არეულობა, დარბევებია, შეშინებული თამარი თავის დღიურში წერს: „როგორ საშინლად გაუხეშდა ხალხი. გამძვინვარებულია სახალხო გასამართლებანი, რომელიც სიკვდილის განაჩენზე უარესია. ნუთუ ვერ ხვდებიან, რომ ამით ჩირქი მოედება რევოლუციის წმინდა სახელს".

უჭირდა თამარს, უჭირდა სულიერად და მატერიალურადაც, მაგრამ სწავლა მაინც არ შეუწყვეტია, მან თხოვნით მიმართა სასურსათო კომიტეტს სამსახურის შოვნის შესახებ. თამარი სტუდენტთა სასადილოში სადილობდა, რომელიც მისი ბინიდან ძალიან შორს იყო, მაგრამ სადილები შედარებით იაფი ღირდა. თავად ირაკლი ჭავჭავაძის ქალიშვილი სტუდენტთა იაფფასიან სასადილოში პირველად მიდიოდა. აქ იგი წააწყდა ფედერალისტ სტუდენტ კვინიკაძეს, რომელმაც სიცილი ვეღარ შეიკავა და თამარს შეეხუმრა: „არ ეკადრება თქვენს თავადურ ბრწყინვალებას ასეთი ყოფა". სინამდვილეში კი ჭავჭავაძის ქალის დემოკრატიული განწყობილებები მისმა მეგობრებმა დიდი ხნის წინათ აღიარეს.

ქალაქში საბარათო სისტემა იყო შემოღებული. თამარს მხოლოდ ნახევარი გირვანქა პური ეძლეოდა, ოთახიც ნამდვილი საყინულე იყო, მაგრამ, როგორც თვით შენიშნავდა, სტუდენტობის წლების მომხიბვლელობა ყველაფერს ატანინებდა.

მიუხედავად ცხოვრების სიძნელეებისა, ქართველთა სათვისტომოში შეკრებები მაინც გრძელდებოდა და, რადგან ხარკოვში ბევრი ქართველი ცხოვრობდა, სათვისტომომ სპეციალური წესდებაც კი გამოიმუშავა. ტარდებოდა საღამოები, რომლებსაც ხშირად უკრაინელი და რუსი ოფიცრობაც ბლომად ესწრებოდა. მათში თამარმა დიდად გაითქვა სახელი, როგორც კავკასიური ცეკვების შესანიშნავმა შემსრულებელმა, ამიტომ ისინი ზოგჯერ თამარს თხოვდნენ მონაწილეობა მიეღო ოფიცერთა საკრებულოში, სადაც საინტერესო საღამოები ეწყობოდა.

ერთ-ერთი ასეთი საღამოს შესახებ მწერალმა როდიონ ქორქიამ გაიხსენა:

„1918 წლის 1 იანვარს ძველი არმიის ოფიცრები ახალ წელს ხვდებოდნენ. მე დაჭრილი ვიყავი და ოფიცერთა ჰოსპიტალში ვიწექი. რადგან ჭრილობა შეხორცებული მქონდა და სიარულს ვიწყებდი, ამხანაგებმა მითხრეს: საკრებულოში წავიდეთ, ახალ წელს შევხვდეთო.

წავყევი ამხანაგებს.

საკრებულო უკვე სავსე იყო ოფიცრებით. ჯერ კიდევ არ შეეხსნათ ოფიცრებს პაგონები და გახეხილი სამოვრებივით ბზინავდნენ. თითქმის ყველას მარცხენა სახელოზე ჭრილობათა ნიშანი ჰქონდა. და ვისაც მეტი ჰქონდა ასეთი ნიშანი, ის უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა. რასაკვირველია— ქალებში, თორემ ჩვენ, ნაომარი და ნასისხლარი ოფიცრები ერთმანეთს რით გავაკვირვებდით? იყვნენ ისეთნიც, რომელთაც ან ცალი ხელი არ ჰქონდათ, ან ცალი ფეხი. ცალფეხიანნი ომბოხებს ეყრდნობოდნენ, ცალხელიანებს კი ცარიელი სახელო მოტეხილი ფრთებივით ეკიდათ...

ქალებიც ბევრი იყო, ფართო დეკოლტე, კოჭამდე შრიალა კაბა, მაღლა აკეცილი დაწნული თმები, კოხტად ჩარჭობილი სპილოს ძვლის ან ოქროცურვილი სავარცხლები, ხელში სირაქლემას ბუმბულიანი და ნატიფი მარაო სურათივით ხატავდნენ ქალებს. და ეს სურათები კი არ დადიოდნენ იატაკზე, არამედ დაცურავდნენ ჰაეროვნად...

დარბაზში ხშირად გაისმოდა:

— ბატონო პოლკოვნიკო!

— ბატონო კაპიტანო!

— ბატონო პორუჩიკო!

აქა-იქ გაისმოდა ძველი ქვეყნის დამახასიათებელიც:

— თქვენო ბრწყინვალებავ!

— თქვენო აღმატებულებავ!...

გაისმა მუსიკა და დაიწყო ცეკვა.

პირველი ვალსი რომ დამთავრდა, ოფიცრები და ქალები ჯგუფ-ჯგუფად დაიყვნენ, ან წყვილ-წყვილად და დაიწყეს დარბაზში წრიული სეირნობა.

მე ვიჯექი კედელთან და შევყურებდი ამ ბრჭყვიალა საზოგადოებას. შევყურებდი და ვფიქრობდი, რომ შესაძლებელია ეს იყო ძველი ქვეყნის უკანასკნელი ზეიმი. შესაძლებელია-მეთქი, რადგან რუსეთში ოქტომბრის რევოლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია გუგუნებდა და ოფიცრებს პაგონები ახადეს. აქ, კი უკრაინაში, იწყებოდა ბრძოლა ძველსა და ახალ შორის. ეს ბრძოლა იარაღით იყო და მაშინ ვინ იცოდა, რით გათავდებოდა ის.

უცებ დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა და ამ სიჩუმეში გაისმა:

— ოჰ, რა ლამაზია!

— პირდაპირ სასწაულია!

მოსეირნენი შეჩერდნენ. მიბრუნდნენ კარებისაკენ. კარებში იდგა კაპიტანი, გრაფი რებინდერი, ლამაზი, ახოვანი ვაჟკაცი. შვენოდა გენერალური შტაბის თეთრი პაგონები და ადიუტანტის თეთრი აქსელბანტები. გრაფის გვერდით იდგა შავგვრემანი, თვალებბრიალა, წარბებგადაზნექილი, გრძელწამწამებიანი და ბაგენატიფი ქალიშვილი, სადათ ჩაცმული.

თითქოს ელვამ შემოანათაო დარბაზში.

ოფიცრები მხედრულად გამოიჭიმნენ. ქალებმა გაკვირვებული თვალები მიაპყრეს.. მე წამოვდექი და აღტაცებით მივაპყარ მზერა. ვიგრძენი, რომ ქართველი იყო ეს სილამაზის ქალღმერთი.

— თავადის ქალი ჭავჭავაძე! გაიცანით, ბატონებო! — ამაყად წარადგინა გრაფმა. ეტყობოდა, ეამაყებოდა, რომ ეს თავადის ქალი მან მოიყვანა. ძველი წესით, ოფიცრებს უფლება ჰქონდათ უცხო ქალი, ე. ი. არა ოჯახის წევრი, მოეწვიათ საკრებულოში, ოღონდ ეს ქალი მაღალი წრიდან უნდა ყოფილიყო.

გრაფის მეგობარი ოფიცრები წარუდგნენ ჭავჭავაძის ქალს. ჯერ სარივით გამოეჭიმებოდნენ და დეზებიან ფეხებს ერთმანეთს მიუჟღარუნებდნენ, მერე ხელზე აკოცებდნენ. მეც რომ წარვუდექი — ჩავხედე ბრიალა თვალებში, ქართულად აწყობილ სახეში და რაღაც მეექვსე გრძნობით გავიხარეთ, რომ ჩვენ ქართველები ვართ.

— თამარ ჭავჭავაძე ვარ, სტუდენტი, — მითხრა ქართულად თამარმა...

ცოტა ხნის შემდეგ თამარს სთხოვეს ლეკური იცეკვეო. ოფიცრებში ლეკურის მცოდნე არავინ აღმოჩნდა ეს საქმე ჩემზე მოდგა. მაგრამ მე დაჭრილი ვიყავი ფეხში და ცეკვა არ შემეძლო.

თამარმა მითხრა:

— მინდა ამ რუსებს თვალი დავუყენო! ერთი-ორი წრე ჩამოუარეთ, მეტი არ მინდა...

გადავდევი თავი თამარისათვის.

დარბაზში ქალ-ვაჟების წრე გაიბა. გაისმა ლეკურის მუსიკა. გავედი წრეში. ნახევარ წრეზე თამარს დავუკარი თავი. გამოვიდა თამარი.

არა! როდი გამოვიდა? როდი დაუარა? ეს სიტყვები ვერ გამოხატავენ იმ საოცარ სინაზეს, სხეულის ჰაეროვნებას, კისრის მოღერებას, წარბების აზიდვას, გრძელწამწამებიანი ცეცხლის მფრქვევი თვალების ელვარებას და ნატიფი ფეხებით ადამიანის გულის აჟღერებას, რაც გამოხატა თამარმა.

მე დამავიწყდა ჩემი ჭრილობა... და უკვე მესამეჯერ შემოვუარეთ წრე. მაგრამ ჭრილობას როდი დაავიწყდა თავისი. ნატყვიარმა ძვალმა გაიტკაცუნა. ტკივილმა ამანთო. შევჩერდი. თამარი მიხვდა და მხარში ამომიდგა. დარბაზს ხელით ანიშნა: ფეხშია დაჭრილი და მეტი არ შეუძლიაო. ტაშის გრიალში თამარმა სკამისკენ წამიყვანა, გრაფი დეზების ჟღარუნით მივარდა თამარს.

— თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ ღვთაებრივი იყავით! — უთხრა თამარს.

ოფიცრები შემოეხვივნენ თამარს, როგორც ფუტკრები ყვავილს და თხოვდნენ ვალსი მათთან ეცეკვა.

და ეს ადამიანები: ნაომარი, ნატყვიარი, სიკვდილის წინ ქედს რომ არ იხრიდნენ იქ, ფრონტზე, აქ, ამ დარბაზში, ქედს იდრეკდნენ თამარის წინაშე.

რა დიდია ძალა სილამაზისა!“[2]

მიუხედავად ცხოვრების მძიმე პირობებისა, თამარი, ნართალია, განაგრძობდა სწავლას ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, მაგრამ არ ასვენებდა ოცნება თეატრზე. ამ ჟინს იგი სათვისტომოში გამართულ საღამოებში მონაწილეობით იკლავდა. ყოველ ასეთ საღამოს იგი დიდი მღელვარებით ხვდებოდა, რადგან სპექტაკლებისა თუ კონცერტებისათვის საჭირო სასცენო ჩაცმულობა არ ჰქონდა და არც მატერიალური შესაძლებლობა გააჩნდა. თუმცა ამ საკითხის მოსაგვარებლად ხარკოველი ქართველობა ზრუნავდა.

1918 წლის 6 მარტს გამართულ კონცერტზე მას ქართული ცეკვა და „ნაურსკი“ უნდა შეესრულებინა. სათვისტომომ ქირით იშოვა ლამაზი, მდიდრული აღმოსავლური კოსტიუმი. თამარს ძალიან მოუხდა წითელი შეიდიში, წითელივე ფეხსაცმლით, ბრჭყვიალებით ამოქარგული ქვედაკაბით და გრძელსახელოებიანი თეთრი ზედატანით, თავზე ლეჩაქითა და ჩიხტით, წინ ორი კავითა და ორი ნაწნავით. ერთხმად იქნა აღიარებული თამარის მოხდენილობა სცენაზე. ასე გვეგონა, ლერმონტოვის თამარი გაცოცხლდა „დემონიდანო“ — გაიძახოდნენ მაყურებლები. იმ საღამოს განსაკუთრებული წარმატებით შეასრულა მან ქართული ცეკვა სანდრო გამრეკელთან ერთად და „ნაურსკი“ უცნობ ლეკთან.

ასეთ საღამოებში მონაწილეობამ თამარ ჭავჭავაძეს კიდევ უფრო გაუღრმავა მისწრაფება სცენისაკენ, ამიტომ გადაწყვიტა, უმაღლესი სასწავლებლის პარალელურად დრამატულ სტუდიაშიც შესულიყო. საქართველოდან კი წერილი წერილს მოსდევდა ერთი და იგივე შინაარსით: როგორმე მოეხერხებინა სამშობლოში დაბრუნება. მაგრამ თამარმა თავისი მტკიცე გადაწყვეტილება რეალობად აქცია და მშობლებისაგან იდუმალად შევიდა იმჟამად პ. ლებედინსკის ხელმძღვანელობით არსებულ ხარკოვის დრამატულ სტუდიაში.

მდგომარეობა კი ქალაქში ამ დროს უფრო დაძაბული იყო, ვიდრე ოდესმე. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წლის დეკემბერში სრულიად უკრაინის საბჭოების I ყრილობის მიერ არჩეულმა უკრაინის სოციალისტურმა მთავრობამ 1918 წლის იანვარში კიევიდან გააძევა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური კონტრრევოლუციონერები და მათი ცენტრალური რადა, ხარკოვში ჯერ კიდევ იყო გერმანელი ოკუპანტების, ინგლის-საფრანგეთის ინტერვენტების, დენიკინის, ვრანგელის კონტრრევოლუციური დირექტორია. ქალაქი არა ერთხელ ყოფილა ალყაშემორტყმული მახნოსა და პეტლიურას თეთრი ბანდებით. ხარკოვი ხელიდან ხელში გადადიოდა.

უკრაინელ ხალხში ძლიერდებოდა შოვინისტური და ცრუპატრიოტული განწყობილებები, ხოლო თეატრებსა და მაყურებელთა დარბაზებში ფეხს იკიდებდა სამხედრო საქმეებზე ხელმომთბარ ვაჭართა გემოვნების შესაბამისი რეპერტუარი. ძველი უკრაინული დასები იძულებული ხდებოდნენ ორიენტაცია გამრთობ და იაფფასიან რეპერტუარზე აეღოთ. ნამდვილი ხელოვნება ღრმა და მწვავე კრიზისს განიცდიდა, მაგრამ სწორედ ამ პირობებში თანდათან ჩნდებოდა ხალხის შემოქმედებითი ინიციატივა, რამაც თავი იჩინა სხვადასხვაგვარ ფორმაში: კონცერტებიდან

---

[2] ეს მოგონება მწერალმა როდიონ ქორქიამ ჩვენი თხოვნით დაწერა, რისთვისაც მას უდიდეს მადლობას მოვახსენებ. **ნ. შ.**

(გაგრძელება 95-ე გვერდზე)



ირაკლი უჩანეიშვილი

რაფიკ პაპოვიანი





რეჟისორი თეიმურაზ აბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სპექტაკლებიდან შეგროვილი თანხის მეშვეობით ყალიბდებოდა სპეციალური თეატრალური ბრიგადები, რომლებიც ფრონტს ემსახურებოდნენ. ღია ცის ქვეშ იმართებოდა თეატრალური სანახაობანი.

უშუალოდ ფრონტისათვის, წითელი არმიის ნაწილებისათვის იქმნებოდა საკონცერტო ბრიგადები, სპეციალური მოძრავი თეატრები, ეწყობოდა კონცერტები და მასობრივი სანახაობები.

1917 წლის დასასრულისათვის პავლე ლებედინსკის[3] ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებული თეატრალური სტუდია მიზნად ისახავდა მოემზადებინა კადრები ახალგაზრდული თეატრისათვის, რომელიც მომსახურებას გაუწევდა წითელი ჯარის ნაწილებს (მხატვრული ბრიგადების სახით) ხარკოვში და მის გარეთაც.

ახალგაზრდა სტუდენტები დიდი მონდომებით შეუდგნენ მეცადინეობას. რა თქმა უნდა, თამარისათვის მეტად ძნელი იყო ინსტიტუტსა და სტუდიაში პარალელური მეცადინეობა, მაგრამ თეატრალური ხელოვნებისადმი სიყვარულის დაუოკებელი გრძნობა მასში დღითი დღე უფრო ღრმავდებოდა. ის არ აცდენდა პ. ლებედინსკის არც ერთ პრაქტიკუმს, რომელზეც ცნობილი სპეციალისტი გრიმით სახავდა ხასიათებსა და განწყობილებებს.

1918 წელს ეს სტუდია გადაკეთდა პირველ მოძრავ პროლეტარულ თეატრად, რომელმაც გარკვეული როლი შეასრულა სამოქალაქო ომის მძიმე წლებში. და თამარ ჭავჭავაძე, შემდგომში უკვე ცნობილი მსახიობი, ამ თეატრის შესახებ წერდა:

,,ერთხელ, ჩვენ სამხიარულო მონტაჟით და მხატვრული ინსცენირებით გავწიეთ ხარკოვის ახლო მდებარე დაბაში, სადაც განლაგებულნი იყვნენ წითელი არმიის ნაწილები.

გავაწყვეთ უბრალო დეკორაციები და შევუდექით ინსცენირებას, რაც მებრძოლთა ერთსულოვან სიცილსა და ტაშს იწვევდა. უეცრად ჩვენს ზევით რაღაც საშინელი ღრჭიალი გაისმა და ელვარებამ თითქმის დაგვაბრმავა. მებრძოლ-მაყურებელთა მხიარულება მყისვე სახის სერიოზულმა მეტყველებამ შესცვალა. ატკაცუნდა ჩახმახები, რაღაც აგრიხინდა, ახმაურდა, ასისინდა. ინსცენირება იმით დავამთავრეთ, რომ ხელი დავავლეთ რაც რამ გაგვაჩნდა და... მოვკურცხლეთ.

ღარიბი სტუდენტი ვიყავი, ერთადერთი წყვილი ფეხსაცმელი გამაჩნდა, ისიც საკმაოდ გაცვეთილი, ძალიან მენანებოდა ისინი და ამიტომ ამოვიჩარე იღლიაში და ფეხშიშველმა სოფლისაკენ ვქენი პირი, მოსისინე ტყვიებისაგან თავის შესაფარებლად.

ეს იყო ჩემი ეგრეთ წოდებული აქტიორული ,,ნათლისღება'', ერთ-ერთი პირველი ჩემი გამოსვლათაგანი, რომელიც შიშის გამო სამარცხვინო ლტოლვით დამთავრდა. რომ მოვყვე, თოფს ხელი ვტაცე და მეც სროლა დავიწყემეთქი, — ტყუილი იქნება. ცოდვა გამომჟღავნებული სჯობია — ძალიან შევშინდი და უკუვიქეცი''.

მართალია, თამარ ჭავჭავაძე იუმორისტულად აფასებს თავის ,,ნათლისღებას'', მაგრამ რევოლუციის ცეცხლიან წლებში დაწყებული მისი ასეთი აქტიორული წვრთნა იყო ბედნიერი საწყისი იმ დიდებული საგმირო-რომანტიკული სკოლისა, რომლითაც შემდეგში წარიმართა მთელი მისი სასახელო შემოქმედებითი ბიოგრაფია.

---

3 პ. ა. ლებედინსკი — მსახიობი, თეატრალური მოღვაწე. ავტორი გრიმის ცნობილი სახელმძღვანელოსი. 1910 წ. პეტერბურგში, პ. პეტროვსკის დრამატულ სტუდიაში ასწავლიდა გრიმს. მისი ქალიშვილი ელენე პავლეს ასული ლებედინსკაია საბჭოთა ცირკის ცნობილი მსახიობი, ამჟამად კი საცირკო ხელოვნების სასწავლებლის პედაგოგია.

უკრაინის მიწიდან მტერი სავსებით მხოლოდ 1920 წლის დამლევისათვის განიდევნა და დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მიუხედავად უკრაინაში შექმნილი განსაკუთრებულად რთული პოლიტიკური და ეკონომიური პირობებისა, საბჭოთა მთავრობამ დაუყოვნებლივ მიმართა თეატრალური საქმეების ორგანიზაციას და 1919 წლის დასაწყისიდანვე გამოაქვეყნა დადგენილება თეატრების ნაციონალიზაციის შესახებ.

კიევის თეატრების კომისრად დაინიშნა ჩვენი დიდი თანამემამულე, სახელმოხვეჭილი რეჟისორი და თეატრალური მოღვაწე კოტე მარჯანიშვილი.

საგულისხმოა, რომ ამ დროს მთელი რუსეთის თეატრალურ ხელოვნებაში შეინიშნებოდა სწრაფვა კლასიკური პიესების დაახლოებისა თანამედროვეობასთან რევოლუციის თანხმიერი რეპერტუარის შესაქმნელად. მისი სწორუპოვარი მაგალითი იყო კოტე მარჯანიშვილის მიერ 1919 წლის მაისს ქ. კიევში, ყოფილ სოლოვცოვის თეატრში, დადგმული ლოპე დე ვეგას ,,ფუენტე ოვეხუნა'', რომელსაც უდიდესი რეზონანსი ჰქონდა. მასზე ალაპარაკდა ყველა, ვისაც კი ესმოდა თეატრის ჭეშმარიტი დანიშნულება და როლი ქვეყნის წინსვლაში.

ხარკოვის მთელი თეატრალური საზოგადოებრიობა ახალი, პროგრესული იდეებით მოაზროვნე ყველა ადამიანი, დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს კოტე მარჯანიშვილის ამ შესანიშნავ პრაქტიკულ მოღვაწეობას, რომელიც ცხოვრებისა და თეატრალური ხელოვნების უაღრესად სწორი ურთიერთობის ჭეშმარიტი გამოსახულება იყო.

ამ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა თამარ ჭავჭავაძე. მისთვის უკრაინაში კოტე მარჯანიშვილის ასე სასახელო მოღვაწეობას მრავალმხრივი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ ერთი, იგი მას უღვიძებდა ტკბილ მოგონებებს ყვარელში გატარებულ ლამაზ და უზრუნველ ბავშვობაზე, მეორეც, პროფესიულ მსახიობად გახდომის უდიდესი სურვილი ოცნებით აკავშირებდა მას ერთხმად აღიარებულ დიდ ხელოვანთან.

თამარმა ყოველ ღონეს მიმართა, რომ ხარკოვიდან კიევს გამგზავრებულიყო, ენახა ,,ფუენტე ოვეხუნა'' და საკუთარი თვალით ეხილა მარჯანიშვილის ამ ჯადოსნური სპექტაკლის ნახვის შემდეგ წითელი არმიის მებრძოლები თუ როგორ აღგზნებულები მიემართებოდნენ პირდაპირ ფრონტისაკენ. მაგრამ ამ დიდ სურვილს სინამდვილედ ქცევა არ ეწერა. თამარმა ვერ შეძლო კიევს ჩასვლა. სამაგიეროდ, კითხულობდა ყველაფერს, რაც კი ამ სპექტაკლის ირგვლივ იწერებოდა და ყურს უგდებდა ყოველივეს, რაც კი ითქმოდა. მან დიდი წვალებით იშოვა სოლოვცოვის თეატრის მიერ სპეციალურად ,,ცხვრის წყაროსათვის'' კიევში დაბეჭდილი ,,ფურცელი'', სადაც წერდნენ იმის შესახებ, რომ ,,პიესაში არ არიან ცალკეული გმირები, რომ აქ ბელადები იბრძვიან არა საკუთარი ზრახვებისათვის, არამედ თავიანთ თანამოქალაქეთა, თანასოფლელთა ინტერესებისათვის. ხარობს და ნაღვლობს, იღუპება და იმარჯვებს მთელი ხალხი და არა ესა თუ ის ცალკეული პიროვნება''.

სწორედ ასე იყო განხორციელებული ეს ძველი პიესა, რომელიც თავისი გამამხნევებელი რწმენით ძალზე ესაჭიროებოდა რევოლუციურად განწყობილ მაშინდელ ქვეყანას.

თამარ ჭავჭავაძე უსაზღვროდ გაიტაცა პიესისა და სპექტაკლის ამგვარმა ხასიათმა. ის შენატროდა სახელმოხვეჭილ მსახიობ ქალს ვ. იურენევას, რომელსაც კიევში კ. მარჯანიშვილმა ლაურენსიას დიდად პასუხსაგები როლი მიანდო. რა იცოდა მაშინ მეოცნებე, ახალგაზრდა თამარმა, რომ სამი-ოთხი წლის შემდეგ, მას ლაურენსიას

როლის ბრწყინვალე განხორციელებისათვის თბილისში, „ქართულ თეატრში, მარჯანიშვილის პირველი დადგმის მებაირახტრეს“ უწოდებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პ. ლებედინსკის სტუდია-თეატრი დიდ როლს ასრულებდა მომავალი მსახიობის პროფესიულ დაოსტატებაში, თამარ ჭავჭავაძეს მიაჩნდა, რომ იგი მაინც არ იძლეოდა იმდენ მომზადებასა და განათლებას, რაც ჭეშმარიტ მსახიობს უნდა გააჩნდეს. ამ მაღალ მოთხოვნათა უკეთესი რეალიზაციისათვის კი მას არ გააჩნდა მატერიალური შესაძლებლობა. ამიტომ გადაწყვიტა დაბრუნებულიყო სამშობლოში, სადაც მეტი პირობები შეექმნებოდა მიზნის მისაღწევად.

## ისევ სამშობლოში

„მივიღე მადლი შენგნით
უხვად ნაწყალობევი,
ეს არის ის, რასაც ღრუბელთაგან
იღებენ მთანი“.

ათას ერთი ღამე.

1919 წლის შემოდგომა იდგა. თამარ ჭავჭავაძე რამდენიმე ქართველ სტუდენტთან ერთად ხარკოვიდან თბილისს გამოემგზავრა. თეთრგვარდიელებისაგან შეკრულმა გზებმა მრავალჯერ ხიფათში ჩააგდო სამშობლოსაკენ მომავალი ახალგაზრდები, მაგრამ ისინი იხსნა თამარის არტისტულმა ნიჭმა. მის მიერ შესანიშნავად გათამაშებული ქართველი არისტოკრატი ქალის როლი, ერთადერთ საშუალებად იქცა შინ მშვიდობით დასაბრუნებლად.

საქართველოს დედაქალაქი იმ დროისათვის უცხოელების სათარეშოდ ქცეულიყო. ვის არ შეხვდებოდით მის ლამაზ ქუჩებში, მაგრამ სჭარბობდნენ შოტლანდიურ ქვედატანის კაბებში გამოწყობილი ინგლისელი მამაკაცები. მომრავლებულიყვნენ სირაჯხანები, შანტანები და მუზიკჰოლები.

მენშევიკური ხელისუფლების არსებობის სამი წლის მანძილზე ქვეყანაში სიდუხჭირე დამკვიდრდა. მძიმე ეკონომიური პირობების გამო, ქართული თეატრიც მოექცა ჩიხში, რის გამოც მსახიობთა დიდი ნაწილი იძულებით განუდგა თეატრში მოღვაწეობას. სხვა მისწრაფებებით ჩამოსულ თამარ ჭავჭავაძისათვის მეტად ძნელი გახდა გულგრილად შეხვედა გაუცხოებული სამშობლოსათვის, რომელიც თეატრის სიყვარულით შეპყრობილ ახალგაზრდა ქალს ვეღარ უხსნიდა ფართო კარებს აღსავლისაკენ. თამარი იძულებული გახდა მასწავლებლობა დაეწყო, მაგრამ ამან ოდნავადაც ვერ გაუნელა სამსახიობო განათლების მიღების მწვავე სურვილი. რადგანაც აღარ არსებობდა არც ქართული თეატრი და არც ქართული თეატრალური სტუდია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ საფრანგეთში განათლებამიღებულ, ანტუანის თეატრის რეჟისორის გიორგი ჯაბადარის სტუდიას, რომელიც ამ დროისათვის უსახსრობის გამო სულს ღაფავდა და რამდენიმე თვის შემდეგ შეწყვიტა კიდევაც არსებობა), თამარ ჭავჭავაძემ გადაწყვიტა სამსახურის პარალელურად რუსულ, კერძო დრამატულ სტუდიაში შესულიყო.

ეს სტუდია თბილისში ჩამოაყალიბეს 1918 წლის სექტემბერში მოსკოვის სამხატვრო თეატრის ყოფილმა მსახიობებმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მიხაილოვსკიმ და მისმა მეუღლემ მ. ლ. როკსანოვამ, რომლებიც სტუდიის შექმნის მომენტში „ტარტოს“[5] თეატრის მსახიობები იყვნენ. ამ საქმეში მათთან ერთად მონაწილეობდნენ ჟურნალ „რამპა ი ჟიზნის“ ყოფილი რედაქტორი იაკობ ლვოვი და თბილისელი ჟურნალისტი ა. ს. პეტროვსკი. მეცადინეობა მთელი ერთი წლის მანძილზე ტარდებოდა კინოთეატრ „სოლეის“ შენობაში (სადაც ამჟამად მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრია), ხოლო შემდეგ „ტიფლისკი კრუჟოკში“ (ახლა ოფიცერთა სახლია). სტუდიაში პედაგოგებად ძირითადში ტარტოს მსახიობები იყვნენ. მათ შორის იყო ეკატერინე ალექსანდრეს ასული სატინა (ამჟამად საქართველოს სსრ სახალხო არტისტი), რომელიც სასცენო მეტყველების ტექნიკას ასწავლიდა.

ამ სტუდიაში თამარ ჭავჭავაძე 1919 წლის მიწურულში მივიდა. ეკატერინე სატინა იგონებს: „მეცადინეობის დაწყებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემს კლასში დავინახე ახალი სახე. ეს იყო საროტანის, მაღალი, ლამაზი ქალიშვილი, დიდი შავი თვალებით. იგი მიიღეს უგამოცდოდ და ამიტომ დავინახე პირველად.

— რა გქვიათ? — შევეკითხე მე.

— თამარ ჭავჭავაძე.

ამ ახალმა სტუდენტმა გოგონამ მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. ძალიან სასიამოვნო და ადვილი იყო მასთან მუშაობა, სულ მალე თამარმა პედაგოგებში და თანამოსწავლეებში საერთო სიყვარული და სიმპათია მოიპოვა. ყველასათვის ნათელი გახდა მისი სცენიური ნიჭიერება“.

სტუდიაში პირველი სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდებოდა. თამარ ჭავჭავაძეს საკურსო ნამუშევარი უნდა ჩაებარებინა სასცენო მეტყველებაში. კითხულობდა რუქაიას ზღაპარს სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატიდან“. დაიწყო გამოცდები. კლასი დაძაბულად უსმენს თამარს. დასრულდა კითხვა. დუმილი, შემდეგ კი ერთბაშად აუდიტორიის საერთო აღტაცება და ოვაცია. ე. სატინა განაგრძობს მოგონებას: „დავუძახე თამარს, შევაქე კარგი ნამუშევრისათვის და ვერ შევიკავე თავი, რომ არ გადამეკოცნა.

— თქვენ, როდესაც მსახიობი გახდებით, შესანიშნავად ითამაშებთ რუქაიას, — ვეუბნები მას, — მორცხვმა ღიმილმა კიდევ უფრო სასიამოვნო შესახედავი გახადა. გაკვირვებული მიყურებს და შეშფოთებული მეკითხება:

— განა ზეინაბს არასოდეს ვითამაშებ?!

აი, აქ კი შევცდი ჩემს პედაგოგიურ პროგნოზში და ვუპასუხე: — „არა, მე მგონია, რომ თქვენი ხვედრია მხოლოდ კომედიური როლები „კოკეტისა“ და არა დრამატული გმირები, ზეინაბი კი ტრაგიკული როლია.

და რამდენჯერ ითამაშა მან შემდეგ, თავისი აქტიორული ცხოვრების მანძილზე, ეს როლი“.

თამარ ჭავჭავაძემ წარმატებით დაასრულა ეს სასწავლო წელი სტუდიაში. მხატვრულ კითხვაში, წარმატებას იგი უმადლიდა გამოცდილ პედაგოგს ეკატერინე სატინას.

„ერთხელ, — წერს ე. სატინა, —სასწავლო წლის დასასრულს, გაზაფხულის პირველ დღეებში, მომიახლოვდა თამარი, დარცხვენით გამომიწოდა იების პატარა თაიგული და მითხრა — „ეს თქვენ, ტყის პირველი იებიო“.

ამ დღიდან ოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, როდესაც ქართველი ხალხი შემოქმედებით საღამოს უმართავდა საქართველოს სახალხო არტისტ თამარ ჭავჭავაძეს, ეკატერინე სატინამ, უკვე ხანდაზმულმა მსახიობმა, დიდი სიხარულით მიულოცა შემოქმედებითი მიღწევები ახლა უკვე სასახელო კოლეგას და ტყის პირველი იები მიართვა მას ისევე, როგორც მაშინ დრამატულ სტუდიაში, მასწავლებელმა მიიღო მადლიერი მოსწავლისაგან.

---

[5] „ტარტო“ — Театр артистического общества.



საგამოფენო დარბაზში

# საინტერესო გამოფენა რუსთავში

შრომა, მშრომელი ადამიანი... ყოველთვის აღელვებდა და აღელვებს ეს თემა მხატვარს. ვინ მოთვლის, რამდენი საინტერესო ნაწარმოები შეუქმნიათ მასზე ქართველ მხატვრებს.

რუსთაველ მუშათა ცხოვრებას, მათ საქმიანობას ასახავს ქ. რუსთავში მოწყობილი ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობას, საქართველოს სსრ და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავს მიეძღვნა.

მხატვრებმა გამოფენაზე ექსპონირებული ნამუშევრები მთლიანად უსახსოვრეს რუსთაველებს.

გამოფენა გახსნა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ოთარ წვერავამ, რომელმაც მადლობა გადაუხადა მხატვრებს ძვირფასი საჩუქრისათვის.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მწერალი კ. მუმლაძე, მოწინავე მეფოლადე ვლ. მეტრეველი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ოთარ მენაბდე, საქართველოს სახალხო მხატვარი ელენე ახვლედიანი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი რუსუდან ჯავრიშვილი.

გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებისაგან აღსანიშნავია უჩა ჯაფარიძის „მეფოლადის პორტრეტი“, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრების გ. თოიძის „სინთეზური საამქროს უფროსი მეაპარატის ა. ენუქიძის პორტრეტი“, ო. ჯიშკარიანის „კომბინატის მუშა ედუარდ მდივნიშვილი“, თ. ყუბანეიშვილის „ზეინკლის პორტრეტი“ (ფანქარი), ა. ქლენტის „ზ. წოწორიასა“ და „ელექტროშემდუღებელ ჯ. მახარაშვილის“ პორტრეტები, ვ. ადვაძის „ელექტრიკოს გ. პოპოვის პორტრეტი“, გ. ჯაშის „მ. ბუაჩიძის პორტრეტი“ და სხვ.

ორიგინალური ფორმით გამოირჩევიან ელ. ახვლედიანის „სხმულების გამწმენდი საამქრო“, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრების ე. ანდრონიკაშვილის „რუსთავის საერთო ხედი“, რ. ჯავრიშვილის „რუსთავის ცენტროლიტი“, პ. დათეგაშვილის „ქარხნის პეიზაჟი“, ვ. ბელეცკაიას „სასილოსე კოშკები“ და სხვ.

კარგი ნამუშევრებით წარსდგნენ რუსთაველთა წინაშე: ს. მაისაშვილი, ე. მაყაშვილი, მ. ამირხანოვა, გ. ბენაშვილი, ნ. ჩარნეცკაია და სხვები. გამოფენამ მნახველთა დიდი ინტერესი და მაღალი შეფასება დაიმსახურა.

### შალვა ჩაგუნავას დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავი



შალვა ჩაგუნავა

# მემატიანე კინემატოგრაფისტი

კონა მიქაძე

შალვა ჩაგუნავა ერთი იმ პიონერთაგანია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ქართული დოკუმენტური კინემატოგრაფიის შექმნაში. მის მიერ ქართულ კინოში გატარებული შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წელი და ამ ხნის განმავლობაში შექმნილი ასზე მეტი დოკუმენტური ფილმი ჭეშმარიტად საამაყოა.

1926 წელი... სახკინმრეწვი... ახალ ფეხადგმული ქართული კინემატოგრაფია, მაგრამ უკვე აღიარებული ფილმები, ცნობილი რეჟისორები, შალვა ჩაგუნავა კი მხოლოდ იწყებდა, იწყებდა ჭაბუკური გულმოდგინებით. ცხოველი ინტერესით ეცნობოდა კინოხელოვნების მიმზიდველ სამყაროს.

პირველი სიხარული მას სიკო დოლიძის დოკუმენტურმა ფილმმა ,,მიწის ძახილმა" მიანიჭა. შალვა ამ ფილმის სცენარის ავტორი იყო.

შ. ჩაგუნავამ ლენინგრადის ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის კინოგანყოფილების დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვის სახელმწიფო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში. წარმატება და გამარჯვება იყო თავიდანვე მისი ხვედრი, რადგანაც ჯერ კიდევ სტუდენტობისას გადაღებულ ფილმს — ,,აჭარისტანი დღეს", სახკინმრეწვის სამხატვრო-პოლიტიკურმა საბჭომ მაღალი შეფასება მისცა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. დოკუმენტური კინომასალა ქვეყნის კინემატოგრაფიული მატიანეა, რომლის მნიშვნელობა და დანიშნულება წელთა მსვლელობაში უფრო იზრდება და ფასდება. დოკუმენტური ფილმის რეჟისორს დიდ მოვალეობას აკისრებს არა მარტო მისი თანამედროვეობა, არამედ მომავალიც. დღეს ქართულ კინემატოგრაფიულ

მატიანეს შალვა ჩაგუნავას მიერ გადაღებული ათასობით მეტრი ფირი ამშვენებს. მათში ასახულია ჩვენი ქვეყნის დიადი ცხოვრება სოფლად და ქალაქად, ჩვენი წინსვლა და მიღწევები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა უბანზე. ასახულია საქართველოს წარმტაცი ბუნება, რესპუბლიკის მოწინავე ადამიანების მოღვაწეობა („ცეცხლოვანი კოლხიდა", „ჩვენი ახალგაზრდობა", „ინდუსტრიული ქუთაისი", „უხვი მოსავლის ოსტატები", „რუსთავის ჩირაღდნები", „რიონის ხეობა", „ბორჯომის ხეობა", „მზიური აჭარა", „ქუთაისი" და სხვ.). მისი ფილმი „ალაზნის ველი", 1956 წელს ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალზე საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა. 1938 წელს რეჟისორმა შალვა ჩაგუნავამ გადაიღო სამნაწილიანი ფილმი „შოთა რუსთაველი", რომელიც მიძღვნილია „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავისადმი. მასში გადაღებულია რუსთაველის ეპოქის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, საიუბილეო ზეიმი თბილისში, მოსკოვში, ბაქოში, ერევანში, ხაბაროვსკსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. ფილმს განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ღირებულებას ანიჭებს ის, რომ მასში შემონახულია უნიკალური მასალა, მოცემულია ჩვენი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების — შალვა დადიანის, გიორგი ლეონიძის, იოსებ გრიშაშვილის პორტრეტები და ხმოვანი ჩანაწერები.

დიდი სამამულო ომის წლებში ქართველმა კინოდოკუმენტალისტებმა გამოუშვეს 126 კინოჟურნალი, 43 სპეციალური კინოსიუჟეტი, 8 სპეციალური გამოშვება. რეჟისორი შალვა ჩაგუნავა გადამღებ ჯგუფებს ხელმძღვანელობდა ყირიმის, ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტების მოქმედ არმიებში. ომის თემაზე მან შექმნა ფილმები: „ფაშისტ მხეცთა ნაკვალევზე", „ფიცი სამშობლოს", „გენერალ ჩანჩიბაძის გვარდიელები", „ფრონტის ხაზზე", „ჩვენი დიდების ფურცლები" და სხვ. ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების ოცი წლის შემდეგ შალვა ჩაგუნავა კვლავ დაუბრუნდა ომის თემას და ძველი დოკუმენტური კინოკადრების საზრიანი გამოყენებით შექმნა შესანიშნავი კინონარკვევები: „ჩვენ ვიცავდით კავკასიას", „ისინი იცავდნენ ყირიმს".

შალვა ჩაგუნავამ ქართულ კინოლენინიანას შემატა ფილმები: „ილიჩის მეგობარი მიხა", „საგანგებო კომისარი", „ნოე ბუაჩიძე", „ლენინის წერილი" და სხვ. იმ ფილმთა შორის, რომლებიც ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიეძღვნა, თემატური ჩვენებისათვის საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებით რეკომენდებულია ქართველი დოკუმენტალისტის ფილმები „ილიჩის მეგობარი მიხა" და „ნოე ბუაჩიძე".

ამბობენ, ყველა ქართველი ბუნებით პოეტიაო. შალვამაც ლექსით დაიწყო თავისი სიჭაბუკე. მისი ლექსები იბეჭდებოდა ქუთაისის გაზეთ „წითელი ვარსკვლავის" ფურცლებზე, „ახალგაზრდა კომუნისტში". ამ ლექსებში იგი უმღერდა მშვენიერებას, სიყვარულს, თავისი ქვეყნის მომავალს.

წლების სიმრავლემ არ დაავიწყა შალვას ლექსებისადმი ტრფიალი. პირიქით, გაუღრმავა და განუმტკიცა ქართული კულტურის, მხატვრული ლიტერატურის, მეცნიერებისადმი დიდი სიყვარული. ამაზე მეტყველებს მის მიერ სხვადასხვა დროს გადაღებული ფილმები: „ილია ჭავჭავაძე", „ნიკოლოზ ბარათაშვილი", „მაიაკოვსკის ყრმობა და სიჭაბუკე", „გიორგი ლეონიძე", „სიმონ ჯანაშია", „ივანე ჯავახიშვილი" და სხვ.

ამ ცოტა ხნის წინ ჩვენმა საზოგადოებრიობამ სიყვარულით აღნიშნა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, კინორეჟისორ შალვა ჩაგუნავას დაბადების 60 წლისთავი.

კინოსახლის დარბაზში თავი მოიყარეს მწერლებმა, თეატრისა და კინოს მუშაკებმა, იუბილარის შემოქმედების დამფასებლებმა.

საღამო გახსნა სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის მხატვრულმა ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ასათიანმა. იუბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კარლო გოგოძე. შალვა ჩაგუნავას მიესალმნენ საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე შ. სალარიძე, კომიტეტის სამეცნიერო-საწარმოო განყოფილების უფროსი პ. კობახიძე, საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი სიკო დოლიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნ. სანიშვილი, საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის რედაქტორი ვ. სულაკაური, კინოოპერატორი ა. აჯიბეგიშვილი, თადარიგის გენერალ-მაიორი ნ. თავართქილაძე, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის სახელით მწერალი ს. წვერავა, წულუკიძის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის გზის" რედაქტორის მოადგილე გ. მუშკუდიანი და სხვები. იუბილარმა მრავალი მისალოცი დეპეშა მიიღო კოლეგებისაგან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან.

# აფხაზეთის სსრ მხატვართა საიუბილეო გამოფენიდან თბილისში



*ი. ცომაია.* ზემო სვანეთი



*ხ. ავიძბა.*
საკოლმეურნეო მინდვრებზე

ე. ამპარი
მხვნელი





ო. ბრენდელი.
პეიზაჟი.



ნ. კურჩენკოს პორტრეტი

ჩ. კუკულაძე.

ა. ქუთათელაძის პორტრეტი



# „იცნობ თუ არა კუბას"?

მაშ ასე, ჟიურიმ დაამთავრა მუშაობა. ჩვენს კონკურსში თითქმის 2.000 კაცი მონაწილეობდა. არაჩვეულებრივად ფართოა კონკურსის „გეოგრაფია": პასუხები მივიღეთ ლატვიიდან და აზერბაიჯანიდან, ალტაის მხარიდან და მზიური საქართველოდან, კრასნოიარსკიდან და ნიჟნი ტაგილიდან, ვლადივოსტოკიდან და ტალინიდან. ჟურნალის რედაქციას თავისი ხმა მიაწვდინა თხუთმეტმავე საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ. ეს იყო რევოლუციური კუბის ჭეშმარიტი მეგობრების სასიკეთო ხმები.

„შენთან ვიყავ მე მონკადის კაზარმების იერიშში,

და უწყალოდ მაწამებდნენ ულმობელი ჯალათები,

მაინც დავრჩი საბრძოლველად მეამბოხე წვეროსნებთან..."

ასე გამოხატა თავისი გრძნობები კუბაზე ერევნელმა ინჟინერმა ალექსანდრე თათევოსიანმა.

ანატოლი კრავჩენკო თავისი პასუხების შესავალში წერს:

„ეს ჩემი მოკრძალებული ნაშრომი გამოხატულებაა დიდი სიყვარუ-

# ჟურნალ «კუბის» 1971 წლის კონკურსის შედეგები

ლისა და პატივისცემისა გმირი კუბელი ხალხისადმი“.

კონკურსში მონაწილეობდა ერთობ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ხალხი: მეცნიერმუშაკები, ინჟინრები, სტუდენტები, მუშები, აგრონომები, ექიმები, ჟურნალისტები, მოსწავლეები.

კონკურსის მონაწილეებს დიდი რაოდენობის ლიტერატურის წაკითხვა დასჭირდათ ყველა კითხვაზე პასუხის გასაცემად.

რიგელმა აუსმა ზარინიამ თავის საკმაოდ სქელტანიან ნაშრომს შემდეგი წერილი დაურთო:

„კონკურსის კითხვებზე პასუხის გასაცემად 232 სხვადასხვა წყარო გამოვიყენე. მთლიანად გამოყენებული ლიტერატურის სიას ალბათ 30 გვერდი დასჭირდებოდა“.

კონკურსი იქცა კიდევ ერთ ნათელ გამოხატულებად საბჭოთა ხალხის მეგობრული გრძნობებისა მოძმე კუბელებისადმი.

როგორც ყველა შეჯიბრზე, საერთოდ, რასაკვირველია, აქაც არიან გამარჯვებულებიცა და „დამარცხებულებიც“. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ იმათაც კი, რომლებიც ვერ მოხვდნენ საუკეთესოთა რიგებში, არაფერი წაუგიათ; მუშაობისას ისინი გაერკვნენ მათთვის საინტერესო მრავალ საკითხში. აი, რას წერს ამის შესახებ კონკურსის ზოგიერთი მონაწილე:

„დაე ვერ გავიმარჯვო, — წერს ელენა ხახულინა როსტოვის ოლქიდან, — მაგრამ მე უკვე დაჯილდოებული ვარ იმ ცოდნით, რომელიც მივიღე კონკურსის საკითხებზე მუშაობისას“.

იმავე აზრს იმეორებს ერევნელი ლევონ ასტარიანი:

„გაუმარჯვებლობის შემთხვევაშიც მოგებული დავრჩები,ვინაიდან კონკურსი დამეხმარა უფრო ახლოს და უკეთ გამეცნო თავისუფლების გმირული კუნძულის ცხოვრება და ხალხი“.

მსგავსი შეხედულებისაა სვერდლოვსკელი ინჟინერი მიხეილ პეტუხოვიც.

„პირველი პრემიის მიღების იმედით როდი ვმონაწილეობდი კონკურსში. მთავარი, რითაც ვხელმძღვანელობდი ჩემს მისწრაფებაში, ის იყო, რომ უფრო მეტად შემეცნო კუბა, მისი ხალხი, ისტორია, გეგმები სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად ამერიკის კონტინენტზე“.

ჩვენ მივიღეთ 2.000-მდე პასუხი. ცოტაა ეს თუ ბევრი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, რომ უკლებლივ ყველა წერილი გაჟღენთილია რევოლუციური კუბის, მისი გმირი ხალხისადმი სიყვარულით და ამ გრძნობას კონკურსში მონაწილეებთან ერთად ინაწილებს მილიონობით საბჭოთა ხალხი

კონკურსის ჟიური

ჟურნალ „კუბის“ კონკურსში („იცნობ თუ არა კუბას?“) გამარჯვებულნი, რომლებმაც მოიპოვეს უფლება კუბაში ორკვირიანი მგზავრობისა 1971 წელს.

რსფსრ — სოლოშენკო ი. ი., ფილინკოვსკაია ნ. პ.
უკრაინის სსრ — ბოგინსკი ნ. ნ.
ბელორუსიის სსრ — მიაკოტა ს. ფ.
უზბეკეთის სსრ — მამაჯანოვი ბ. კ.
ყაზახეთის სსრ — ივაროვსკაია ლ. ნ.
საქართველოს სსრ — თაყაიშვილი ბ. ხ.
აზერბაიჯანის სსრ — ტაგიევა ს. ს.
ლიტვის სსრ — დაბკუსი ს. ი.
მოლდავეთის სსრ — კოჟოკარი მ. ი.
ლატვიის სსრ — ზარინია ა.
ყირგიზეთის სსრ — დენისოვა ვ. ი.
ტაჯიკეთის სსრ — საიბნაზაროვი მ.
სომხეთის სსრ — გლხატიანი ს. ნ.
თურქმენეთის სსრ — აისინი რ. გ.
ესტონეთის სსრ — ტემუმიაე ა.

წამახალისებელი პრემიებით დაჯილდოებული კონკურსის მონაწილენი:

რსფსრ

1. ოვსიანიკოვი ნ. ს. — პავლოვსკი პოსადი
2. ლობაკი ლ. მ. — დონის როსტოვი
3. ბოჩკარევი ვ. ბ — კუიბიშევი
4. ეფანოვი გ. ი. — ტაგანროგი
5. კაზიცკაია ი. ბ. — მოსკოვი
6. სემე ვ. პ. — სატავალა (კარელიის ასსრ)

ბელორუსიის სსრ

7. გაიკო ე. ე. — მინსკი
8. გოლოვკო ტ. ფ. — მინსკი
9. გრიცუკი ვ. ა. — მინსკი

საქართველოს სსრ

10. ლიტვინოვი ე. ფ. — თბილისი
11. კარაპეტიანი გ. — თბილისი

სომხეთის სსრ

12. თათევოსიანი ა. ვ. — ერევანი
13. თერმეზიანი კ. გ. — ერევანი

მოლდავეთის სსრ

14. კონდორაკი ვ. მ. — კიშინიოვი
15. პონამარიოვი ვ. პ. — ტირასპოლი

უკრაინის სსრ

16. როიკი ვ. მ. — სიმფეროპოლი
17. ლიტვინენკო ს. და ა.—ხარკოვი
18. ლინიკი ვ. ს. — ხარკოვი
19. დრიგაილო ვ. გ. — კიევი

ესტონეთის სსრ

20. ჩაპლინსკი ე. — ტალინი
21. პუკი ლ. — კოხტლა-იარვე
22. ბოტვინოვი პ. თ. — ტალინი

ლატვიის სსრ

23. ვასილევი ი. ა. — რიგა
24. კისელიოვა ნ. ფ. — რიგა
25. შალკა ლინდე — ლიეპაია

ლიტვის სსრ

26. ნაშლიუნასი ი. — კაუნასი
27. იუოზოკასი ვ. ი. — დასახლება ბალბერიშკისი

აზერბაიჯანის სსრ

28. აირიანი გ. მ. — სტეფანაკერტი
29. ქერიმოვი ე. — ბაქო
30. კოზლოვსკი ნ. ფ. — ბაქო

ყაზახეთის სსრ

31. გორშკოვი ვ. ვ. — ალმა-ატა
32. ჟეტიბაევი შ. კ. — რუდნიი
33. ლიხტაროვა რ. გ. — ალმა-ატა

ტაჯიკეთის სსრ

34. შებიტჩენკო ნ. ა. — დუშანბე
35. უშკოვა ნ. — დუშანბე

თურქმენეთის სსრ

36. აკმედოვა ო. ბ. — აშხაბადი
37. შიმჩენკო მ. ფ. — კრასნოვოდსკი

ყირგიზეთის სსრ

38. დემენტევი ნ. ლ. — უზგენი

უზბეკეთის სსრ

39. ახმედოვი მ. ა. — ტაშკენტი
40. მალკინა ზ. პ. — ტაშკენტი.

# სოფრომ

მეცხრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა მჭიდრო ურთიერთობაში იყო თეატრთან. გარდა ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა, ქართული თეატრის აღორძინებასა და განვითარებაში ღირსეული წვლილი მიუძღვით სხვა ქართველ მწერლებსაც, მათ შორის სოფრომ მგალობლიშვილს.

ერთი შეხედვით, მკითხველს შეიძლება უცნაურადაც კი მოეჩვენოს, როცა სოფრომ მგალობლიშვილის თეატრალურ მოღვაწეობაზე ვლაპარაკობთ, ეს არც გასაკვირია, ვინაიდან შესწავლილია მხოლოდ მისი, როგორც ხალხოსანი მწერლის ცხოვრება და შემოქმედება. რაც შეეხება სოფრომ მგალობლიშვილის თეატრალურ მოღვაწეობას — დღემდე არ არის გაშუქებული.

ჩვენს მიერ შეკრებილი მასალების შედეგად შესაძლებელი შეიქნა სოფრომ მგალობლიშვილის თეატრალურ სფეროში მოღვაწეობის რამდენიმე ფაქტის დადგენა.

ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ სოფრომ მგალობლიშვილის სამსახიობო მოღვაწეობა და მისი ესთეტიკური შეხედულებები თეატრალურ ხელოვნებაზე.

მგალობლიშვილმა თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების საუკეთესო წლები გორში გაატარა. ერთხელ განიზრახეს მისი თბილისში გადმოყვანა სამუშაოდ, მაგრამ ილია ჭავჭავაძე არ დათანხმებულა, უთქვამს: ქალაქის ცხოვრება ჩაითრევს და მწერლობას თავს დაანებებსო. სოფრომის გადმოცემით ილიას ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმედ მიაჩნდა ქართველი მწერლების მოღვაწეობა პროვინციებში. იგი მათ მოუწოდებდა: ყველა თქვენგანმა პროვინციის ქალაქებში ჯგუფები უნდა შეადგინოთ და ამ ჯგუფებმა იმოქმედონო[1].

და სოფრომიც მთელი მონდომებით ანხორციელებდა დიდი მასწავლებლის ამ საგულისხმო მითითებას. მას სათაკილოდ არ მიაჩნდა პროვინციაში ცხოვრება და მოღვაწეობა. პირიქით, ემაყებოდა კიდეც. აი რას უამბობდა სოფრომი გაზეთ „ივერიის" მკითხველებს 1878 წელს: „ბედმა მარგუნა, ჩემო მკითხველო, პროვინციაში ცხოვრება, მაგრამ ამ ბედს არ ვემდური, ვარ და ბედნიერი ვარ. ბედნიერებაა, მე და ჩემმა ღმერთმა, იმ ხალხში ცხოვრება, რომელსაც შენ და მე, მკითხველო, აღუზრდივართ, ვის კალთაშიც ჩვენ უდარდელად და უზრუნველად გვიგორავია"[2].

1873 წელს სოფრომ მგალობლიშვილმა დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი და ქ. გორის სასულიერო სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. სულ მალე მან გორის საზოგადოებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის უსაზღვრო სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. გორში იგი ჩაება რევოლუციურ-ხალხოსნურ მოძრაობაში და მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა. იგი გლეხებს უკითხავდა რევოლუციური შინაარსის ლიტერატურას, ავრცელებდა პროკლამაციებს, ამყარებდა კავშირს საქართველოსა და რუსეთის რევოლუციონერ-ხალხოსნებთან.

სოფრომ მგალობლიშვილის ინიციატივით 1874 წელს გორში დაარსდა სცენისმოყვარეთა წრე. ხალხოსან შიო დავითაშვილის გადმოცემით ამ წრეში შედიოდნენ: ს. მგალობლიშვილი, მისი მეუღლე ნინო, ქალაქის გამგეობის წევრი, გორის თეატრის მეცენატი აღალო თუთაევი, მასწავლებელი შაქრო გულისაშვილი, ნოქარი ლევან ჯულაბოვი, პავლე ბურჯანაძე, შიო დავითაშვილი და მისი მეუღლე

ქეთევანი, მაშო კერესელიძე, მაშო ივანიშვილი (დემურია), სოფიო და ფეფო მაღალაშვილები, ვასო ქარგავა და სხვები. სოფრომ მგალობლიშვილი იყო არა მარტო ამ წრის სცენისმოყვარე, არამედ იდეური ხელმძღვანელი, რეჟისორი, სუფლიორი, რეკვიზიტორი.

1876 წელს რევოლუციონერ-ხალხოსნებმა ჟანდარმერიისაგან დიდი რეპრესიები განიცადეს. მთელ საქართველოში მიმდინარეობდა ჩხრეკა-დაპატიმრებანი. ხალხოსნურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის სოფრომ მგალობლიშვილი პირდაპირ გაკვეთილზე დააპატიმრეს, მაგრამ მალე გაათავისუფლეს თავდებ ქვეშ.

ორი წლის შემდეგ იგი კვლავ გაჩხრიკეს და კოტე ყიფიანთან ერთად მოათავსეს გორის ციხეში. დიდ ქართველ მსახიობ კოტე ყიფიანთან ამ მოულოდნელ და სასიხარულო შეხვედრას სოფრომი ასე გადმოგვცემს: ,,არ გაუვლია ნახევარ საათს... რომ ციხეში მოიყვანეს ჩემი ამხანაგი კოტე ყიფიანი, ზაზა ყიფიანი, ციხის უფროსი სულ გადირია, დაიწყო ხელების შლა და ბოლთა ოთახში.

— ბიჭო კოტე, შენცა?... ჰაა...? დიდი დიმიტრის შვილი...

— რა ვუყოთ, ბიძაჩემო. დიდი დიმიტრი უფრო ჩემზე ადრე არ იჯდა ციხეში?.. ყიფიაანთ მოსდგამთ...

— მიშა გაგზავნეს, შენ აქ ჩაგსვეს. რაო? გვარის შემარცხვენელები ხართ სწორედ, — დაიწყო წუწუნი ზაზამ... რა თქვენი საქმეა მეფის წინააღმდეგობა, იმ მეფისა, რო-



# მგალობლიშვილის თეატრალური მოღვაწეობა

გივი ჯაოშვილი

მელმაც თათრებისაგან დაგვიხსნა... სხვა რა გინდათ? ე ბატონყმობაც ხომ გადააგდო, ჰაა...“[3]

მიუხედავად ასეთი დაძაბული სიტუაციისა, გორის ხალხოსნებმა უფრო გააძლიერეს მუშაობა, რისთვისაც თეატრალური საქმიანობა ერთგვარ ლეგალურ ფარად გაიხადეს.[4] გადაახალისეს სცენისმოყვარეთა შემადგენლობა, დააარსეს ახალი ,,სცენისმოყვარეთა საზოგადოება“ და იდეურ ხელმძღვანელად ისევ სოფრომ მგალობლიშვილი აირჩიეს.

მან კი თეატრი ხალხში გასვლის ერთ-ერთ კონსპირაციულ საშუალებად გამოიყენა.

პოეტ-აკადემიკოს იოსებ გრიშაშვილის თქმისა არ იყოს, მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლები თავს ვალდებულად სთვლიდნენ ხარკი გაეღოთ თეატრისათვის, როგორც მსახიობებს. სხვადასხვა დროს წარმოდგენებში და დივერტისმენტებში მონაწილეობა მიუღიათ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგისათვის ხომ მსახიობობა მეორე გატაცება იყო. სცენაზე უთამაშიათ ეკატერინე გაბაშვილს, სოფრომ მგალობლიშვილსა და სხვებს.

სოფრომ მგალობლიშვილმა სამსახიობო ნათლობა თბილისში, სემინარიაში სწავლების პერიოდში მიიღო, როცა 1871 წელს ნ. ავალიშვილისა და ანტ. ფურცელაძის მეთაურობით შემდგარ სცენისმოყვარეთა წრეში სემინარიელებიც მიიწვიეს. სოფრომმა ითამაშა ეპიზოდური როლი ზ. ანტონოვის პიესაში ,,ქმარი ხუთი ცოლისა“.

სოფრომ მგალობლიშვილი არ ყოფილა ფართო დიაპაზონის მსახიობი. იგი იყო საკუთარი ამპლუის მქონე, ძლიერი შემოქმედებითი პოტენციისა და გარდასახვის სცენისმოყვარე.

რა ხასიათებში ვლინდებოდა სოფრომ მგალობლიშვილის, როგორც მსახიობის ამპლუა? უპირველეს ყოვლისა გლეხური ხასიათების მაღალნიჭიერებით წარმოსახვაში.

ქართულ დრამატულ დასს ჰყავდა გლეხისა და მოურავის როლების საუკეთესო შემსრულებელი ნიკოლოზ თომაშვილი (შიშნიაშვილი), რომელსაც სოფრომ მგალობლიშვილი ღირსეულ მეტოქეობას უწევდა. ქართული დასის მიერ გორში წარმოდგენილ ავქ. ცაგარლის პიესის ,,რაც გინახავს, ველარ ნახავს“ გამო გაზეთ ,,დროებაში“[5] ს. მგალობლიშვილმა მსახიობ ნ. თომაშვილს უსაყვედურა არაბუნებრივი თამაში, როლის მიზნიდან გადახვევა. შესაძლებელია ამიტომაც ქართულ დრამატულ დასს არა თუ გორში, არამედ ზოგჯერ თბილისშიც გამოჰყავდა ხოლმე სოფრომი გლეხის როლებში.

სოფრომი ასევე კარგად ასრულებდა თურმე თავადებისა და მოურავების როლებს, მაგრამ სულ სხვა იყო გლეხის როლებში, სადაც ისეთ საოცარ სცენურ გარდასახვას აღწევდა, რომ მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფებსაც უჭირდათ ხოლმე გამოცნობა. თვითონ გვიამბობს: ,,ერთხელ ქარელში წარმოდგენა იყო: მე სცენები უნდა წამეკითხა, ჩავიცვი და კულისებში ვიდექი. ამ დროს შემოვიდა მიხეილ ციციშვილი და შემომიტია: გადი აქედან, აქ რა შენი საქმეა, რომ დგეხარ. როგორც წამომატანა ხელი, მე ჩემი ვი-

ნაობა უთხარი, მანამ სინათლეზე არ მიმიყვანა და ჩემი ხმით არ დაველაპარაკე ვერ მიცნო“[6].

სოფრომი სცენაზე გამოდიოდა სპეციალურად შეძენილი გლეხის ტანისამოსით. ერთხელ ნიკო დიასამიძემ იგი აიძულა თბილისში, მუხრან-ბატონის სასახლეში, საღამოს ვმართავთ და გინდა თუ არა სცენები ფრაკით უნდა წაიკითხოო. სოფრომი ბევრს ემუდარა ჩემი გლეხური ტანისამოსით გამოვალო, მაგრამ ნიკომ ნება არ დართო. სოფრომს სცენაზე გასვლის წინ ორი ჭიქა ღვინოც კი დაულევია — იქნება სითამამე შემემატოსო. როგორც ჩანს, არც ამან უშველა, რადგან თითონვე ამბობს: ,,ჩემებურად არ მომივიდა და ჩავაფლავეო“.[7]

იგი კარგად უთავსებდა ერთმანეთს სამწერლო მოღვაწეობასა და თეატრალურ საქმიანობას. ქართული თეატრალური კულტურის ხალხში გავრცელებას სოფრომი მთელი ოჯახით ემსახურებოდა. მისი მეუღლე ნინო მგალობლიშვილი ერთ-ერთი ძლიერი სცენისმოყვარე იყო გორში. მათი ერთ-ერთი ვაჟი დათა მგალობლიშვილი ხომ ქართული თეატრის თვალსაჩინო მსახიობი გახდა. ,,ყოველ კვირას ვიკრიბებოდით სოფრომ მგალობლიშვილის ოჯახში, სადაც იბადებოდა და ხორციელდებოდა იმ დროს ყოველგვარი ახალი აზრი და ფიქრები, მიმართული ჩვენის ხალხის დასახმარებლად — იგონებს თეოფილე ხუსკივაძე, — აქ ვარჩევდით, თუ რანაირად მოგვეწყო ქართული თეატრის საქმეები, შეგვეკრიბა ფული ამა თუ იმ ქართული დაწესებულებების გასამაგრებლად, ანუ ჟურნალის ხელმომწერლების გასამრავლებლად და სხვანი“.[8]

სოფრომ მგალობლიშვილი თბილისსა და გორს გარდა გამოდიოდა ქართლის სოფლებშიც როგორც ქართულ დრამატულ დასთან, ასევე სცენისმოყვარეებთან ერთად. სოფლად გლეხებისათვის გამართულ უფასო წარმოდგენებს წინ უმძღვარებდა ლექცია-საუბრებს ანტირელიგიურ თემებზე, უყვებოდა სინამდვილეში მომხდარ ამბებს ბატონყმური გადმონაშთების შესახებ. გლეხები დიდი ინტერესით ისმენდნენ ასეთ საუბრებს და სიძულვილს გამოსთქვამდნენ მჩაგვრელთა მიმართ.

აღსანიშნავია მის მიერ მოსე ნათაძესთან ერთად ფერისცვალების დღეს ს. მეჯვრისხევის სკოლის დარბაზში გამართული საღამო. აქ სოფრომმა დამსწრეებს წაუკითხა თავისი სცენა ,,პოსრედნიკთან“, რომელშიც მხილებულია მომრიგებელი მოსამართლის უკანონო მოქმედება.

1884 წლის 12 აგვისტოს სურამში გაიმართა ქართული წარმოდგენა. ,,დროების“[9] ცნობით ,,ასეთი ლაზათიანი და მრავალფეროვანი წარმოდგენა თბილისსაც ძვირად ღირსებია. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დასწრებია. ასე გასინჯეთ, გორიდანაც კი წასულან სპეციალურად. წარმოდგენაში ძირითადად მონაწილეობდნენ სურამის სცენისმოყვარენი. მათ დახმარებას უწევდა კოტე ყიფიანი და სოფრომ მგალობლიშვილი“. წარმოდგენა გაიმართა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქნა: „გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“ — ი. ჭავჭავაძისა, ,,თამარ ბატონიშვილი“ (მეოთხე მოქმედება) — კოტე მესხისა, ,,ცოლი თუ გინდა, ეს არის“ (ვოდევილი ერთ მოქმედებად) — ვასო აბაშიძისა. ბოლოს გაიმართა დივერტისმენტი. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს კოტე ყიფიანმა და სოფრომ მგალობლიშვილმა.

ილია ჭავჭავაძის სცენებში სოფრომ მგალობლიშვილმა ბრწყინვალედ შეასრულა გლახა ჭრიაშვილის როლი, რომელშიც გამოირჩეოდა უშუალობითა და დამაჯერებლობით. მისი სცენაზე მოქმედება, მიხრა-მოხრა, მიმიკა და სხვა უმნიშვნელო დეტალებიც კი ზუსტად ჰქონდა აღებული გლეხისაგან. მეტყველებაშიც საოცრად ბაძავდა გლეხის კილოს: ,,მენა, შენი ჭირიმე, გლახა ჭრიაშვილი გახლავარ, როგორც მოგეხსენებათ. პაპა ჩემი აზნაური გხლებიათ ნუგზარ ერისთავის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო. ასე ამბობენ, თორემ მენა ეგ ამბავი საიდამ მეცოდინება“. ამ სიტყვებს გლეხური ინტონაციების ზუსტი დაცვით წარმოსთქვამდა.

გლახა ჭრიაშვილს იმ დროს სხვებიც თამაშობდნენ, მაგრამ სოფრომს ამ როლში ბადალი არ ჰყოლია.

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი, რასაც გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, ეს არის სოფრომ მგალობლიშვილის ზომიერების გრძნობა სცენაზე, ე. წ. ,,თვითკონტროლი“.

სოფრომ მგალობლიშვილი მაყურებელთან კონტაქტში გრძნობდა მისი ბუნებრივი თამაშით გამოწვეულ მაყურებლის რეაქციას, მაგრამ ეს გრძნობა არასოდეს არ იწვევდა მასში მაყურებლისაგან მოწონების, ან ტაშის გამოძალვის ცდუნებას. იგი ყოველთვის ზომიერად, სრულიად ბუნებრივად თამაშობდა ხოლმე. ამას ნათლად ადასტურებს გაზეთ ,,დროების“ რეცენზია: ,,დამამშვენებელი პირი აქ იყო ბატ. სოფრომ მგალობლიშვილი, რომელიც თამაშობდა ჭრიაშვილის როლსა. არა ერთი პირი გვინახავს მარჯვედ ამსრულებელი ამ როლისა, მაგრამ ბატ. მგალობლიშვილს ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება. მიხვრა-მოხვრა, კილო, გამოთქმა სიტყვებისა, მიმიკა, ყველაფერი ნამდვილი გლეხური აქვს ბატ. მგალობლიშვილს: ამასთან იგი სრულიად არ ცდილობს თავი მოაწონოს პუბლიკასა, ტაშისკვრა გამოიწვიოს და კიდეც ამიტომ უნებლიედ ეწევა ერთსაც და მეორესაც. ამასთან ბატ. მგალობლიშვილს კარგად შეუგნია ნამდვილი აქტიორობის ტაქტი და ზომა და ვერც ერთს ადგილას ვერ შეამჩნევთ გადაჭარბებას, დამტუტებას“.[10]

სოფრომ მგალობლიშვილის მიერ გლეხის როლების დიდი ოსტატობით წარმოსახვის ნიჭისა და შესაძლებლობის უფრო ნათელი წარმოდგენისათვის მკითხველს ვთავაზობთ კიდევ ერთ ციტატას გამოჩენილი ქართველი მწერლის ნიკო ლომოურის რეცენზიიდან: ,,ბევრგან და ბევრი მინახავს გლეხის როლის მოთამაშენი, მაგრამ მგალობლიშვილის შეგირდებათაც კი არ გამოდგებიან საუკეთესო მათგანნი. ყოველი სიტყვა, ყოველი მოძრაობა სახისა, ხმა, სიარული, მცირეოდენი ხელის განძრევა, ფეხის გადადგმა, მხიარულება თუ დაღონება — ყველა ეს მხოლოდ ნამდვილ ჩვენებურ ,,ტეტიას“ შეუძლიან განიმეოროს იმნაირად, როგორც მათი გამოხატვა შეიძლო ს. მ-მა. ამგვარი სისრულე თამაშობისა, რასაკვირველია, მარტო ნიჭიერების შედეგი არ არის. საჭიროა აქ საფუძვლიანი ცოდნა იმ ტიპისა, რომელსაც არდგენს მოთამაშე. ,,დედა-მაიას“ დამწერს ეს ცოდნა, რასაკვირველია, არ აკლდება... ამის გამო თამაშის დროს ს. მ-ლი მბაძავი კი არ იყო გლეხისა, არამედ თვით განხორციელებული გლეხის სული და გული. გლეხის ტანჯვა და ბედნიერება“.[11]

ჩვენ გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ერთ წინადადებაზე, ,,საჭიროა საფუძვლიანი ცოდნა იმ ტიპისა, რომელსაც არდგენს მოთამაშე. „დედა-მაიას“ დამწერს ეს ცოდნა, რასაკვირველია, არ აკლდება“. მწერალი სწორად შენიშნავდა; საკმარისია გავიხსენოთ, რომ სოფრომმა თავისი ბავშვობა სოფელში, გლეხის ბავშვებთან გაატარა, საკუთარი თვალით ნახა გლეხების ჭირ-ვარამი, გაიზიარა მათი განსაცდელი. ამ თემატიკას კი მწერლობის გარდა თეატრშიც მოუნახა მტკიცე საფუძველი. სოფრომის გულს დარდად აწვა: ,,როდის იქნება ის ნეტარი დრო, როდესაც გლეხობას ბედი კეთილად გაუღიმებს; როდის გათენდება გლეხისთვის. თუ ეს დრო როდისმე დადგება... და მე კუბოს ფიცარს ვეფარები, მაშინ ნეტავ ერთი წამომახედა ჩემს გაღიმებულს ქვეყანაზე და ისევ საფლავში ჩამაწვინა“...[12]

სოფრომ მგალობლიშვილმა გლეხის როლი ითამაშა აგრეთვე სოფელ ხიდისთავში გორელ სცენისმოყვარეთა მიერ წარმოდგენილ რაფიელ ერისთავის კომედიაში ,,ადვოკა-

ტები". ამის შესახებ გაზეთ ,,ივერიაში" ვკითხულობთ: ,,დიდათ ასიამოვნა დამსწრენი სოფრომ მგალობლიშვილმა, რომელმაც აღასრულა გლეხის როლი და ისე რიგიანად ითამაშა, რომ მდაბიო ხალხს თვალწინ წარმოუდგა თავისი მოძმე დატანჯული მუზმუზელა ვაჭრებისაგან და უსინდისო ,,ადვოკატებისაგან".[13]

ხშირად უფერული წარმოდგენა მგალობლიშვილის ნიჭს უხსნია. მაგალითად, 1888 წლის 5 თებერვალს გორში წარმოადგინეს ავქ. ცაგარლის ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" და აკაკის ვოდევილი ,,ბუტიაობა". ს. მგალობლიშვილმა ორივე პიესაში მიიღო მონაწილეობა. გაზეთ ,,ივერიის" ცნობით, პიესები ძალზე უფერულად წარმოუდგენიათ, სამაგიეროდ, ,,რაღა კითხვა უნდა წარმოდგენის დამამშვენებელი იქნებოდა ჩვენი ნიჭიერი სცენისმოყვარული სოფ. მგალობლიშვილი. მართალია, ის თავის საკუთარ როლს არ ასრულებდა იმ დღეს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რა ცხოველმყოფელ მაღალია ნამდვილი ნიჭი... რასაც კი მისი წმინდა სხივი მიადგება, ყველგან და ყველაფერს თავის ნიშანწყლებს ადებს. ამიტომ როგორადაც დავითის როლში, ისე ვოდევილში, სოფრომ მგალობლიშვილი უნაკლოთ თამაშობდა".[14] წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, სადაც სოფრომმა წაიკითხა სცენები გლეხთა ცხოვრებიდან.

სოფრომ მგალობლიშვილმა ერთ-ერთმა პირველმა შემოიღო და დაამკვიდრა ქართულ სცენაზე ხალხური, უმთავრესად გლეხური სცენების კითხვა. შემდეგ თვითონაც მიჰყო ხელი ამ სცენების წერას, რომლებიც იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში, განსაკუთრებით კი ვასო აბაშიძის ,,ჩანგში". ამაზე თვითონაც ამბობს დიდი მოკრძალებით: საკვეხურად არ ჩამომერთმევა ვთქვა, რომ ხალხური სცენების კითხვა პირველად მე შევიტანე სცენაზე. ვკითხულობდი ჩემ საკუთარ სცენებს. სცენებში გამოხატული იყო ცხადათ თუ თვალსაჩინოთ მუშა გლეხის ჭირვარამი, ნაბატონარისაგან, სხვა და სხვა ჳოხელეთაგან მიყენებული უჯიათობა, უსამართლობა, შეწუხება. სცენების საკითხავად საგანგებოდ მქონდა გლეხური ტანისამოსი, ვკითხულობდი ნამდვილი გლეხური კილოთი, ხამი, უცნობი კაცი ნამდვილ გლეხში ვერ მარჩევდა. ამ სცენებს დიდი გავლენა ჰქონდა სოფლად".[15]

1897 წლიდან სოფრომ მგალობლიშვილი სამუდამოდ გადმოვიდა თბილისში საცხოვრებლად და აქაც განაგრძო თეატრალური მოღვაწეობა. იგი აქტიურად მონაწილეობდა პროფესიული და სახალხო თეატრების საქმიანობაში, როგორც მსახიობი. გარდა ამისა, ს. მგალობლიშვილი არჩეულ იქნა დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრად, აქტიურად მონაწილეობდა ქართული თეატრის რეპერტუარის შერჩევაში, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა იუმორისტულ განყოფილებას ჯერ გაზეთ ,,ცნობის ფურცელში" — ,,ისრის", ხოლო შემდეგ ,,ივერიაში" — ,,შურდულის" სახელწოდებით, სადაც ათავსებდა ნახევრად იუმორისტულ ფელეტონებს ქართული თეატრის მდგომარეობათა შესახებ.

იოსებ გრიშაშვილმა 1911 წელს დადგა ალ. სუმბათაშვილის პიესა ,,ღალატი", სადაც მხოლოდ მწერლები ათამაშა. ამ წარმოდგენაში სოფრომ მგალობლიშვილმა წარმატებით შეასრულა ბესოს როლი.

გარდა სამსახიობო მოღვაწეობისა სოფრომ მგალობლიშვილი თეატრალური კრიტიკოსის როლშიც გამოდიოდა. იგი წერდა რეცენზიებს და ძირითადად აქვეყნებდა გაზეთ ,,დროებაში", ,,კოხის" ფსევდონიმით. ერთ-ერთ წერილში იგი აცხადებს: ,,ვიკისრე, მე ჩემათ, ამ ჩვენ სცენაზე წარმოდგენილის პიესების აღსრულებაზე ვაცნობო რამე ხოლმე მკითხველს სიტყვით. მე დღეიდან ვხდები ჩვენი პაწაწინა თეატრის მემატიანე"[16].

ილია ჭავჭავაძის რეალისტურმა სულისკვეთებამ ღრმა გავლენა იქონია ხალხოსნებზე და კერძოდ სოფრომ მგალობლიშვილზედაც.

„დრამის შექმნა დიდათ ძნელი რამ არისო... დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა... სულისა და გულის დიდ ძვრებზეა აგებულიო" — ამბობს ილია.[17]

სოფრომ მგალობლიშვილიც სასტიკი და შეუწყნარებელია უაზრო, უშინაარსო დრამატული ნაწარმოებების წერისა და მათი სცენაზე გამოტანის მიმართ. ეხება რა დიმოვის ვოდევილს ,,ბრაზიანი ამერიკელი", იგი წერს: ,,ეს ვოდევილი საცინელი ძრიელ არის, მაგრამ აზრი ცოტაა, რაღა გადარევა გვინდა პროვინციელებს? ამისთანა პიესებს ბალაგანში აქვთ ადგილი. მოქმედი პირები ნამდვილი ბალაგანის, ცირკის კლოუნებს ჰგავდნენ. რას იქ, თუკი გაკლოუნებენ, უნდა იკლოუნო ძალაუნებურად".[18]

სოფრომის აზრით დრამატული ნაწარმოები უნდა გამოხატავდეს ერის ცხოვრებას, რომელი ერის ცხოვრებაც შიგაა ასახული. ამ მხრივ მას ძალიან მოსწონდა ავქ. ცაგარლის კომედია ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ". ,,ეს კომედია ცოცხალი სცენიური პიესაა; თავიდან ბოლომდე შეიძლება დაიყოს პატარ-პატარა სცენებად, ისე რომ ერთმა მეორეს არ დაუშალოს. ყველა ეს სცენები ამოღებულია ჩვენი ხალხის ცხოვრებიდან. გიხარიან, სიამოვნებ, რომ ხედავ სცენაზე ამ ჩვენი ხალხის ცხოვრებას. (ხაზი ჩვენია, — გ. ჯ.).[19] იგი დრამატურგისაგან მოითხოვს საგანგებო დაკვირვებას ცხოვრებაზე, პერსონაჟთა მეტყველებაზე. სწორედ ამას იწონებს დრამატურგ ცაგარლის ხსენებულ კომედიაში, მაგრამ იქვე აღნიშნავს ზოგიერთი პერსონაჟის სქემატიურობას. ზოგი მათგანი ხელოვნურადაც შეჩრილია პიესაშიო. მაგალითისათვის მას მოჰყავს ზაქარია და კომედიის მთავარი მოქმედი პირი გიჟუაც კი, იგი თითქოს დაკარგულიაო მოქმედ პირებში, ხანდახან ამოაბჟუტებს და ისევ მიიმალება, აკლია სიცოცხლის ფერადოვნებაო.

რაც შეეხება დავითს, სოფრომის აზრით, იგი სხვა როლებთან შედარებით უფრო ნათლად არის წარმოდგენილი.

სოფრომს არც კომედიის ფინალი მოსწონებია: ,,ჩემის აზრით, კომედია გლახათ თავდება. უმჯობესი იქნება, რომ კინტოებმა თავადს ქალი მოსტაცონ იმ დროს, როცა ქალი საყდარში მიჰყავთ ჯვრის დასაწერათ, რასაკვირველია, ჯერ გიჟუა გამოუცხადებს თავის აზრს, რომ ის ძმაკაცისათვის თავს დასდებს, რომ ის მას არ შეარჩენს ამ საქმეს, შემდეგ მოკვლის მაგიერ, რაკი ვერ დაიყოლიებს — მოსტაცონ. ეს უფრო ვაჟკაცური იქნება, უფრო ქართველური, უფრო ეფექტიანი".[20] მას მიზანშეწონილად მიაჩნია ბოროტმოქმედი მოკვდეს არა ,,ხორციელად", არამედ ზნეობრივად, ,,სულიერად". აქ იგი ადამიანის მორალურ სფეროზე ამახვილებს მთელ ყურადღებას. მისი აზრით, ბატონის დამყაყებულმა ტვინმა საჭიროა იგრძნოს, გაიგოს, რომ ,,რაც უნახავს, ვეღარ ნახავს". მაშინ მიზანიც მიღწეული იქნება.

სოფრომი ა. ცაგარელს მოუწოდებს შეასწოროს, მთლიანობა მისცეს კომედიას, როგორც მოქმედ პირთა, ისე სიუჟეტის დახვეწისა და მხატვრული სრულქმნის თვალსაზრისით და ნახავს თუ როგორ ერთი ორად ამაღლდება კომედია და უფრო დააფასებს მას საზოგადოება.

რამდენიმე თვის შემდეგ გაზეთ ,,დროებაში" ვკითხულობთ: ,,ავქ. ცაგარელის კომედია ,,რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" წელს ერთი ორად წავიდა სცენაზე, ვინემ შარშან. პიესის უკეთ წაყვანას დაეხმარა აგრეთვე ისიც, რომ ავტორს ზოგიერთი ნაკლოვანება შეუცვლია პიესისა. მაგალითად, უკანასკნელს მოქმედებაში სრულიად გამოშვებულია კინტოს გიჟუას გრძელი და უადგილო მონოლოგი, როდესაც ის თ. დავითს (ქალის მომტაცებელს) ჰკლავს;

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარცხნიდან მარჯვნივ: ს. მგალობლიშვილი (წევს); ნ. ლომოური, მ. კერესელიძე, პ. ბურჯანაძე (სხედან); კ. ცხვედაძე, ს. გოგლიჩიძე, ა. თოხაძე, ა. დავითაშვილი (დგანან).

აღარ ჰკლავენ ამ კაცს, მხოლოდ მიუვარდებიან სახლში, ქალს წაართმევენ და მიდიან“.[21]

როგორც ჩანს, ა. ცაგარელს ანგარიში გაუწევია სოფრომ მგალობლიშვილის რჩევისათვის.

სოფრომ მგალობლიშვილი დიდად აფასებდა გ. ერისთავს, როგორც მწერალსა და თვალსაჩინო მოღვაწეს, მაგრამ მისი „ძუნწის“ სცენაზე წარმოდგენა ერთგვარად დრომოჭმულად მიაჩნდა, ვინაიდან „ამ პიესას გაუვიდა დრო და მნიშვნელობა, ამიტომ დიდი ინტერესი არა აქვს მაცქერალის თვალში“.[22] მისი აზრით, „ძუნწს“ უფრო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თანამედროვე. ამჯერად მისი სცენაზე წარმოდგენა მხოლოდ იმით იყო საინტერესო, რომ მონაწილეობდნენ ნიჭიერი მსახიობები ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

ქართულ განახლებულ თეატრს სოფრომი მოუწოდებს თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესების ძიებისაკენ. მისი აზრით, სცენაზე განხორციელებული პიესა უნდა შეესატყვისებოდეს ეპოქის მოთხოვნილებებს, ხელს უნდა უწყობდეს ხალხის მიზანსწრაფვას და რევოლუციური სულისკვეთებით განაწყობდეს მაყურებელს. მას არ შეეძლო დამშვიდებით ემზირა სცენაზე თანამედროვე ცხოვრების ტონუსს მოკლებული პიესებისათვის, მათ შორის „ძუნწისთვის“.

ასევე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა მწერალი პროვინციის თეატრალურ საქმიანობას. პროვინციის თეატრი, ეს ის ცალკეული შენაკადია, რომელიც ქართული თეატრის ერთიან, დიდ მდინარეს უერთდება. ამიტომაც რეპერტუარის შერჩევისა და გაუმჯობესების საკითხს იგი გორის სცენისმოყვარეებსაც უყენებდა.

ილია ჭავჭავაძის მსგავსად, სოფრომსაც თეატრი მიაჩნია სკოლად, ერის გათვითცნობიერებისა და განმათავისუფლებელი იდეების ქადაგების საქმეში ბრძოლის იარაღად და პოლიტიკური აგიტაციის მძლავრ ტრიბუნად.

1887 წლის 3 იანვარს, როცა ქ. გორს ეწვია ქართველ მომღერალთა გუნდი ი. რატილის ხელმძღვანელობით და რამდენიმე კონცერტი გამართა, აღფრთოვანებულმა სოფრომ მგალობლიშვილმა მისასალმებელი სიტყვით მიმართა გუნდის წევრებს. მწერლის ეს სიტყვა საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს იმ პერიოდის ისტორიულ ვითარებაში მასებზე ხელოვნების ზემოქმედების შესახებ. სიტყვის დასასრულს იგი პირდაპირ მოუწოდებს ხალხში გასვლასა და სიმღერით რწმენისა და იმედის ქადაგებას: „ვამაყობთ და მუხლს ვიდრეკთ ჩვენი ხალხის სულიერი ცხოვრების იმ ქადაგების წინაშე, რომელსაც თქვენ ასე შეუდარებლად, სიმართლითა და გრძნობით გადმოსცემთ.

დაე, თქვენს მიერ შესრულებული სიმღერები გადაიქცნენ ეროვნულ დროშად, რომლის გარშემო გაერთიანდებიან ისტორიის მიზეზთა გამო ერთმანეთს დაცილებული ქართველი ძმები, დაე, ჩვენი ერთობა და ძმობა ამ დროშის ქვეშ გახდეს ისეთივე მტკიცე და ჰარმონიული, როგორიც საუცხოვო და დიდებულია ჰარმონია ამ სიმღერებისა.

გადით ხალხში და დააჯერეთ ჩვენს ძლიერებაში დაეჭვებულნი. განუმტკიცეთ მათ რწმენა, რომ ჯერ კიდევ არ გამქრალა გოლიათური სული ჩვენი ხალხისა, რომელმაც გაუძლო მრავალ ქარცეცხლსა და ისტორიის ბედუკუღმართობას“.[23]

სოფრომ მგალობლიშვილს სჯეროდა, რომ თეატრში ადამიანი საკუთარი თვალით ხედავს და საკუთარი ყურით ისმენს კეთილშობილურ აზრებს, ქვეყნის ავ-კარგს. ამაშია სწორედ თეატრის დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა: „თეატრი შკოლაა, სადაც ჩვენი „დიდი ბავშვები“ დაინახავენ თვალით, გაიგებენ ყურით, თუ რა ხდება ქვეყანაზე, რა ცუდი საქციელები იკიცხება, რა კეთილი აზრები იქება, რას უნდა მისდიოს კაცმა და რა უნდა მოიშოროს“.[24]

ილიას გაგებით, თეატრი „ცხოველის სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუას“; სოფრომ მგალობლიშვილის აზრით, კი „თეატრში პოულობს კაცი საზრდოს ჭკუისთვის, მალამოს ზნეობისთვის“.[25]

ასეთი შეხედულებიდან გამომდინარე იგი დაუცხრომლად იბრძოდა გორში და საერთოდ პროვინციებში თეატრალური ხელოვნებისა და კულტურის შეტანისათვის, სცენისმოყვარეთა წრეების დაარსებისა და ხელშეწყობისათვის. მას აუცილებლად მიაჩნდა თბილისის ქართული დრამატული დასის სიახლოვე პერიფერიის მაყურებელთან. როცა გადაწყდა საკითხი ქართული დრამატული დასის მიერ გორში რეგულარულად წარმოდგენების გამართვისა, იგი ერთ-ერთი პირველთაგანი, აღფრთოვანებით შეეგება ამ კეთილშობილურ საქმიანობას. „დიდება ღმერთსა, გაგვიჩნდნენ გულშემატკივრები და გამოიწვიეს ამ ჩვენ ქალაქ გორში ჩვენი თბილისური ქართული ტრუპპა, რომელმაც ყოველთვე უნდა მისცეს ხან თითო და ხან ორი ქართული წარმოდგენა“.[26]

თეატრის დანიშნულების, მისი დემოკრატიული იდეების ქადაგების შესახებ ასეთი შეხედულება სოფრომ მგალობლიშვილს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვა. რეაქციისა და სამოქალაქო ომის მძიმე წლებში იგი თეატრისაგან მტკიცედ, ღრმა რწმენით, კვლავ მოითხოვდა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ქადაგებას. იგი მოახლოებული რევოლუციის გამარჯვებებით დაგვირგვინებისათვის მთელ იმედებს თეატრზე ამყარებდა, როცა 1914 წელს წერდა: „ერთად ერთი მხსნელი ჩვენი, დღეს არის ქართული თეატრი — უსათუოდ უნდა შესდგეს ხალხური მოძრავი დასი, რომელმაც დაბა-სოფლად უნდა გამართოს წარმოდგე-

ნები და ჩვენი ხალხი გაათვითცნობიეროს, გაუღვიძოს სამშობლოს სიყვარული და მისთვის თავდადება. ამ საქმეს დახანება არ უნდა და იმედია დრამატურგთა და მსახიობთა კრება რამე წამალს დასდებს ამ დიდად საჭირო საქმეს".[27]

სოფრომ მგალობლიშვილი მოესწრო დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, საქართველოში მენშევიკური მთავრობის დამხობას და საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. მისი ოცნება ასრულდა, ქართველმა გლეხმა გაიღიმა. მხცოვანმა მწერალმა ნახა ქართული თეატრის განთიადი, რომელიც შემოიტანა პირველმა ქართულმა საბჭოთა სპექტაკლმა — ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარომ" დიდი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის დადგმით 1922 წლის 25 ნოემბერს.

ერის მოჭირნახულე მწერალი აღფრთოვანებული იყო ქართული ხელოვნებისა და კულტურის განახლებით. 1923 წელს გაზეთ „ლომისში" იგი წერდა: „ხელოვნება ისეთივე არსებითი საჭიროებაა ადამიანისათვის, როგორც სულისა და გულის საზრდო, როგორც ჰაერი, წყალი, ცეცხლი; იგი ადამიანის ბუნებასთან არის ჩაქსოვილი. რა იქნებოდა, ან რა იქნება ადამიანის ცხოვრება უმუსიკოთ, უპოეზიოთ... მართალია, დაუდგება ხოლმე ერს ხანა კირთებისა, მონობისა, მისი სული და გული გაითანგება ხოლმე დამონავებულის იეზუიტურს ჭახრაკებში, მაგრამ ერის სული, მისი უზენაესი მისწრაფებანი, ჭახრაკებში არ ჩაეჭიდება სამუდამოდ. კირთებში მყოფი ერიც იღვიძებს და უდგება აღორძინების ხანა; პირველი მერცხალი ამ ხანის არის ხოლმე თეატრი"...[28]

სამწუხაროდ, ამაგდარ მწერალს აღარ დასცალდა დიდხანს ეცხოვრა და დამტკბარიყო განახლებული სამშობლოს მზერით. იგი გარდაიცვალა 1925 წელს. მადლიერმა ქართველმა ერმა სახელოვან მამულიშვილს დიდუბის პანთეონში მიუჩინა სამუდამო სავანე.

**შენიშვნები:**

1. ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი" ტფილისი, 1938 წ., გვ. 130.
2. „ივერია", 1878 წ., № 34.
3. ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი", გვ. 86.
4. გ. ბუხნიკაშვილი, „გორის თეატრი", თბილისი, 1965 წ. გვ. 33.
5. „დროება", 1880 წ., № 75.
6. ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი", გვ. 55.
7. იქვე.
8. „ივერია", 1904 წ., № 245.
9. „დროება", 1884 წ., № 178.
10. იქვე.
11. „დროება", 1884 წ., № 112.
12. „დროება", 1880 წ., № 260.
13. „ივერია", 1887 წ., № 145.
14. „ივერია", 1888 წ., № 42.
15. ს. მგალობლიშვილი, „მოგონებანი", გვ. 55.
16. „დროება", 1880 წ., № 64.
17. ილია ჰაჰვაძე თეატრის შესახებ, თბ., 1953 წ., გვ. 120.
18. „დროება", 1880 წ. № 75.
19. იქვე.
20. „დროება", 1880 წ., № 228.
21. „დროება", 1880 წ., № 64.
22. იქვე.
23. ი. ლეკიშვილი, ი. რატილი საქართველოში, თბილისი, 1961 წ. გვ. 16.
24. „დროება", 1880 წ. № 64.
25. იქვე.
26. იქვე.
27. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", 1914 წ., № 14.
28. გაზ. „ლომისი", 1923 წ., № 33.

# ქალაქი და ხელოვნება

ლერი ბეგიაშვილი

როგორც ცნობილია, კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ისტორიულად კამბეჩოვანი, ქიზიყი ეწოდებოდა. იგი ქართლ-კახეთის სხვა კუთხეებისაგან სოციალურ-ეკონომიური პირობებით, ზნე-ჩვეულებებითა და კილოკავით განსხვავდებოდა.

ეს მხარე დღემდე ითვლება საქართველოს ბეღლად. შემორჩენილია გამოთქმა: „ქიზიყში თუ მოსავალი მოვიდა, საქართველო მოუსავლიანობას ვერ იგრძნობსო".

ტიციან ტაბიძე წერდა: „ქიზიყი ერთი უძლიერესი ნაწილია კახეთისა. ეს ქვეყანა ბევრით არის შესანიშნავი: სხვათა შორის, იმითაც, რომ იქ არ იციან, რას ჰქვიან ბატონყმობა. თუ კახელი, საზოგადოდ, მაგარი ხასიათისა არის და უტეხია, ქიზიყელი ამ შემთხვევაში სრული დასრულებაა ამ ტიპისა... ამ მხარეში ხალხი აქამდე ახოვანი იზრდება და ძლიერი ბუნება არაფერს არ აკლებს ქიზიყელს, რომ იყოს გულგაშლილი და ზვიადი. ეს არის მხარე ღვინისა და პურის ბარაქის. თითქმის აქ მთებსაც კარაჰი სცხიათ, ისეთი ნოყიერი ბუნებაა და უხვი მოსავალი".

ქიზიყი საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს, ამიტომ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შემოსულ მტერს პირველად იგი ეგებებოდა. მტკიცედ იცავდა საქართველოს აღმოსავლეთის საზღვრებს.

უკანასკნელ საუკუნეებში ქიზიყის ცენტრად ქალაქი სიღნაღი ითვლებოდა, რომელიც გომბორის მთებზეა გაშენებული და ამაყად გადასცქერის სახელგანთქმულ ალაზნის



ქ სიღნაღის ხედი

ველს. სიღნაღის უმშვენიერესი და თვალწარმტაცი ბუნება ატკბობს მნახველის თვალსა და გულს.

დღესაც იდუმალებითაა მოცული ქალაქის დაარსების ამბავი. ბევრს ჰგონია, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე სიღნაღი არ არსებობდა და მისი შვიდვერსიანი ციხე-გალავანიც ამავე პერიოდის ტიპიური ისტორიული ძეგლია.

ზოგი ისტორიკოსი ამტკიცებს, რომ სიღნაღი მჭიდროდ დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში, და ციხე-გალავანიც იმდროინდელია. მეფე ერეკლე მეორეს მხოლოდ განუახლებია სიღნაღის ციხე, დიდი ყურადღებით მოპყრობია ამ ადგილს და გონივრული ღონისძიებებით ქიზიყის ცენტრად საქართველოს ისტორიაში ფართოდ ცნობილი ციხე-ქალაქ ხორნაბუჯის მემკვიდრედ უქცევია.

სიღნაღში მუდამ შეხვდებით სტუმრებს საბჭოთა კავშირისა თუ საზღვარგარეთის სხვადასხვა კუთხიდან. თვალწარმტაცი მიდამოების, მუყაითი, გულკეთილი და სტუმართმოყვარე ადამიანების ხილვა მათში ერთსულოვან აღტაცებასა და სულიერ კმაყოფილებას იწვევს.

აი, რას წერს ვენის თეატრის მსახიობი ევა ბრუნელი, რომელიც მეოცე საუკუნის დასაწყისში ყოფილა სიღნაღში.

